სოციალური და ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი
The Institute of Social and Economic Studies

==========

პაატა ლეიაშვილი

ეკონომიკური თეორია და რეფორმები თანამედროვე გამოწვევების წინაშე

თბილისი
2017

პაატა ლეიაშვილი. ეკონომიკური თეორია და რეფორმები თანამედროვე გამოწვევების წინაშე. თბილისი, 2017, გვ. 156.

წიგნი წარმოადგენს პროფ. პ. ლეიაშვილის სხვადასხვა წლებში დაწერილი შრომების კრებულს, რომლებიც გაერთიანებულია თემატურად სამ თავში. განხილული თემები მოიცავენ ეკონომიკური თეორიის, რეფორმების და პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. შემოთავაზებულია საინტერესო ეკონომიკური კონცეპცია, იდეა და განსხვავებული ხედვა მთელ რიგ თეორიულ და პრქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით. შემოთავაზებულია საერთო ეკონომიკური წონასწორობის ორიგინალური მოდელი. მიმდინარე რეფორმების მიმართ ავტორს აქვს კრიტიკული დამოკიდებულება, და ამავე დროს, კონსტრუქციული პოზოცია და გვთავაზაობს კონკრეტულ წინადადებებს ეკონომიკის რეალური და საფინანსო სექტორების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.
ნაშრომი გათვალისწინებულია ეკონომიკური პროფილის მეცნიერ-მუშაკებისთვის, ლექტორებისთვის, ეკონომიკური თეორიით და ეკონომოკური პოლიტიკით დაინტერესებული პირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიკური წონასწორობა, ეკონომიკური რეფორმები, ბანკები, კრედიტი, საბანკო ფული, ფინანსური არასტაბილურობა.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

I. ეკონომიკური თეორია

1.1. საერთო ეკონომიკური წონასწორობის ფარდობითობის თეორია 7

1.1.1. შესავალი 7

1.1.2. ეკონომიკური კატეგორიების დიალექტიკა 9

1.1.2.1. წარმოება და მოხმარება 10

1.1.2.2. ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი რესურსი 13

1.1.2.3. მოგება და დანაზობი 14

1.1.2.4. ინვესტიციები და ვალად მოხმარება 16

1.1.2.5. მოთხოვნილებები, საგებლიანობა და ხარჯები 17

1.1.3. ეკონომიკური წონასწორობის "სიმეტრიული მოდელი" 19

1.1.3.1. ეკონომიკური პროცესების წრიული ორგანიზება 19

1.1.4. ინფორმაცია აზროვნებისათვის 25

1.1.4.1. დეცენტრალიზებული ეკონომიკა როგორც კიბერნეტიკული სისტემა 25

1.1.4.2. უკუკავშირების დარღვევით გამოწვეული პრობლემები 30

1.1.4.3. სიმეტრია და ფარდობითობა 32

1.1.5. დასკვნა 35

გამოყენებული ლიტერატურა 40

1.2. საბანკო საქმის "მისტერია", რის შესახებაც არ იწერება სახელმძღვანელოებში 42

1.2.1. შესავალი 42

1.2.2. როგორ იქმნება საბანკო ფული? 44

1.2.3. საკრედიტო ფული 47

1.2.4. საბანკო სისტემა და ფინანსური არასტაბილურობა 51

1.2.5. საბანკო სისტემის რეფორმები 54

დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 59

1.3. ეკონომიკური ფასეულობის ტელეოლოგიური გაგებისათვის 60

1.4. ეკონომიკური ფასეულობა და ეკონომიკის თვითრეგულირება 76

1.4.1. ეკონომიკური ფასეულობა ნატურალური მეურნეობის კონტექსტში 76

1.4.2. საზოგადოებრივი ფასეულობა, ანუ ღირებულება 84

II. ეკონომიკური რეფორმები
2.1. ნეოკლასიკა, ნეოლიბერალიზმი და პოსტაბჭოთა რეალობა 93
2.2. ინსტიტუტების "ხაფანგში" მომწყვდეული ეკონომიკა 119

III. პოლიტიკური რეალიები
3.1. დემოკრატიზაციის ალგორითმი (წერილი პირველი) 127
3.2. დემოკრატიზაციის ალგორითმი (წერილი მეორე) 135
3.3. ადამისდროინდელი პოლიტიკით ვერ ავაშენებთ XXI საუკუნეს ეკონომიკას 142
3.4. ბანკირების "ფოკუს-პოკუსი" 149

წინასიტყვაობა

2008-2010 წწ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა ეკონომიკური მეცნიერება. ამ კრიზისის შედეგად ეკონომიკური მეინსტრიმის მომხრეებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ნეოკლასიკური თეორიის პარადიგმა სრულიად დაშორებულია ეკონომიკური სინამდვილისაგან. გლობალიზაციამ, ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის თავისებურებებმა დაგვაყენეს ახალი რეალიების წინაშე და დაბადეს კითხვები, რომელზეც მეინსტრიმის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ პასუხი. ეკონომიკურ თეორიაში არსებული სირთულეები აისახა ეკონომიკურ პოლიტიკაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ცხადია, ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იქნება შემუშავებული ადეკვატური ეკონომიკური თეორიის გარეშე. ასეთ პირობებში ეკონომიკურ მეცნიერებაში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ახალ კონცეფციებზე, იდეებზე, მეთოდოლოგიურ ნოვაციებზე. წინამდებარე ნაშრომიც არის ერთ-ერთი მოგრძალებული მცდელობა პასუხი გასცეს მთელ რიგ პასუხგაუცემელ კითხვებძე, რომლებიც ასე უხვად დაგროვდა როგორც ეკონომიკურ თეორიაშიაში, ისე პრაქტიკაში.

ნაშრომის თეორიულ ნაწილში შემოთავაზებულია ახალი მიდგომები დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების მექანიზმის გასაანალიზებლად. ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიების დიალექტიკური ანალიზის შედეგად საბაზრო ეკონომკა წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა რთული, არაწრფიული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნილი სისტემა. ასეთ სისტემებს აქვთ უნიკალური თვისებები, რომლებიც კარგად არის შესწავლილი მეორე რიგის კიბერნეტიკის მიერ. ეს გარემოება იძლევა საშუალებას ეკონომიკური პროცესების გამოსაკვლევად მოვიხმოთ ამ დისციპლინების უახლესი მეცნიერული მიღწევები ინტერდისციპლინარული ანალიზის ფორმატში.

საბაზრო ეკონომიკის თვითორგანიზება ხორციელდება რეკურსიული პროცესების შედეგად. რეკერსიული პროცესები ეკონომიკურ სისტემაში, ისევე როგორც სხვა რთულ არაწრფიულ დინამიკურ სისტემებში, ბადებენ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ („უძრავ წერტილებს“). ასეთ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ წარმოადგენენ საქონლის წონასწო-რული ფასები და რაოდენობები, რომლისკენაც, რეკურსიული პროცესების შედეგად ისწრაფვიან საქონლის ფაქტიური საბაზრო ფასები და რაოდენობები, და ამით უზრუნ-ველყოფენ სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორობისაკენ.

შემოთავაზებული მოდელის საფუძველზე გამოვლენილია ფარული ურთიერთ-კავშირები, რომლებიც არსებობენ მთლიან მოგებას, მთლიან დაზოგვას, მთლიან ინვესტიციებსა და მთლიან ვალად მოხმარებას შორის, ასევე, ურთიერთკავშირები სხვა ეკონომიკურ პარამეტრებს შორის. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური აღწარმო-ების, საერთო წონასწორობისაკენ სწრაფვის, ეკონომიკური ციკლების გენერირების და სხვ. პროცესების გასაგებად. დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების მექანიზმის

შემოთავაზებული გაგება დაგვეხმარება გამოყენებითი ეკონომიკური მოდელების სრულყოფაში და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. წარმოდგენილია საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის ორიგინალური ინტერპრეტაცია. შემოთავაზებულია საერთო ეკონომიკური წონასწორობის „სიმეტრიული მოდელი“, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იბადება და როგორ ურთი-ეთქმედებენ ერთმანეთში ეკონომიკური ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ დეცენ-ტრალიზებული ეკონომიკური სისტემის ჰომეოსტაზსს. მოდელი გვიჩვენებს რეალური გაუწონასწორებელი ეკონომიკის ეთრექტორს.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე ფულის, კრედიტისა და საბანკო სისტემის პრობლემები თანამედროვე ეკონომიკაში. როგორც წესი, ეკონომიკურ საელმძღვანელოებში ეს პრობლემები არ არის სწორად ასახული, რის გამოც ეკონომიკური პროფილის სტუდენტთა მთელი თაობები ამთავრებენ უნივერსიტეტებს არასწორი წარმოდგენებით თანამედროვე საბანკო სისტემის შესაებ. ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის მსოფლიო კრიზისის შემდეგ, რომლის პროვოცირებაშიც დიდი როლი ითამაშა კომერციული ბანკების საკრედიტო ექსპანსიამ.

ნაშრომში შემოთავაზებულია ეკონომიკური ფასეულობის ახალი ინტერპრეტაცია. ადამიანის მოღვაწეობის ტელეოლოგიური ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური ფასეულობა წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური სარგებლიანობის და ეკონომიკური დანახარჯების დიალექტიკური ერთობლიობა. ფასეულობა, სარგებლიანობა და ხარჯები განხილულია როგორც ადამიანის სპეციფიური დამოკიდებულება შეზღუდულ დოვლათთან. ნაჩვენებია ეკონომიკური თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც მოქმედებს ეკონომიკური ფასეულობების, ანუ ღირებულების, ფორმირების პროცესი ინდივიდუალური ფასეულობის საფუძველზე. შემოთავაზებულია ოპტიმალურობის გლობალური და ლოკალური კრიტერიუმების ორიგინალური ინტერპრეტაცია, და ხარჯებისა და სარგებლიანობის შეთანაზომების ეკონომიკური მექანიზმის ახსნა.

ორიგინალური იდეები შემოთავაზებულია რეფორმებთან და ეკონომიკურ პოლიტიკასთნ დაკავშირებით, რომლებიც დიდწილად გამომდინარეობენ თეორიული დასკვნებიდან. მათი იმპლემენტაცია ჩვენს ეკონომიკურ სინამდვილეში ხელს შეუწყობს რეფორმებს, ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

პროფ. პაატა ლეიაშვილი
თბილისი, 5 დეკემბერი 2017.

I. ეკონომიკური თეორია

1.1. საერთო ეკონომიკური წონასწორობის ფარდობითობის თეორია[1]

„ეს არის სვადასხვა ნაწილების ჰარმონია, მათი სიმეტრია, მათი საოცარი წონასწორობა; ეს არის ყოველივე ის, რასაც სამყაროში შემოაქვს წესრიგი, რაც გვაძლევს ერთიანობას, რაც გვაძლევს საშუალებას ნათლად დავინახოთ და მთლიანობაში გავაცნობიეროთ ჯგუფი და ელემენტები.“ (Poincare, 2015:372)

ანრი პუანკარე

„ბუნებაში სიმეტრია საფუძველად უდევს სილამაზის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ცნებას. იგი ასოცირდება წონასწორობასთან, წესრიგთან და, ამგვარად, ზოგიერთის თანახმად, ერთ-ერთ ღვთაებრივ პრინციპთან.“

ენციკლოპედია Britannica

„როდესაც ეინშტეინი მუშაობდა თავისი გრავიტაციის თეორიის შექმნაზე, ... [იგი] ხელმძღვანელობდა მხოლოდ იმ მოთხოვნით, რომ მისი თეორია ყოფილიყო ლამაზი და ელეგანტური, რაც შესაძლებელია მხოლოდ ბუნების ფუნდამენტური აღწერის შემთხვევაში.“

პოლ დირაკი

1.1.1. შესავალი

თანამედროვე ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებს ნორმალურად სახელმწიფოს ჩარევისა და ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გარეშე. ამისათვის კი აუცილებელია ნათელი წარმოდგენა ეკონომიკური პროცესების არსის შესახებ, ანუ აუცილებელია მეცნიერული ცოდნა. მაგრამ როგორც დაგვანახა უკანასკნელმა

[1] სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალში American Journal of Economics 2017, 7(5): 216-229 DOI: 10.5923/j.economics.20170705.03. გადმობეჭდილია Scientific & Academic Publishing -ის ნებართვით.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, ეკონომიკური მეცნიერება არ ფლობს სათანადო ცოდნას იმისათვის, რომ შექმნას ადეკვატური მოდელები, შეიმუშაოს ეფექტური რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

თანამედროვე ეკონომიკური პარადიგმის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორია და, კერძოდ, ეროუ-დებრეს მოდელი, როგორც ადამ სმიტის "უხილავი ხელის" თანამროვე ვერსია. მას ისეთივე საკვანძო მნიშვნბელობა ენიჭება ნეოკლასიკურ თეორიაში, როგორც შრომითი ღირებულების თეორიას მარქსის ეკონომიკურ დოქტრინაში. 2008-2010 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად გამოყენებითი ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ეფუძნებიან ეროუ-დებრეს მოდელს, მათ შორის DSGE მოდელი, აღმოჩნდნენ დისკრედიტირებული. მეტიც, ამ კრიზისმა გამოავლინა არა მარტო ამ მოდელების არაეფექტურობა, არამედ საერთოდ ნეოკლასიკური თეორიის მწვავე კრიზისი, რომლის იდეებზეც აგებულია ეს მოდელები.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საუკუნენახევარია (ვალრასის ცნობილი მოდელის გამოქვეყნებიდან) ეკონომისტები ცდილობენ შექმნან ეკონომიკური წონასწორობის ადეკვატური მოდელები, დამაკმაყოფილებელი შედეგები ჯერაც ვერ იქნა მიღებული. მაგრამ საერთო ეკონომიკური წონასწორობის თვით იდეა იმდენად მიმზიდველია, რომ ეკონომისტები ასე იოლად ვერ შეელევიან მას. მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია მორიგი მცდელობა შევიტანოთ სიცხადე ამ უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემაში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით სოციალურ დისციპლინებში თეორიებს შეუძლიათ შეცვალონ სისტემის ფუნქციონირება. ეკონომიკური რეალობა იქმნება კოლექტიური ეკონომიკური მოქმედებებით. მაგრამ ეს მოქმედებები დამოკიდებულია ცოდნაზე, რომელიც მიიღება ეკონომიკური რეალობის შესწავლით. „სოციალური მეცნიერებები, როგორიც არის ეკონომიქსი, განსხვავდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან იმით, რომ ჩვენი წარმოდგენები ზემოქმედებენ რეალობაზე: წარმოდგენები ატომების ქცევის შესახებ არ ახდენენ გავლენას ატომების ფაქტობრივ ქცევაზე, მაგრამ წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, გავლენას ახდენენ მის ფაქტობრივ ფუნქციონირებაზე.“ [1, p. 91] გამოდის რომ, ერთი მხრივ, კოლექტიური მოქმედებები დამოკიდებულია შემეცნებაზე და, მეორე მხრივ, შემეცნება დამოკიდებულია კოლექტიურ მოქმედებებზე. რადგან ნეოკლასიკოსები ვერ აცნობიერებენ ამ წრიულ კაუზალობას, მათ თეორიაში იგი ღებულობს ლოგიკურად „მანკიერი წრის“ ფორმას. ამიტომ მათ არ შეუძლიათ არც ადეკვატური ეკონომიკური თეორიის შექმნა და არც ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება. ზემოაღნიშნული „მანკიერი წრე“ განპირობებულია ნეოკლასიკური თეორიის მცდარი მეთოდოლოგიით, რომლის თანახმადაც ისინი სწავლობენ მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტებს, მოვლენებს, მაგრამ არ შეუძლიათ არსის შეცნობა, რადგან არ აღიარებენ მის არსებობას და

არ ფლობენ მისი შემეცნების მეთოდებს. ასე რომ ის, რაც ხდება ეკონომიკურ რეალობაში ემპირიული ფაქტების დონეზე, დიდ წილად განპირობებულია თვით ამ თეორიით. ამის ნათელი დადასტურებაა 2008-2010 წლების კრიზისი.

ამასთან, მხოლოდ ემპირიულ დონეზე გამოვლენილი პროცესები (ანუ ის, რასაც სწავლობს ნეოკლასიკური თეორია) არის დამოკიდებული ეკონომიკური აგენტების მოქმედებებზე. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის არსი არ არის დამოკიდებული ამ მოქმედებებზე. პირიქით, ისინი თვითონ არიან განპირობებული ამ არსით. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური პროცესების არსის კვლევა. მაგრამ ასეთი კვლევა შესაძლებელია მხოლოდ კვლევის დიალექტიკური მეთოდებით, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან ნეოკლასიკური ეკონომისტების მეთოდებისაგან.

არსის დიალექტიკური შესწავლის შედეგად, საბაზრო ეკონომიკა წარმოდვიდგება როგორც რთული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი, არაწრფიული სისტემა. ისევე როგორც სხვა მსგავს სისტემებს, მას ახასიათებს მთელი რიგი უნიკალური თვისებები, რომლებიც შესწავლილია მეორე რიგის კიბერნეტიკის, კონსტრუტივიზმის და ქაოსის თეორიის მიერ. საბაზრო ეკონომიკის ამ თვისებების შესწავლა საშუალებას მოგვცემს პასუხი გავცეთ ეკონომიკური თეორიის მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას და შევქმნათ ეფექტური ეკონომიკური მოდელები.

1.1.2. ეკონომიკური კატეგორიების დიალექტიკა

ეკომონომიკური ფუნქციები, მოვლენები და კატეგორიები, რომლებიც ასახავენ მათ, არიან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ერთმანეთთან და ერთდროულად ფარდობითი და ერთმანეთისგან განუყოფელი, როგორც დადებითი და უარყოფითი მხარეები. წარმოება და მოხმარება, ყიდვა და გაყიდვა, მიწოდება და მოთხოვნა, შემოსავალი და ხარჯი, მოგება და დაზოგვა, სარგებლიანობა და ხარჯები, ინვესტირება და ვალად მოხმარება, სესხი და ვალი და ა.შ. საპირისპირო მხარეები უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იმყოფებიან ურთიერთკავშირში და ქმნიან მთლიანობას, რომელშიც ერთი მომენტი ისევე აუცილებელია, როგორც მეორე. ეს ფუნქციები ვერ იარსებებენ ერთმანეთის გარეშე. ისინი ქმნიან ერთ მთლიანობას, ჩაკეტილ სტრუქტურას, სადაც ყველაფერი ფარდობითია, სადაც ერთი ვერცერთი მათგანი ვერ იარსებებს სხვების გარეშე, ისევე როგორც დადებითი და უარყოფითი პოლუსები ვერ არსებობენ ერთმანეთის გარეშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკის გასაანალიზებლად იგი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ოპერაციონალურად ჩაკეთილი რთული სისტემა. მაგრამ იმისათვის, რომ გავაცნობიეროთ ეს ოპერაციონალური

ჩაკეტილობა, წინასწარ საჭიროა გავაცნობიეროთ დიალექტიკური კავშირები ფუნადამენტურ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის, რისი დანახვაც შეუძლებელია ნეოკლასიკური თეორიის ტრადიციული მეთოდებით. ქვემოთ წარმოდგენილია ამ კატეგორიების დიალექტიკური ანალიზი, როგორც ოპერაციონალურად ჩაკეტილი დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის „სიმეტრიული მოდელის“ შექმნის აუცილებელი წინაპირობა.

1.1.2.1. წარმოება და მოხმარება

1. იმისათვის, რომ გამოვავლინოთ საბაზრო ეკონომიკის არსი, საჭიროა გავაცნობიეროთ შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს ზოგადად წარმოებასა და მოხმარებას შორის და კერძოდ - ეკონომიკის წარმოებისა და მოხმარების სექტორებს შორის. პროდუქტების წარმოების პროცესი თვითონვე არის რესურსების მოხმარების პროცესი, ხოლო რესურსების მოხმარება არის პროდუქტების წარმოება.

> *„... მაშ ასე, წარმოება არის უშუალოდ მოხმარება, მოხმარება არის უშუალოდ წარმოება. თვითეული მათგანი არის თავის საპირისპირო.“ [2, p.717]. „თვითეული მათგანი არა მხოლოდ არის უშუალოდ საპირისპირო და არა მხოლოდ აშუალებს მეორეს, არამედ თვითეული მათგანი, ქმნის მეორეს, ქმნის თავის თავს, როგორც მეორეს. ... ამიტომ ჰეგელიანელისთვის არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე წარმოების და მოხმარების გაიგივება.“ [2, p. 719 -720].*

ანუ ეს არის არა ორი სხვადასხვა პროცესი, არამედ სხვადასხვა მხრიდან დანახული ერთი და იგივე პროცესი, ანუ ორი განსხვავებული, მაგრამ დიალექტიკურად დაკავშირებული ფუნქცია, რომლებიც სრულდება რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის ერთი და იგივე პროცესში.

საბაზრო ეკონომიკაში, სადაც პროდუქტებს და რესურსებს მიღებული აქვთ საქონლის ფორმა, ეს პროცესი იღებს „საქონლის საქონელში გარდაქმნის“ ფორმას ანუ, პ. სრაფას სიტყვებით, ადგილი აქვს „საქონლის წარმოებას საქონლის [მოხმარების] მეშვეობით“. ამ გარემოების გამო საბაზრო ეკონომიკაში განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან აგრეთვე წარმოების და მოხმარების სექტორები.

მართალია, ისინი „გარეგან კავშირში არიან ერთმანეთთან“ (მარქსი), მაგრამ ყოველი მათგანი თვითონაც წარმოადგენს წარმოების და მოხმარების ერთობლიობას. ამ თვალსაზრისით ისინი არიან იდენტური. მაგრამ ვინაიდან ყოველი მათგანი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებს მეორე, ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ისინი არიან ურთიერთდაპირისპირებული. ისინი ერთდრიულად არიან იდენტურიც და დაპირისპირებულიც და ქმნიან დიალექტიკურ წინააღმდეგობას. სწორედ ამას მოჰყავს ეკონომიკა მოძრაობაში.

2. პროდუქტების წარმოებისათვის მეწარმეები ყიდულობენ მესაკუთრეებისაგან არა წარმოების ფაქტორებს (მიწას, შრომას, კაპიტალს), არამედ მხოლოდ ამ წარმოების ფაქტორების მომსახურებით დროებით სარგებლობის *უფლებას.* მის საფასურს წარმოადგენს *ხელფასი, პროცენტი* და *რენტა.* ხოლო მეწარმეები მათ (და ერთმანეთსაც) მიჰყიდიან თავის მომსახურებას და იღებენ *მოგებას.* მეწარმეთათვის პირველად რესურსებს წარმოადგენენ წარმოების ფაქტორების მომსახურებით დროებით სარგებლობის უფლებები, რომლებესაც ისინი ყიდულობენ მფლობელებისაგან.[2] მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ, მიუხედავად იმისა, თვითონ წარმოების ფაქტორები არიან აღწარმოებადი, თუ არააღწარმოებადი, ფიზიკური თვალსაზრისით, ნებისმიერ შემთხვევაში პირველადი რესურსები, როგორც *საქონელი,* წარმოადგენენ *აღწარმოებად საქონელს.* მათი, როგორც საქონლის, აღწარმოება დაიყვანება წარმოების ფაქტორების მფლობელების სიცოცხლის აღწარმოებაზე, რომელთაც აქვთ უფლება გაყიდონ ზემოხსენებული „სარგებლობის უფლებები“. მფლობელები ყიდიან წარმოების ფაქტორებით სარგებლობის უფლებას და ინარჩუნებენ ამ ფაქტორებს როგორც შემოსავლის მუდმივ წყაროს მხოლოდ იმის მეშვეობით, რომ არ ყიდიან თვითონ ფაქტორებს. ანუ, კ. მარქსის მიდგომა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის მომსახურების გაყიდვის პრობლემასთან დაკავშირებით, საჭიროა გავრცელდეს დანარჩენ წარმოების ფაქტორებზეც.

განსხვავება სამუშაო ძალის მფლობელების და დანარჩენი წარმოების ფაქტორების მფლობელების აღწარმოებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში ხდება აგრეთვე თვით სამუშაო ძალის, როგორც შრომის უნარის, აღწარმოება. რადგან ეს არის თვითონ მფლობელის უნარი. მაგრამ, მეორე შემთხვევაში, მფლობელის აღწარმოება არ ნიშნავს თვით წარმოების ფაქტორის (კაპიტალის, მიწის) აღწარმოებას. ამ შემთხვევაში ფლობის ობიექტი არსებობს ცალკე მფლობელისაგან. ამიტომ, მფლობელის აღწარმოება ნიშნავს უფლების

---

[2] წარმოების ფაქტორების და მათი მომსახურების ერთმანეთისგან გამიჯვნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლ. ვალრასი. იგი მიიჩნევდა, რომ ამის გარეშე ვერ გავიგებთ ვერც ფასწარმოქმნას, ვერც კაპიტალის ბაზრებს და ვერც პროცენტის პრობლემას. [3]. ანალოგიურია კ. მარქსის პოზიცია სამუშაო ძალის, როგორც წარმოების ფაქტორის, და შრომის, როგორც მისი მომსახურების, გამიჯვნასთან დაკავშირებით. იგი წერს: „როგორც პიროვნება, იგი [სამუშაო ძალის მფლობელი - პ.ლ.] მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს დამოკიდებულებას თავის სამუშაო ძალასთან როგორც თავის საკუთრებასთან, და ამიტომ, როგორც თავის საკუთარ საქონელთან; ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ყოველთვის მყიდველს აძლევს საშუალებას ისარგებლოს თავისი სამუშაო ძალით ანუ მხოლოდ დროებით მოიხმაროს იგი, მხოლოდ განსაზღვრული ვადით, მაშასადამე, გაასხვისებს რა სამუშაო ძალას, იგი არ ამბობს უარს მასზე საკუთრების უფლებაზე.“ [4, პ. 178]. „ამრიგად, სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის საწარმოებლად, დაიყვანება სამუშაო დროზე, რომელიც აუცილებელია ამ საარსებო საშუალებების წარმოებისათვის, ანუ სამუშაო ძალის ღირებულება არის საარსებო საშუალებების ღირებულება, რომელიც აუცილებელია მისი მფლობელის სიცოცხლის შესანარჩუნებლად.“ [4, პ.181].

აღწარმოებას, მაგრამ არ ნიშნავს წარმოების ფაქტორების სასარგებლო თვისებების აღწარმოებას, რომელთა გამოც ყიდულობენ ამ ფაქტორებით სარგებლობის უფლებებს. (აღსანიშნავია, რომ, მართალია მეწარმეს არაფერი უშლის ხელს იყიდოს აგრეთვე საკუთრების ტიტულიც. მაგრამ, ამ შემთხვევაში იგი წარმოგ-ვიდგება უკვე არა მხოლოდ როგორც მეწარმე, არამედ აგრეთვე როგორც მესაკუთრე. ეს უბრალოდ სხვა ფუნქციაა, რომელიც შეიძლება იყოს შეთავსებული მეწარმის ფუნქციასთან.) ეს ნიშნავს, რომ პირველადი რესურსების აღწარმოება დაიყვანება მფლობელების არსებობისათვის აუცელებელი სამომხმარებლო საქონლის, ანუ საბოლოო პროდუქტების, მოხმარებაზე. [5-8]. ცხადია, ეს არის რესურსების აღწარმოება არა *ფიზიკური*, არამედ *ეკონომიკური* თვალსაზრისით. ცხადია, ფიზიკური თვალსაზრისით რესურსების (წარმოების ფაქტორების მომსახურების) აღწარმოების მოცულობა დამოკიდებულია საკუთრებაში არსე-ბული წარმოების ფაქტორების რაოდენობაზე, და არა მფლობელების მიერ მოხმარებულიო პროდუქტების რაოდენობაზე. მაგრამ ეკონომიკურ მეცნიერებასაც ხომ აინტერესებს სწორედ ეკონომიკური პროცესების საზრისი. ასევე, საბოლოო პროდუქტების წარმოებაც ხომ ინტერესს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერე-ბისთვის არა როგორც ფიზიკური ან ტექნოლოგიური პროცესი, არამედ როგორც ეკონომიკური პროცესი. სახელდობრ, აინტერესებს საბოლოო პროდუქტების, *როგორც საქონლის*, აღწარმოების პროცესი, რომელიც ეკუთვნის თავის მფლო-ბელს, გააჩნია საზოგადოებისთვის სასარგებლო თვისებები, განკუთვნილია გასაყიდად და ა.შ.

3. აქედან ცხადია, რომ საბოლოო პროდუქტების მოხმარების სფერო არის პირველადი რესურსების აღწარმოების სფერო, ხოლო საბოლოო პროდუქტების წარმოების სფერო არის პირველადი რესურსების მოხმარების სფერო. თვითეული ამ სექტორებიდან აწარმოებს საქონელს, რომელსაც მოიხმარს საპირისპირო სექტორი. ხოლო ის, რაც ერთისთვის არის „პროდუქტი“, მეორესთვის არის „რესურსი“ და პირიქით.[3] სწორედ ამ დიალექტიკური წინააღმდეგობის გამო ისინი ხდებიან ერთმანეთისთვის აუცილებელი, ხდებიან ერთი მთლიანობის აუცილე-

[3] როგორც ვხედავთ, „პროდუქტები“ და „რესურსები“ არის ფარდობითი ცნებები. ეკონომიკური დოვლათი ერთდროულად არის პროდუქტი თავისი მწარმოებლისთვის და რესურსი - თავისი მომხმარებლისთვის. ამიტომ აუცილებელია გვქონდეს კრიტერიუმი, რათა განვასხვავოთ ეს კატეგრიები. როგორც წარმოების, ისე მოხმარების სექტორისთვის „პირველადი რესურსი“ არის საქონელი, რომელიც მოიხმარება მოცემულ სექტორში, მაგრამ იწარმოება - მეორეში. „საბოლოო პროდუქტი“, პირიქით, იწარმოება მოცემულ სექტორში და მოიხმარება - მეორეში. „შუალედური პროდუქტი (რესურსი)“ იწარმოება და მოიხმარება ერთი და იგივე სექტორში. ეს აგრეთვე გულისხმობს, რომ ერთი სექტორის პირველადი შემოსავალი საპირისპირო სექტორისთვის არის ხარჯი პირველ სექტორში წარმოებული პროდუქტის საყიდლად. შესაბამისად, წარმოების სექტორისთვის პირველად შემოსავალს წარმოედგენს საბოლოო პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო მოხმარების სექტორისთვის - წარმოების ფაქტორების მომსახურე-ბის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი (ანუ, ხელფასი, სარგებელი, რენტა და მოგება).

ბელი ნაწილები. სწორედ ეს მთლიანობა განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების, მოხმარების, განაწილების და გაცვლის პროპორციებს. ეს მთლიანობა არის დარგებად დანაწევრებული საბაზრო ეკონომიკა, რომელშიც „საქონელი იწარმოება საქონლის მოხმარების მეშვეობით“. ხოლო ურთიერთკავშირი წარმოების და მოხმარების სექტორებს შორის, როგორც მთლიანის ნაწილებს შორის, იძენს საბაზრო გაცვლის ფორმას.

1.1.2.2. ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი რესურსი

1. ბაზარზე საქონლის გაცვლილს პროპორციები (ფასები) დგინდება ისე, რომ წარმოებული საბოლოო პროდუქტების მხოლოდ ერთი ნაწილი იცვლება ამ პროდუქტების წარმოებისათვის აუცილებელ პირველად რესურსებზე. ანუ, წარმოების სექტორში დახარχული პირველადი რესურსების ღირებულება უდრის ამ სექტორში წარმოებული პროდუქტების ღირებულების მხოლოდ ერთ ნაწილს. წარმოებული პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც იცვლება მთლიანად პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო რესურსებზე, არის *აუცილებელი პროდუქტი*. პროდუქ-ტის დანარჩენი ნაწილი არის *ზედმეტი პროდუქტი*, რომლის გაყიდვითაც მიიღება მოგება, და რომელიც წარმოადგენს სამეწარმეო რისკის საფასურს.[4]

ანალოგიურად, პირველადი რესურსების მხოლოდ ერთი ნაწილი იცვლება ამ რესურსების აღწარმოებისათვის აუცილებელ საბოლოო პროდუქტებზე (ანუ, მესაკუთრეთა მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად). ეს არის *აუცილებელი რესურსი*. რესურსების დანარჩენი ნაწილი არის *ზედმეტი* ანუ, *დაზოგილი რესურსი*, რომლის გაყიდვითაც ხდება მესაკუთრის დანაზოგის ფორმირება და რომელიც წარმოადგენს მისი თავშეკავებისა და მომჭირნეობის საფასურს. რაც უფრო მეტია მისი თავშეკავება, მით უფრო მეტი რესურსი იზოგება მიმდინარე მოხმარებისაგან. პირველადი რესურსების საერთო მოცულობა დამოკი-დებულია საკუთრებაში არსებული წარმოების ფაქტორების რაოდენობაზე და არა მათი მფლობელების მოხმარების მოცულობაზე. [5], [6].

2. ზედმეტი ღირებულება იქმნება როგორც საბოლოო პროდუქტების წარმო-ების, ასევე პირველად რესურსების აღწარმოების პროცესში. პირველ შემთხვევაში - სამეწარმეო რისკის მეშვეობით, მეორე შემთხვევაში - თავშეკავების და მომჭირ-ნეობის მეშვეობით. მეწარმე ყიდის ზედმეტ პროდუქტს და იღებს მოგებას, ხოლო

---

[4] „... სრაფას ნაშრომი ... იძლევა იმის ნათლად ჩვენების საფუძველს, რომ ზედმეტი ღირებულების პრინციპის საფუძველზე ხელფასის, მოგების და ფასების თეორიული ანალიზი, სრულიად დამოუკიდებელია ნებისმიერი „შრომითი ღირებულების თეორიისაგან“ და რომ ნებისმიერი შრომითი თეორია წარმოადგენს ბარიერს ზედმეტი ღირებულების პრინციპზე დაფუძნებული თეორიის განვითარებისთვის.“ [9, პ.12-13]. „ ... მოგების და ფასების პრობლემებისადმი მიდგომა ზედმეტი ღირებულების პრინციპებიდან აბსოლუტურად არ საჭიროებს რაიმე „შრომითი ღირებულების თეორიას“. [9, პ.16].

მესაკუთრე ყიდის ზედმეტ (დაზოგილ) რესურსს და ქმნის დანაზოგს. შესაბამისად, მოგებაც და დანაზოგიც არის ეკონომიკური სუბიექტის წმინდა შემოსავალი, როგორც სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, რომელსაც იგი ღებულობს სამეწარმეო რისკის და თავშეკავების გზით.[5]

3. მიმდინარე მოხმარების დოვლათისაგან განსხვავებით, კაპიტალური დოვლათის მოხმარება, არის ვალად მოხმარება, რომლის დროსაც კაპიტალი განიცდის ცვეთას. ამორტიზირებული კაპიტალის აღსადგენად და კაპიტალის წმინდა ზრდისათვის, მისი მოხმარების პარალელურად აუცილებელია შემოსავლების ნაწილის დაზოგვა და ინვესტირება ახალი კაპიტალის წარმოებაში. ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ერთადერთი წყარო მწარმოებლებისათვის არის მთლიანი მოგება, ხოლო მომხმარებლებისათვის - მთლიანი დანაზოგები. მაგრამ, რადგან მოგება და დანაზოგი ფორმირდებიან ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი რესურსისაგან, ამიტომ რეალურად ადგილი აქვს ზედმეტი პროდუქტის და ზედმეტი რესურსის ინვესტირებას. ფულს თვითონ არ შეუძლია აწარმოოს კაპიტალური დოვლათი. ამისათვის საჭიროა პროდუქტები და რესურსები. ინვესტირება სწორედაც გულისხმობს, რომ პროდუქტების და რესურსების ნაწილი გამოიყენება არა მიმდინარე მოხმარების დოვლათის წარმოებისათვის, არამედ კაპიტალური დოვლათის წარმოებისათვის. მოგების და დანაზოგის ინვესტირება ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში არის მხოლოდ ფულადი გამოსახულება ზედმეტი პროდუქტის და დაზოგილი რესურსის რეალური ინვესტირებისა.

1.1.2.3. მოგება და დანაზობი

1. საბაზრო ეკონომიკაში ადგილი აქვს საქონლის საქონელში ტრანსფორმაციებს. ასეთი ტრანსფორმაციების და შემდგომი გაცვლის შედეგად წარმოების სექტორში რჩება მოგება, ხოლო მოხმარების სექტორში - დანაზოგი. მაგრამ, რადგან წარმოების და მოხმარების სექტორები ურთიერთ დაკავშირებულნი არიან გაცვლის მეშვეობით, ამიტომ ასევე შინაგანად დაკავშირებულნი არიან მთლიანი მოგება და მთლიანი დანაზოგი. ხომ ცხადია, რომ შემოსავლების და ხარჯების მონაცვლეობას ადგილი აქვს როგორც წარმოების, ისე მოხმარების სექტორში. მწარმოებლების შემოსავლები არის მომხმარებლების ხარჯი, ხოლო მწარმოებლების ხარჯი - მომხმარებლების შემოსავალი. შესაბამისად, სხვაობა შემოსავლებსა

[5] ამასთან, რადგან პირველადი რესურსები არსებობენ მხოლოდ წარმოების ფაქტორების მომსახურების ფორმით, ანუ დროში მიმდინარე პროცესის ფორმით, ამიტომ, ამ რესურსების დაზოგვა შესძლებელია მხოლოდ მათი გაყიდვიდან მიღებული ფულის სახით, ან განივთებული ფორმით (დაუსრულებელი წარმოება, მზა პროდუქცია). სხვა სიტყვებით, პირველადი რესურსების დაზოგვა გულისხმობს თავშეკავებას არა საერთოდ მათი მოხმარებისაგან, არამედ მხოლოდ მიმდინარე მოთხოვნილებებისათვის მოხმარებისაგან, და ესე იგი, გულისხმობს ამა თუ იმ ფორმით მათ ინვესტირებას.

და ხარჯებს შორის მათთვის იძენს ურთიერთსაპირისპირო ფორმას - მოგების და დანაზოგის ფორმას. და სწორედ ამიტომ მთლიანი მოგება და მთლიანი დანაზოგი შინაგანად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან. რადგან ის, რაც ერთისთვის შემოსავალია, არის ხარჯი მეორესთვის, ამიტომ მოგება და დანაზოგი ვერ იქნებიან დამოუკიდებელი სიდიდეები. საბაზრო ეკონომიკაში პირველად რესურსებსა და საბოლოო პროდუქტებს შორის გაცვლითი პროპორციების (ანუ ფარდობითი ფასების) ცვლილებებს ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენა აქვთ მთლიან მოგებაზე და მთლიან დანაზოგზე. ცხადია, წონასწორული ფასების პირობებში, მთლიანი მოგება და მთლიანი დანაზოგი უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. [5-7].

2. მესაკუთრეთა მოხმარებისაგან განსხვავებით, მეწარმეების პირადი მოხმარება არის ვალად მოხმარება. ეკონომიკური თვალსაზრისით მეწარმეების მოხმარება წარმოადგენს მათი ფულადი აქტივებიდან სახსრების ინვესტირებას თავისივე საარსებო პირობების უზრუნველსაყოფად. რადგან ამ მიზნებზე გაწეული ხარჯის ანაზღაურება უნდა მოხდეს მომავალი შემოსავლებიდან, ამიტომ მათ არ იციან წინასწარ, დაფარავს თუ არა მათი მოღვაწეობის მომავალი შედეგები მათ მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯებს.

3. მწარმოებელი შემოსავალს იღებს ხარჯების გაღების მეშვეობით, ხოლო მომხმარებელი, პირიქით, შემოსავლების მეშვეობით გაიღების ხარჯებს. მწარმოებ-ლები ჯერ გაიღებენ ხარჯებს და შემდეგ იღებენ შემოსავლებს. მომხმარებლები - პირიქით. შესაბამისად, სუბიექტის, როგორც მწარმოებლის, ეკონომიკური გადა-წყვეტილებები ხარჯების თაობაზე დამოკიდებულია მომავალში მოსალოდნელ შემოსავლებზე, ხოლო როგორც მომხმარებლის - უკვე მიღებულ შემოსავალებზე. ამიტომ, სამეწარმეო მოგება დაკავშირებულია გაურკვევლობასთან და რისკთან, ხოლო დანაზოგების მიღება - მომჭირნეობასთან და თავშეკავებასთან.

4. მთლიანად საზოგადოება, ისევე როგორც ყოველი ეკონომიკური სუბიექტი, ერთდროულად არის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. ამიტომ იგი ერთდრო-ულად არის აგრეთვე „მეწარმეც“ და „დამზოგველიც“. მწარმოებელი არა მარტო მეწარმეა, არამედ არის „დამზოგველიც“. იგი ზოგავს პირადი მოხმარებისთვის წარმოებიდან მიღებული შემოსავალის ნაწილს. ეს „დანაზოგი“ არის წარმოებიდან *ამოღებული* მოგება. ხოლო ხარჯების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მწარმოებელი ახდენს არა მარტო მომავალი შემოსავლებიდან მოსალოდნელი მოგების კალკულაციას, არამედ იმისაც, თუ რა „დანაზოგი“ დარჩება მას წინა პერიოდში მიღებული შემოსავლებიდან. აგრეთვე მომხმარებელიც არის არა მარტო დამზოგველი, არამედ „მეწარმეც“. რადგან მიმდინარე ხარჯების შესახებ გადაწყვე-ტილებების მიღებისას, იგი ითვალისწინებს არა მარტო იმას, თუ რამხელა დანაზოგი დარჩება უკვე მიღებული შემოსავლებიდან, არამედ იმასაც,

გადაფარავს თუ არა მოსალოდნელი შემოსავალი მიმდინარე ხარჯებს, ანუ, დარჩება თუ არა „მოგება“.

ამიტომ, ყველა ეკონომიკური სუბიექტი თავის გადაწყვეტილებებს ხარჯების შესახებ იღებს როგოც უკვე მიღებული, ასევე მოსალოდნელი შემოსავლების გათვალისწინებით. მაშასადამე გადაწყვეტილებები მიიღება როგორც დამზოგველის, ასე მეწარმის პოზიციებიდან. რადგან ზოგადად, მოსალოდნელი შემოსავალის გადამეტება მიმდინარე ხარჯებზე არის მისი მოგება, ხოლო უკვე მიღებული შემოსავალის გადამეტება მიმდინარე ხარჯებზე არის მისი დანაზოგი. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთ მონაცვლეობაში თვით სუბიექტზეა დამოკიდებული, თუ როგორ განიხილავს იგი განსხვავებას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის - როგორც მოგებას, თუ როგორც დანაზოგს. ანუ „მეწარმე“ და „დამზოგველი“, „მოგება“ და „დანაზოგი“ ისეთივე რეფლექსიური კატეგორიებია, როგორც „წარმოება“ და „მოხმარება“, „მწარმოებელი“ და „მომხმარებელი“. [6, p.98-99].

1.1.2.4. ინვესტიციები და ვალად მოხმარება

ზოგადად, ინვესტირება გულისხმობს შემოსავლების კაპიტალად გარდაქმნას. ცხადია, შემოსავალის მხოლოდ ის ნაწილი შეიძლება იყოს გარდაქმნილი კაპიტალად, რომელიც არ არის მოხმარებული, ანუ დანაზოგი, ან მოგება. მაგრამ ფულს არ შეუძლია რეალური (ფიზიკური, ან ადამიანური) კაპიტალის წარმოება. რეალური კაპიტალის წარმოებისათვის საჭიროა რეალური დოვლათი (პროდუქტები და რესურსები). კაპიტალური დოვლათის წარმოებისთვის შესაძლებელია მხოლოდ იმ პროდუქტების და რესურსების გამოყენება, რომლებიც არ იქნა გამოყენებული მიმდინარე წარმოებაში. ასეთებია მხოლოდ ზედმეტი პროდუქტი და დაზოგილი (ზედმეტი) რესურსი. ინვესტირება, როგორც ფუნქცია, გულისხმობს ზედმეტი პროდუქტების და ზედმეტი რესურსების უშუალო მწარმოებლისათვის გადაცემას *საკრედიტო საწყისებზე* (ფიზიკური და ადამიანური) კაპიტალის წარმოებისათვის მომავალში სარგებელის მიღების მიზნით. შესაბამისად, კაპიტალის წარმოება გულისხმობს ზედმეტი პროდუქტების და ზედმეტი რესურსების *ვალად მოხმარებას.* ინვესტირების და კაპიტალის წარმოების ფუნქცი-ები სხვადასხვა ფუნქციებია და შეიძლება განხორციელდეს როგორც სხვადასხვა, ისე ერთი და იგივე აქტორის მიერ. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, *ინვესტირება გულისხმობს ვალად მოხმარებას* და ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებს მეორეს გარეშე. ამ პროცესის ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტორი, როგორც რესურსების მფლობელი, საკრედიტო საწყისებზე

აწვდის თავის რესურ-სებს კაპიტალის მწარმოებელს, ხოლო მწარმოებელი ვალად მოიხმარს ამ რესურსებს. [6, 7].

1.1.2.5. მოთხოვნილებები, საგებლიანობა და ხარჯები

1. ეკონომიკური მოთხოვნილებები არის მხოლოდ „გადახდისუნარიანი“ მოთხოვნილებები. თუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებელია რესურ-სების არარსებობის გამო, ჩვენ ვერ განვიხილავთ მათ როგორც ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის რეალურ სტიმულებს. ეკონომიკური სარგებლიანობა არის შეზღუდული რესურსების უნარი დააკმაყო-ფილონ ადამიანის გადახდისუნარიანი მოთხოვნილებები. ეკონომიკური მოთხოვ-ნილება და ეკონომიკური სარგებლიანობა არიან ფარდობითი ცნებები. მოთხოვ-ნილებების დაკმაყოფილების პროცესში ხდება რესურსების მოხმარება, ანუ, მათი და მათი სარგებლიანობის, განადგურება. მარამ განადგურებულ სარგებლიანობას სუბიექტი აღიქვავს როგორც ხარჯს. მაშასადამე, შეზღუდული რესურსების სარგებლიანობა გულისხმობს ამ რესურსების სასარგებლოდ დახარჯვის უნარს, ანუ, სარგებლიანობის ხარჯად გარდაქმნის უნარს. თუ რესურსის მოხმარების შედეგად არ მოხდა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ანუ თუ იგი დაიხარჯა უსარგებლოდ და მისი სარგებლიანობა არ გარდაიქმნა ხარჯად, ეს ნიშნავს, რომ მისი სარგებლიანობა გარდაიქმნა დანაკარგებად.

რაც უფრო დეფიციტურია რესურსები, მით უფრო ყაირათიანია ადამიანის მათთან დამოკიდებულება; მით უფრო დიდია მისთვის რესურსების ეკონომიკური სარგებლიანობა მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე და, შესაბამისად, უფრო დიდია ეკონომიკური ხარჯებიც - დაკმაყოფილების შემდეგ. ხარჯი, ისევე როგორც სარგებლიანობა, არ არის რაიმე ობიექტი. ეკონომიკური მოთხოვნილება, სარგებ-ლიანობა, ხარჯი და დანაკარგი წარმოადგენენ სუბიექტის სპეციფიკურ ეკონო-მიკურ *დამოკიდებულებას* ობიექტებთან. ეს ცნებები გულისხმობენ ერთმანეთს და ერთმანეთის გარეშე არ გააჩნიათ რაიმე საზრისი. მაგრამ ვინაიდან ისინი შინაგანად გულისხმობენ ერთმანეთს, და ყოველი მათგანი ტრანსფორმირდება მეორეში ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში, ამიტომ ცხადია, რომ სარგებ-ლიანობასა და ხარჯების მიღმა არსებობს კიდევ რაღაც სხვა ცნება; რომ ისინი წარმოადგენენ რაღაც მესამე ცნების გამოვლენის სხვადასხვა ფორმებს; ცნებისა, რომელიც საერთოა ორივე მათგანისთვის, და რომელიც შეიცავს მათ თავის თავში როგორც ერთი მთლიანობის სხვადასხვა მხარეებს. ასეთი მესამე ცნება, რომელიც აერთიანებს მათ, არის „ეკონომიკური ფასეულობა“. რადგან ეკონომიკური ფასეულობა არის სარგებლიანობის და ხარჯის

ერთობლიობა, ამიტომ საბაზრო ფასიც, რომელშიც ვლინდება ეს ეკონომიკური ფასეულობა, ერთდროულად ასახავს როგორც საქონლის სარგებლიანობას, ასევე მისი წარმოების ხარჯებს.

2. სისტემურ დონეზე, პროდუქტიც და რესურსიც, არსებითად ორივე წარმოადგენენ შეზღუდულ დოვლათს, ხოლო სარგებლიანობა და ხარჯი - მის ეკონომიკურ ფასეულობას, როგორც ამ დოვლათთან ადამიანის სპეციფიკურ დამოკიდებულებას. მაგრამ ეკონომიკური მოღვაწეობის ცალკეული აქტის დონეზე, შეზღუდული დოვლათი აქტორის მიერ გარდუვალად აღიქმება ან რესურსის, ან პროდუქტის ფორმით; შესაბამისად, იგი აღიქვავს მათ, ან როგორც სარგებლიანობას, ან როგორც ხარჯს. ანუ, ერთი და იგივე შეზღუდული დოვლათის ფასეულობას, მისი მომხმარებელი აღიქვავს როგორც ეკონომიკურ სარგებლიანობას, ხოლო მისი მწარმოებელი - როგორც დოვლათის წარმოებაზე გაწეულ ეკონომიკურ ხარჯებს. მაგრამ ადამიანი ერთდროულად არიან მომხმარებლებიც და მწარმოებლებიც. ეს განპირობებულია თვით ეკონომიკური მოღვაწეობის ლოგიკით. და პროდუქტიც თვითონვე არის რესურსი სხვა პროდუქტების წარმოებაში, ხოლო რესურსი - სხვა რესურსების მეშვეობით წარმოებული პროდუქტი. შესაბამისად, სარგებლიანობა განწირულია ხარჯად გარდაქმნისათვის, ხოლო ხარჯი - სარგებლიანობის შქმნისათვის. ამიტომ, არა მარტო რესურსების (მათ შორის, პირველადი რესურსების) ფასეულობა განაპირობებს პროდუქტების (მათ შორის, საბოლოო პროდუქტების) ფასეულობას, არამედ, პირიქითაც, პროდუქტების ფასეულობა განაპირობებს რესურსების ფასეულობას.

თუ თავს მოუყრით ყველა ზემოთმოყვანილ მოსაზრებას და გავაცნობიერებთ ეკონომიკური პროცესების დიალექტიკას დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის მთლიანობის კონტექსტში, მაშინ ჩვენ გარდუვალად მივალთ იმის გაგებამდე, რომ ეკონომიკა არის *რეკურსიული პროცესების ფუნქციონალურად ჩაკეტილი თვითორგანიზებადი სისტემა.* ეკონომიკური პროცესების წრიული ორგანიზების გამო ამ სისტემას აქვს მთელი რიგი უნიკალური თვისებები, რომლებიც კარგად არის შესწავლილი ქაოსის თეორიის, კონსტრუქტივიზმის და მეორე რიგიც კიბერნეტიკის მიერ. ეს გვაძლევს საშუალებას მოვიხმოდ ამ დისციპლინების მიღწევები ეკონომიკური პროცესების კვლევისათვის ინტერდისციპლინარული ანალიზის ფორმატში. ასეთი ანალიზის შედეგად შეგვიძლია მივიღოთ პასუხები მრავალ პასუხგაუცემელ კითხვებზე, რომლებიც ასე მრავლად დაგროვდა ეკონომიკურ თეორიაში.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონალური ჩაკეტილობა განსაკუთრებით ცხადი ხდება მათემატიკური მოდელირების მეშვეობით.

1.1.3. ეკონომიკური წონასწორობის "სიმეტრიული მოდელი"

1.1.3.1. ეკონომიკური პროცესების წრიული ორგანიზება

1. ეს მოდელი წარმოადგენს ეკონომიკის იდეალური წონასწორული მდგომა-რეობის მოდელს, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ იბადებიან, საით არიან მიმართული და როგორ ურთიერთქმედებენ ის ეკონომიკური ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის ჰომეოსტაზს. ანუ ეს არის ეკონომიკური სისტემის ეთრექტორის მოდელი, მდგომარეობისა, რომლისკენაც ყოველთვის ისწრაფვის სისტემა, მაგრამ ვერასოდეს აღწევს მას გარე და შიდა ფაქტორების მადესტაბილიზებელი ზემოქმედების გამო. დღეს თვით წონასწორობის იდეა სულ უფრო მეტად ხდება კრიტიკის ობიექტი და სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა უწონასწორობის მოდელებს. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, უწონასწო-რობა თავისთავად გულისხმობს წონასწორობას, როგორც პოტენციურ მდგომარე-ობას, მხოლოდ რომლის მიმართებაშიც არის შესაძლებელი მისი არსებობა. ეკონომიკური წონასწორობა არ არსებობს რეალურად, მაგრამ პოტენციურად არსებობს ყოველთვის, როგორც ეთრექტორი, და მისკენ სწრაფვის გარეშე სისტემა დაკარგავს მთლიანობას და დაინგრევა. ჩვენ ვერ გავიგებთ როგორ ფუნქციონი-რებს რეალური გაუწონასწორებელი ეკონომიკა, თუ არ გავიგეთ როგორ იბადება ის ძალები, რომლებიც მუდმივად უბიძგებენ მას წონასწორობისაკენ და უზრუნველყოფენ წესრიგს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. მაგრამ იმისთვის, რომ შევქმნათ ეკონომიკური წონასწორობის ადეკვატური მოდელი, საჭიროა საბაზრო ეკონომიკა წარმოვიდგინოთ როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა რთული, არაწრფიული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნი-ლი სისტემა. საბაზრო ეკონომიკის თვითორგანიზება ხდება დადებითი და უარყოფითი უკუკავშირების, ეკონომიკური ნაკადების წრიული ორგანიზების და რეკურსიული პროცესების მეშვეობით. რეკურსიული პროცესები ეკონომიკურ სისტემაში, ისევე როგორც სხვა რთულ, არაწრფიულ დინამიურ სისტემებში, ბადებენ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ („უძრავ წერტილებს“). ეს „საკუთრივი მნიშვნელობები“ წარმოადგენენ საქონლის წონასწორულ ფასებს და წონასწორულ რაოდენობებს, რომლისკენაც რეკურსიული პროცესების მეშვეობით ისწრაფვიან ფაქტიური საბაზრო ფასები და რაოდენობები, და ამით უზრუნველყოფენ სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორობისაკენ.

2. აქ წარმოდგეგნილია დეცენტრალიზებული ჩაკეტილი ეკონომიკური სისტე-მის მოდელი, რომელშიც საბოლოო პროდუქტები (**m**) იწარმოება პირველადი

რესურსების (**n**) მეშვეობით და პირველადი რესურსების აღწარმოება ხდება საბოლოო პროდუქტების მოხმარების მეშვეობით. შუალედური პროდუქტი არ განიხილება მოდელის გამარტივების მიზნით. საბაზრო ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც სისტემა, რომელშიც ადგილი აქვს *„საქონლის წარმოებას საქონლის [მოხმარების] მეშვეობით“ (ვ. სრაფა).* საქონლის დაყოფა პროდუქტებად და რესურსებად პირობითია. ანუ, ყოველი საქონელი წარმოადგენს პროდუქტს თავისი მწარმოებლისათვის და რესურსს - თავისი მომხმარებლისათვის. პირველ სექტორში წარმოებული პროდუქტები წარმოადგენენ რესურსებს მეოთხე სექტორისთვის. ამ რესურსების მოხმარების შედეგად, მეოთხე სექტორში იწარმოება პროდუქტები, რომლებიც წარმოადგენენ რესურსებს პირველი სექტორისათვის. საქონლის გაცვლა ხდება პროდუქტების და რესურსების ბაზრებზე (სექტორები 2 და 3). ერთი და იგივე საქონელი არის საქონელი, რომელსაც ერთნი აწარმოებენ და მეორენი მოიხმარენ, ერთნი ყიდიან, მეორენი - ყიდულობენ. ყოველი მათგანი იღებს შემოსავლებს და გაიღებს ხარჯებს. ხოლო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას იყენებს ინვესტირებისათვის ფიზიკერ და ადამიანურ კაპიტალში.

		სექტორი 1			სექტორი 2		
$- a_{11}x_1v_1$	$- a_{12}x_1v_2$	. . .	$- \alpha_1 A_1$				x_1p_1
$- a_{21}x_2v_1$	$- a_{22}x_2v_2$	. . .	$- \alpha_2 A_2$			x_2p_2	
. . .	. . .	. . .	. . .		. . .		
$- a_{m1}x_mv_1$	$- a_{m2}x_mv_2$	. . .	$- \alpha_m A_m$ $- P'$	x_mp_m $I = S$			
			$P = Q$ y_nv_n	$- S'$ $- \beta_n B_n$	. . .	$- b_{n2}p_2y_n$	$- b_{n1}p_1y_n$
		.. . .		. . .	. . .	. . .	. . .
	y_2v_2			$- \beta_2 B_2$	. . .	$- b_{22}y_2p_2$	$- b_{21}y_2p_1$
y_1v_1				$- \beta_1 B_1$	. . .	$- b_{12}y_1p_2$	$- b_{11}y_1p_1$

β_i - ზედმეტი პროდუქტის (დაზოგილი რესურსის) ნორმა j საქონლის წარმოებაში;
P - მთლიანი ზედმეტი პროდუქტი (მოგება) 1 სექტორში;
S - მთლიანი ზედმეტი პროდუქტი (დაზოგილი რესურსი) მე-4 სექტორში;
Q - მთლიანი ვალად მოხმარება;
I - მთლიანი ინვესტიციები;
S' - დაზოგვა მეწარმეების პირადი შემოსავლებიდან (წარმოებიდან ამოღებული მოგებიდან);
P' - მოგება საინვესტიციო საქონელის წარმოებაში.

მომხმარებლისათვის ფასი წარმოადგენს საქონლის შეძენისათვის შემოსავალიდან გაწეულ ფულად ხარჯს, გასავალს. ამიტომ მედელში, შემოსავლებს და ფასებს აქვთ საპირისპირო ნიშანი. ეს ასახავს ფაქტს, რომ საქონლის შეძენისას ფასები ისევე ახდენენ შემოსავლების „ნეიტრალიზებას", როგორც სარგებლიანობა ახდენს მოთხოვნილების „ნეიტრალიზებას" (დაკმაყოფილებას) მოხმარების შედეგად. მატრიცის დიაგონალის ელემენტები გვიჩვენებენ როგორც გასაყიდი საქონლის საწარმოო ღირებულებას, ასევე, ამავე საქონლის, როგორც შესასყიდი საქონლის, სამომხმარებლი ღირებულებას. როგორც საწარმოო ღირებულება იგი არის ექსტენსიური სიდიდე და შედგება (ობიექტური და სუბიექტური) ხარჯების ელემენტებიდან, რომლებიც ნაჩვენებია მატრიცის სტრიქონებში. ხოლო როგორც სამომხმარებლო ღირებულება (სარგეგბლიანობა), იგი არის ინტენსიური სიდიდე და, როგორც ასეთი, იგი კი არ *შედგება* რაიმე ელემენტებისგან, არამედ თვითონ *იშლება* მატრიცის სვეტების ელემენტებად. რადგან მატრიცის ყოველი ელემენტი ერთდროულად არის როგორც სტრიქონის, ისე სვეტის ელემენტი, ამიტომ ისინი ერთდროულად გვიჩვენებენ, როგორც სარგებლიანობას, ისე ხარჯებს. სტრიქონები გვიჩვენებენ საქონლის წარმოებაზე გაწეული ხარჯების ელემენტებს, ხოლო სვეტები - ამავე საქონლის განაწილებას (მის შესაძენად გადახდილი ფულის შესაბამისად) და მის მოხმარებას სხვადასხვა საქონელის წარმოების პროცესებში. ამიტომ, ჰორიზონტალური დაჯამებით ვიღებთ ბაზარზე გატანილი საქონლის წარმოებაზე საზოგადოების მიერ გაწეულ ხარჯებს. ვერტიკალური დაჯამებით ვიღებთ ფულის ოდენობას, რომელიც საზოგადოებამ გადაიხადა მის შესაძენად, და გამოხატავს საქონლის მთლიანი რაოდენობის საზოგადოებრივ სარგებლიანობას.

მატრიცის თანახმად, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით მიმდინარეობს რესურსების გარდაქმნა პროდუქტებად, რომლებიც, თავის მხრივ, მოიხმარება როგორც რესურსები სხვა პროდუქტების მისაღებად და ა.შ.. საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ხდება ფულადი შემოსავლების გარდაქმნა ფულად ხარჯებად (გასავალად), რომლებიც, თავის მხრივ, თვითონ არიან შემოსავლები და შემდეგ ისევ გარდაიქმნებიან ხარჯებად და ა.შ.

დიაგონალის ყოველ ელემენტს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოჰყავს მატრიცის პირველი და მეოთხე სექტორების სტრიქონები და სვეტები. სისტემის წონასწორობის პირობებში დიაგონალის ყოველი ელემენტი (მე-2 და მე-3 სექტორებში)

უდრის მისი შესაბამისი სტრიქონის ელემენტების ჯამს და, ამავდროულად, მისი შესაბამისი სვეტის ელემენტების ჯამს (1 და მე-4 სექტო-რებში). ამიტომ, ჯერ ერთი, მატრიცის ნებისმიერი სტრიქონის და, აგრეთვე, ნებისმიერი სვეტის ელემენტების ჯამი უდრის ნოლს. ეს ასახავს იმ ფაქტს, რომ სისტემა ჩაკეტილია. მეორეც, 1 სექტორის ყოველი სტრიქონის ელემენტების ჯამი უდრის მე-4 სექტორში მისი შესაბამისი სვეტის ელემენტების ჯამს, ხოლო მე-4 სექტორის ყოველი სტრიქონის ელემენტების ჯამი - 1 სექტორის შესაბამისი სვეტის ელემენტების ჯამს. ანუ, ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემაში, წონასწორობის პირო-ბებში, იწარმოება მხოლოდ ის, რაც მოიხმარება, და მოიხმარება მხოლოდ ის, რაც იწარმოება. წარმოებასა და მოხმარებას შორის ასეთი შესაბამისობა ნიშნავს, რომ ყველა საქონლის მიხედვით მოთხოვნა და მიწოდება, ყიდვა და გაყიდვა სრულად შეესაბამება ერთმანეთს.

2. **მოდელის აღწერა.** მუდმივი სიდიდეები - a_{ij}, b_{ji} . ცვლადები: x_i , y_j , p_i , v_j , α_i , β_j..

1) თუ ყველა აგენტს პირველ და მეოთხე სექტორებში განვიხილავთ როგორც საქონლის მწარმოებლებს, მაშინ:

$A_i = \sum a_{ij} x_i v_j$; $i = 1,2 \ldots m$; $j = 1,2\ldots(n - 1)$; (1)

$B_j = \sum b_{ji} y_j p_i$; $i = 1,2 \ldots(m - 1)$; $j = 1,2\ldots n$; (2)

$p_i = (1+ \alpha_i) \sum a_{ij} v_j$; $i = 1,2 \ldots m$; $j = 1,2\ldots(n - 1)$; (3)

$v_j = (1+ \beta_j)\sum b_{ji} p_i$; $i = 1,2 \ldots(m - 1)$; $j = 1,2\ldots n$; (4)

$y_j = \sum a_{ij} x_i$; $j = 1,2 \ldots(n - 1)$; $i = 1,2 \ldots m$; (5)

$x_i = \sum b_{ji} y_j$; $i = 1,2 \ldots(m - 1)$; $i = 1,2 \ldots m$; (6)

$\alpha_0 = \frac{\sum_i \alpha_i A_i}{\sum_i A_i}$; $i = 1,2 \ldots m$; (7)

$\beta_0 = \frac{\sum_j \beta_j B_j}{\sum_j B_j}$; $j = 1,2\ldots n$; (8)

$x_i \geq x_{min}$; $i = 1,2 \ldots m$; $y_j \leq y_{max}$; $j = 1,2\ldots n$. (9)

2) თუ ყველა აგენტს განვიხილავთ როგორც საქონლის მომხმარებლებს, მაშინ:

$A_i = x_i p_i$; $i = 1,2 \ldots m$; (10)

$B_j = y_j v_j$; $j = 1,2\ldots n$; (11)

$p_i = \sum a_{ij} v_j /(1- \alpha_i)$; $i = 1,2 \ldots m$; $j = 1,2\ldots(n - 1)$; (12)

$v_j = \sum b_{ji} p_i /(1- \beta_j)$; $i = 1,2 \ldots(m - 1)$; $j = 1,2\ldots n$; (13)

$y_j = \sum a_{ij} x_i$; $j = 1,2 \ldots(n - 1)$; $i = 1,2 \ldots m$; (14)

$x_i = \sum b_{ji} y_j$; $i = 1,2 \ldots(m - 1)$; $i = 1,2 \ldots m$; (15)

$\alpha_0 = \frac{\sum_i \alpha_i x_i p_i}{\sum_i x_i p_i}$; $i = 1,2 \ldots m$; (16)

$\beta_0 = \frac{\sum_j \beta_j y_j v_j}{\sum_j y_j v_j}$; $j = 1,2 \ldots n$; (17)

$x_i \geq x_{min}$; $i = 1,2 \ldots m$; $y_j \leq y_{max}$; $j = 1,2\ldots n$; (18)

როგორც ვხედავთ, ამ ფორმულების თანახმად, როგორც საქონლის წონასწორული ფასების, ისე მათი წონასწორული რაოდენობების ფორმირება ხდება რეკურსიული პროცესების საფუძველზე და წონასწორობის პირობას წარმოადგენს ტოლობა: $P = Q = I = S$, და ესე იგი, მოგების საშუალო ნორმის α_0 და დაზოგვის საშუალო ნორმის β_0 ტოლობა. კონკურენციის პირობებში α_0 და β_0 ისწრაფვიან ერთმანეთის ტოლობისაკენ და ამით უზრუნველყოფენ $P = Q = I = S$ ტოლობისაკენ ტედენციას და შესაბამისად, მთლიანად სისტემის სწრაფვას წონასწორობისკენ. *(შემდგომში 1 სექტორი მოხსენებულია როგორც წარმოების სექტორი, ხოლო მე-4 სექტორი - როგორც მოხმარების სექტორი. შესაბამისად, ზედმეტ პროდუქტში განივთებული ღირებულება (1 სექტორის სვეტი* **n**) ფულად გამოსახულებაში ღებულობს *მთლიანი მოგების* ფორმას. ხოლო დაზოგილ რესურსებში განივთებული ღირებულება (მე-4 სექტორის სვეტი **m**) ფულად გამოსახულებაში ღებულობს *მთლიანი დანაზოგის* ფორმას.)

ფორმულები 3-6 და 12-15 მიღებულია მატრიცის ელემენტების დაჯამებით სვეტების და სტრიქონების მიხედვით. წარმოების ხარჯების და მოგების ჯამი უდრის პროდუქტის ფასს, ხოლო სამომხმარებლო ხარჯების და დანაზოგების ჯამი უდრის რესურსის ფასს. ბაზარზე რეალიზებული საქონლის რაოდენობა უდრის მოხმარებული და ინვესტირებული საქონლის საერთო რაოდენობას. ამასთან, პროდუქტების წარმოების და რეალიზების მინიმალურ დონე განპირობებულია საზოგადოების მოხმარების მინიმალურად დასაშვები დონით. რესურსების აღწარმოების და რეალიზების მაქსიმალურ დონე განპირობებულია ეკონომიკაში არსებული წარმოების ფაქტორების (შესაბამისად, მათი მომსახურების) საერთო ოდენობით.

ტექნოლოგიური კოეფიციენტები არის პირველადი რესურსების საბოლოო პროდუქტებად გარდაქმნის კოეფიციენტები, ხოლო სამომხმარებლო კოეფიციენტები - საბოლოო პროდუქტების პირველად რესურსებად გარდაქმნის კოეფიციენტები. ხოლო ფასები არის ფულის საქონელში გაცვლის და, შესაბამისად, შემოსავლების ხარჯებად, და ხარჯების შემოსავლებად გარდაქნის კოეფიცი-ენტები.

წარმოების და მოხმარების კოეფიციენტების ცვლილებები განპირობებულია სისტემისათვის გარე ფაქტორებით - მეცნიერების, ტექნოლოგიების, განათლების განვითარებთ, სამომხმარებლო პრეფერენციების, დაზოგვისადმი და რისკისადმი მიდრეკილებების ცვლილებებით და ა.შ.. ხოლო საქონლის ფასები, რაოდენობები, მოგების, დაზოგვის და პროცენტის განაკვეთები იცვლება შიდასისტემური პროცესების შედეგად. ამ ფასების, რაოდენობების და განაკვეთების თვითრეგულირება განპირობებულია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონალური ჩაკეტილობით და მასში მიმდინარე რეკურსიული პროცესებით. იგი უზრუნველყოფს სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორობისაკენ. მაგრამ გარემო კაუზალურად

ზემოქმედებს წარმოების და მოხმარების პროცესებზე. გარემოს ზემოქმედებით გამოწვეული წარმოების და მოხმარების კოეფიციენტების ცვლილებები განაპირობებენ სისტემის პერმანენტულ გადახრას წონასწორობიდან. ანუ ეკონომიკური სისტემა ფუნქციონალურად ჩაკეტილია, მაგრამ კაუზალურად გახსნილია, რაც განაპირობებს მის მრავალ სპეციფიურ თავისებურებას. ყველა ზემოხსენებული პარამეტრი არის ერთმანეთზე დამოკიდებული. შესაბამისად, წარმოება, მოხმარება, გაცვლა და განაწილება ორგანულად არიან ურთიერთ-დაკავშირებულნი ერთიანი სისტენის ფარგლებში.

3. მოცემული პირობების თანახმად მთლიანი მოგება უდრის მთლიან ვალად მოხმარებას (P = Q), ხოლო მთლიანი დაზოგვა - მთლიან ინვესტიციებს (S = I). წონასწორობის პირობებში მწარმოებლების შემოსავლებიდან სახსრების გადინება, ამოღებული მოგების P სახით უნდა იქნას კომპენსირებული სახსრების შემოდინებით ინვესტიციებისთვის I კრედიტების სახით. ხოლო მომხმარებელთა შემოსავლებიდან სახსრების გადინება დანაზოგების სახით S, უნდა იქნას კომპენსირებული სახსრების შემოდინებით ვალად მოხმარების დაფინანსებისათვის Q. ანუ, რესურსების ბაზარზე მოთხოვნის სათანადო დონეზე შენარჩუნების პირობას წარმოადგენს P = I, ხოლო პროდუქტების ბაზარზე ასეთ პირობას წარმოადგენს S = Q. წინააღმდეგ შემთხვევაში წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდწბას შორის (არსებული ფსების პირობებში) დაირღვევა როგორც რესურსების, ისე პროდიქტების ბაზარზე. მაგრამ ის, რაც დანაზოგების S სახით გაედინება მე-4 სექტორიდან, წონასწორობის პირობებში, უნდა უდრიდეს იმას, რაც, ფულის ბაზრის გავლით, შემოედინება 1 სექტორში საწარმოო ინვესტიციების I სახით. ხოლო ის, რაც ამოღებული მოგების P სახით გაედინება 1 სექტორიდან, უნდა უდრიდეს იმას, რაც მე-4 სექტორში შემოედინება სამომხმარებლო ინვესტიციების Q (ვალად მოხმარების) სახით. ეს ასახულია მოდელში, რომლის თანახმადაც საწარმოო ინვესტიციები I (ინვესტიციები ფიზიკურ კაპიტალში) და მთლიანი დანაზოგები S შეესაბამებიან მე-2 სექტორის დიაგონალის ერთი და იგივე ელემენტს. ამიტომ, წონასწორობის პირობებში I = S. ანალოგიურად, სამომხმარებლო ინვესტიციები (ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, ანუ ვალად მოხმარება) Q და მთლიანი მოგება P შეესაბამება მე-3 სექტორის დიაგონალის ერთი და იგივე ელემენტს. ამიტომ P = Q.

წონასწორობის პირობას წარმოედგენს ტოლობა P = S = I = Q . ამრიგად, ადგილი უნდა ჰქონდეს ტოლობას $\alpha_0 = \beta_0 = r_0$, სადაც α_0, β_0, და r_0 , შესაბამისად, არიან მოგების, დაზოგვის და საპროცენტო განაკვეთის საშუალო ნორმები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ყველა დანარჩენი ფულად-სასაქონლო ნაკადისგან განსხვავებით P-ის ტრანსფორმირება Q-ში და S-ის ტრანსფორმირება I-ში ხდება არა საქონლის ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე, არამედ

საკრედიტო ურთიერთობების საფუძველზე, სადაც საპროცენტი განაკვეთი r_0 ასრულებს ბალანსირების ფუნქციას.

წონასწორობის პირობების დარღვევა სისტემაში არღვევს შესაბამისობას სტრიქონების და მათი შესაბამისი სვეტების ელემენტების ჯამებს შორის. ეს იწვევს დიაგონალის ელემენტების გაორებას, რომლებიც ერთმანეთს უტოლებენ შესა-ბამისი სტრიქონების და სვეტების ელემენტების ჯამებს. იბადება შეუსაბამობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, მოთხოვნასა და მიწოდებას, ხარჯებსა და სარგებლიანობას, საწარმოო და სამომხმარებლო ღირებულებებს შორის. იბადება დეფიციტური და ჭარბი საქონელი. სხვადასხვა ბაზრებზე გაჩნდება ან გაუყიდავი საქონელი, ან დაუსაქონლებელი ფული. ერთნი მიიღებენ დამატებით მოგებას სხვათა დაზარალების ხარჯზე. ეს ბადებს ეკონომიკურ სტიმულებს, რომლებიც მიმართულია შესაბამისი საქონლის ბაზარზე წონასწორობის აღდგენისაკენ. ამასთანავე, რომელიმე ერთ წყვილ სტრიქონსა და სვეტს შორის ბალანსის დარღვევა გარდუვალად ბადებს დისბალანსს სხვა სტრიქონებსა და სვეტებს შორის. საერთო ეკომონიკური წონასწორობა ვერ იქნება მიღწეული იქამდე, სანამ არ იქნება მიღწეული ტოლობა $P = S = I = Q$, რაც ნიშნავს, რომ $\alpha_0 = \beta_0 = r_0$.

საყურადღებოა ისიც, რომ წარმოდგენილ მოდელში მაკროეკონომიკური პარა-მეტრები ფორმირდება უშუალოდ მიკროეკონომიკური პროცესების საფუძველზე. ადგილი არა აქვს წყვეტას მიკრო და მაკრო პროცესებს შორის. სისტემას გააჩნია უსასრულოდ ბევრი ამონახსნი.

1.1.4. ინფორმაცია აზროვნებისათვის

1.1.4.1. დეცენტრალიზებული ეკონომიკა როგორც კიბერნეტიკული სისტემა

1. „სიმეტრიული მოდელი“ ეფუძნება ფუნდამენტური ეკონომიკური კატე-გორიების დიალექტიკურ ანალიზს. ამ ანალიზმა გამოავლინა ის ფარული ურთი-ერთკავშირები ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, რომლებიც არ ჩანან ემპირიულ დონეზე. „სიმეტრიული მოდელიდან“, რომელიც ასახავს ამ ურთიერთკავშირებს, ცხადი ხდება, რომ ეკონომიკური პროცესები ქმნიან ჩაკეტილ სისტემას, და ამ პროცესებით განხორციელებული ფუნქციები არიან ურთიერთ-დამოკიდებული და წრიულად ორგანიზებული.

წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარე-მოება, რომ ეკონომიკურ თეორიაში თითქმის მივიწყებული დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე შექმნილი ეკონომიკური სისტემის მოდელი და მისი ანალიზიდან გამომდინარე დასკვნები, სავსებით ეხმიანება მეორე რიგის კიბერნე-

ტიკის ძირითად დებულებებს. ქვემოთ მოყვანილია მეორე რიგის კიბერნეტიკის ფუძემდებელის ჰაინც ფონ ფიორსტერის შრომიდან „Understanding understanding" რამდენიმე ამონარიდი ცირკულარული პროცესების შესახებ:

„როგორც ჩანს კიბერნეტიკა სხვადასხვა ადამიანისთვის ნიშნავს სხვადასხვა რამეს. მაგარამ ეს იმიტომ, რომ მდიდარია მისი კონცეპტუალური ბაზა; და მიმაჩნია რომ ეს კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში კიბერნეტიკა გახდებოდა მოსაწყენი საქმე. მიუხედავად ამისა ყველა ეს თვალთახედვა იბადება ერთი ცენტრალური თემიდან; ეს არის წრიულობა. როდესაც, დაახლოვებით ნახევარი საუკუნის წინ, იქნა დანახული ამ კონცეფციის პროდუქტიულობა, ეს იყო მისი გამაერთიანებელი ძალით, მისი შედეგებით და სხვადასხვა სფეროებზე მისი გავლენით გამოწვეული ფილოსოფოსობის, ეპისტომოლოგიური მსჯელობების და თეორიტიზირების აშკარა ეიფორია." [10, p.288].

„სიმეტრიული მოდელის" ფორმულებიდან ჩანს, რომ შიდასისტემური პროცესები ეკონომიკაში ატარებენ რეკურსიულ ხასიათს. წონასწორული ფასები და წონასწორული რაოდენობები ამ მოდელში წარმოადგენენ ჩაკეტილ სისტემას და ყალიბდებიან რეკურსიული ოპერაციებით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჰ. ფონ ფიორსტერის მოსაზრება. ზემოხსენებულ წიგნში მას მოჰყავს შემდეგი განტოლებები: $x' = \mathrm{D}(x, u)$, და $u' = \mathrm{S}(u, x)$; $x_{t+1} = \mathrm{D}(x_t, u)$, და $u_{t+1} = \mathrm{S}(u_t, x)$, და შემდეგ წერს:

„ის, ვინც დაინტერესებული იყო ქაოსის თეორიით და რეკურსიული ფუნქციებით ადვილად იცნობს, რომ ეს არის რეკურსიული ფუნქციების თეორიის ძირითადი განტოლებები. ეს არის კონცეპტუალური მექანიზმები, რომლითაც წარიმართება კვლევები ქაოსის თეორიაში; ეს ყოველთვის ერთი და იგივე განტოლებებია, რომლებიც მეორდება კიდევ და კიდევ. და ისინი ბადებენ არაპროგნოზირებადი ქცევის სრულიად საოცარ თვისებებს. რეტროსპექტულად თუ შევხედავთ, ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე შემჩნეული იქნა კონვერგენცია სტაბილურ მნიშვნელობებთან. მაგალითი: თუ თქვენ რეკურსიულად აიღებთ კვადრატულ ფესვს ნებისმიერი საწყისი მნიშვნელობიდან (კალკულატორების უმრავლესობას აქვს კვადრატული ფესვის ღილაკი), მაშინ თქვენ ძალიან მალე მიხვალთ სტაბილურ მნიშვნელობამდე 1,0000 ... . არ არის გასაკვირი, რომ ფესვი 1-დან არის 1. საუკუნეების მიჯნაზე მათემატიკოსებმა ასეთ მნიშვნელობებს უწოდეს შესაბამისი ფუნქციების „საკუთრივი მნიშვნელობები" ("Eigen values")." [10, p.315].

„სიმეტრიულ მოდელში" ასეთ „საკუთარ მნიშვნელობებს" ("Eigen values") წარმოადგენენ საქონლის წონასწორული ფასები და წონასწორული რაოდენობები, რომლისკენაც ისწრაფვიან ფაქტიური ფასები და რაოდენობები. „საკუთარ მნიშვნელობებს" მათემატიკოსები აგრეთვე უწოდებენ „უძრავ წერტილებს" (fixed points), რომლებიც გამოიყენება ეროუ-დებრეს მოდელში, თამაშების თეორიაში და ა.შ.

„ ... ამ რეკურსიული ჩაკეტილობის მეშვეობით, და მხოლოდ ამ რეკურსიული ჩაკეტილობის მეშვეობით, იბადება მდგრადობა, რომელიც ვერასდროს იქნება აღმოჩენილი „input/output“-ის ანალიზის საფუძველზე. და ყველაზე მომხიბვლელია ის, რომ, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამ მდგრადობაზე დაკვირვება, პრინციპულად შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა ბადებს ამ მდგრადობას. შეუძლებელია იმის ანალიტიკურად განსაზღვრა, თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ იგი მუშაობს ისე, რომ გვაძლევს პროგნოზირების საშუალებას.“ [10, p.317].

„სიმეტრიული მოდელის“ ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სისტემა ისწრაფვის წონასწორობისაკენ თავისი შინაგანი ბუნების თანახმად. მაგრამ ის, თუ კონკრეტულად რა გზით იქნება მიღწეული წონასწორობა, კონკრეტულად რომელი პროწესები წარმოშობენ მას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ამის გარკვევა შეუძლებელია, რადგან ერთი და იგივე წონასწორობა შეიძლება იქნას მიღებული უამრავი გზით.

როგორც ვხედავთ, საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი ეფუძნება რეკურსიულ ოპერაციებს ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემაში. მაგრამ ამ გარემოების დაფიქსირება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ეკონომიკა იქნა წარმოდგენილი როგორც ეონომიკური პროცესების ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემა. ამის გაკეთება კი შესაძლებელი გახდა ეკონომიკური მოვლენების დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს კვლევის დიალექტიკური მეთოდის მნიშვნელობას იმისათ-ვის, რომ გავერკვათ თუ როგორ ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული ეკონო-მიკა.

2. იმის შემდეგ, რაც 50-ანი წლების დასაწყისში კ. ეროუმ და ჟ. დებრემ გამოაქვეყნეს საერთო წონასწორობის მოდელი, იგი გახდა ნეოკლასიკური პარადიგმის განუყრელი ნაწილი. მაგრამ ამ მოდელის კრიტიკოსები სამართ-ლიანად აღნიშნავენ, რომ იგი უკიდურსად აბსტრაქტულია და არ ასახავს რეალობას. მართლაც, წინაპირობები, რომელსაც ეფუძნება ეს მოდელი, და ამ მოდელის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, სრულიად მიუღებელია მიუკერ-ძოებელი მეცნიერული ანალიზისათვის.

“ეროუ-დებრეს სტატიაში მკაცრად მტკიცდება დეცენტრალიზებულ ეკონომიკაში მრავალი ბაზრის წონასწორობის არსებობა, ... ეს მტკიცებულება მკაცრია მათემატიკური სტანდარტების მიხედვით, მაგრამ იგი საჭიროებს გარკვეულ დაშვებებს, რომლებიც აშკარად ამახინჯებენ ეკონომიკურ რეალობას; მაგალითად, რომ არსებობს ფორვარდული ბაზრები ყველა საქონელისთვის ყველა მომავალი პერიოდისთვის და ყველა შესაძლო გაუთვალისწინებელი გარემოებათათვის ... . მოკლედ, ეროუ-დებრეს მტკიცებულება უფრო დაკავშირებულია მათემატიკურ ლოგიკასთან, ვიდრე ეკონომიკასთან ... .“ [11, p.3].

ამასთან, მოდელიდან არ ჩანს, თუ როგორ ხდება სისტემის წონასწორობასთან მიახლოვება. გარდა ამისა მოდელი გულისხმობს წონასწორობის შესაძლებელ არსებობას *ფიზიკური დროის* გარკვეულ მომენტში. ეროუ-დებრეს მოდელში „...დრო განიხილება ნიუტონისეულ ფიზიკაში მისი ინტერპრეტაციის გარკვეული ასპექტის მსგავსად. კლასიკურ ფიზიკაში ჩვენ ვამბობთ, რომ დრო „გეომეტრიზებულია“ ან „გასივრციზებულია“, რადგან დროის კოორდინატა განიხილება ისევე, როგორც ერთ-ერთი სხვა კოორდინატთაგანი.“ [12, p.19]. ამიტომ საჭირო გახდა ვიცოდეთ სასტარტო მდგომარეობა, საიდანაც სისტემა იწყებს მოძრაობას წონასწორობისაკენ; ვიცოდეთ ყოველი საქონელი, რომელიც წარმოებული იქნება მომავალში და რესურსები, რომელიც საჭირო იქნება მათი წარმოებისათვის; ვიცოდეთ მომხმარებელთა მომავალი მოთხოვნილებები, მომავლის შემთხვევით გარემოებები და ა.შ. ანუ, საჭირო გახდა აბსურდული წინაპირობების დაშვება.

როგორც აღნიშნავს რ. ჰეილბრონერი: „ეროუ-დებრეს ფორმულირება წარუმატებელი აღმოჩნდა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ სრულად გაეთვალისწინებინა ... ყველა მომავალში შესაძლებელი ბაზრები - მაგალითად, ქოლგების პრეფერენციების რუკა შემდეგ სამშაბათს. ასეთი სრული ჩამონათვალის გარეშე საერთო წონასწორობის განსაზღვრა ვერ იქნება სრული, და ვერ გვექნება იმის გარანტია, რომ თუნდაც უმნიშვნელო რამის გამოტოვება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს საერთო წესრიგში.“ [13, p.128]. გარდა ამისა, დასძენს რ. ჰეილბრონერი, არსებობს კიდევ ერთი კონცეპტუალური საკვანძო პრობლემა, რომელიც ეხება წრიულობას: „ფასებისა და რაოდენობების სიმრავლე, რომელიც იბადება სუბიექტების ურთიერთქმედების შედეგად, იბადება აქტორების გემოვნებიდან და შესაძლებლობებიდან. ისინი, თავის მხრივ, ასახავენ საწყის შემოსავლებს და პრეფერენციებს. წრიულობა იბადება იმიტომ, რომ შემოსავლების განაწილება ხელფასზე და მოგებაზე, რაც უდაოდ აყალიბებს აქტორების პრეფერენციებს, თვითონ არის წინა პერიოდში შემოსავლების ფუნქციონალური განაწილების შედეგი. ეს უსასრულო რეგრესია განტოლებათა სისტემას აცლის სწორედ იმ თვისებას, რაც აუცილებელია წესრიგის დასამყარებლად - სახელდობრ, საწყის მდგომარეობას, ანუ წინაპირობას.“ [13, p. 129].

3. აღნიშნული პრობლემები არ იბადება „სიმეტრიულ მოდელში“ რადგან თვით წონასწორობის გაგება ამ კონცეპციაში განსხვავდება წონასწორობის გაგებისაგან ეროუ-დებრეს მოდელში. წონასწორობა გაგებულია როგორც მდგომარეობა, რომლისკენაც სისტემა მხოლოდ ისწრაფვის *ნებისმიერი ფაქტიური მდგომარეობიდან* შიდასისტემური პროცესების იმანენტური ლოგიკით, მაგრამ, ვერასოდეს აღწევს მას გარე ფაქტორების მადესტაბილიზებელი ზემოქმედების გამო. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს ბუნებრივი პირობები, სოციალური პროცესები, ახალი ტექნოლოგიები, მომხმარებელთა პრეფერენციების ცვლილებები და სხვ., რომელთა გავლენაც მოდელში აისახება ტექნოლოგიურ და სამომ-

ხმარებლო კოეფიციენტების ცვლილებებში. ამიტომ აღარ გვჭირდება იმის ცოდნა, თუ როგორი იყო წარსულში სასტარტო პირობები, ან მომავალში როგორი იქნება ტექნოლოგიები, პრეფერენციები, ბუნებრივი პირობები ან სხვა გაუთვალის-წინებელი გარემოებები, რომელთა წინასწარ ცოდნა შეუძლებელია. ამგვარად, ზემოხსენებული *„სისრულე“*, რომლის შესახებაც წერს რ. ჰეილბრონერი და რომ-ელიც აუცილებელია „უძრავი წერტილების“ (ანუ, წონასწორული ფასების) გამოსავ-ლენად, თავიდანვე იგულისხმება „სიმეტრიულ მოდელში“, რადგან იგი, ოპერაციონალური ჩაკეტილობის გამო, უკვე მოიცავს თავის თავში წონასწორული ფასების და რაოდენობების ყველა შესაძლო ნაკრებს მოცემული შეზღუდვების პირობებში. რაც შეეხება იმას, რომ წრიულობა, რომლის თანახმადაც მიმდინარე შემოსავლების განაწილება დამოკიდებულია წინა პერიოდში შემოსავლების განაწილებაზე (რომელიც, რ. ჰეილბრონერის სიტყვებით, „განტოლებათა სისტემას აცლის სწორედ იმ თვისებას, რაც აუცილებელია წესრიგის დასამყარებლად - სახელდობრ, საწყის მდგომარეობას“), ზოგადად რეკურსიული მოდელების თანახმად, ეს გარემოება წარმოადგენს „სიმეტრიული მოდელის“ არა ნაკლს, არამედ მის არსებით უპირატესობას. წრიულად ორგანიზებული პროცესების შესახებ ჰ. ფიორსტერი წერს:

> *„უპირველეს ყოვლისა, ჩაკეტილი წრიული კაუზალობის იდეას აქვს სასაგებლო თვისება, რომ აწმყოში მოქმედების მიზეზი შეიძლება აღმოვაჩინოთ წარსულში, თუ კაუზალობის წრეს გავწყვიტავთ ერთ ადგილას, ხოლო მიზეზს აღმოვაჩენთ მომავალში, თუ ამ წრეს გავწყვიტავთ დიამეტრალურად საპირისპირო ადგილას. ამგვარად, ჩაკეტილი წრიული კაიზალობა აერთებს წყვეტას მოქმედ მიზესსა და საბოლოო მიზეზს შორის, მოტივსა და მიზანს შორის. მეორეც, კაუზალური ჯაჭვის ჩაკეტილობის წყალობით ასევე ვიღებთ უპირატესობას იმაში, რომ თავს ვარიდებთ გაურკვევლობას: აღარ არის საჭირო საწყის მდგომარეობებზე ზრუნვა, რადგან ისინი ავტომატურად მოცემულია საბოლოო მდგომარეობით. ... სირთულეს წარმოშობს ის, რომ ახლა დაიბადება ეჭვი, რომ ეს წრიული კაუზალობის პრობ-ლემა შესაძლოა არის უბრალოდ ლოგიკური შეცდომა. ჩვენ უკვე ვიცით ეს ლოგიკური მსჯელობის თეორიიდან - სამარცხვინო მანკიერი წრე: მიზეზი ხდება შედეგი და შედეგი ხდება მიზეზი. მე განვიზრახე არა მარტყო გავათავისუფლო „circulus vitiosus“ მისი ცუდი რეპუტაციისაგან, არამედ ავამაღლო იგი საპატიო პოზიციამდე, როგორც „circulus creativus“, როგორც შემოქმედებითი წრე.“ [10, p. 230].*

ამატომ, მართალია, ერთი შეხედვით, „სიმეტრიული მოდელი“ არის სტატი-კური მოდელი, მაგრამ დინამიკა იმპლიციტურად იგულისხმება მასში, რადგან, როგორც აღინიშნა, რეკურსიული პროცესების წყალობით სისტემა ნებისმიერი საწყისი მდგომარეობიდან მოძრაობს წონასწორობისაკენ (როგორც თავისი „ეთრექტორისაკენ“). მაგრამ, შემთხვევითი გარე ფაქტორების პერმანენტული ზემოქმედების გამო ტექნოლოგიური და სამომხმარებლო კოეფიციენტები გამუდ-მებით იცვლება. ამიტომ საერთო წანასწორობა ვერასოდეს მიიღწევა. ეს გამუდ-

მებული მოძრაობა წონასწორობისაკენ, როგორც მიზნისაკენ, რომელიც ვერასოდეს იქნება მიღწეული, სწორედაც არის ის *„დინამიკა“*, რომელიც იმპლიციტურად იგულისხმება ამ, თითქოსდა, სტატიკურ მოდელში.

1.1.4.2. უკუკავშირების დარღვევით გამოწვეული პრობლემები

1. ეს მოდელი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ეკონომიკური ზრდის შენელების მიზეზი. კონკურენცია თვითონ ბადებს მონოპოლიებს, რომლებიც ბლოკავენ საბაზრო ფასების თვითრეგულირებას მიკრო დონეზე, და ბადებს შემოსავლების პოლარიზებას, რაც ანგრევს უკუკავშირებს და ბლოკავს თვითრეგულირებას მაკრო დონეზე.[6] მოდელიდან ნათლად ჩანს, რომ საქონლის წარმოების პროცესში იქმნება ის შემოსავლები, რომლის მეშვეობითაც ეს პროდუქტები უნდა იქნას შესყიდული. „წარმოება თვითონ ქმნის თავის მოთხოვნას“ (სეი). მაგრამ თუ ეს შემოსავლები განაწილებულია ძალიან უთანაბროდ, მაშინ, მდიდარი უმცირესობის დაზოგვისადმი გაზრდილი მიდრეკილების გამო, შემოსავლების ნაწილი გაედინება რეალური სექტორის ფულად-სასაქონლო ნაკადების წრებრუნვიდან ფინანსურ სექტორში. დანარჩენ საზოგადოებას აღარ რჩება საკმარისი შემოსავლები მოთხოვნის გასამყარებლად, რომელიც საჭიროა წარმოებული პროდუქტის სრული რეალიზებისათვის. შემოსავლების განაწილების მკვეთრი პოლარიზაციის პირობებში ერთობლივი მოთხოვნა ნაკლებია, ვიდრე თანაბარი განაწილების პირობებში. [1]. რადგან სუსტი მოთხოვნა ანელებს ეკონომიკურ ზრდას, აუცილებელი ხდება მოთხოვნის ხელოვნური გამყარება.

2. „დიდი დეპრესიის“ შემდეგ ფისკალური მეთოდებით მოთხოვნის სტიმული-რებამ წარმოშვა 1980-ანი წლების სტაგფლაცია. მაგრამ ფისკალური მეთოდების მონეტარული მეთოდებით ჩანაცვლებამ ეკონომიკური ლიბერალიზაციის გზით წარმოშვა 2008-2010 წლების „დიდი რეცესია“. ანუ მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება ბუნებრივად წარმოშობს კრიზისს. ეს ვერ გადაწყვეტს პრობლემას, რადგან მიზეზი დევს გაცილებით ღრმად.

ერთი მხრივ, იმ შემოსავლების ნაწილი, რომლის გენერირებაც ბუნებრივად ხდება რეალურ სექტორში მასში წარმოებული პროდუქტების შესასყიდათ, გაედი-

---

[6] აშშ-ში 2007 წლისათვის მოსახლეობის „ზედა 1 პროცენტი ერთ კვირაში იღებდა 40 პროცენტით მეტ [შემოსავალს], ვიდრე ქვედა მეხუთედი იღებდა ერთი წლის განმავლობაში; ზედა 0,1 პროცენტი დღენახევარში იღებდა დაახლოვებით იმდენს, რამდენსაც ქვედა 90 პროცენტი იღებდა წელიწადში; და უმდიდრესი 20 პროცენტი ერთობლივად, დაბეგვრის შემდეგ, იღებდა მეტ შემოსავალს, ვიდრე ერთად აღებული ქვედა 80 პროცენტი.“ [1, პ. 15]. „... ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, მათ, ვისაც აქვთ დაბალი ხელფასები (ქვედა 90 პროცრნტი), ხელფასები გაეზარდათ მხოლოდ 15 პროცენტით, მაშინ როდესაც ზედა 1 პროცენტს - გაეზარდა 150 პროცენტით და ზედა 0,1 პროცენტს - 300 პროცენტზე მეტად.“ [1, პ. 17].

ნება რეალური სექტორიდან ფინანსურ სექტორში და ასუსტებს მოთხოვნას. მეორე მხრივ, მოთხოვნის ხელოვნურად სტიმულირების მიზნით, საბანკო სექტორი აკრედიტებს მოხმარებას, და ამისათვის ქმნის და რეალურ სექტორში ახდენს გაუმყარებელი ფულის ინექციებს.[7] ამიტომ, მოთხოვნის ფორმირება და ბაზრების გასუფთავება ნაკლებად არის დამიკიდებული რეალური სექტორის თვითრეგულირებაზე და სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული არასტაბილურ ფინანსურ სექტორზე და ფულის ნაკადების თანფარდობაზე რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის. თუ ადრე ფინანსური სექტორი ემსახურებოდა რეალური სექტორის ეფექტიანობის ზრდას, დროთა განმავლობაში მან მოიპოვა დამოუკიდებლობა, დაიწყო რეალურ სექტორზე დომინირება და ხელს უშლის მის მდგრად განვითარებას.

3. კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც ქმნიან გაუმყარებელ კრედიტებს და ფულს, საწარმოო ინვესტიციების ნაცვლად დაიწყეს მოხმარების, იპოთეკის და სპეკულაციური ტრანსაქციების დაკრედიტება. [14]. ლიბერალური პოლიტიკის პირობებში ფინანსური სექტორი სწრაფად გაიზარდა. მშპ-ის ზრდის ტემპების შესანაჩუნებლად საჭირო გახდა კრედიტების და ვალად მოხმარების წინმსწრები ზრდის ტემპები. კრედიტების მშპ-თან თანაფარდობა მკვეთრად გაიზარდა.[8] მაგრამ საკრედიტო ექსპანსია ვერ გაგრძელდება უსასრულოდ.[9] ადრე თუ გვიან ვალები უნდა იქნეს გადახდილი მომავალი შემოსავლებიდან. ამიტომ, მომავალში ერთობლივი მოთხოვნა და ნომინალური მშპ გარდუვალად შემცირდება. დადგება „მინსკის მომენტი“ და ფინანსური ბუშტი გასკდება და წარმოშობს ეკონომიკურ კრიზისს. [17]. ფინანსური არასტაბილურობა ჩაშენებულია მოთხოვნის გამყარების ასეთ მეთოდში.

4. ანალოგიური პროცესები იბადება გლობალურ დონეზე.[10] გლობალიზაცი-

---

[7] გარკვეული აზრით ხდება „მიმოქცევაში კარგი ფულს ცუდი ფულით ჩანაცვლება“.

[8] საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორის ვალი გაიზარდა ეროვნული შემოსავალის 50%-დან 1950 წელს 179%-მდე 2006 წელს. [15].

[9] „50 წლის განმავლობაში კერძო სექტორის საკრედიტო მხარი - კრედიტი გაყოფილი მშპ-ზე - სწრაფად იზრდებოდა ყველა განვითარებულ ქვეყნებში; იგი გასამმაგდა 1950-დან 2006 წლამდე. ... საკრედიტო მხარი გაიზარდა იმიტომ, რომ კრედიტი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. ორი ათწლეულის მანძილზე 2008 წლამდე განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, როგორც წესი, კრედიტი იზრდებოდა წელიწადში დაახლოვებით 10-15%-ით, ხოლო ნომინალური ეროვნული შემოსავლის წლიური ზრდა იყო 5%. და მაშინ ისე ჩანდა, რომ კრედიტების ასეთი ზრდა საჭირო იყო ადეკვატური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ... როგორც ჩანს ჩვენ გვჭირდება, რომ კრედიტები იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მშპ, რათა შევინარჩუნოთ ეკონომიკური ზრდა მისაღებ დონეზე, მაგრამ ამას გარდუვალად მივყავართ კრიზისამდე, გადაუხდელი ვალების პრობლემამდე და პოსტკრიზისულ რეცესიამდე.“ [16, პ. 7]

[10] „მსოფლიოს სიმდიდრე გაყოფილია ორად: თითქმის ნახევარი ეკუთვნის უმდიდრეს ერთ პრეცენტს; მეორე ნახევარი - დანარჩენ 99 პროცენტს.“ [18, პ.1]. „დღეს მსოფლიოს სიმდიდრის თითქმის ნახევარს ფლობს მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ერთი პროცენტის სიმდიდრე აღწევს 110 ტრილიონ დოლარს. ეს 65-ჯერ

ასთან ერთად ეროვნული ეკონომიკები გახდნენ ერთმანეთზე ძალიან დამოკიდებული, რადგან გახდნენ მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის ნაწილები. ასეთ პირობებში, ღარიბ და მდიდარ ქვეყნებად მსოფლიოს უკიდურესი პოლარიზაციის გამო და პერველიდან მეორეში მსოფლიო რესურსების გადაქაჩვის გამო, იქაც და იქაც ფერხდება ეკონომიკის განვითარება. რესურსების დაბალი ფასებისა და ღარიბი ქვეყნების მცირე შემოსავლების გამო, ამ ქვეყნების გადახდის-უნარიანობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ წარადგინონ მდიდარი ქვეყნების საწარმოო პოტენციალის ადეკვატური მოთხოვნა. დარღვეულია რესურ-სების და პროდუქტების ფასებს შორის ოპტიმალური ბალანსი. დარღვეულია ოფტიმალური ფულად-სასაქონლო ნაკადები და უკუკავშირები ეროვნულ ეკონომიკებს შორის, როგორც გლობალური ეკონომიკის ერთიანი ორგანიზმის ნაწილებს შორის. მაშინ, როდესაც მსოფლიოს ეთი მესამედი ცხოვრობს სიღა-ტაკეში, ასეთი პოლარიზაცია, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, არა მარტო ამორალურია, არამედ, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, აფერხებს ეკონომიკურ პროგრესს. ეკონომიკის ოფტიმალური ფუნქციონირება არ გაულის-ხმობს ასეთ პოლარიზაციას, არამედ მხოლოდ ოპტიმალური პროპორციების და უკუკავშირების უზრუნველყოფას ეკონომიკურ ნაკადებს შორის.

როგორც ვხედავთ, კიბერნეტიკის კანონები ადასტურებენ მარქსის წინასწარმეტყველებას. კაპიტალისტური ეკონომიკა განიცდის სისტემურ პრობლემებს. მაგრამ ეს ხდება უკუკავშირების თვითგანადგურების შედეგად. საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია იმ ეკონომიკური უთანაბრობის გაუქმება, რომელსაც თვითონვე წარმოშობს. სტიქიური საბაბზრო თვითრეგულირება ხდება შეუძლებელი და მისი ჩანაცვლება რეგულირებადი ეკონომიკით - გარდუვალი. მომავლის ეკონომიკა არის სოციალური სამართლიანობის ეკონომიკა.

1.1.4.3. სიმეტრია და ფარდობითობა

1. ერთი და იგივე მოვლენას განსხვავებულად აღიქვავენ სხვადასხვა სუბიექტები, და ერთი და იგივე სუბიექტიც კი, მისი მოთხოვნილებების და მიზნების მიხედვით. ასევე, ერთი და იგივე საგანი ან პროცესი ერთდროულად ასრულებს სხვადასხვა ფუქციას, ერთდროულად სხვადასხვა დამოკიდებულებაში იმყოფება

აღემატება მსოფლიო მოსახლეობის ქვედა ნახევარის საერთო სიმდიდრეს. ... მსოფლიო მოსახლეობის ქვედა ნახევარი ფლობს ისეთივე სიმდიდრეს, რაც მსოფლიოს უმდიდრესი 85 ადამიანი.“ [18, პ.2] „მსოფლიო მოსახლეობის დაახლოვებით 80 პროცენტი ფლობს მსოფლიო სიმდიდრის მხოლოდ 6 პროცენტს. მხოლოდ 80 ინდივიდი ერთად ფლობენ იმდენივე სიმდიდრეს, რამდენსაც მსოფლიოს 3,5 მილიარდი უღარიბესი ადამიანი. ასეთი უთანაბრობა გახდა სერიოზული პრობლემა - როგორც ეკონომიკური ეფექტიანობისათვის, ისე სოციალური სტაბილურობისათვის.“ [18, პ.2]

სხვადასხვა სუბიექტებთან და ობიექტებთან. მწარმოებლად, მომხმარებლად, პროდუქტად, რესურსად და ა.შ. ყოფნა - ყოველივე ეს არ არის ობიექტების და სუბიექტების რეალური განუყოფელი თვისებები, არამედ არის ფუნქციები, რომლებსაც ისინი ასრულებან. შეუძლებელია იყო საქონლის მწარმოებელი და არ იყო სხვა საქონელის მომხმარებელი; შეუძლებელია იყო მომხმარებელი, თუ არა ხარ მწარმოებელი; და შეუძლებელია იყო ან ერთი, ან მეორე, და არ იყო რაიმე საქონლის გამყიდველი და სხვა საქონელის მყიდველი; და შეუძლებელია იყო როგორც საქონლის მყიდველი, ისე გამყიდველი, თუ არა ხარ ფულის მყიდველი და გამყიდველი. ამასთან, შრომის დანაწილების პირობებში ყველა ამ ფუნქციის შესრულება აქტორს შეუძლია მხოლოდ როგორც ერთ-ერთ მხარეს სხვა ეკონომიკურ აქტორებთან ურთიერთქმედების პროცესში. ასე რომ, საბაზრო ეკონომიკაში, მავანს შეუძლია იყოს მწარმოებელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც სხვა არის მომხმარებელი; შეუძლია იყოს გამყიდველი - იმიტომ, რომ ვიღაც სხვა არის მყიდველი; გამსესხებელი - იმიტომ, რომ ვიღაცა არის მსესხებელი და ა.შ. [5], [6]. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ ფუნქციები, რომელსაც ასრულებენ სხვადასხვა აქტორები, ისევე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, როგორც მოქმედებები, რომლებიც ასრულებენ ამ ფუნქციებს. ყველა ისინი ქმნიან ერთმანეთს. ყოველი მოქმედება ბადებს „თავის სხვა“ მოქმედებას და თვითონაც დაიბადა სხვა მოქმედებების შედეგად. ამის მეშვეობით ისინი ქმნიან სისტემის სტრუქტურას და ახდენენ მის აღწარმოებას. სისტემის ოპერაციონალურად ჩაკეტილი სტრუქტურის, ესე იგი ოპერაციონალური ჩაკეტილობის, ანუ, შიდასისტემური ფუნქციების წრიული ორგანიზების აღწარმოებას განაპირობებს თვით შესრულებული მოქმედებების თანმიმდევრობა. ზემოთ განხილული „სიმეტრიული მოდელი“, რომელიც ასახავს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონალურ ჩაკეტილობას, ასახავს საბაზრო ეკონომიკის *არსებით ურთიერთკავშირებს,* და, ამგვარად, თავის თავში ასახავს ეკონომიკური სისტემის *არსს,* სადაც ყველაფერი ფარდობითია და ყოველივე იმყოფება რეფლექსიურ კავშირში ერთმანეთთან.

2. ამ მოდელში ვლინდება ეკონომიკური წონასწორობის არსი. ანუ, მოდელი გვიჩვენებს დეცენტრალიზებული ეკონომიკის იმ იდეალურ შინაგან მდგომარეობას, რომლის დროსაც ურთიერთსაპირისპირო ეკონომიკური ძალები აწონასწორებენ ერთმანეთს. „სიმეტრიული მოდელი“ ასახავს წარმოებული, მოხმარებული და რეალიზებული საქონელის მხოლოდ თანაფარდობებს (ანუ ფარდობით ფასებს და ფარდობით რაოდენობებს). ყოველი საქონელის ფასი და რაოდენობა არის ყველა დანარჩენი ფასების და რაოდენობების ფუნქცია. სხვა სიტყვებით, მოდელი გვიჩვენებს შიდასისტემური პარამეტრების თანაფარდობებს იმ შემთხვევაში, როდესაც ყველაფერი, რაც იწარმოება სისტემაში, მოიხმარება, და ყველაფერი, რაც მოიხმარება - იწარმოება; და ამიტომ საქონელი იცვლება ერთმანეთში ისეთი

თანაფარდობით, რომ ბაზრებზე აღარ რჩება გაუყიდავი საქონელი ან დაუსაქონ-ლებელი ფული (დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა). გარკვეული აზრით, ეს არის საერთო ეკონომიკური წონასწორობის ფარდობითობის თეორია.

3. დიალექტიკის თანახმად არსის შემეცნება ნიშნავს მთლიანის და მისი შინაგანი წინააღმდეგობების, მისი რეფლექსიის (და, ესეიგი, შინაგანი სიმეტრიის) შემეცნებას. ეს მთლიანი ჩაკეტილია და მდგრადია. მაგალითად, ეკონომიკა როგორც წარმოების და მოხმარების ერთიანი სისტემა, არის მთლიანობა, რომელიც თავის თავში შეიცავს ყველა მისთვის აუცილებელ ნაწილს. ეს არის ჩაკეტილი პროცესი, რომელიც ხასიათდება სიმეტრიით - იწარმოება მხოლოდ ის, რაც მოიხმარება, და მოიხმარება მხოლოდ ის, რაც იწარმოება. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზის გამო დაირღვევა უკუკავშირი წარმოებასა და მოხმარებას შორის, მაშინ დაინგრევა სისტემის მთლიანობა, მისი სიმეტრია. წარმოებული იქნება პროდუქ-ტები, რომელზეც არ არსებობს გადახდისუნარიანი მოთხოვნილება, პროდუქტი არ გაიყიდება, წარმოება გაჩერდება, აღარც რესურსებეზე იქნება მოთხოვნილება და ა.შ. ეს მოვლენა ცნობილია კიბერნეტიკიდან - დინამიური პროცესი კარგავს მდგრადობას, თუ არ არსებობს ჩაკეტილობა. ანუ ცხადია, რომ რეფლექსიის შესუსტება აქვეითებს ეკონომიკური პროცესების ეფექტიანობას. თუ არ იქნება ჩაკეტილობა, მაშინ არ იქნება განსაზღვრულობა, და ესე იგი, არ იქნება არც ოპტიმალურობა. გახსნილი სისტემა ვერ იქნება ოპტიმალური. [20].

4. როგორც წესი „სიმეტრიის“ ცნება გამოიყენება ორი მნიშვნელობით. სიმეტრიული ნიშნავს რაიმე პროპორციულს; გვიჩვენებს სხვადასხვა ნაწილების ურთიერთშეთანხმების წესს, რიმლის მეშვეობითაც ისინი ერთიანდებიან ერთ მთლიანობაში. ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობაა - წონასწორობა. ეკონომიკური სისტემა ავლენს სიმეტრიის თვისებას ორივე მნიშვნელობით. სხვადასხვა ეკონომი-კური ნაკადები ურთიერთ თანხმობაში არიან ერთმანეთთან, ავსემენ და აწონასწორებენ ერთმანეთს, და ასე ქმნიან ერთ მთლიანობას, როგორც „უკუკავშირების“ მქონე თვითრეგულირებად სისტემას. ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფილოსოფოსი ჰერმან ვეილი წერდა თავის „სიმეტრიაში“:

„... საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ბუნების საერთო ორგანიზება ხასიათდება ასეთი სიმეტრიით. მაგრამ არ უნდა მოველოდოთ, რომ იგი სრულყოფილად ვლინდება ბუნების ნებისმიერ კონკრეტულ ობიექტში. მიუხედავად ამისა საკვირველია, თუ რამდენად გაბატონებულია იგი. ამისთვის უნდა არსებობდეს რაიმე მიზეზი, და ძნელია არაა მისი პოვნა: წონასწორული მდგომარეობა სავარაუდოდ სიმეტრი-ულია. უფრო ზუსტად, იმ პირობებში, რომლებიც განაპირობებენ წონასწორობის ერთად-ერთ მდგომარეობას, პირობების სიმეტრია გადადის მდგომარეობის წონასწორობაში.“ [21, p.25].

ადამიანიც და მისი მოღვაწეობაც ბუნების ნაწილია და ამიტომ ადამიანის მოღვაწეობაში ისევე ვლინდება სიმეტრია, როგორც ბუნების სხვა მოვლენებში.

„არ არსებობს ფიზიკის ისეთი კანონი, რომლის გამოყვანაც არ შეიძლებოდეს სიმეტრიის პრინციპიდან. მაგრამ სიმეტრიის პრინციპი თავის თავში მალავს უფრო ღრმა სტრუქტურას, რომელიც საფუძვლად უდევს კანონს, და ამიტომ ხელს უშლის იმის უშუალოდ დანახვას, თუ როგორ ხდება ცვლილება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.“ [22, p. 4].

ცნობილი ფიზიკოსი პოლ დირაკი თავის მოგონებებში ეინშტეინის შესახებ წერდა, რომ ეინშტეინი მიიჩნევდა, რომ ჩვენი სამყაროს სივრცე-დროს აქვს ასეთი სიმეტრია, და რომ ამ სივრცეს უნდა მივაწეროთ ფიზიკის ყველა კანონი. ეინშტეინს სჯეროდა, რომ მისი ოთხგანზომილებიანი სიმეტრია იმდენად ლამაზია, რომ იგი შეუძლებელია იყოს არასწორი. მას სჯეროდა, რომ ბუნების კანონები უნდა იყოს აღწერილი ლამაზი განტოლებების ფორმით. იგი მიიჩნევდა ამას აუცილებელ პირობად. სწორედ სილამაზის ძიება შეადგენდა ეინშტეინის სამუშაო პროცესის საფუძველს. [23].

„სიმეტრია არის სამყაროს ფუნქციონირების იმდენად განუყოფელი ნაწილი, რომ ალბერტ ეინშტეინმა გამოიყენა იგი როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, როდესაც მან შეიმუშავა ფარდობითობის საერთო თეორია. ... ბევრ მეცნიერს სჯერა, რომ შესაძლოა კიდევ არსებობენ სიმეტრიები, რომლებიც ელიან თავის აღმოჩენას. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ასე მოუხელთებელი „ყველაფრის თეორია“, რომლის ძიებასაც ფიზიკოსებმა შეალიეს ათწლეულები, გარკვეული ფორმით უნდა შეიცავდეს უნივერსალურ სიმეტრიას, რომელიც სრულად ახსნის და ერთმანეთთან დააკავშირებს ფიზიკის ყველა ცნობილ კანონს.“ [24].

მეც ასევე ღრმად მჯერა, რომ ეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც ადეკვატურად ასახავს ეკონომიკურ რეალობას, უნდა ახასიათებდეს სიმეტრია.

1.1.5. დასკვნა

1. საბაზრო ეკონომიკა არის რთული, არაწრფიული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი (მაგრამ კაუზალურად გახსნილი) ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა. დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის დიალექტიკური ანალიზის შედეგად ვიღებთ ეკონომიკური კატეგორიების და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების პრინციპულად ახალ ინტერპრეტაციას; ვიღებთ ეკონომიკური წონასწორობის ახლებურ გაგებას.

მთავარი წინააღმდეგობა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა არის ის, რომ ყოველი სუბიექტი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებს სხვა, და აწარმოებს იმას, რასაც მოიხმარს სხვა. და ამიტომ,

სხვისგან ყიდულობს იმას, რაც სჭირდება მას, და თვითონ ყიდის იმას, რაც სჭირდება სხვას. ასეთ პირობებში საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით. ამიტომ სუბიექტები თავისი მოქმედებებით „მიბმულნი“ არიან ერთმანეთზე და ქმნიან ერთ მთლიანობას, სისტემას, რომელშიც ყველაფერი, რაც იწარმოება მოიხმარება, და ყველაფერი, რაც მოიხმარება - იწარმოება. ასეთ პირობებში ყოველი ეკონომიკური მოქმედება ბადებს სხვა მოქმედებას. ანუ იბადება რეკურსიული პროცესები, რომელთა წყალობითაც ეკონომიკური სისტემა ფორმირდება როგორც ჩაკეტილი, თვითაღწარმოებადი სისტემა, რომელიც თვითონ ბადებს ელემენტებს (ეკონომიკურ მოქმედებებს) რომლისგანაც შედგება.

თავისი არსებობის დასაბამიდანვე, 1940-1950 წწ. (ნ. ვინერის, უ. როს ეშბის, ჰ. ფონ ფიორსტერის თეორიები), კიბერნეტიკის ცენტრალურ იდეას წარმოადგენდა იდეა წრიული კაუზალობის შესახებ. აქ რაიმე მიზეზით გამოწვეული მოქმედება თვითონ ხდება ახალი მოქმედების მიზეზი. მოქმედება ბადებს მოქმედებას, მიზეზი ბადებს მიზესს და ისინი ერთად ბადებენ ერთმანეთს. ხდება მიზეზის და მოქმედების შერწყმა ერთ მთლიანობაში. ეს არის მოღვაწეობა, რომელიც თვითონ არის საკუთარი თავის მიზეზი, ანუ თვით-გენერირებადი მოღვაწეობა. ფორმალურად ეს პროცესი შეიძლება გამოვხატოთ როგორც: x = F (x), სადაც, x - არის ურთიერთქმედება სისტემის ნებისმიერ ელემენტებს შორის, ხოლო, F - ამ პროცესებს შორის ურთიერთკავშირის ფორმა. სისტემებს, რომელშიც ხორციელდება ასეთი წრიული პროცესები, ეწოდება თვით-რეფერენტული სისტემები, რომლებსაც სწავლობენ მეორე რიგის კიბერნეტიკა და კონსტრუქტივიზმი. ასეთი სისტემები არიან ავტონომიური, ოპერაციონალურად ჩაკეტილი და აქვთ უნიკალური თვისებები.

ასეთი მიდგომის შედეგად ცხადი ხდება, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითორგანიზება ხდება რეკურსიული პროცესების საშუალებით (საქონელი იქმნება საქონლის მეშვეობით, ფასები ფორმირდება ფასების საფუძველზე, მოქმედებები ბადებენ მოქმედებებს, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბადებს ახალ მოთხოვნილებებს და ა.შ.). რეკუსრიული პროცესები ეკონომიკურ სისტემაში, ისევე, როგორც სხვა რთულ არაწრფიულ დინამიურ სისტემებში, ბადებენ ე.წ. „საკუთრივ მნიშვნელობებს“ (მათემატიკოსების ტერმინოლოგიით - „უძრავ წერტილებს“). საქონლის წონასწორული ფასები და რაოდენობები წარმოადგენენ სწორედ ასეთ „საკუთრივ მნიშვნელობებს“, რომლისკენაც, რეკურსიული პროცესების შედეგად, ისწრაფვიან ფაქტიური საბაზრო ფასები და რაოდენობები და ამის მეშვეობით უზრუნველყოფენ სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორობისაკენ.

2. საერთო ეკონომიკური წონასწორობის „სიმეტრიული მოდელი“ არის ეთრექტორის მოდელი - ეკონომიკური სისტემის ფარდობითად მდგრადი, ლათენტური სტრუქტურის მქონე ისეთი მდგომარეობისა, რომლისკენაც დეცენტრალიზებული

ეკონომიკა ყოველთვის ისწრაფვის შიდასისტემური პროცესების იმანენტური ლოგიკით (მაგრამ ვერასოდეს აღწევს მას შემთხვევითი გარე ფაქტორების პერმანენტული ზემოქმედების გამო). რთული არაწრფიული სისტემების მათემატიკური მოდელები მოწმობენ, რომ ასეთი სისტემები თავის წიაღში „მალავენ“ შიდასისტემური პროცესების ორგანიზების გარკვეულ ფორმებს, რომლებიც განპი-რობებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი არაწრფიული თვისებებით. ანუ ეს სტრუქტურები-ეთრექტორები შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული *ტელეოლოგიურად*, როგორც სტრუქტურები, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის ევოლუციის ძირითად მიმართულებებს, მაგრამ თვითონ არ არსებობენ ფიზიკურ დროში და სივრცეში. მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული ანალიზით.

3. ეკონომიკური მოვლენების არსის დიალექტიკური ანალიზი და მის საფუძველზე შექმნილი მათემატიკური მოდელის საშუალებით ვლინდება ფარული ურთიერთკავშირები ეკონომიკურ პარამეტრებს შორის, რომელთა გამოვლენა შეუძლებელია კვლევის სხვა მეთოდებით. მართალია ნეოკლასიკური თეორია აფიქსირებს კავშირს მთლიან დანაზოგებსა და მთლიან ინვესტიციებს შორის, მაგრამ სრულებით ვერ აცნობიერებს ურთიერთკავშირებს მთლიან დანაზოგებსა და მთლიან მოგებას შორის, აგრეთვე, მთლიან ინვესტიციებსა და მთლიან ვალად მოხმარებას შორის. ამიტომ იგი ვერ აცნობიერებს ურთიერთკავშირებს ყველა ზემოხსენებულ მაკრო-პარამეტრებს შორის (ანუ, მოგების, დანაზოგების, ინვესტიციებსა და ვალად მოხმარებას შორის), რომლებიც არსებობენ ფუნქციონალურად ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემაში. მაგრამ ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ თუ როგორ ხდება აღწარმოება, როგორ ფორმირდება წონასწორობა, როგორ იბადება ეკონომიკური ციკლები. შესაბამისად, ამ პროცესების შეცნობის გარეშე შეუძლებელია დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის ადექვატური მათემატიკური მოდელების შექმნა და ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება.

4. საბაზრო ეკონომიკის ოპერციონალური ჩაკეტილობა სშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავერკვათ ფასწრმოქმნის მექანიზმში. დეცენტრალიზებული ეკონომიკის ანატომიის გასაგებად საჭიროა მოვახდინოთ გონებრივი აბსტრაჰირება „ფულის ვუალისაგან“ და გამოვიკვლიოთ ბარტერული ურთიერთობების ლოგოკა. ბარტერული ურთიერთობების თვალსაზრისით ფასი წარმოადგენს სხვადასხვა საქონელს შოორის გაცვლის პროპორციებს. ამსთანავე, ფასები გვიჩვენებენ საქონლის გაცვლის პროპორციებს არა მარტო ინდივიდებს შორის, არამედ აგრეთვე ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორისაც. მეტიც, საშუალო საბაზრო ფასებს ადეკვატურად გვიჩვენებენ გაცვლის პროპორციები სწორედ დარგებს შორის, და არა ინდივიდებს შორის. ხოლო ინდივიდუალური გაცვლის პროპორციები, ანუ ინდივიდუალური ფასები ინდივიდუალურ გარიგებებში,

მერყეობენ საშუალო საბაზრო ფასების ირგვლივ. ამგვარად, ფასების სისტემაში და, ესე იგი, გაცვლითი პროპორციების სისტემაში, აისახება ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა.

საქმე იმაშია, რომ ეკონომიკა არის საკუთარ თავში დიფერენცირებული მთლიანობა, ამიტომ, წონასწორობის პირობებში ყოველი მისი დარგი აწარმოებს სხვა დარგებისთვის იმდენ პროდუქციას, რომ სრულად დააკმაყოფილოს ყოველი მათგანის მოთხოვნილებები. ამასთან, თვითონაც მოიხმარს სხვა დარგების პროდუქციას იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია საკუთარი პროდუქტის წარმოებისათვის.[11] მაგრამ ასეთ პირობებში, როდესაც ყველა დარგი აწარმოებს სხვებისათვის და მოიხმარს მხოლოდ იმას, რასაც აწარმოებენ სხვა დარგები, იქმნება სიტუაცია, როდესაც პროდუქტების გაცვლის შედეგად ფორმირდება გაცვლის პროპორციები, რომლის წყალობითაც ყველაფერი, რაც მიეწოდება ბაზარს, იყიდება და ყველა გადახდისუნარიანი მოთხოვნა კმაყოფილდება. ეს ასეა, რადგან ნებისმიერი დარგის საბაზრო მოთხოვნის გადახდის საშუალებას წარმოადგენს დარგის მიერ წარმოებული პროდუქტი, რომელიც მიეწოდება სანაცვლოდ. ანუ დარგთაშორისი პროპორციები განაპირობებენ დარგებს შორის პროდუქტების გაცვლის პროპორციებს. ფაქტობრივად ეს არის წონასწორული საბაზრო ფასების ჩაკეტილი სისტემა. ცხადია, სულერთია როგორ გამოვხატავთ ამ გაცვლის პროპორციებს, როგორც xA = yB (დარგთაშორისი ბარტერული გაცვლის შემთხვევაში), თუ როგორც A = y/x B, ან როგორც B = x/y A (თუ ერთი საქონლის ფასი გამოხატულია მეორე საქონლის საშულებით). მთავარია, რომ დიფერენცი-რებული მთლიანობის პირობებში, როდესაც სისტემის შიგნით იწარმოება ყველაფერი, რაც მოიხმარება და მოიხმარება ყველაფერი, რაც იწარმოება, ხდება xA = yB ტიპის გაცვლის პროპორციების ფორმირება ყველა დარგებს შორის, რაც უზრუნველყოფს ბაზრების სრულად დაცლას. მაგრამ, ყველა გაცვლითი პროპორ-ციები ერთობლიობაში სწორედაც წარმოედგენენ ფარდობითი ფასების ერთიან სისტემას, რომელიც ფაქტიურად არეგულირებს ეკონომიკურ პროცესებს, მაგრამ, რომელიც იმალება „ფულის ვუალის“ მიღმა აბსოლუტური (ნომინალური) ფასების ფომით.

გამოდის, რომ ფასები დამოკიდებულია დარგთაშორის პროპორციებზე. მაგრამ თვითონ დარგთაშორისი პროპორციები სპონტანურად ფორმირდებიან ინდივი-დუალური სუბიექტების წარმოების და მოხმარების შედეგად, რომლებიც დამოკი-დებულნი არიან საბაზრო ფასებზე. გამოდის, რომ საქმე გვაქვს ისევ წრიულ კაუზალობასთან - საბაზრო ფსების სისტემა აყალიბებს დარგთაშორი

[11] ეს გულისხმობს დარგის ფუნქციონირებისათვის საჭირო მთლიან ხარჯებს, დარგში მომუშავე აქტორების მიერ მოხმარებული სამამხმარებლო პროდუქტების ჩათვლით. ხომ ცხადია, რომ დარგის ფუნქციონირება შეუძლებელია აქტორების გარეშე. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ ნებისმიერი საქონლის წარმოება საჭიროებს თითქმის ყველა სხვა დარგის საქონლის მოხმარებას.

პროპორ-ციებს, ხოლო დარგთაშორისი პროპორციები აყალიბებენ საბაზრო ფასების სისტემას. მაგრამ ამ შემთხვევაში, წრიული კაუზალობა არის არა ლოგოკურად „მანკიერი წრე“, არამედ გამოვლენილი და სრულაიდ გასაგები ურთიერთკავშირი მიკრო- და მაკრო - ეკონომიკურ პროცესებს შორის.

5. ამ მოდელიდან გამომდინარეობს, რომ წონასწორობის პირობებში ამა თუ იმ დაგის საქონლის საერთო ღირებულება, რომელიც მოიხმარება სხვა დარგებში, უდრის სხვა დარგების საქონლის საერთო ღირებულებას, რომელიც მოიხმარება მოცემულ დარგში, ხოლო, მთლიანი მოგება, დაზოგვა, ინვესტირება და ვალად მოხმარება ერთმანეთის ტოლია. ამას შეიძლება ეწოდოს საერთო წონასწორობის *„რკინის კანონი“.* იგი უზრუნველყოფს სასაქონლო და ფინანსური ნაკადების ოპტიმალური პროპორციების ფორმირებას ეკონომიკური ორგანიზმის შიგნით და ამით უზრუნველყოფს მის მთლიანობას. საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება მდგომარეობს სწორედ იმის უნარში, რომ უზრუნველყოს ეს პროპორციები დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის საბაზრო ურთიერთქმედების გზით. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს კანონი იძლევა ნათელ წარმოედგენას იმის შესახებ, თუ წარმოებული საქონელის ღირებულების შექმნაში რა ნვლილი მიუძღვით სხვადასხვა წარმოების ფაქტორებს (შრომას, მიწას, კაპიტალს, მეწარმეობას), რომლებითაც ეს პროდუქტი იქნა წარმოებული. „შერაცხვის თეორია“ (theory of imputation), რომელიც ეფუძნება კლებადი უკუგების კანონს, არ იძლევა ამ საკითხის დამაკმაყოფილებელ ახსნას. შემოთავაზებული მოდელის თანახმად, ისევე, როგორც პიერო სრაფას მოდელში, ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც „საქონლის წარმოება საქონლის მეშვეობით“. ამ თვალსაზრისით ეს მოდელი, პ. სრაფას მოდელის მსგავსად, უარყოფს პარდიგმას, რომლის თანახმადაც ეკონომიკა წარმოადგენს ცალმხრივად მიმართულ პროცესს *წარმოების ფაქტორებიდან სამომხმარებლო პროდუქტებამდე,* და რომელშიც არ განიხილება თუ როგორ ხდება პირველადი რესურსების აღწარმოება.[12] [25, p.134].

6. არსის დიქლექტიკური ანალიზი გულისხმობს, პირველ ყოვლისა, რეფლექსიური კტეგორიების და არსის შინაგანი წინააღმდეგობის შესწავლას. რეფლექსიური კტეგორიები არის კატეგორიები რომლებიც სარკისებურად აისა-

[12] ამსთან, უნდა აღინიშნოს, რომ პ.სრაფა წარმოების ფაქტორების წარმოებას განიხილავს ფიზიკური თვალსაზრისით. მისთვის არ არსებობს განსხვავება წარმოების ფაქტორებსა და საბოლოო პროდუქტებს შირის, „საქონელი იწარმოება საქონლის მეშვეობით“. მაგალითად, მისთვის *შრომა* არის სხვა საქონლის მეშვეობით (სურსათი, ტანსაცმელი და სხვ.) წარმოებული საქონელი. მაგრამ წარმოების ფაქტორების აღწარმოების ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში შეუძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ როგორ ყალიბდება ხელფასი. კაპიტალიზმის ადრეული სტადიებისგან განსხვავებით, როდესაც შერომის ანაზღაურება შედგებოდა მშრომელის არსებობისათვის აუცილებელი სამომხმარებლო საქონელისაგან, დღეს არ არსებობს უშუალო კავშირი საქონლის მახმარებასა და შრომის აღწარმოებას შორის. საბოლოო ჯამში, ასეთი მიდგომის შედეგად მისი მოდელიდან გაურკვეველი რჩება თუ როგორ ხდება ეროვნული პროდუქტის განაწილება ხელფასს, მოგებასა და სხვ. შემოსავლებს შორის.

ხებიან ერთმანეთში. სხვადასხვა კატეგორიებს შორის რეფლექსიური კავშირები არ არის ყოველთვის ადვილად დასანახი, მაგრამ როდესაც აღმოვაჩენთ მათ, მათ „სარკისებულ თვით-რეფლექსიაში“ შეუძლებელია არ დავინახთ სიმეტრიის თვისება. სიმეტრია ყოველთვის ასოცირდება წესრიგთან. იგი არის მთელი უნივერსუმის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელი. ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენს ირგვლივ სამყაროში ვხედავთ სიმეტრიის ურიცხვ გამოვლინებას. ეს არ არის მხოლოდ ყვავილები, არქიტექტურა თუ ადამიანის სხეული. ასევე ეს არის ელემენტარული ნაწილაკები, ჰალილეოს ფარდობითობის პრინციპი, ენერგიის შენახვის კანონი და მრავალი სხვა ფუნდამენტური მოვლენები ფიზიკის, ბიოლოგიის, ეკოლოგიის, საზოგადოების თუ სხვ. სფეროებში. ეკონომიკური პროცესების არსის დიალექტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ მათში საოცარი მთლიანობა და სიმეტრია. სიმეტრიის (და მასთან დაკავშირებული ასიმეტრიის) წვდომა, რომელიც ახლავს ეკონომიკას ისევე, როგორც მთელ დანარჩენ ბუნებას, საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ ეკონომიკის არსი და გვიხსნის ეკონომიკური პროცესების მოდელრების სრულიად ახალ შესაძ-ლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Stiglitz, J. The Price of Inequality: How Today's Divided Society Endangers Our Future. W. W. Norton & Company, 2012.

[2] Маркс К., Энгельс Ф., 1955. Сочинения. Т. 12, 2-е изд. - М.: "Политиздат".

[3] Вальрас Л., 2000. Элементы чистой политической экономии. – М.: Изограф.

[4] Маркс К., 1978. Капитал. М.: "Политиздат".

[5] Leiashvily, P., Self-regulation of Market Economy: Interdisciplinary Analysis. NY. NOVA SCIENCE PUBLISHERS INC. P. 142. 2015.

[6] Leiashvily, P. Economic Activity: Teleological Analysis. New York, Nova Science Publishers, 2012.

[7] Leiashvily, P. ―The Dialectics of Economic Activity (In Searching of Symmetry in Economy),‖ *Georgian International Journal of Science and Technology,* V.3, Issue 3, 2011.

[8] Leiashvily, P. ―Towards the teleological understanding of economic value.‖ // *International Journal of Social Economics.* Vol. 23, N 9, 1996, p. 4 - 14.

[9] Steedman, I. ‗Ricardo, Marx, Sraffa.‘. In: I. Steedman, P. Sweezy and others, The Value Controversy. London. Verso Editions and NLB, 1981, pp. 11-19.

[10] Foerster, H. Understanding Understanding: essays on cybernetics and cognition. Springer-Verlag, New York, Inc. 2003.

[11] Blaug, M., 1997, Ugly Currents in Modern Economics‖. *Policy Options.* September, 1997.(p.3-8).

[12] Smolin, L. ―Time and symmetry in models of economic markets,‖ Perimeter Institute for Theoretical Physics. Canada, February 25, 2009. (http://arxiv.org/pdf/0902.4274v1.pdf).
[13] Heilbroner, R. Behind The Veil of Economics. Essays in the Worldly Philosophy. W.W. Norton & Company Ltd., 1989.
[14] Werner, R., New Paradigm in Macroeconomics. Solving the Riddle of Japanese Macroeconomic Performance, PALGRAVE MACMILLAN, 2005.
[15] Reinhart C., Rogoff K. 2013. Financial and Sovereign Debt Crises: Some Lessons and Those Forgotten. IMF Working Paper, Research Department, 2013, December.).
[16] Turner, A., Between Debt and the Devil: Money, Credit, and Fixing Global Finance. Princeton University Press, 2015.
[17] Minsky, H., Stabilizing an Unstable Economy. McGraw-Hill Professional, New York, 2008.
[18] OXFAM Briefing paper, Working for the Few, 20 January, 2014. www.oxfam.org.
[19] Human Development Report 2015. (UNDP).
[20] Яцкевич В., 1990. Диалектика оптимального выбора. Киев, «Наукова думка»
[21] Weyl, H. Symmetry. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1952.
[22] Wheeler, J. Genesis and Observership. In: Foudational Problems in the Special Sciences. Edited by R.E. Butts and J.Hintikka. Dordrecht-Holland/Boston-USA. D.Reidel Publishing Company, 1975.
[23] Dirac, P., 1981, Einstein and Development of Physics. Commemoration of Einstein. – Dordrecht, Holland D. Reidel.
[24] Than, K. ―Symmetry in Nature: Fundamental Fact or Human Bias?‖ Livescience. December 21, 2005. (http://www.livescience.com/4002-symmetry-nature-fundamental-fact-human-bias.html).
[25] Сраффа П. Производство товаров посредством товаров. М.: UNITY, 1999.

1.2. საბანკო საქმის "მისტერია", რის შესახებაც არ იწერება სახელმძღვანელოებში

1.2.1. შესავალი

მონეტარული პოლიტიკა ვერ იქნება ეფექტიანი მანამდე, სანამ ეფუძნება მცდარ თეორიას. იმის გაცნობიერება, რომ ნეოკლასიკური თეორია და მასზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა ვერ უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს, სულ უფრო ცხადი ხდება მსოფლიოში პროგრედულად მოაზროვნე ეკონომისტებისთვის. სამწუხაროდ საქართველოში თითქმის ერთი-ერთზე ხდება იმ პოლიტიკის კოპირება, რომელიც წარუმატებელია თვით დასავლეთშიც. თითქმის 3 ათწლეულია ვატარებთ რეფორმებს "ვაშინგტონის კონსენსუსის" რეცეფტებით, მაგრამ ქვეყანა ისევ უმძიმეს მდგომარეობაშია. ამ ათწლეულების მანძილზე ეკონომიკურ მეცნიერებაშიც დაიბადა ახალი პროგრესული იდეები და თვით ეკონომიკაშიც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის ხედვაში არსებითად არაფერი შეცვლილა. კორუფცია, თაღლითობა, ქურდობა და ძარცვა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 90-იან წლებში და დაიწყო "შოკური პრივატიზაციით", სახელმწიფო ვალების მითვისებით და შემდეგ "ამნისტიის შესახებ კანინით" ნაძარცვის დაკანონებით, გრძელდება დღემდე და გახდა ჩვეულებრივი მოვლენა. და ეს გრძელდება თითქმის 30 წელია. როგორც მე–19 საუკუნის ინგლისელი ეკონომისტი ფრედერიკ ბასტია წერდა: "როდესაც ქურდობა ხდება ცხოვრების წესი, საზოგადოებაში ერთად მცხოვრები ადამიანთა ჯგუფისთვის, დროთა განმავლობაში ისინი თავიანთთვის ქმნიან სამართლებრივ სისტემას, რომელიც აძლევთ მათ ამის კეთების უფლებას, და ზნეობრივ კანონებს, რომლებიც იწონებენ ამას." საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ადასტურებს ამ სიბრძნეს.

რაც უფრო დიდი ხნით გაიწელება ეკონომიკური რეფორმები, მით უფრო გაძნელდება მათი წარმატებით რეალიზება. და მართლაც, გარდა იმისა, რომ კორუფცია, თაღლოთობა და ქურდობა უკანონოდ ახდენენ სიმდიდრის და შემოსავლების გადანაწილებას და ხელს უწყობენ საზოგადოების უკიდურეს პოლარიზაციას მდიდრებად და ღარიბებად, ამასვე, უკვე კანონიერად, აკეთებს სახელმწიფოს *ულტრალიბერალური* პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგად საზოგადოების მცირე ნაწილი სულ უფრო მდიდრდება უმრავლესობის ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებაც და მისი ინტერესებიც გაიყო ორ დაპირისპირებულ მხარედ. ის, რაც აწყობს ერთ მხარეს – არ აწყობს მეორეს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არაეფექტიანია, საჭიროა დავაზუსტოდ – "არაეფექტიანია ვისთვის?". და პასუხიც ცხადია. პასუხს იძლევა თვით ამ პოლიტიკის შედეგები. ამიტომ ამ პოლიტიკის ძირეულად შეცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების უმრავლესობისთვის, მაგრამ იგი არ შედის საზოგადოების

გარკვეული ჯგუფის ინტერესებში. მართალია, ეს ჯგუფი საზოგადოების მცირე ნაწილია, მაგრამ, სწორედ მასშია კონცენტრირებული რეალური ძალაუფლება და მასზეა დამოკიდებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება.

ამასთან, ნეოლიბერალური პოლიტიკა და საბაზრო ძალების გათავისუფლება ცხადდება ეკონომიკის განვითარების და საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლების უმთავრეს პირობად. ანუ მიჩნეულია, რომ იგი ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ იდეებს, რომლებიც ეფუძნება ნეოკლასიკური თეორიის მცდარ დოგმებს, თავს ახვევენ საზოგადოებას ეკონომიკური განათლების სისტემის და მასმედიის მეშვეობით. ხოლო ამ პოლიტიკის რეალური შედეგები არის შემოსავლების გადანაწილება მდიდარი უმცირესობის სასარგებლოდ, რაც, თვას მხრივ, იწვევს ეკონომიკური განვითარაების ბლოკირებას. ეს პოლიტიკა ეწინაამდეგება მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგები დიამეტრალურად განსხვავდება დეკლარირებული მიზნებისაგან.

ცხადია, სოციალური უსამართლობა ბადებს უამრავ სხვა პრობლემას: პოლიტიკურ და სოციალურ არასტაბილურობას, საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციას, კრიმინოგენურ გარემოს, საზოგადოების აპათიას და ა.შ. ეს თავისთავად უმძიმესი პრობლემებია, მაგრამ ეკონომიკური პოლარიზაცია პირველ რიგში პრობლემებს ქმნის თვით ეკონომიკაში. (Leiashvily, 2017). საქმე ისაა, რომ საქონლის და მომსახურების წარმოების პროცესში იქმნება ის შემოსავლები, რომლითაც შესყიდული უნდა იქნეს წარმოებული საქონელი. "მიწოდება ქმნის თავის მოთხოვნას" (სეი). მაგრამ თუ ეს შემოსავლები ნაწილდება უკიდურესად უთანაბროდ, მაშინ ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, რაც იწვევს მშპ-ის ვარდნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მდიდარი უმცირესობა მოიხმარს თავისი შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილს და დანარჩენს ზოგავს და ახდენს მის კაპიტალიზაციას.[13] ანუ მდიდარი უმცირესობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ხმარდება წარმოებული პროდუქციის შეძენას და გაედინება წარმოების სფეროდან (საფინანსო სექტორში, უძრავი ქონების ბაზრებზე, საზღვარგარეთ ოფშორებში და ა.შ.). ამიტომ, წარმოების სფეროში შექმნილი შემოსავლები, რომელიც რჩება ღარიბ უმრავლესობას, აღარ არის საკმარისი ქვეყანაში წარმოებული საქონლის და მომსახურების შესაძენად. ბაზრებზე რჩება გაუყიდავი საქონელი, ეცემა ფასები, მოგება და წარმოების სტიმულები. საზოგოების დაბალი მსყიდველობითი უნარი არის ერთობლივი მოთხოვნის დასუსტების და ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპების მთავარი მიზეზი. ხდება ეკონომიკის თვითბლოკირება და აუცილებელი ხდება მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება. ასეთი კრიზისი გამოწვეულია არა ეკონომიკური ციკლით, არამედ საბაზრო ეკონომიკის სისტემური პრობლემებით. კერძოდ, გამოწვეულია მონოპოლიზაციის და ეკონომიკური პოლარიზაციის შეუქცევადი პროცესებით,

[13] კეინზის "ფსიქოლოგიური კანონის თანახმად" შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრ-დება "დაზოგვის ზღვრული მიდრეკილება" და მცირდება "მოხმარების ზღვრული მიდრე-კილება".

რომლებსაც საბაზრო კონკურენცია თვით ბადებს ევოლუციის შედეგად (ლეიაშვილი, 2017).

პირველად ეს პრობლემები გამოვლინდა 30-იანი წლების "დიდი დეპრესიის" ფორმით და მის დასაძლევად საჭირო გახდა მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება. მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირება გადაავადებს პრობლემას, მაგრამ ვერ აღმოფხვრის პრობლემების მიზეზსს. რადგან ეს სისტემური პრობლემებია და განპირობებულია გაცილებით სიღრმისეული ფაქტორებით, სბაზრო ეკონომიკის ისტორიული განვითარებით. ამიტომაც მოთხოვნის სტიმულირება ფისკალური მეთოდებით კეინზიანური პოლიტიკის თანახმად აღმოჩნდა ისევე წარუმატებელი, როგორც მოთხოვნის სტიმულირება მონეტარული მეთოდებით ნეოლიბერალური პოლიტიკის თანახმად. ორივე პოლიტიკამ ჯერ წარმოშვეს ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ, ბოლოს ორივე დამთავრდა ღრმა კრიზისით (1970-იანი წლების სტაგფლაციით და 2008 წლის "დიდი რეცესიით") (Keen, 2009; Werner, 2005; Turner, 2016).

მართალია საქართველოში შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია გამოწვეულია არა საბაზრო ეკონომიკის ევოლუციით, არამედ "შოკური პრივატიზაციით" და თავს მოხვეული ნეოლიბერალური პოლიტიკით, მაგრამ ეკონომიკის თვითბლოკირების მიზეზი იგივეა – წარმოების მონოპოლიზაცია და შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია. წარმოება ვერ ვითარდება, რადგან ერთობლივი შემოსავალი მცირეა და ისიც პოლარიზებულია, ხოლო შემოსავალი მცირეა და პოლარიზებულია იმიტომ, რომ წარმოება განუვითარებელია და ისიც მონოპოლიზირებულია. ამ წრიული კაუზალობის გამო ეკონომიკა მოექცა "ხაფანგში", მოხდა მისი თვითბლოკირება. ამ აბსურდული და ყოვლად უპერსპექტიო ვითარების შენარჩუნებაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს საბანკო სისტემა და ნეოლიბერალური მონეტარული პოლიტიკა, რომლებიც ეფუძნებიან სრულიად დისკრედიტირებულ ეკონომიკურ თეორიას.

> "გამოდის, რომ ჩვენი ნაციონალური მიმოქცევის საშუალებები არსებობენ ბანკების საკრედიტო ოპერაციების წყალობით, რომლებიც სესხად გასცემენ არა ფულს, არამედ მხოლოდ დაპირებას, რომ გადაიხდიან ფულს, რომელიც მათ არა აქვთ."
>
> **ირვინგ ფიშერი.**

1.2.2. როგორ იქმნება საბანკო ფული?

საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სექტორად ითვლება საბანკო სექტორი. იგი ორგანიზებულია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. მაგრამ საქმე ისაა, რომ დასავლეთის საბანკო სისტემას და მონეტარულ პოლიტიკას თვითონ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები და გახდნენ მწვავე კრიტიკის ობიექტი თვითონ დასავლეთში.

მოარული წარმოდგენები თანამედროვე ფულის, კრედიტის და საბანკო საქმის შესახებ განსხვავდება რეალობისაგან. საზოგადოების უმრავლესობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენად აბსურდული, სოციალურად უსამართლო და რისკების შემცველია კომერციული ბანკების საქმიანობა.

1. თანამედროვე საბანკო სისტემა, მათ შორის საქართველოშიც, არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ამას აღწერენ სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების თანახმად: 1) ბანკები არიან უბრალო შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის; და 2) ბანკები კრედიტებს აძლევენ მეწარმეებს ბიზნეს-პროექტებში ინვესტირების მიზნით. არც პირველი, არც მეორე დებულება არ შეესაბამება სინამდვილეს. ბანკები არიან არა შუამავ-ლები, არამედ, თვით ქმნიან და ანაწილებენ ფულს დაკრედიტების პროცესში. ხოლო საწარმოო ინვესტიციების მიზნებზე გაიცემა კრედიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. კრედიტების ძირითადი მასა გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად, სპეკულაციურ და სამომხმარებლო მიზნებზე. ბანკების ასეთი საქმიანობა მომგებიანია მათთვის, მაგრამ არ არის მომგებიანი საზოგადო-ებისთვის. მაგრამ საზოგადოება არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ საბანკო სისტემა სრულიად ლეგალურად ახდენს საზოგადოების მსყიდვე-ლობითი უნარის გადანაწილებას თავის სასარგებლოდ და პრაქტიკულად უსასყიდლოდ ითვისებს საზოგადოების მიერ შექმნილ დოვლათს.

> *"თანამედროვე საბანკო სისტემა ფულს ქმნის არაფრიდან. ეს პროცესი ყველაზე უფრო დაუჯერებელი ფოკუსია, ვიდრე ოდესმე მოფიქრებულა. მევახშეობა ჩაფიქრებულია უკანონობით და შობილია მანკიერებით. ბანკირებს ეკუთვნის მთელი მსოფლიო. წაართვით მათ იგი, მაგრამ დაუტოვეთ ფულის შექმნის ძალაუფლება და ისინი კალმის ერთი გაკვრით შექმნიან საკმარის ფულს, რათა უკანვე გამოისყიდონ იგი. ... წაართვით მათ ეს დიდი ძალაუფლება, და ყველა დაგროვილი დიდი სიმდიდრე, ისევე როგორც ჩემი, გაქრება, და ისინი უნდა გაქრეს კიდეც, რათა მსოფლიო გახდეს უკეთესი და უფრო ბედნიერი. მაგრამ თუ თქვენ გსურთ განაგრძოთ ბანკების მონობა და თან ფულიც იხადოთ საკუთარი მონობისათვის, მაშინ მიეცით უფლება ბანკირებს განაგრძონ ფულის შექმნა და სესხების მართვა."*
>
> ***სერ ჯოზაია სტემპი,*** *ინგლისის ბანკის მმართველი 1928-1941 წლებში, თავისი დროის მეორე უმდიდრესი ადამიანი ინგლისში (ციტ. წყარო: Grignon, 2009).*

სახელმძღვანელოებში აღწერილი მულტიპლიკატორის მოდელი გულის-ხმობს, რომ კრედიტი გაიცემა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ვინმე შეიტანს ფულს დეპოზიტზე. და თუ სარეზერვო ნორმა არის, მაგალითად, 10%, მაშინ კრედიტის სახით შეიძლება გაიცეს დეპონირებული თანხის 90%. მაგრამ თანამედროვე პირობებში კრედიტის გაცემა, როგორც წესი, არ საჭიროებს წინასწარ ფულის დეპონირებას. ფული გაიცემა საბანკო ფულის, ანუ დეპოზიტის შექმნის გზით, რომელიც წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა ელექტრონულ ფულს, ანუ კომპიუტერის მეხსიერებაში გაკეთებულ ჩანაწერს.

2. როგორ ხდება ეს რეალურ პირობებში? თუ პავლეს სურს აიღოს კრედიტი $1000, ბანკი აფორმებს მასთან კონტრაქტს, რომლის თანახმადაც პავლე იღებს ვალდებულებას დაუბრუნოს ბანკს ვალი შეთანხმებულ ვადებში. ეს არის პავლეს ვალდებულება ბანკის წინაშე, რომელიც, ხელმოწერის შემდეგ ღებულობს კანონის ძალას. თუ პავლე არ დააბრუნებს ვალს, იგი დაკარგავს სახლს, მანქანას, ან რაიმე სხვა ძვირადღირებულ ქონებას, რომელიც ჩადებული იქნება გირაოში. ამის შემდეგ ბანკი გახსნის პავლეს სახელზე სადეპოზიტო ანგარიშს $1000-ის თანხაზე. ეს უკვე არის ნაბკის ვალდებულება პავლეს წინაშე. მაგრამ პავლეს საბანკო ანგარიშზე დარიცხული ეს $1000 არ იქნა გადმორიცხული რომელიმე სხვა ანგარიშიდან, არც ამავე ბანკის და არც სხვა ბანკის ანგარიშიდან. მოხდა მხოლოდ რიცხვების ჩაწერა ბანკის კომპიუტერების მეხსიერებაში.

3. ამასთან დაკავშირებით ინტერესს წარმოადგენს ამ პროცესის ინტერპრეტაცია პროფ. რიჩარდ ვერნერის მიერ. მის თანახმად, იურიდიული თვალსაზრისით, ის, რასაც ბანკი უწოდებს კრედიტის გაცემას, სინამდვილეში არ არის კრედიტის გაცემა. რადგან, როგორც წესი, კრედიტის გაცემა გულისხმობს, რომ კრედიტის სახით გაცემული საგანი, ფიზიკურად ამოღებული იქნება ერთი სუბიექტის მოხმარების სფეროდან და მოსახმარად გადაეცემა მეორე სუბიექტს. მაგრამ, თანამედროვე ბანკის მიერ კრედიტების გაცემის დროს არ ხდება ფულით სარგებლობის უფლების გადაცემა ერთი სუბიექტიდან მეორესათვის. აქ საერთოდ არ ხდება ფულის, როგორც მსყიდველობითი უნარის, საიდანმე ამოღება. ამიტომ ეს პროცესი არ არის კრედიტის გაცემა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბანკები არ ***გასცემენ*** ფულს კრედიტების სახით, არამედ ***ქმნიან*** მას.

> *"ფული არ იყო ბანკის მიერ ამოღებული სხვა გამოყენების სფერო-დან. იგი არ იყო გადმოტანილი ან გადმორიცხული ეკონომიკის რომელიმე სხვა ნაწილიდან. მეტიც, მართალია იგი ნაჩვენებია როგორც დეპოზიტი, ფაქტობრივად იგი არ იყო დეპონირებული ვინ-მეს მიერ. ბანკმა უბრალოდ შექმნა ფული ციფრების ჩაწერით თავის საბუღალტრო წიგნებში და კლიენტების საჩეკო წიგნაკებში. ფაქტი-ურად ბანკი ქმნის ილუზიას, თითქოს მისმა მსესხებელმა შეიტანა დეპოზიტი, რაც რეალურად არ მომხდარა. განსხვავებით იმისაგან, რაც წერია სახელმძღვანელოებში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ინდივი-დუალურ ბანკს შეუძლია ასე შექმნას ფული, როდესაც იგი გასცემს სესხს. ამ ჭეშმარიტების ჩვენება სახელმძღვანელოებში ... ასწავლიდა სტუდენტებს თუ სინამდვილეში რას აკეთებენ ბანკები: ისინი ქმნიან ფულს არაფრიდან. ბანკი მხოლოდ ახდენს იმის სიმულირებას, თითქოს მას აქვს სესხის თანხა, რომლითაც დაკრედიტებულია მავანის ანგარიში, და არავინ იცის ამ განსხვავების შესახებ." (ჭერნერ, 2005)*

რ. ვერნერი ბანკების ასეთ ქმედებას განიხილავს არა როგორც კრედიტის გაცემას, არამე უფრო როგორც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. როდესც კლიენტი ხელს აწერს საკრედიტო შეთანხმებას, კანონის თანახმად იქმნება ფასიანი ქაღალდი. ეს არის კლიენტის სავალო ვალდებულება ბანკის წინაშე.

ბანკი ყიდულობს კლიენტისაგან ამ სავალო ვალდებულებას. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სწორედ ეს ხდება კომერციულ ბანკებში. მაგრამ რით იხდის ბანკი ამ ფასიანი ქაღალდის საფასურს? საფასურს იგი იხდის შემხვედრი ვალდებულებით. კერძოდ, ბანკი ხსნის კლიენტის სახელზე მოთხოვნამდე დეპოზიტს. ეს ახლად შექმნილი დეპოზიტი სწორედაც არის ახალი ფული, ახალი მსყიდველობითი უნარი, რომელიც ბანკმა შექმნა "არაფრიდან" უბრალოდ ციფრების ჩაწერით კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე. ეს ფული არსაიდან იყო აქ გადმორიცხული.
ყოველივე ეს მოწმობს იმაზე, რომ კერძო ბანკები არიან არა უბრალოდ შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის, არამედ საბანკო ფულის შემქმნელები. და ესე იგი ის, რასაც წერენ სახელმძღვანელოებში რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც ხდება სინამდვილეში.[14]

> "როგორც კი გავაცნობიერებთ, რომ ... "კრედიტებით" გამყარებული მოთხოვნა არსებითად იგივე გზით ზემოქნედებს ფასებზე, როგორც გადახდის კანონიერი საშუალებებით გამოწვეული მოთხოვნა, ჩვენ ვადგავართ საკრედიტო სტრუქტურის სასარგებლო თეორიის გზას." **იოზეფ შუმპეტერი**, 1954.

1.2.3. საკრედიტო ფული

1. მსყიდველობითი უნარის ან ფასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით საბანკო ფული, როგორც კრედიტი, არ განსხვავდება ნაღდი ფულისაგან. 1000 ლარი, რომელიც კლიენტს ნაღდი ფულის სახით შეაქვს თავის საბანკო ანგარიშზე სალაროს მეშვეობით ისევე ასრულებს თავის ფუნქციებს, როგორც სხვა ანგარიშიდან გადმორიცხული 1000 ლარი (ამასთან, შესაძლოა იმ "სხვა" ანგარიშზე ფული შექმნილი იყო "არაფრიდან" კრედიტის გაცემის დროს).[15] (Werner, 2005).

---

[14] "... ეს გარემოება არსებითად ცვლის ანალიტიკურ სიტუაციას და სრულიად მიუღებელს ხდის საბანკო კრედიტის გაცემას, როგორც არსებული სახსრებისა, რომლებიც, წმინდათ წარმოსახვითი დაზოგვის მეშვეობით ამოღებულ იქნა წინა გამოყენების სფეროდან და შემდეგ გაცემულ იქნა სესხის სახით მისი მფლობელის მიერ. გაცილებით უფრი რეალურია, თუ ვიტყვით, რომ ბანკები "ქმნიან კრედიტს", ანუ, რომ ისინი ქმნიან დეპოზიტს კრედიტის გაცემისას, ვიდრე იმის თქმა, რომ ისინი გასცემენ დეპოზიტებს, რომლებიც მიბარებული იყო მათთვის. და ამას ამტკიცებს ის, რომ დეპოზიტორები არ გააკეთებდნენ ინვესტიციებს იმ როლში, რომელიც მათ მიაწერეს, მაგრამ რომელსაც ისინი არ თამაშობენ. თეორია, რომელსაც ასე დაჟინებით ეპოტინებიან ეკონომისტები, წარმოგვიჩენს მათ დამზოგველებათ, მაშინ, როდესაც ისინი არ ახდენენ დაზოგვას და არც აპირებენ ამის გაკეთებას. "კრედიტის შექმნის" თეორია არა მხოლოდ აღიარებს აშკარა ფაქტებს მათი ხელოვნური კონსტრუქციებით მიჩქმალვის გარეშე, იგი აგრეთვე ავლენს დაზოგვის და ინვესტირების სპეციფიურ მექანიზმს, რომელიც დამახასიათებელია სრულფასოვანი კაპიტალისტური საზოგადოებისთვის და ბანკების ჭეშმარიტ როლს კაპიტალიზმის ევოლუციაში" (Schumpeter, 1954, p. 1114).

[15] მე-20 საუკუნის დასაწყისში კრედიტის არსებითი როლი მაკროეკონომიკურ თეორიაში უკვე იყო იმდენად ფართოდ აღიარებული, რომ აისახა კიდეც *Encyclopaedia Britannica*-ს მე-11 გამოცემაში (1910 წ): "კრედიტების განუზომელმა ზრდამ და მათ რეალიზებამ ინსტრუმენ-

ცხადია, ბანკის კლიენტებს თავიანთ ანგარიშებზე დარიცხული ფული სჭირდებათ გამოსაყენებლად. მაგრამ თუ ეს ფული არსებობს მხოლოდ როგორც რიცხვების ჩანაწერი საბანკო კომპიუტერების მეხსიერებაში, როგორ გამოიყენებენ ისინი ასეთი ელექტრონული ფორმით არსებულ ფულს რეალურ ეკონომიკურ პროცესებში? დეპოზიტების მფლობელებს ხომ სჭირდებათ ფული და არა ციფრები კომპიუტერების მეხსიერებაში? საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში კლიენტებს არ სჭირდებათ ნაღდი ფულის გამოტანა ბანკებიდან, რადგან 95%-ზე მეტი გადახდები თანამედროვე ეკონომიკაში ხორციელდება უნაღდო ფორმით, ანუ ტრანსაქციების დიდი უმრავლესობა ხდება "ანგარიშიდან ანგარიშზე", და არა "ხელიდან ხელში". ამიტომ ადგილი აქვს კომპიუტერების მეხსიერებაში ჩაწერილი წიფრებით მანიპულირებას. ხოლო ნაღდ ფულზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ბანკებს სჭირდებათ ძალზე უმნიშვნელო რეზერვები. რადგან, როგორც აღინიშნა, რეალურ ეკონომიკაში ნაღდი ფულით ტრანსაქციების რაოდენობა 5%-ზე ნაკლებია და, შესაბამისად, ბანკებიდან ნაღდი ფულის გატანის მსურველებიც ცოტაა.
მართალია, საზოგადოებამ არ იცის, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის 95%-ს შეადგენს საბანკო დეპოზიტები და რომ ამ საბანკო ფულს ბანკები ქმნიან "არაფრიდან", მაგრამ თვითონ ბანკირებმა იციან ამის შესახებ.[16]
2. თუ კრედიტების გაცემის დროს იქმნება საბანკო ფული, იგი ასევე ნადგურდება ვალის დაბრუნებისას. ეკონომიკაში კრედიტების გაცემის და ვალების დაბრუნების პროცესში ბანკები ყოველდღიურად მასიურად ქმნიან და ანადგურებენ ფულს. ბანკები პერმანენტულად უნდა ქმნიდნენ ახალ

ტებში, რომლებიც შეიძლება იყვნენ გამოყენებული როგორც ფულის შემცვლელები, განაპირობეს ფულის ღირებულების შესახებ შეხედულებების გავრცელება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს "საკრედიტო თეორია". ამ დოქტრინის მიმდევრების თანახმად, ლითონის ფულის ფაქტიურ რაოდენობას აქვს მხოლოდ მიზერული გავლენა ფასების დონეზე და, შესაბამისად, ფულის ღირებულებაზე. ის, რაც სინამდვილეში მნიშვნელოვანია, ეს არის მიმოქცევაში საკრედიტო ინსტრუმენტების მოცულობა. მათ რაოდენობაზეა დამოკიდებული ფასების ცვლილებები. საბითუმო ბაზარზე ოქრო გახდა მხოლოდ წვრილი გასაცვლელი მონეტა და მის რაოდენობას, როგორც ფასების დეტერმინანტს, ნაკლები მნიშვნელობა აქვს." **Encyclopaedia Britannica**, **1910** (ციტ. წყარო: Werner, 2005).

[16] აი რას წერენ ისინი: "ფულის შექმნაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამა-შობს საბანკო სექტორი. ... როდესაც ბანკები გასცემენ კრედიტებს, ისინი ქმნიან დამატებით დეპოზიტებს მათთვის, ვინც იღებს ვალს." (Bank of England, 2007); "... ფულის მასის ცვლილებები პირველ რიგში ასახავენ საბანკო დაკრედიტების განვითარებას, როგორც ახალი დეპოზიტების შექმნას." (Bank of England, 2007); "რადგან დეპოზიტები და საბანკო დაკრედიტება თითქმნის იდენტურია, ფული და კრედიტი ხშირად გამოიყენება თითქმის თანაბრად, როგორც ურთიერთ ჩანაცვლებადიც კი ... " (Bank of England, 2008); "ყოველ ჯერზე და ყოველთვის, როდესაც ბანკი ქმნის კრედიტს, იქმნება ახალი დეპოზიტი – ბრენდი ახალი ფული." (გრაჰამ ტოუერსი, კანადის ცენტრალური ბანკის ყოფილი მმართველი, 1939); "ევროსისტემაში, ფული იქმნება, პირველ რიგში, საბანკო კრედიტის გაფართოვების ზრდის მეშვეობით. ... კომერციულ ბანკებს თვით შეუძლიათ ფულის შექმნა, ეგრედ წოდებული "ჟირო-ფული"." (**Bundesbank**, 2009); "ემორჩილებიან რა მხოლოდ (მაგრამ მკაცრად) რწმენას თავიანთი გადახდისუნარიანობის თაობაზე, ბანკები ზრდიან კრედიტს უბრალოდ მსესხებლების მიმდინარე ანგარიშების ზრდით, რომელიც შეიძლება იყოს გადახდილი ნებისმიერ ადგილას, სადაც ისურვებს მსესხებელი, ბანკის "საკუთარ თავზე გამოწერილი ჩეკის" მეშვეობით. ანუ ბანკები ზრდიან კრედიტს ფულის შექმნის გზით." (პოლ ტაკერი, ინგლისის ბანკის მმართველის მოადგილე და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრი, 2007). [ციტ. წყარო: Grignon, 2009].

კრედიტებს, რათა შეეძლოთ დაბრუნებული ვალების კომპენსირება. იმაზე, თუ როგორია რისკისადმი მიდრეკილება, და რამდენად აქტიურად ხდება ახალი კრედიტების გაცემა, და რამდენი მოვალე აბრუნებს ვალს, დამოკიდებულია გაიზრდება თუ შემცირდება ეკონომიკაში ფულის მასა, ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ბუნებრივია იბადება კითხვა - ბანკებისათვის რა აზრი აქვს კრედიტების გაცემისას ფულის შექმნას, თუ ვალის დაბრუნებისას ეს ფული ისევ ნადგურდება? საქმე ისაა, რომ მთელი ეს პერიოდი - კრედიტების გაცემიდან ვალების დაბრუნებამდე - ბანკები იღებენ პროცენტს. ეს არის მათი შემოსავალი. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მართალია კრედიტების გაცემისას ფული იქმნრბა "ჰაერიდან", მაგრამ მსესხებელმა გირაოში უნდა ჩადოს რეალური აქტივები (სახლი, მიწის ნაკვეთი, ბინა, მანქანა და სხვ.) ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკი სრულიად კანონიერ საფუძველზე ითვისებს ამ ქონებას, რომელსაც აქვს რეალური ღირებულება. ანუ, ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ფიქტიური ფულის სანაცვლოდ ბანკი ღებულობს კომპენსაციას რეალური აქტივებით.

3. გარდა იმისა, რომ ბანკები ქმნიან ეკონომიკაში მსყიდველობით უნარს, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი თვითონვე ანაწილებენ მას მსესხებლებს შორის, რადგან ბანკები იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას თუ ვის და რა მიზნებისათვის მისცენ კრედიტი და ვის უთხრან უარი. ცხადია ბანკები, როგორც კერძო ორგანიზაციები, ამ გადაწყვეტილებებს ღებულობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მიზნებზე გაიცემა კრედიტები, რამდენად უწყობენ ხელს მშპ-ის ზრდას ამ კრედიტებით დაფინანსებული ოპერაციები. ამაზეა დამოკიდებული თუ რას ექნება ადგილი, აქტივებზე ფასების ზრდას, რესურსების არაეფექტიან განაწილებას, საფინანსო "ბუშტის" ფორმირებას და ფინანსურ კრიზისს, თუ პირიქით, ახალი პროდუქტების და მომსახურების შექმნას, მწარმოებლურობის ზრდას და ეკონომიკის არაინფლაციურ ზრდას (Ryan-Collins ..., 2012; Turner, 2016; Werner, 2016; Keen, 2009)

ისტორია მოწმობს, რომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ კრედიტების გაცემას ფინანსური და სპეკულაციური ოპერაციებისათვის, უძრავი ქონების საყიდლად, რომლებიც ხშირად იძლევიან სწრაფ მოგებას, ან დაკავშირებული არიან დაბალ რისკებთან, მაგრამ არ შეაქვთ წვლილი მშპ-ის ზრდაში. ტრანსაქციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მშპ-ის ზრდაზე, წარმოადგენენ მთლიანად ეკონომიკაში განხორციელებული ტრანსაქციების მხოლოდ ნაწილს. მაგრამ ისეთ ტრანსაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ სპეკულაციებთან, უკვე არსებული აქტივების (უძრავი ქონების, ნახმარი მანქანების და სხვ.) ყიდვასთან და ა.შ., არ შეაქვთ წვლილი ნომინალური მშპ-ის ზრდაში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების თანახმად ფულის რაოდენობრივ განტოლებაში, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის ფორმირების ლოგიკურ საფუძველს, ნომინალური მშპ გამოხატავს ყველა ტრანსაქციის მთლიან ღირებულებას. შესაბამისად, თუ

იზრდება ტრანსაქციების ღირებულება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მშპ-თან, მაშინ მშპ ვერ ასახავს ადეკვატურად ტრანსაქციების სერთო ღირებულების ცვლილებებს. ცხადია, ასეთ მცდარ თეორიაზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა ვერ იქნება ეფექტიანი.

4. ზემოთქმული ახასიათებს საერთოდ თანამედროვე საბანკო სისტემას. მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების უფრო სრული სურათის შესაქმნელად, საჭიროა გავითვალისწინოთ, ჯერ-ერთი, ეკონომიკის ძალზე დიდი გახსნილობა (იმპორტის წილი მშპ-ში შეადგენს 50%-ზე მეტს) და, მეორეც, დოლარიზაციის მაღალი დონე. დოლარიზაციის დონის შესამცირებ-ლად გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მრავალი მსხვილი გარიგება რეალურად ხდება დოლარებში და დოლარზე მოთხოვნა დიდია. კრედიტების დიდი რაოდენობა გაიცემა დოლარებში. ეს ნიშნავს იმას, რომ კომერციული ბანკები "არაფრიდან" ქმნიან უნაღდო დოლარებს ისევე, როგორც უნაღდო ლარებს. ამიტომ სავალუტო კურსი დიდად არის დამოკიდებული არა მარტო ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, ან უცხოურ ინვესტიციებზე, არა-მედ კომერციული ბანკების საქმიანობაზეც, იმაზე, თუ რომელ ვალუტაში გაიცემა კრედიტები და როგორია ლარებში და დოლარებში გაცემული კრედიტების თანაფარდობა. თუ დოლარიზაციის შემცირების მიზნით ეროვნუ-ლი ბანკი შეეცდება გავლენა იქონიოს კომერციულ ბანკებზე, რათა შეზღუ-დონ კრედიტები დოლარებში, ამის შედეგი იქმნება ლარის კურსის ვარდნა, რადგან შეიცვლება მიმოქცევაში არსებული ლარის და დოლარის მასების თანაფარდობა. როგორც წესი, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებების მიზეზების ახსნისას, ეს ფაქტორი ნაკლებად არის გათვალისწინებული ეკო-ნომიკური ექსპერტების მიერ. ამიტომ კურსის მკვეთრი რყევები ხშირად რჩება აუხსნელი, რაც ხელს უშლის ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის შემუშა-ვებას. მაგრამ სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები დაკავშირებულია არაერთგვაროვან პროცესებთან (შესაძლოა დადებითად მოქმედებდნენ სავაჭ-რო ბალანსზე, მაგრამ უარყოფითად - მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე ან, პირიქით.)

“ის ვინც აკონტროლებს ფულის რაოდენობას ჩვენს ქვეყანაში, არის მთლიანად მრეწველობის და ვაჭრობის სრული ბატონ-პატრონი. ... და როდესაც თქვენ გესმით, რომ სისტემა ძალზე მარტივად იმართება სხვადასხვა გზებით პირამიდის თავში მყოფი რამდენიმე გავლენიანი ადამიანის მიერ, მაშინ აღარაა საჭირო თქვენთვის იმის ახსნა, თუ როგორ იბადება ინფლაციის და დეპრესიის პერიოდები.”

ჯეიმს გარფილდი,
ამერიკის პრეზიდენტი, 1981 წ.

1.2.4. საბანკო სისტემა და ფინანსური არასტაბილურობა

1. როგორც აღინიშნა, კრედიტების გაცემისას იქმნება ფული, ხოლო ვალების დაბრუნებისას – ნადგურდება. მაგრამ კრედიტზე ირიცხება პრო-ცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე შეიქმნა კრედიტების გაცემისას. რა წყაროდან იქმნება ეს ფულის ნამეტი პროცენტების გადასახდელად? ცალკეული მსესხებლების შემთხვევაში, ცხადია, რომ პროცენტის გადახდის წყარო არის მათი მომავალი შემოსავლები. ვისი შემოსავლებიც არ იქნება საკმარისი პროცენტების გადასახდელად, ის გაკოტრდება და ბანკები მიითვისებენ გირაოში ჩადებულ ქონებას. მაგრამ, თუ განვიხილავთ მთლიანად ეკონომიკას, მაშინ სრულიად იცვლება საკითხისადმი მიდგომა. მთლიანად საბანკო სისტემას უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე გაცემული იქნა კრედიტების სახით. და რადგან ფული იქმნება კრედიტების სახით, და კრედიტებს ქმნიან ბანკები, ამიტომ კრედიტების დასაფარი ფულისათვის ასევე საჭიროა კრედიტები, რომელსაც ასევე ერიცხება პროცენტები და რომლის დასაფარავად ისევ საჭიროა პროცენტიანი კრედიტები და ა.შ. ამის შედეგად პროცენტების და კრედიტების რაოდენობა გამუდმებულად იზრდება. შესაბამისად იზრდება ფულის მასაც და ინფლაციაც, მცირდება ფულის მსყიდველობითი უნარი და აქედან მთელ სარგებელს ღებულობენ ბანკები.
2. სასაქონლო მასასთან მიმართებაში ფულის მასის წინმსწრები ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. წარმოიშვება ფინანსური ბუშტი, რომელიც სკდება, რასაც გარდუვალად მოსდევს საფინანსო (და ხშირად, ეკონომიკური) კრიზისი.[17]

---

[17] “ისევე როგორც ფულის მასა იზრდება საბანკო მულტიპლიკატორის შესაბამისად, კრედიტების “არაფრიდან” შექმნით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, საბოლოო ანგარიშით, იწვევს ენდოგენურ ვარდნას, რომელიც, მკვეთრად ამცირებს ფულის მასას. ეს ხდება კრედიტების ნაადრევი დაფარვის და საკრედიტო დავალიანებების მოცულობის ზრდის ფართოდ გავრცელების გამო. ამიტომ, ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა ქმნის ძალზე ელასტიურ ფულის მასას, რომელიც ადვილად “იწელება”, მაგრამ შემდეგ ასევე ადვილად უნდა შეიკუმშოს, რაც შესაბამის გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტიობაზე, რომელიც პერიოდული თანმიმდევრობით გაივლის აღმავლობის და ვარდნის სტადიებს. ეკონომიკური აქტიობის “მანიკალურ-დეპრესიული” ხასიათი, ყველა თავისი მძიმე და მტკივნეული სოცია-

"50 წლის განმავლობაში კერძო სექტორის საკრედიტო მხარი (კრედი-ტი გაყოფილი მშპ-ზე) სწრაფად გაიზარდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში; 1950 წლიდან 2006 წლამდე იგი გასამმაგდა. ... საკრედიტო მხარი გაიზარდა იმიტომ, რომ კრედიტი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. ორი ათწლეულის მანძილზე 2008 წლამდე, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ტიპური სურათი იყო ის, რომ კრედიტი იზრდებოდა წელიწადში 10-15%-ით, ხოლო ნომინალური ეროვნული შემოსავალი – 5%-ით. მაშინ ისე ჩანდა, თითქოს კრედი-ტების ასეთი ზრდა აუცილებელი იყო ადეკვატური ეკონოიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ... ისე ჩანს თითქოს ჩვენთვის აუცილე-ბელია კრედიტების უფრო სწრაფი ზრდა მშპ-სთან შედარებით იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ეკონომიკური ზრდა მისაღებ დონეზე, მაგრამ ამას გარდუვალად მივყავართ კრიზისამდე, ვალების წნეხის ზრდამდე და პოსტკრიზისულ რეცესიამდე."(Turner, 2016, p. 7)

თუ მიკრო დონეზე ყოველი კერძო ბანკი თვითონ ქმნის, და თვითონვე ანაწილებს ფულს და მსყიდველობით უნარს, ეს ნიშნავს იმას, რომ მაკრო დონეზეც მსყიდველობითი უნარის და ფულის განაწილება ქვეყანაში დამოკიდებულია კერძო ბანკების გადაწყვეტილებებზე და მათ ინტერესებზე. ამიტომ, კომერციული ბანკების კოლექტიურ გადაწყვეტილებებზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის რომელ სექტორში განხორციელდება ინვესტიციები, რომელი დარგები განვითარდება, როგორი იქნება ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობა, ეკონომიკის გახსნილობა, მსხვილი და მცირე ბიზნესის თანაფარდობა, დასაქმება, ინფლაცია, ეკონომიკური ზრდის ტემპები და ა.შ. ფაქტიურად კომერციული ბანკების მფლობელები, კერძო პირთა მცირე ჯგუფი, თავიანთი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, არაფორმალურად წყვეტენ თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს უფლება არავის მიუნიჭებია. ამის შესაძლებლობა მათ მიანიჭა თვით საბანკო სისტემამ. [18]

"... ბანკირი, საბოლოო ანგარიშით, ითვისებს ამ სახსრებს და მიიჩ-ნევს მათ თავის საკუთრებად. მოკლედ ბანკები აგროვებენ უდიდეს სიმდიდრეს

ლური შედეგებით, უდაოდ წარმოადგენს თანამედროვე საბანკო სისტემის მიერ საზოგადოებაზე განხორციელებულ ყველაზე დამღუპველ და დამანგრეველ ზემოქმედებას" *(de Como, 2008, c. 196-197).*

[18] "ორივე საქმიანობა - დეპოზიტების შექმნა და ბანკნოტების ემისია - ახდენს მნიშვნელოვანი აქტივების გენერირებას ბანკებისათვის, რომლებიც თანდათან ართმევენ ამ სიმდიდრეს ბაზრის ყველა სხვა მონაწილეს ისეთი პროცესის მეშვეობით, რომლის ვერც გაგება, და ვერც იდენტიფიცირება საბაზრო აგენტებს არ შეუძლიათ, - პროცესისა, რომელიც იწვევს ამ ქვეყანაში გამოყენებული ფულის ერთეულის მსყიდველობითი უნარის შეუმჩნეველ დაქვეითებას. საკრედიტო ექსპანსია ხორციელდება ახალი დეპოზიტების და ბანკნოტების შექმნით და რადგან საზოგადოების სუბიექტური თვალსაზრისით ისინი ითვლება ფულად, ამიტომ ნორმალურ პირობებში ისინი არასოდეს იქნება ამოღებული. ამ გზით ბანკები ითვისებენ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომელსაც ისინი, საბუღალტრო თვალთახედვით, უზრუნველყოფენ დეპოზიტებით და ბანკნოტებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ შენიღბონ ის ფაქტი, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ბანკები არიან ერთადერთი ბენეფიციარები, რომლებიც *de facto* ღებულობენ მთელ მოგებას ამ აქტივებიდან. ამგვარად მათ აღმოაჩინეს ფინანსირების უშრეტი წყარო, რომლის დაბრუნებასაც, როგორც ჩანს, მათ არ მოსთხოვენ, ანუ "სესხი", რომელიც მათ არასოდეს უნდა დააბრუნონ (არსებითად "საჩუქარი")" (де Сото, 2008, с.188).

ძირითადად საგადასახდელო საშუალებების შექმნის გზით და სხვა პირთა საზარალოდ. მაგრამ, ბანკების მიერ მიყენე-ბული ზიანი, რომელიც მდგომარეობს თანდათან ფარდობითი მსყიდ-ველობითი უნარის შემცირებაში, ძალიან განზოგადებულია და განზავებულია. ეს პროცესი მიმდინარეობს პერმანენტულად და დაკავშირებულია საბანკო სისტემაში გადახდის საშუალებების არაფრიდან შექმნასთან. სიმდიდრის შეუჩერებელი გადანაწილება ბანკირების სასარგებლოდ ხდება მუდმივად, სანამ საბანკო მეწარ-მეობა არ განიცდის რაიმე რყევებს და აქტივები განაგრძობენ ბანკების ბალანსების ზრდას კრედიტების და ინვესტიციების ფორ-მით, რომლებიც გამყარებულია არაფრიდან შექმნილი დეპოზიტებით" (de Como, 2008, c. 153).

როდესაც კრედიტები გაიცემა არასაწარმოო ოპერაციებისთვის, მაშინ ადგილი აქვს ახალი ფულის შექმნას, მაგრამ არ იქმნება საქონელი და მომსახურება. თუ ასეთი კრედიტების მოცულობა უზომოდ გაიზრდება, ეს შექმნის არასტაბილურობას მთლიანად ეკონომიკაში, რადგან ასეთი ოპერაციების შედეგად არ იქმნება საქონელი და მომსახურება, არ იქმნება ახალი შემოსავლები, რომლებით აუცილებელია ვალების მომსახურებისთვის, თავნის და პროცენტის დასაფარად.[19] ხოლო თუ მოხდება ბიზნესინვესტიციების დაკრედიტება, მაშინ იქმნება საქონელი და მომსახურება, სამუშაო ადგილები და შემოსავლები. შესაძლებელი ხდება ვალების მომსახურება, ხოლო ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს ინფლაციის და უმუშევრობის გარეშე.
4. ნეოლიბერალური პოლიტიკა მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბანკებს. ასეთ პირობებში, კერძო ბანკები ცდილობენ დააკრედიტონ მოკლევადიანი და ნაკლებ სარისკო პროექტები. კრედიტების უმეტსობა გაიცემა იმპორტის, ვაჭრობის, უკვე არსებული უძრავი ქონების შეძენის, სამომხმარებლო მოთხოვნის, სპეკულაციური გარიგებების დასაფინანსებლად. ნაკლებად ხდება გრძელვადიანი საწარმოო ინვესტიციების დაფინანსება. ბანკების მიერ შექმნილი ფულის უდიდესი ნაწილი მიემართება უძრავი ქონების და სამომხმარებლ ბაზრებზე. როგორც აღინიშნა, ამის შედეგად იზრდება ფასები ბინებზე, მიწის ნაკვეთებზე, მანქანებზე, სამომხმარებლო ტექნიკაზე, ფასიან ქაღალდებზე. ეს ფული ხელს არ უწყობს უშუალოდ სამუშაო ადგილების შექმნას.[20] ისინი მხოლოდ ზრდიან ცხოვრების ღირებულებას, ეკონომიკურ უთანაბრობას, ფინანსურ არასტაბილურობას და წარმოშობენ კრიზისებს (Turner, 2016; Werner, 2016)

[19] ფინანსური სპეკულაციების სფეროში, მართალია, ცალკეული ოპერაციები შეიძლება იყოს მომგებიანი, მაგრამ, მთლიანობაში, ამ სფეროში ადგილი აქვს მხოლოდ შემოსავლების გადანაწილებას და ერთის მოგება დაკავირებულია ვიღაცის ზარალთან. ცხდია, ასეთ პირობებში სპეკულაციურ მიზნებზე გაცემული კრედიტების ნაწილი ვერ დაბრუნდება (და "ჰაერიდან" შექმნილი ფულის სანაცვლოდ ბანკები მიითვისებენ გირაოში ჩადებულ რეალურ ქონებას).

[20] მართალია, არაპირდაპირ, ერთობლივი მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირებით, სამომხმარებლო კრედიტები გავლენას ახდენენ წარმოების სტიმულლირბაზე, მაგრამ, როგორც მართებულად ამტკიცებს ჰ. მინსკის "ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა", და როგორც ამას ადასტურებენ რეალური პროცესები, საკრედიტო ექსპანსიის გზით მოთხოვნის და ეკონომიკური ზრდის ხელოვნური გამყარება მთავრდება კრიზისით.

“მთავრობა უნდა ქმნიდეს, უშვებდეს და უზრუნველყოფდეს მთელი იმ ფულის და კრედიტების მიმოქცევას, რომელიც აუცილებელია მთავრობის ხარჯების და მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის დასაკმაყოფილებლად. ამ პრინციპის გაზიარებით გადასახადის გადამხდელები დაზოგავენ სესხთან დაკავშირებული პროცენტების უზარმაზარ თანხებს. ფულის შექმნის და გამოშვების პრივილეგია არის მთავრობის არა მხოლოდ უმაღლესი პრეროგატივა, არამედ უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობებიც მისთვის.”

აბრამ ლინკოლნი,
აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი 1861-1865 წლებში.

1.2.5. საბანკო სისტემის რეფორმები

1. საბანკო სისტემის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად არსებობს მრავალი პროექტი. ზოგი მადგანი შედარებით იოლად განსახორციელებელია, ზოგიც საჭიროებს რადიკალურ რეფორმებს. მაგალითად სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს კონტროლი არა მარტო კრედიტების მოცულობაზე, არამედ იმაზეც თუ როგორ განაწილდეს კრედიტი ეკონომიკის დარგებს შორის და რამდენად შეიზღუდოს არამწარმოებლური კრედიტები (სამომხმარებლო ან სპეკულაციური მიზნებისათვის) (Werner, 2005). 2008 წლის კრიზისის შემდეგ ასეთ პრაქტიკას მიმართეს ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ინგლისის ბანკმა უპირატესობა მიანიჭა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას, ევროპის ბანკმა – იპოთეკურ კრედიტებს, ჩინეთის ბანკმა – აგრარულ კრედიტებს და მცირე ბიზნესს, კორეის ბანკმა – მცირე და საშუალო ბიზნესს (Turner, **2015)**

2. გერმანიის გამოცდილებაზე დაყრდნობით რ. ვერნერი გვთავაზობს რეფორმების თავისეულ ხედვას. იგი სამართლიანად მიიჩნევს, რომ საბანკო სისტემის მთავარ კანონზომიერებას წარმოადგენს ის, რომ დიდი ბანკები დიდი კრედიტებით აკრედიტებენ დიდ მსესხებლებს. მათთვის დამახასიათებელია მასშტაბური ფინანსური სპეკულაციების დაკრედიტებისკენ მიდრეკილება. ისინი ნაკლებად ინტერესდებიან მცირე ბიზნესით, ხოლო მცირე ზომის ბანკები ძირითადად აკრედიტებენ მცირე და საშუალო ზომის ფირმებს. რატომ არის მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსირება? იმიტომ რომ მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის: 1) უმრავლეს ქვეყანაში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ახორციელებენ ერთობლივი ინვესტიციების 20-30%-ზე მეტს; 2) ისინი უზრუნველყოფენ დასაქმების დაახლოვებით 70%-ს; 3) ფული, რომელიც ინვესტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესში, ქმნის გაცილებით მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე იგივე ფული, ინვესტირებული მსხვილ კომპანიებში. ამიტომ ეკონომიკას სჭირდება მცირე ზომის ბანკები.

3. არსებობს რადიკალური ცვლილებების პროექტებიც. 2008 წლის კრიზისის შედმდეგ ჯ. ბენესმა და მ. კამპოფმა წარმოადგინეს პრობლემის უფრო სფუძვლიანად გადაჭრის პროექტი, რომელიც გულისხმობს საბანკო სისტემაში დეპოზიტების ნაწილობრივი რეზერვების ჩანაცვლებას 100%-იანი რეზერვირებით. (Benes, Kumhof, 2012). ასეთ პირობებში თითეული ბანკი ვალდებული იქნება დროის ნებისმიერ მომენტში სრულად იქონიოს მისი დეპოზიტების ტოლი რეზერვები. ეს რეზერვები ეფექტიანად არის მიბმული დეპოზიტებთან და ამიტომ ვერ იქბევა ბანკის მიერ გამოყენებული საკუთარი მიზნებისათვის. თავისი ინვესტიციებისათვის (კრედიტების გასაცენად ან ფასიანი ქაღალდების საყიდლად) ბანკს უნდა ჰქონდეს დამატებითი რესურ-სები.

4. უფრო რადიკალურ ზომებს გულისხმობს "სუვერენული ფულის" პრო-ექტი. ამ პროექტის მიზანი იგივეა, რაც 100%-იანი რეზერვირების პროექტისა. კერძოდ, ბანკების მიერ ფულის შექმნის შეწყვეტა დაკრედიტების პროცესში. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის ხერხი განსხვავებულია. 100%-იანი რეზერვირების შემთხვევაში ეს ხდება ბანკების იძულებით, რომ დეპზიტების საპირწონედ შეინახონ რეზრვების 100%. ეს პროექტი გულისხმობს ფულის მიმოქცევის ორ ნაწილად გაყოფას, ხოლო სუვერენული ფულის სისტემა გულისხმობს ფულის მიმოქცევის მხოლოდ ერთიან სისტემას. დეპოზიტების და ბანკნო-ტების ნაცვლად მიმოქცევაში იქნება მხოლოდ ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული სუვერენული ფული. ამიტომ ბანკები ვეღარ შეძლებენ ახალი ფულის შექმნას და ამის უფლება ექნება მხოლოდ სახელმწიფოს (Dyson, Hodgson, 2016; Dyson, Jackson, 2014).

დასკვნა

1. "საბჭოთა იმპერიის" დაშლის შემდეგ ეკონომიკური გარდაქმნებისათვის ეკონომიკურმა მეცნიერებამ ვერაფერი უკეთესი ვერ შესთავაზა გათავისუფ-ლებულ ქვეყნებს გარდა "ვაშინგტონის კონსენსუსის" იდეებისა, თავისი "შოკური პრივატიზაციით", ფასების გათავისუფლებით და სხვ. რეცეპტებით. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი მრავალ პრობლემას, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველო. და მართლაც, თუ გარდაქმნების პირველ წლებში "შოკური პრივატიზაცია" იყო "ლეღვის ფოთოლი" აშკარად კრიმინალური მოქმედებებისთვის, ხალხის გაძარცვისთვის, თანამედროვე კომერციული ბანკები უკვე სრულიად ლეგალურად აგრძელებენ ხალხის ძარცვას ყველას თვალწინ. და ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ეს შესაძლებელი გახდა რთულად ორგანიზებული საფინანსო სისტემის წყალობით, რომელიც აგებულია ნეოკლასიკური თეორიის მონეტარისტულ იდეებზე. მაგრამ სათა-ნადო პროფესიული ცოდნის გარეშე საზოგადოებას არ შეუძლია თვითონ გაერკვას ფინანსური პროცესების სირთულეებში. არც ეკონომიკურ

სახელმძღვანელოებში წერია იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება საბანკო სისტემაში.

2. "აპრილის ყოველთვიურ ანგარიშში ბუნდესბანკი დაგვიანებით დაე-თანხმა ინგლისის ბანკს და ნათლად განაცხადა, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობაში ბანკების და ფულის შექმნის პროცესის ინტერპრეტაცია მცდარია: ბანკები არ არიან შუამავლები; ისინი ქმნიან ფულს ex-nihilo (არაფრიდან)" (**Haering,** 2017, p. 7). ისღა დაგვრჩენია ვიმედოვნოდ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაიმეორებს ინგლისა და გერმანიის ცენტრალური ბანკების გამოცდილებას და გააკეთებს სათანადო განცხადებას. (ეს შეესაბამება მის "დასავლური სტანდარტების დანერგვის" პოლიტიკას). სახელმძღვანელოებში (ასევე თვით ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე) ამ საკითხების არასწორი ინტერპრეტაციის აღიარება, ჩაითვლება პირველ ნაბიჯად სწორი მიმართულებით. ადრე თუ გვიან, მისი ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა საქართველოში აბსურდული, სოციალურად უსამართლო და ეკონომიკურად მადესტაბილიზირებელი საბანკო სისტემის რეფორმირების გზების ძიება; მეორეც, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა და ეკონომიკური განათლების მოძველებული სისტემის რეფორმა; და მესამეც, საზოგადოების ინფორმირება კომერციული ბანკების რეალური საქმიანობის და მათი დამანგრეველი შედეგების შესახებ.

3. საქართველომ შექმნა ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის დასავლური მოდელი, ატარებს ანალოგიურ პრინციპებზე დამყარებულ მონეტარულ პოლიტიკას, და წარმოშვა ანალოგიური პრობლემები და ფინანსური დესტაბილიზაციის რისკები. სამწუხაროდ, თუ ვიმსჯელებთ სამეცნიერო პუბლიკაციების, განცხადებების და მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, საქართველოში მრავალი მეცნიერი, პოლიტიკოსი და მთლიანად საზოგადოება, სათანადოთ ვერ აცნობიერებენ ამ პრობლემის სერიოზულობას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ამ პრობლემების გადაჭრა საჭიროებს იმდენად ძირფესვიან რეფორმებს და ეხება იმდენად გავლენიანი ჯგუფების ინტერესებს, რომ მათი წინააღმდეგობის გადალახვას რეფორმატორები შეძლებენ მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით. ამიტომ საჭიროა ამ საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ამისთვის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ეკონომიკური განათლების არსებული სისტემა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეს არსებული 20-ზე მეტი მიმდინარეობიდან, ეკონომიკურ ფაკულტეტებზე ასწავლიან მხოლოდ ერთს, ისიც სრულიად დისკრედიტირებულს, და თანაც, ასწავლიან სამ საფეხურად, მასალის თანდათან გართულებით, რასაც ეთმობა უამრავი სალექციო საათები.[21]

[21] მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში "ეკონომიქსის" სწავლება მიმდინარეობს სამ დონეზე, ერთი და *იგივე მასალის* თანდათან გართულებით, და ბოლოს რთული მათემატიკური აპარატის გამოყენებით. სწავლების ასეთი მეთოდი სტუდენტების გონებაში იდეოლოგიური დოგმების "ჩაბეჭვდას" უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივი სწავლების პროცესს. (ამასთან აღსანინავია, რომ ზოგიერთ წამყვან უნივერსიტეტში უკვე გაიხსნა ჰეტეროდოქსული თეორიების კათედრები. მაგალითად, ლონდონის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ასეთ კათედრას ხელმძღვანელობს სტივი კინი) "დღეს უკვე თითქმის ყველასათვის ცხადია, ... რომ ჩვენი კოლექტიური უუნარობა დაგვენახა კატასროფა მის გაჩენამდე და ის ფაქტი, რომ სისტემა,

ეკონომიკურ განათლებაში შექმნილი ეს აშკარა აბსურდული სიტუაცია არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ეკონომიკური განათლება არის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების და ეკონომიკური ძალაუფლების შენარჩუნების მძლავრი იარაღი. რატომ დომინირებს საქართველოში რეალობას მოწყვეტილი "ეკონომიქსის" სწავლება? მთავარ მიზეზდ სახელდება ის, რომ ასე ხდება მთელ მსოფლიოში. ამასთან არაფერი ითქმება "ეკონომიქსის" სწავლებასთან დაკავშირებულ უპრეცენდენტო მასშტაბის პროტესტის შესახებ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტების, პროფესურის და ცნობილ მეცნიერთა მხრიდან.[22]

4. პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ საზოგადოება გათავისუფლდეს იმ თავსმოხვეული ეკონომიკური ილუზიებისაგან, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი მანიპულირება და ქვეყნის ეკონომიკის არასწორი გზით განვითარება, არის ეკონომიკური განათლების რადიკალური რეფორმა. სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ თეორიაში ღრმა კრიზისის გამო არ არსებობს ერთიანი პარადიგმა, რომელსაც უნდა იზიარებდეს დარგის მეცნიერთა დიდი უმრავლესობა. ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია, ნაცვლად დისკრედიტირებული "ეკონომიქსის" სამსაფეხურიანი სწავლებისა, რომელსაც ეთმობა უამრავი სალექციო დრო,

---

რომელიც ჩამოიშალა, იყო შეკერილი ისე, რომ შესაბამისობაში მოყვანილიყო მეინსტრიმის სწვლებასთან, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, სახელმძღვანელოებმა, რომლითაც ვსარგებლობთ, და კურსებმა, რომელსაც ვასწავლით, მივეცით თავშესფარი ფუნდამენტური ილუზიებს იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და, განსაკუთრებით, მისი ბაზრები. ხოლო ეკონომიქსში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სწავლება, რადგან, როგორც ერთხელ აღნიშნა უფროსმა გელბრეიტმა, ეკონომიქსი არის პირველ რიგში სწავლების პროფესია. ეს ბუნებრივად ხდის ეკონომიქსს საწყის წერტილად როგორც იმის ანალიზისათვის, თუ როგორ მოხდა, რომ ასე საშინლად ცუდად განვითარდა ეკონომიქსი, და რა შეიძლება გაკეთდეს, რომ მომავალში მან ხელი არ შეუწყოს ადამიანურ კატასტროფებს. ათწლეულზე მეტია გრეგორი მენქიუს "ეკონომიქსის პრინციპები", თავის ხუთ ვერსიაში, მთელს მსოფლიოში აღიარებულია ძირითად დომინირებულ სახელმძღვანელოდ. ასევე, მისი ავტორი, როგორც პრეზიდენტ ბუშის ეკონომიკური მრჩევლების კომისიის თავმჯდომარე 2003-დან 2005 წლამდე, უშუალოდ იყო ჩართული კატასტროფის ინჟინერინგში. ამიტომ, მენქიუს სახელმძღვანელო მიმაჩნია იდეალურ ადგილად იმის გასაღების, აზრთა წყობის, ძაფის საძიებლად, თუ როგორ მოხდა, რომ ეკონომიკური პროფესია, ასევე საზოგადოება, რომელსაც იგი ასწავლის, გახდა იმდენად უმეცარი, დეზინფორმირებული და უყურადღებო იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებენ ეკონომიკები რეალურ სამყაროში" (Fullbrook, 2009, p. 2).

[22] არაფერს ამბობენ მსოფლოში მიმდინარე სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობაზე, რომელშიც უკვე 2014 წელს იყო გაერთიანებული 30 ქვეყნიდან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების 65 სტუდენტური ორგანიზაცია; იმის შესახებ, რომ გრეგორი მენქიუს სტუდენტებმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს მისი ლექციები და გამოაქვეყნეს ღია წერილილ "ეკონომიკსის" სწავლების მკაცრი კრიტიკით; სამეცნიერო ცენტრების შესახებ, მათ შორის ჯორჯ სოროსის მიერ დაფუძნებულ "ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის", რომლებიც სპეციალურად შეიქმნენ ალტერნატიული ეკონომიკური პარადიგმის შესამუავებლად; იმის შესახებ, რომ 2008 წელს აშშ-ის კონგრესშიც კი განიხილეს ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული პრობლემები და მისი უნარობა მსოფლიო კრიზისის პროგნოზირების თაობაზე; იმის შესახებ, რომ ინგლისის პარლამენტშიც კი განიხილეს საბანკო სისტემის ძირფესვიანი რეფორმირების საკითხი ფულის და კრედიტის ახალი მეცნიერული გაგების საფუძველზე; არაფერს ამბობენ უამრავ კონფერენციებზე, სამეცნიერო შრომებზე თუ პებლიცისტურ წერილებზე, რომლებიც ეძღვნება ღრმა კრიზისს ეკონომიკურ მეცნიერებაში და ახალი ეკონომიკური პარადიგმის შემუშავების აუცილებლობას, ეკონომიკური განათლების პროგრამებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობას და ა.შ.

უმჯობესია ეს დრო გადანაწილდეს შედარებით გავლენიანი, ალტერნატიული ჰეტეროდოქსული მიმდინარეობების შესასწავლად.[23] ეს თეორიები შეიცავენ მრავალ ძალზე საინტერესო იდეას და მათი სწავლება ხელს შეუწყობს როგორც მომავალი ეკონომისტების და პოლიტიკოსების შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე უფრო სრული წარმოდგენის შექმნას ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია 21-ე საუკუნეში უნივერსიტეტებში *a priori* მცდარი თეორიის სწავლება და, ფაქტიურად, მეცნიერების სახელით "სიცრუის ქადაგება".

5. საქართველო უნდა გახდეს დასავლური სამყაროს ნაწილი და სავსებით ცხადია, რომ ჩვენთვის არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მაგრამ, ამასთან საჭიროა ვაცნობიერებდეთ, რომ დასავლური ცივილიზაციის მრავალ სიკეთესთან ერთად საქართველოს მოუწევს იმ პრობლემებთან დაპირისპირება, რომლებიც თან სდევს ამ ცივილიზაციას. გარდა იმისა, რაც მართლაც ღირებულია და მისაბაძია, დასავლეთში მრავლად არის ისიც, რაც სრულიად მიუღებელია საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა თუ ზნეობისათვის. ამიტომ, საჭიროა დასავლური კანონების, ინსტიტუტების და სხვა ატრიბუტების არა მექანიკური კოპირება. საჭიროა ძალისხმევა, რომ გადმოვიღოთ მხოლოდ ჩვენს თვითმყოფადობასთან თავსებადი და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი დასავლური ფასეულობები; ვაღიაროთ საკუთარი შეცდომები და პრობლემები; ვიქონიოთ ადეკვატური რეაგირება მათზე. დასავლეთი არ არის მხოლოდ ის, რასაც აცხადებს დასავლეთის ოფიციოზი, არამედ ისიც, რასაც ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ ისინი, ვინც აკრიტიკებს და უპირისპირდება მას; ისინი, ვინც არ ეგუება უსამართლობას, სისასტიკეს და ძალადობას, რასაც არ არის მოკლებული დასავლური სამყარო ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო. დასავლეთი ასოცირდება თავისუფლების სულისკვეთებასთან, საკუთარ ბედზე პასუხისმგებლობასთან, მზაობასთან დაიცვან თავისი ლეგიტიმური ინტერესები და სოციალური სამართლიანობა. თუ გვინდა გავხდეთ დასავლური სამყაროს ღირსეული წევრი და არა მისი მახინჯი დანამატი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართალია დასავლეთი გვეხმარება რუსეთის იმპერიული ზრახვებისაგან დაცვაში, მაგრამ იგი ვერ დაგვიცავს ჩვენ ჩვენივე თვისაგან. როგორ გავაკეთოდ ეს? ამის სწავლაც დასავლეთისგან გვმართებს.

[23] ესენია ინსტიტუციონალიზმი, ახალი კეინზიანელები, ნეოავსტრიული სკოლა, ნეომარქსიზმი, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიქსი, ბიხევიორიზმი, ინოვაციური ეკონომიქსი, ეკონომიკური კიბერნეტიკა, ნეიროეკონომიქსი, ეკონოფიზიკა, გენდერული ეკონომიქსი, ეკოლოგიური ეკონომიქსი და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Benes J., Kumhof M. The Chicago Plan Revisited. Inetnationaly Monetary Fund, August 2012. WP/12/202. http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2012/wp12202.pdf.
2. Dyson B., Hodgson G., van Lerven F., Sovereign Money. An Introduction., Positive Money, December, 2016, www.positivemoney.org.
3. Dyson B., Jackson A., Hodgson G. Creating a Sovereign Monetary System. Positive Money, London, Davina House, 15th July 2014, pp. 7-8. www.positivemoney.org
4. Fisher, I. 100% Money. New York: The Adelphi Company, 1935.
5. Fullbrook E.. Toxic Textbooks**.** In *The Handbook of Pluralist Economics Education*, ed. Jack Reardon. London and New York: Routledge. 2009. http://www.toxictextbooks.com/ToxicTextbooksFullbrook.htm
6. *Grignon P., 2009. "Money as Debt". www.moneyasdebt.net*
7. **Haering N.** Bundesbank rejects 100%-money based on sophistry and false claims. May 11, 2017. http://norberthaering.de/en/32-english/news/830-buba-100-percent-money
8. Keen S.. The Roving Cavaliers of Credit. January 31, 2009, Debtwatch. http://www.debtdeflation.com/blogs/2009/01/31/therovingcavaliersofcredit/
9. Leiashvily P. The Relativity Theory of General Economic Equilibrium . *American Journal of Economics*, 2017, 7(5), pp. 216-229
10. Ryan-Collins J., Greenham T., Werner R., Jackson A.. Where Does Money Come From? A Guide to the UK Monetery and Banking System. www.positivemoney.org.
11. Schumpeter, J. History of Economic Analysis, New York: Oxford University Press, 1954.
12. Sovereign Money and full reserve banking proposals aren't one and the same. http://positivemoney.org/2017/04/sovereign-money-is-not-full-reserve-banking/
13. Stiglitz, J. The Price of Inequality: How Today's Divided Society Endangers Our Future. W. W. Norton & Company, 2012.
14. Stiglitz J., Weiss A. Credit rationing in markets with imperfect information, *American Economic Review*, vol. 71, no. 3, 1981, pp. 393–410.
15. Turner A. Between Debt and Devil: Money, Credit, and Fixing Global Finance. Pronceton University Press, 2016.
16. Turner A. A new era for monetary policy - Adair Turner. **17 Febr, 2015.** https://www.youtube.com/watch?v=UVQdeb0EdWA
17. Turner A., Credit, Money and Leverage: What Wicksell, Hayek and Fisher Knew and Modern Macroeconomics Forgot. Stockholm School of Economics Conference on: *"Towards a Sustainable Financial System"*, Stockholm, 12 September 2013.
18. Werner R., New Paradigm in Macroeconomics : Solving the Riddle of Japanese Macroeconomic Performance. PALGRAVE MACMILLAN, New York, N.Y. 2005.
19. Werner R., Where money comes from.. https://www.youtube.com/watch?v=r7qOuY9ZJ8w
20. Werner R. Banking for the bankers vs. banking for the community. *Banking and money reform conference.* Dublin, Ireland - 29 April 2016.
21. Werner R. A lost century in economics: Three theories of banking and the conclusive evidence. International Review of Financial Analysis 46, 2016, 361–379.
22. ლეიაშვილი პ. ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. მეცნ.-რედ.: რ. ასათიანი, თბ. "სიახლე", 2017.
23. де Сото У. Х. Деньги, банковский кредит и экономичские циклы Челябинск: Социум, 2008.

1.3. ეკონომიკური ფასეულობის ტელეოლოგიური გაგებისათვის [24]

თანამედროვე ეტაპზე ღირებულების პრობლემის კვლევამ ეკონომიკურ მეცნიერებაში გადაინაცვლა უკანა პლანზე და მკვლევართა ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია ფასის პრობლემაზე. მაგრამ ღირებულების პრობლემისადმი ყურადღების შესუსტება მოხდა არა იმიტომ, რომ ეს პრობლემა მიჩნეულია გადაწყვეტილად. უფრო პირიქით. იგი აღმოჩნდა ზედმიწევნით რთული და მასში ბევრია ბუნდოვანი ადგილები. ბევრმა მეცნიერმა ჩათვალა, რომ უფრო მოსახერხებელია საერთოდ უარი ითქვას მასზე და გამოაცხადა იგი თეორიულ ფიქციად და გამოიგონეს მოთხოვნისა და მიწოდების თეორია, რომელშიც ფასწარმოქმნის, განაწილების თუ სხვა საკითხები წყდება ღირებულების ცნებაზე აპელირების გარეშე. მაგრამ ფასწარმოქმნის პრობლემების ღრმა ანალიზი შეუძლებელია ღირებულების პრობლემის გამოკვლევის გარეშე. ამიტომ ფასის თანამედროვე თეორიები შეიცავენ თავის თავში ლოგიკურ წინააღმდეგობებს. და საბოლოო ჯამში მათ ახასიათებთ დუალიზმი.

ასე რომ, თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში შეიქმნა ვაკუუმი, რომელიც აფერხებს მთლიანად ამ მეცნიერების შემდგომ განვითარებას. თუმცა მისი განვითარების უფრო ადრეულ ეტაპებზე ღირებულების პრობლემა იყო ცენტრალური პრობლემა და მას ეფუძნებოდნენ ეკონომიკური თეორიის ყველა დანარჩენი პრობლემების ანაიზისას.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური მეცნიერების ისტორიიდან ღირებულების სუბსტანციად ყოველთვის იყო მიჩნეული ან ”სარგებლიანობა” , ან “ხარჯები” (შრომის ან წარმოების ფაქტორების). ამასთანავე, როდესაც მეცნიერები იწყებდნენ ღირებულების ანალიზს “ხარჯების” ცნებიდან, ისინი იძულებულნი იყვნენ ბოლოს მაინც მიემართად “სარგებლიანობის” ცნებისათვის. და პირიქით, როდესაც ანაიზს იწყებდნენ “სარგებლიანობის” ცნებიდან, ბოლოს მაინც მიმართავდნენ “ხარჯების” ცნებას. ასე ხდებოდა იმის მიუხედავად, თუ როგორ ესმოდათ მათ თვით ეს ხარჯები: როგორც “შრომის ხარჯები”, თუ როგორც “წარმოების ყველა ფაქტორების ხარჯები”.[25]

იმისათვის, რომ გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან, საჭიროა ახლებურად გავიაზროთ თვით ეს ცნებები “სარგებლიანობა” და “ხარჯები”,

---

[24] სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალში *International Journal of Social Economics.* 1996. Vol. 23, N 9, pp. 4-14. გადმობეჭდილია Elsevier Science-ის ნებართვით.

[25] ღირებულების სხვა და სხვა თეორიებს შორის არიან ისეთებიც, რომლებშიც მეცნიერები შეეცადნენ ამ ორი პრინციპის სინთეზირებას ერთი თეორიის ფარგლებში (მ. ტუგან-ბარანოვსკი, ო. შიკი, ა.შეფლე). მაგრამ ეს მცდელობები დასრულდა დუალიზმით – ორი განსხვავებული პრინციპის ერთდროულად თანაარსებობით.

რადგან ყველა ამ სირთულეების მიზეზი არის ის, რომ ეს ცნებები განიხილება როგორც ურთიერთდამოუკიდებელი კატეგორიები. მაგრამ უფრო საფუძვლიანი გამოკვლევიდან ცხადი ხდება, რომ ეს ფარდობითი კატეგორიებია და ისინი შინაგანად გულისხმობენ ერთიმეორეს.

ხარჯები და სარგებლიანობა არიან ყველაზე უფრო ელემენტარული, პერველადი კატეგორიები ეკონომიკურ მეცნიერებაში. არსებითად ეკონომიკური მეცნიერება იწყება იქ, სადაც იწყება ეკონომიკური ხარჯების და ეკონომიკური სარგებლიანობის შეთანაზომება. ცხადია, რომ რაც უფრო ფუნდამენტური კატეგორიები იქნება ახლებურად ინტერპრეტირებული, მით უფრო ფართო იქნება იმ პრობლემათა წრე, რომელნიც მოითხოვენ გადასინჯვას ამ თეორიის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება ამ საწყის კატეგორიებს. ამიტომ ეკონომიკური სარგებლიანობის და ეკონომიკური ხარჯების ახალი ინტერპრეტეაცია, მათი შინაგანი ურთიერთგანპირობებულობის გამოვლენა, ახლებურად წარმოაჩენს მრავალ სხვა თეორიულ პრობლემასაც, მათ შორის, ღირებულების პრობლემას.

ეკონომიკური ფასეულობის სწორი გაგებისათვის აუცილებელია ასევე "შრომის" კატეგორიის სწორი გაგებაც. თავისი არსით შრომა არის მიზანშეწონილი მოღვაწეობა. ამიტომ, შრომა უნდა იყოს გაანალიზებული არა ფიზიოლიგიური, ტექნოლოგიური თუ სოციალური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, **ტელეოლოგიური** თვალსაზრისით, როგორც მიზნის რეალიზაციის პროცესი.

ტელეოლოგიური ანალიზის თანახმად შრომა არის **მიზნის, საშუალების** და **რეზულტატის** ერთობლიობა. რომელიმე ამ ელემენტის გარეშე შრომა აღარ არის შრომა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ **საშუალების** ქვეშ იგულისხმება ყველა შეზღუდული რესურსები, რომლებიც საჭიროა მიზნის რეალიზაციისათვის: მიწა, წიაღისეული, მატერიალური რესურსები, დრო და ა.შ. და ამასთანავე, თვით ფიზიოლოგიური შრომაც. ანუ "ფიზიოლოგიური" შრომა არის "ტელეოლოგიური" შრომის მხოლოდ ერთ ერთი კომპონენტი. შრომის ეს ორი სხვა და სხვა გაგება (ტელეოლოგიური და ფიზიოლოგიური), როგორც ჩანს, გახდა მრავალი გაუგებრობის მიზეზი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორიაში. ეკონისტები ყოველთვის კამათობდნენ ერთმანეთში იმის თაობაზე, თუ რა დევს ეკონომიკური ფასეულობის საფუძველში: შრომა, წრმოების ხარჯები თუ სარგებლიანობა? მაგრამ თუ შრომას განვიხილავთ ტელეოლოგიური თვალსაზრისით, მაშინ ღირებულების აღნიშნულ თეორიებს შორის მაშინვე მოიხსნება პრინციპული უთანხმოებანი. პირიქით, ისინი გულისხმობენ ერთმანეთს, რადგან წარმოების ფაქტორებიც (მათ შორის "ფიზიოლოგიური შრომა") და სარგებლიანობაც წარმოგვიდგება "ტელეოლოგიური" შრომის შემადგენელ ელემენტებად: საშუალებად და რეზულტატებად. წარმოების ფაქტორები – ეს არის საშუალებები, რომლებიც უნდა იქნას დახარჯული რეზულტატების მისაღებად, ხოლო სარგებლიანობა

შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რეზულტატი, რომელიც უნდა ოქნას მიღებული ამ წარმოების ფაქტორების მეშვეობით.[26]

როგორც წესი, ეკონომისტები განიხილავენ სარგებლიანობას როგორც ნივთის უნარს დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებები. ასეთი განმარტება თუმცა მართებულია, მაგრამ არასრულია. იგი არ ხსნის ამ ცნების არსს. არ არის მკაფიოდ დაფიქსირებული განსხვავება საერთოდ მოთხოვნილებებსა და ეკონომიკურ მოთხოვნილებებს შორის. თუმცა, ამ ცნებებს შორის არსებობს პრინციპიალური განსახვავება.

რაც შეეხება "ხარჯების" კატეგორიას, ისიც საჭიროებს დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ხარჯები არის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თვით ეს მეცნიერება, მას საერთოდ არ გააჩნია მკაფიო განსაზღვრება. მაგალითად, "ეკონომიკა-მათემატიკურ ლექსიკონში" "ხარჯები" განმარტებულია შემდეგნაირად: "**ხარჯები** (input, cost) – ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ცნება, რომელსაც არ გააჩნია საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება. ზოგადად – ეს არის რესურსები, რომელიც "ნადგურდება" წარმოების პროცესში... წარმოების პროდუქტების მიღების მიზნით".[27]

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიას არ გააჩნია მკაცრი დეფინიცია, როგორც ცხადია იმ კონტექსტიდან, რომელშიც იგი, როგორც წესი, გამოიყენება ეკონომიკურ ლიტერატურაში, ხარჯები გაგებულია როგორც წარმოების პროცესში მოხმარებული რესურსები. ასეთი ინტერპრეტაცია წარმოშობს მრავალ გაუგებრობას ეკონომიკურ თეორიაში.

რაში მდგომარეობს პრინციპიალური განსხვავება ეკონომიკურ სარგებლიანობასა (როგორც ადამიანის ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარის) და საერთოდ სარგებლიანობას (რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის მოთხოვნილებებს) შორის? რაშია სხვაობა საერთოდ მოთხოვნილებებსა (რომელიც გააჩნიათ ყველა ცოცხალ ორგანიმებს) და სპეციფიურად ადამინის მოთხოვნილებებს შორის? პრინციპიალური განსხვავება იმაშია, რომ ადამიანი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს მიზანშეწონილი მოღვაწეობის მეშვეობით. ხოლო ცოცხალი ორგანიზმები – უშუალო მითვისებით. უშუალო მითვისება გულისხმობს ობიექტის უშუალო შთანთქვას მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებამდე ან ობიექტის სრულ ლიკვიდაციამდე, ანუ მტაცებლურ მოხმარებას. აქ მოთხოვნილებები ასოცირებულია ორგანნიზმის უკმარისობასთან, როგორც ვიტალური მოთხოვნილებები. ხოლო შთანთქმული ობიექტები არ აღიქმება როგორც რაიმე დანაკარგი ან დანახარჯი. უფრო პირიქით, როგორც მითვისება, შენამატი, მიღება. მტაცებლური მითვისების დროს ადგილი არა აქვს ხარჯებს და ამიტომ მისი ანალიზიც არ საჭიროებს ხარჯების ცნებას. ადგილი აქვს მხოლოდ ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმსა და გარემოს

[26] სინამდვილეში წარმოების ფაქტორებსა და რეზულტატებს შორის, ისევე როგორც ხარჯებსა და სარგებლიანობას შორის გაცილებით რთული ურთიერთკავშირია, რაც ცალკე ანალიზს საჭიროებს.

[27] Лопатников Л.М. Экономико-математический словарь. М. Наука. 1987. С.125.

შორის. თვით ორგანიზმიც არაფრით არ გამოიყოფა გარემოდან და წარმოადგენს მის ორგანულ ნაწილს.

როგორია მიზანშეწონილი მოღვაწეობის დროს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ლოგიკური სქემა? მოღვაწეობის პროცესში ადამიანი შეგნებულად ისახავს მიზნებს, ნახულობს საშუალებებს და იღებს რეზულტატებს. ანუ ადამიანი არის ბუნების არა პასიური ნაწილი, არამედ აქტიური საწყისი, რომელიც ზემოქმედებს გარემოზე მისთვის სასურველი მიმართულებით. განვიხილოდ უფრო დეტალურად მიზანშეწონილი მოღვაწეობის სტრუქტურული ელემენტები: მიზანი, საშუალება და რეზულტატი.

მიზანი – არის ადამიანის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები. **საშუალება** – არის რესურსები, რომელიც საჭიროა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და რომელიც სუბიექტის მიერ აღიქმება როგორც სარგებლიანობა. ხოლო **რეზულტატი** – არის პროდუქტები, რომლებიც სუბიექტის მიერ აღიქმებიან ერთდროულად როგორც დაკმაყოფილებული მოთხოვნილებები (რეალიზებული მიზნები) და როგორც უკვე გამოყენებული რესურსები (ხარჯები).

თუ განვიხილავთ მიზანშეწონილი მოღვაწეობის არა ცალკეულ აქტს, არამედ როგორც პერმანენტულ პროცესს, მაშინ აშკარაა, რომ **მიზანი, საშუალება და რეზულტატი** –ფარდობითი კატეგორიებია. ისინი გულისხმობენ ერთმანეთს და გადადიან ერთმანეთში. ესა თუ ის ობიექტები, თავის თავად, არ არიან არც საშუალებები და არც რეზულტატები. მხოლოდ ადამიანი აღიქვავს მათ ან როგორც საშუალებებს, ან როგორც რეზულტატებს. ხომ ცხადია, რომ მოღვაწეობის ყოველი აქტის რეზულტატები წარმოადგენენ საშუალებებს მოღვაწეობის მომდევნო აქტებისათვის: საშუალებები თვითონ არიან წინა აქტების რეზულტატები. და მიზნებიც (ანუ მოთხოვნილებები) თვითონ არიან წინა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგი (გარკვეული აზრით რეზულტატი), რადგან წარმოიქმნებიან მხოლოდ წინა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად.

ადამიანს გააჩნია უსაზღვროდ ბევრი მოთხოვნილებები. მაგრამ რესურსები მათ დასააკმაყოფილებლად შეზღუდულია. ამიტომ ადამიანი იძულებულია გააკეთოს არჩევანი თუ რომელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს და რომელი – არა. ანუ ის ირჩევს მიზნებს, რადგან ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებელია. მაგრამ, ირჩევს რა მიზნებს, ამით იგი ირჩევს აგრეთვე საშუალებებსაც და რეზულტატებსაც.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს აქედან? ეკონომიკური მოთხოვნილება არის არა ყველა მოთხოვნილებები საერთოდ, არამედ მხოლოდ ის, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელია მიზანშეწონილი მოღვაწეობის მეშვეობით და ესეიგი, საჭიროებს შეზღუდული რესურსების ხარჯვას. ეს არის "გადახდისუნარიანი მოთხოვნილებები". თუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება უშუალოდ, რესურსების რაიმე დანახარჯების გარეშე, ანუ მიზანშეწონილი მოღვაწეობის გარეშე, მაშინ ეს აღარ არის ეკონომიკური მოთხოვნილებები. ან თუ მოთხოვნილებები ვერ იქნება დაკმაყოფილებული

რეალური შესაძლებლობების არარსებობის გამო, ანუ რესურსების არარსებობის გამო, მაშინ ასეთი მოთხოვნილებები მიეკუთნება ოცნების და ფანტაზიის სფეროს. მაგრამ ისინი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური მოთხოვნილებები, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის რეალური სტიმულები.

თუ არსებობს სათანადო შესაძლებლობები, ცოცხალ ორგანიზმს არ შეუძლია არ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები, რადგან ამ შემთხვევაში მათი დაკმაყოფილება ხდება ინსტინქტურად. ხოლო ადამიანი აკეთებს არჩევანს – რომელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, და რომელი – არა. ეს არის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესი სუბიექტისა, რომელსაც გააჩნია **ნება**.

ეკონომიკური სარგებლიანობა არის შეზღუდული დოვლათის უნარი დააკმაყოფილოს ადამიანის გადახდისუნარიანი მოთხოვნილებები. მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში ეს რესურსები მოიხმარება, იხარჯება. ანუ ისინი გაქრებიან, გაუჩინარდებიან, აღარ იარსებებენ როგორც სარგებლიანობები და გარდაიქმნებიან ხარჯებად. ანუ, შეზღუდული რესურსების სარგებლიანობა გულისხმობს მათ უნარს იყვნენ სასარგებლოდ მოხმარებული, დახარჯული, უნარს გარდაიქმნან ხარჯებად. თავის თავად სხვა და სხვა ობიექტები არ არიან არც სასარგებლო და არც საზიანო. ისინი ხდებიან სასარგებლო მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი დაინახავს მათში მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარს. ესეიგი, სარგებლიანობა არ არის ნივთი, ობიექტი, არამედ სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტთან.

ეკონომიკური ხარჯები არის უკვე რეალიზებული სარგებლიანობა, რომელიც განივთებულია პროდუქტებში. ანუ, მოხმარებული რესურსების სარგებლიანობა სუბიექტის მიერ აღიქმება როგორც ხარჯები. ისევე, როგორც სარგებლიანობა არის დამახასიათებელი რესურსებისათვის, ასევე ხარჯები არის დამახასიათებელი პროდუქტებისათვის.[28] მაგრამ, თავის თავად, ესა თუ ის ობიექტები არ არიან პროდუქტები ან ხარჯები. ისინი გადაიქცევიან ასეთად მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ადამიანი დაინახავს მათში თავისი მოღვაწეობოს შედეგს, დაინახავს მათში რესურსებს (სარგებლიანობას), რომლებიც შეეწირნენ მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ანუ ხარჯები, ისევე როგორც სარგებლიანობა, არის სუბიექტის ობიექტთან მიმართება და არა თვით ობიექტი.

ხშირად ეკონომიკურ გამოკვლევებში პროდუქტი განიხილება არა როგორც ხარჯები, არამედ როგორც სარგებლიანობა. ხოლო რესურსები, პირიქით, როგორც ხარჯები, რომელიც აუცილებელია ამ სარგებლიანობის მისაღებად. ასეთი მიდგომა სავსებით მართებულია და აუცილებელიც. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამ დროს პროდუქტი წარმოგვიდგება უკვე სულ სხვა ამპლუაში. წარმოგვიდგება როგორც ისევ რესურსი სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მოღვაწეობის მომდევნო აქტებში. მაგრამ, უკვე

[28] ამასთანავე, პროდუქტი არ უნდა იქნას გაგებული მაინც და მაინც როგორც მატერიალური ობიექტი ან პროცესი. უფრო ფართო გაგებით, პროდუქტი უნდა განვიხილოდ როგორც ხრესურსების ხარჯვის შედეგად დაკმაყოფილებული მოთხოვნილება.

დასრულებული წინა აქტის თვალსაზრისით, პროდუქტი მის მიერ აღიქმება როგორც ხარჯები. შესაბამისად, რესურსები შეიძლება იქნას აღქმული როგორც ხარჯები მოღვაწეობის მომდევნო აქტების თვალთახედვიდან, როგორც პოტენციური ხარჯები, იმის შემდეგ, რაც ისინი იქნება გამოყენებული. მაგრამ სანამ ეს მოხდება, ისინი აღიქმება როგორც სარგებლიანობა, როგორც პოტენციური უნარი დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები.

რესურსები რომ არ ყოფილიყო შეზღუდული სუბიექტის მოთხოვნილებებთან შედარებით, ისინი არ იქნებოდნენ მის მიერ აღქმული როგორც ხარჯები. მათდამი მიმართება არ იქნებოდა ყაირათიანი, ეკონომიური. საქმე გვექნებოდა უშუალო, მტაცებლურ მოხმარებასთან. ამიტომ ეკონომიკური თვალთახედვით, ხარჯებად შეიძლება იქნას აღქმული მხოლოდ შეზღუდული რესურსების ხარჯები. მაგალითად საწარმოო პროცესში იხარჯება წყალი. მაგარამ თუ წყალი არ არის შეზღუდული რესურსი, მაშინ წყლის ხარჯვა არ გაითვალისწინება ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ თუ წყალი გახდება შეზღუდული რესურსი, მაშინვე დაიწყება მისი ხარჯის კალკულაცია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამასთანავე, რაც უფრო შეზღუდულია რესურსი, მით უფრო ყაირათიანად, ეკონომიურად ეპყრობა მას ადამიანი. შესაბამისად, მისი დახარჯვის შემდეგ (როგორც საწარმოო, ისე სამომხმარებლო მიზნებზე) ისინი აღიქმებიან როგორც უფრო დიდი ან მცირე ხარჯები იმის მიხედვით, თუ რამდენად დეფიციტურია იგი. რაც უფრო დეფიციტურია რესურსი, მით უფრო დიდ ეკონომიკურ ხარჯებად აღიქმება იგი მოხმარების შემდეგ. მაგარამ, მოთხოვნილებებთან მიმართებაში, რესურსების დეფიციტურობა ანუ შეზღუდულობა ნიშნავს მათ ეკონომიკურ სარგებლიანობას. დეფიციტურობა და ეკონომიკური სარგებლიანობა არიან იდენტური ცნებები.[29] ამიტომ, ეკონომიკური ხარჯების სიდიდე დამოკიდებულია დეხარჯული რესურსის ეკონომიკურ სარგებლიანობაზე.

ტექნოლოგიური და ეკონომიკური ხარჯები განსხვავებული ცნებებია (თუმცა ურთიერთდაკავშიღებული). რესურსების ერთი და იგივე სიდიდის

[29] ვინაიდან, რაც უფრო მეტია დოვლათის დეფიციტურობა რომელიმე მოთხოვნილებასთან მიმართებაში, მით უფრო დიდია ამ მოთხოვნილების წილი, რომელიც შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული ამ დოვლათის ყოველი ერთეულით. შესაბამისად, მით უფრო მეტია ამ დოვლათის უნარი დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება და მით უფრო მეტია მოსი ეკონომიკური სარგებლიანობა. მაგრამ სინამდვილეში კავშირი სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. აქ მოქმედებენ რთული "ზომიერებითი" ურთიერთობები. კერძოდ, ერთი და იგივე ეკონოკიკური სარგებლიანობის შესაქმნელად შესაძლოა დაიხარჯოს რესურსების სხვა და სხვა ოდენობა. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ უფრო დიდ ან მცირე ეკონომიკურ ხარჯებს. მაგრამ თუ დაირღვევა ზომიერება, ეკონომიკურმა ხარჯებმა შესაძლოა დაკარგონ რაიმე ეკონომიკური მნიშვნელობა და გადაიქცნენ გაფლანგულ საშუალებებად, ანუ **დანაკარგებად**. ხომ ცხადია, რომ უსარგებლო ხარჯები - არის დანაკარგები. შესაბამისად, თუ რაიმე სასარგებლო რეზულტატები მიღებულია უზომოდ დიდი ეკონომიკური ხარჯების ფასად, მაშინ ასეთი რეზულტატები არ შეიძლება ჩაითვალოს სასარგებლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. ანუ რეზულტატი უკვე აღარ არის ეკონომიკური სარგებლიანობა, თუმცა იგი რჩება სასარგებლო დოვლათად

ტექნოლოგიური ხარჯები (გაზომილი ნატურალურ ერთეულებში, ცალებში, ტონებში, მეტრებში და ა.შ.) შესაძლოა წარმოადგენდეს სხვადასხვა სიდიდის ეკონომიკურ ხარჯებს ამ რესურსების დეფიციტურობის, ანუ მისი ეკონომიკური სარგებლიანობის მიხედვით. ეკონომიკურ თეორიაში მრავალი გაუგებრობის მიზეზი იყო და არის ტექნოლოგიური და ეკონომიკური ხქრჯების ცნებების არამკაფიო გამიჯვნა, ბუნდოვანება ამ საკითში.

გაივლიან რა წარმოების მრავალ შუალედურ სტადიას, პირველადი, არააღწარმოებადი რესურსები გარდაიქმნებიან საბოლოო პროდუქტებად, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ ადამიანის საბოლოო მათხოვნილებებს. ამ შუალედურ სტადიებზე ყველა პროდუქტი ერთდროულად არის რესურსიც მომავალი სტადიებისათვის. და ასეა იქამდე, სანამ არ იქნება წარმოებული საბოლოო მოხმარების პროდუქტები. აქ თითქოსდა წყდება მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი. პირველადი რესურსები გარდაიქმნენ საბოლოო პროდუქტებად. და ეს პროდუქტები გაუჩინარდნენ ადამიანის მიერ მათი მოხმარების პროცესში. მაგრამ ჯაჭვი არ წყდება. ეს საბოლოო პროდუქტები თვითონაც არიან რესურსები. ისინი არიან რესურსები ადამიანის საბოლოო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მათი მოხმარების პროცესში ისინი მართლაც უჩინარდებიან. მაგრამ ადამიანის საბოლოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არის ადამიანის აღწარმოება. ხომ სწორედ ადამიანის “წარმოებაა” მთავარი მიზანი. ამ თვალსაზრისით სწორედ ადამიანი წარმოგვიდგება როგორც მისივე მოღვაწეობის პროდუქტი. მხოლოდ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად იგი აგრეთვე ახდენს თავისი მოთხოვნილებების, თავის მიზნების და შესაბამისი საშუალებების "აღწარმოებას".

როგორც აღინიშნა, თანახმად აქ წარმოდგენილი კონცეპციისა, საშუალებები (რესურსები) არიან არა ნივთები და ობიექტები თავის თავად. ობიექტები გადაიქცევიან შეზღუდულ რესურსებად მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი ეპყრობა მათ როგორც საშუალებებს თავისი მიზნების მისაღწევად. ამიტომ პირველადი, არააღწარმოებადი ბუნებრივი რესურსების "აღწარმოება", საბოლოო ჯამში, ხდება ისევ ადამიანის მიერ. "აღწამოება" არა ტექნოლოგიური, არამედ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. რადგან, ადამიანი ახდენს რა თავისი თავის აღწარმოებას, იგი აგრეთვე ახდენს თავისი დამოკიდებულების აღწარმოებას ბუნებრივ ობიექტებთან, როგორც შეზღუდულ რესურსებთან, რომლის გარეშეც იგი ვერ იარსებებს. ამიტომ, ადამიანის აღწარმოება ნიშნავს აგრეთვე პირველადი რესურსების "აღწარმოებას". მეტიც, ამ რესურსების თვით შეზღუდულობის ხარისხიც (და ესე იგი მათი ეკონომიკური სარგებლიანობა) დამოკიდებულია ადამიანზე, მისი მოთხოვნილებების სტრუქტურაზე და მისი ტექნოლოგიური ცოდნის დონეზე. ადამიანის მოთხოვნილებების ცვლილებების და ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, არადეფიციტური დოვლათი შეიძლება გახდეს დეფიციტური. ან ნაკლებ დეფიციტური – გახდეს მეტად დეფიციტური და პირიქით.

ვინაიდან ადამიანი “აწარმოებს” ანუ "ქმნის" (ეკონომიკური თვალსაზრისით) პირველად რესურსებს თვით თავისი არსებობის ფაქტით, ამიტომ, ეკონომიკური ხარჯებიც, რომლებიც განივთებულია პირველად, “არააღწარმოებად” რესურსებში – არიან ხარჯები თვითონ ადამიანის აღწარმოებაზე, ანუ ხარჯები, განივთებული საბოლოო მოხმარების პროდუქტებში. წრე შეიკრა. მაგრამ ჩვენ თითქოს და ვკარგავთ საყრდენ წერტილს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იცვლება ფუნქციონალური კავშირით. არა მარტო პირველადი რესურსები აღმოჩნდა დახარჯული საბოლოო პროდუქტების მისაღებად, არამედ პირიქითაც, საბოლოო პროდუქტებიც წარმოგვიდგება როგორც ხარჯები პირველადი რესურსების "წარმოებაზე". მაგრამ თუ პირველადი რესურსები განაპირობებენ საბოლოო პროდუქტებს, ხოლო საბოლოო პროდუქტები განაპირობებენ პირველად რესურსებს (თუ ეს ასეა), მაშინ სად არის მიზეზი, რომელიც განაპირობებს რესურსებსაც და პროდუქტებსაც?

მიზეზი არის ადამიანი და მისი დამოკიდებულება მის გარემოსთან, ბუნებასთან. და ყველა პროცესი ეკონომიკაში განპირობებულია ეკონომიკისათვის ისეთი გარეგანი ფაქტორით, როგორიც არის ადამიანის განვითარების დონე. რადგან მისი განვითარების დონეზეა დამოკიდებული მისი მოთხოვნილებების მოცულობაც და სტრუქტურაც, ტექნოლოგიური ცოდნის დონე (რაც განაპირობებს ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე). ხოლო მოთხოვნილებები და ცოდნის დონე, თავის მხრივ, განაპირობებენ პირველადი რესურსების დეფიციტურობას.

ხარჯები არ არის ეკონომიკური ხარჯები, თუ მათ არ მოჰყვება შედეგად ეკონომიკური სარგებლიანობა. ხოლო სარგებლიანობა არ არის ეკონომიკური სარგებლიანობა, თუ იგი მიღებულია ხარჯების გარეშე, მუქთად. მაგრამ ვინაიდან სარგებლიანობა და ხარჯები იმანენტურად გულისხმობენ ერთმანეთს და გადადიან ერთმანეთში ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში, ამიტომ ცხადია, რომ მათ უკან დგას რაღაც სხვა, მესამე, მათთვის საერთო რეალობა, რომლის გამოვლენის ფორმასაც ისინი წარმოადგენენ. სწორედ ეს რეალობაა ეკონომიკური ფასეულობა.

ეკონომიკური ფასეულობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანის სპეციფიური მიმართება შეზღუდულ დოვლათთან, რომლებიც მოხვდნენ მისი ეკონომიკური მოღვაწეობის ორბიტაში. ასესთ დოვლათს ადამიანი ეპყრობა ისე, როგორც რესურსებს, ან როგორც პროდუქტებს იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უკავიათ მათ მიზანშეწონილი მოღვაწეობის კონკრეტულ აქტში. და შესაბამისად, აღიქვავს მათ როგორც სარგებლიანობას ან როგორც ხარჯებს. მაგარამ, მოღვაწეობის, როგორც პერმანენტული პროცესის პოზიციებიდან, იშლება სხვაობა რესურსებისა და პროდუქტებს შორის. შესაბამისად – სარგებლიანობას და ხარჯებს შორის (რადგან ისინი გადადიან ერთიმეორეში და გულისხმობენ ერთმანეთს.) ასეთ სისტემურ დონეზე რესურსებიც და პროდუქტებიც არსებითად ერთი და იგივეა. ორივე არის დეფიციტური დოვლათი. ხოლო სარგებლიანობა და ხარჯები – არიან ეკონომიკური ფასეულობები, როგორც ამ შეზღუდულ დოვლათთან ადამიანის სპეციფიური

მიმართება. მაგარამ მოღვაწეობის ცალკეული აქტის დონეზე შეზღუდული დოვლათი ყოველთვის წარსდგება ან რესურსების, ან პროდუქტების ფორმით, ხოლო ადამიანი ეპყრობა მათ ან როგორც სარგრბლიანობას, ან როგორც ხარჯებს.

ერთი და იგივე შეზღუდული დავლათის ფასეულობა მომხმარებლის მიერ აღიქმება სარგებლიანობის ფორმით, ხოლო ამ დოვლათის მწარმოებლის მიერ – ხარჯების ფორმით. მაგრამ ადამიანი (საზოგადოება) ართდროულად არის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. ეს განპირობებულია თვით მიზანშეწონილი მოღვაწეობის არსით. ვვინაიდან პროდუქტების წარმოების პროცესი ამავე დროს არის რესურსების მოხმარების პროცესი. და ეს წარმოებული პროდუქტებიც ამავე დროს არიან რესურსები სხვა პროდუქტების საწარმოებლად და ა.შ. შესაბამისად, სარგებლიანობები განწირული არიან, რომ გარდაიქმნან ხარჯებად. ხოლო ხარჯები განწირული არიან, რომ გარდაიქმნან სარგებლიანობად. ამიტომ არა მარტო რესურსების ფასეულობა (მათ შორის პირველადი რესურსების) განაპირობებს პროდუქტების ფასეულობას (მათ შორის საბოლოო პროდუქტების). არამედ პირიქითაც, პროდუქტების ფასეულობა აგრეთვე განაპირობებს რესურსების ფასეულობას.[30]

რესურსების და პროდუქტების უსასრულო ურთიერთგარდაქმნის ჯაჭვში ადამიანი არის მთავარი რგოლი, სადაც იგი აგრეთვე გვევლინება ეკონომიკური მოღვაწეობის როგორც რესურსი, როგორც პროდუქტი და როგორც იმ მოთხოვნილებების მატარებელი სუბიექტიც, რომელთა მიმართებაშიც საერთოდ შესაძლებელი ხდება რაიმეს აღქმა რესურსების ან პროდუქტების სახით. ადამიანი არის მთლიანად მოღვაწეობის მთავარი მიზანიც და საშუალებაც და პროდუქტიც. ადამიანი არის უმაღლესი ფასეულობა და ყველაფრის **საზომი.** იგი არის ათვლის წერტილი ყოველი დოვლათის როგორც სარგებლიანობის, ისე ხარჯებისათვის და ფასეულობებისათვის.

ფასეულობის მქონე შეზღუდული დოვლათი ადამიანს ანიჭებს არჩევანის შესაძლებლობას ამ დოვლათის მოხმარების ალტერნატიულ შესაძლებლობებს შორის. ამიტომ ყოველი ფასეულობა იძლევა თავისუფლების ნამეტს, რადგან გულისხმობს არჩევანის დამატებით შესაძლებლობებს. ეს არის “თავისუფლების შენადედს”. ხოლო ფასეულობის "მოხმარება" არის თავისუფლების რეალიზაცია. რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს ეკონომიკური ფასეულობები, მით უფრო მეტია მისი ეკონომიკური თავისუფლება და მით უფრო მეტია მისი ძალაუფლება ეკონომიკურ გარემოზე.

---

[30] შრომითი ღირებულების და წარმოების ფაქტორების თეორიები ამტკიცებდნენ, რომ რესურსები განაპირობებენ პროდუქტის ღირებულებას. ხოლო სარგებლიანობის თეორია ამტკიცებს, რომ პირიქით, პროდუქტი განაპირობებს მის წარმოებაზე დახარჯული რესურსების ღირებულებას.

ამასთან დაკავშირებით ყურად საღებია წრფივი პროგრამირების ერთ ერტთი ფუმდამენტური პრინციპი, რომლის თანახმადაც ოპტიმალურ წარმოებაში, ყველა რესურსების ოპტიმალური შეფასებების პირობებში, ხარჯები და რეზულტატები ტოლია.

ეკონომიკური მოღვაწეობა არის რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის პროცესი. თუ მოთხოვნილებას რაიმე პროდუქტში და ამ პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო რესურსების მარაგებს ვიგულისხმებთ ფიქსირებულად, მაშინ, რაც უფრო მეტი იწარმოება ეს პროდუქტები, მით უფრო ნაკლები დარჩება რესურსები. ამასთანავე, რაც უფრო მეტი იწარმოება პროდუქტები, მით უფრო ნაკლებია ბოლო წარმოებული პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობა თანახმად კლებადი სარგებლიანობის კანონისა. მაგრამ, ამავე კანონის თანახმად, იზრდება დარჩენილი რესურსების ზღვრული სარგებლიანობა,[31] ვინაიდან მცირდება მარაგები. ამიტომ პროდუქციის ყოველი დამატებითი ერთეული იწარმოება სულ უფრო მეტად დეფიციტური და მეტი ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე რესურსისებიდან. ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკური ხარჯები ყოველ დამატებით წარმოებულ პროდუქტზე, ანუ ზღვრული ხარჯები, იზრდება. (რადგან ხარჟები არის უკვე გამოყენებული სარგებლიანობა). თუმცა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით პროდუქტის ბოლო ერთეულზე იხარჯება იმდენივე რესურსები, რაც პირველ ერთეულზე. ესეიგი, წარმოების პროცესში ერთდროულად ხდება როგორც პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობის შემცირება, ასევე მის წარმოებაზე გაწეული ზღვრული დანახარჯების ზრდა. როგორც ვხედავთ, კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონი და მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონი არსებითად წარმოადგენენ ერთი და იგივე ეკონომიკური კანონის გამოვლენის სხვა და სხვა ფორმას და ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს ისევე, როგორც თვით სარგებლიანობა და ხარჯები.

ეკონომიკური სარგებლიანობვას და ეკონომიკური ხარჯების შეთანაზომება, რომელნიც გამოხატავენ ადამიანის გარემოსთან ღირებულებითი დამოკიდებულების სხვა და სხვა მოდუსებს, თავის გარეგან გამოხატულებას პოულობს წარმოებული და მოხმარებული დოვლათის კონკრეტული სტრუქტურის ფორმირებაში. ადამიანის მოთხოვნილებები ისევე მრავალფეროვანია, როგორც მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები. ერთი და იგივე მოთხოვნილება შეიძლება იყოს დაკმაყოფილებული სხვა დასხვა რესურსებით (საშუალებებით). და პირიქით, ერთი და იგივე რესურსებით შეიძლება იყოს დაკმაყოფილებული სხვა და სხვა მოთხოვნილებები. და ყველა ამ მოთხოვნილებასა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის ორიენტირება შესაძლებელია მხოლოდ ფასეულობების მეშვეობით. ფასეულობა მიუთითებს წარმოების მიზანშეწონილობის ხარისხზე და არის ამა თუ იმ ქმედების ოპტიმალური და მიზანშეწონილი ვარიანტის კრიტერიუმი.

[31] ამ რესურსების სარგებლიანობა განპირობებულია არა მარტო ზემოხსენებული კონკრეტული მოთხოვნილებით, არამედ ყველა იმ მოთხოვნილებებით, რომელთა დაკმაყოფილებაც შესაძლებელია ამ რესურსებით. ამიტომ, რაც უფრო მეტი იხარჯება ეს რესურსები რაიმე ერთი პროდუქტის წარმოებაზე, მით უფრო ნაკლები რჩება ისინი სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ანუ იზრდება დარჩენილი რესურსების ზღვრული სარგებლიანობა (ჯერ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებთან მიმართებაში).

და მაინც, როგორ ხდება ეკონომიკური მოღვაწეობის ოპტიმიზაცია? ადამიანი ვერ შეძლებს მოღვაწეობას თუ იგი ვერ შეძლებს რაიმე ფორმით თავისი მოთხოვნილებების და თავისი შესაძლებლობების შეთანაზომებას; თუ არ გაანაწილებს თავის რესურსებს თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად; თუ მის განკარგულებაში არ იქნება რაიმე ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების სტრუქტურის შესაბამისობას მოთხოვნილებების სტრუქტურასთან. ანუ რომელიც უზრუნველყოფს მისი მოღვაწეობის ოპტიმალურობას. და ასეთი მექანიზმი მართლაც არსებობს. ოპტიმალურია ისეთი მოღვაწეობა, რომლის დროსაც რესურსების ერთი და იგივე სიდიდის ხარჯებზე მოდოს რეზულტატების ერთნაირი სიდიდის ეკონომიკური სარგებლიანობა. ანუ ხარჯების თანაბარსარგებლიანი განაწილება. სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურობის კრიტერიუმად. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ადგილი აქვს წონასწორობის დარღვევას: ერთი მხრივ იბადება დეფიციტი (ხარჯების ერთეულზე მოდის საშუალოზე მეტი სარგებლიანობა), მეორე მხრივ იბადება სიჭარბე (ხარჯების ერთეულზე მოდის საშუალოზე ნაკლები სარგებლიანობა). დეფიციტი და სიჭარბე ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და მოწმობენ ოპტიმალურობის დარღვევაზე და მოღვაწეობის არაეფექტურობაზე.

კლებადი ზღვრული სარგებლიანობის და მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონები ზუსტად მიუთითებენ იმ ზღვარზე, რომლის იქითაც წარმოება არ უნდა გაგრძელდეს და რომლის მიღწევამდეც წარმოება არ უნდა შეჩერდეს. შემდგომი წარმოება გამოიწვევს ზღვრული ხარჯების გადამეტებას ზღვრულ სარგებლიანობაზე, ანუ სიჭარბეს. ხოლო წარმოების ნაადრევი შეჩერება გამოიწვევს ზღვრული სარგებლიანობის გადამეტებას ზღვრულ ხარჯებზე, ანუ წარმოშობს დეფიციტს. ამიტომ წარმოება არ უნდა შეჩერდეს იქამდე, სანამ ზღვრული სარგებლიანობა და ზღვრული ხარჯები არ გათანაბრდება. და არც უნდა გაგრძელდეს მათი გათანაბრების შემდეგ. სწორედ ეს იქნება ამ პროდუქტის წარმოების ოპტიმალური მოცულობა რესურსების არსებული მარაგების და სუბიექტის მოთხოვნილებების არსებული სტრუქტურის პირობებში.

ზემოთ აღწერილი ეკონომიკური მექანიზმი არეგულირებს არსებული რესურსების განაწილების პროპორციებს საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნილებების კონკრეტული სტრუქტურის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ მაინც როგორ ხგება პროდუქტების და რესურსების ფასეულობების შეთანაზომება იდივიდუალურ წარმოებაში. ანუ, სხვა სიტყვებით, როგორ ხგება სარგებლიანობის და ხარჯების შეთანაზომება?

ვინაიდან ოპტიმალური მოღვაწეობის პირობებში ერთნაირი სიდის ეკონომიკურ ხარჯებზე მოდის ერთნაირი სიდიდის ეკონომიკური სარგებლიანობები, ამიტომ ვიღებთ შემდეგს. როდესაც ჩვენ რესურსების ეკონომიკურ ხარჯებს ვათანაზომებთ პროდუქტების ეკონომიკურ სარგებლიანობასთან, ადამიანი, როგორც მწარმოებელი, ათანაზომებს ამ ხარჯებს იმ ხარჯებთან, რომელიც საჭიროა ზემოხსენებვული სარგებლიანობის მისაღებად წარმოების ოპტიმალურ რეჟიმში. სხვა

სიტყვებით, ფაქტიური ხარჯები ედრება ოპტიმალურს, ანუ ალტერნატიულ ხარჯებს. და პირიქით, ხარჯების და სარგებლიანობის შეთანაზომება შეიძლება, აგრეთვე, დავიყვანოთ ფაქტიური სარგებლიანობის შედარებამდე იმ სარგებლიანობასთან, რომელიც, ოპტიმალურობის პირობებში უნდა შეესაბამებოდეს ფაქტიური ხარჯების სიდიდეს. სხვა სოტყვებით მოცემულ სარგებლიანობას ადამიანი, როგორც მომხმარებელი, ადარებს ოპტიმალურ, (როგორც ალტერნატიულ) სარგებლიანობას. ასეთი შეთანაზომების შედეგად ვლინდება, თუ რამდენად ოპტიმალურად ხდება რესურსების ხარჯვა აღნიშნული სარგებლიანობის მისაღებად, ან რამდენად ოპტიმალურია აღნიშნული სარგებლიანობის მიღება ასეთი ხარჯებით. ალტერნატიული ღირებულების იდეა ეკონომიკური ხარჯების კალკულაციისას ეფუძნება აღნიშნულ პრინციპს.

მაგრამ, ხარჯების თანაბარსარგებლიანი განაწილება არის გარკვეული აზრით გლობალური კრიტერიუმი ოპტიმალუტობისა. ანუ კრიტერიუმი, მოღვაწეობის არა ცალკეული აქტის თვალსაზრისით, არამედ მთლიანად მოღვაწეობისა, როგორც ცალკეული აქტების ერთობლიობისა, როგორც ერთიანი ოპტიმიზირებადი სისტემისა. რაც შეეხება ოპტიმალურობის ლოკალურ კრიტერიუმს, ეს არის კრიტერიუმი მოღვაწეობის ცალკეული აქტის (როგორც მთლიანი სისტემის ცალკეული ელემენტის) პოზიციებიდან. ოპტიმალურობის ლოკალურ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს არა ხარჯების თანაბარსარგებლიანობა, არამედ პირიქით, რეზულტატების სარგებლიანობის მაქსიმუმი დანახარჯების მინიმუმზე. ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმი ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ანუ პროდუქტის ერთეულის წარმოებაზე გაწეული ხარჯების შემცირებას (ტექნოლოგიების სრულყოფა, დანაკარგების შემცირება, ტრადიციული მასალების პროგრესულით ჩანაცვლება და ა.შ.). ხოლო ოპტიმალურობის გლობალური კრიტერიუმი, ხელს უწყობს რესურსების მთლიანი მარაგების ოპტიმალურ განაწუილებას სხვა და სხვა პროდუქტების მისაღებად. ანუ ხელს უწყობს წარმოების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას მოთხოვნილებების სტრუქტურის შესაბამისად.

ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმის გაარეშე ხარჯების თანაბარსარგებლიანობა (ოპტიმალურობის გლობალური კრიტერიუმი) შეიძლება იქნას მიღწეული აგრეთვე ისეთ პირობებშიც, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი დოვლათის მაქსიმუმი ხარჯების მინიმუმზე. სხვა სიტყვებით. შესაძლებელია აგრეთვე ხარჯების ყოველი ერთეულის ერთნაირად დაბალი ეფექტიანობა. ამიტომ ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმი ისევე აუცილებელია მოღვაწეობის ოპტიმიზაციისათვის, როგორც გლობალური კრიტერიუმი. ორივე ეს კრიტერიუმი ავსებენ ერთი მეორეს ეკონომიკური შინაარსით და ისევე განაპირობებენ ერთიმეორეს როგორც სისტემა და ელემნტი.

ეკონომიკური ფასეულობა არ უნდა გავაიგივოდ საბაზრო ღირებულებასთან, რომელიც არის ეკონომიკური ფასეულობის გამოვლენის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა ეკონომიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე –

საბაზრო ეკონომიკაში. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სუბიექტური ეკონომიკური ფასეულობა გარდაიქმნება საბაზრო ღირებულებად. არსებითად, საბაზრო ღირებულება რჩება ისევ სუბიექტურ ფასეულობად, თუმცა განვითარების ამ საფეხურზე სუბიექტის სახით გვევლინება თვისობრივად ახალი წარმონაქმნი – საზოგადოება. ასე რომ საბაზრო ღირებულება არის საზოგადოებრივი, და არა ინდივიდუალური ეკონომიკური ფასეულობა. ინდივიდუალური ფასეულობის საზოგადოებრივ (საბაზრო) ფასეულობაში გარდაქმნის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკური მოღვაწეობის ახალი სუბიექტის – (საზოგადოების) ფორმირების პროცესთან განცალკევებული ნატურალური მეურნეობების ბაზაზე. შრომის განაწილება და ბარტერული გაცვლა აკავშირებს განცალკევებულ მწარმოებლებს ერთ მთლიანობაში. რაც უფრო ღრმაა შრომის განაწილება, მით უფრო მჭიდროა ინდივიდუალური მწარმოებლების ურთიერთდამოკიდებულება. თანდათან ხდება ახალი სუბიექტის (საზოგადოების, როგორც ეკონომიკური სუბიექტის) ფორმირება. და ეს სუბიექტი–საზოგადოება საჭიროებს საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფასეულობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი ეკონომიკური მოღვაწეობის ოპტიმალურობას.

საბაზრო ღირებულება და ინდივიდუალუეი ეკონომიკური ფასეულობა ისეთივე თანაფარდობაში არიან ერთმანეთთან, როგორც ერთი და იგივე მოვლენის განვითარების სხვა და სხვა საფეხურები. ამიტომ მათში ბევრია როგორც საერთო, ისე განსხვავებული მომენტები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ განსხვავებით ინდივიდუალური ეკონომიკური ფასეულობისაგან, საბაზრო ღირებულება ზუსტად იზომება სპეციალური საზომი ერთეულით – ფულით. მაშინ როდესაც ინდივიდუალური ეკონომიკური ფასეულობის რაოდენობრივი განსაზღვრა ხდება არა გაზომვის მეშვეობით რაიმე მასშტაბით ან საზომი ერთეულით, არამედ შეთანაზომებით. ანუ, სუბიექტი უშუალოდ ათანაზომებს ერთმანეთს სხვა და სხვა ეკონომიკურ ფასეულობებს.

ფასეულობების უშუალო შეთანაზომება ფულის გაჩენამდე, ისევე ბუნებრივია, როგორც დროის, წონის, თუ მანძილის უშუალო შეთანაზომება იქამდე, სანამ გაჩნდებოდნენ ამ სიდიდეების შესაბამისი მასშტაბები ან საზომი ერთეულები. თვეთ ეს საზომი ერთეულები პირობითია და გარკვეულუ თვალსაზრისით (თვით გაზომვის ლოგიკის თვალსაზრისით) – შემთხვევითია. ისინი შერჩეულია ადამიანის მიერ პრაქტიკული მოსაზრებებით იმის და მიხედვით თუ რამდენად მოხერხებულნი არიან ისინი. მთავარი ხომ მხოლოდ ის არის, რომ როდესაც ყველა სიდიდეების გაზომვას იწყებენ ერთი და იგივე საზომი ერთეულით, მასშტაბით, მაშინ ყველა ეს სიდიდეები ხდება ერთმანეთთან თანაზომადი.

მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ წონის ერთეული, კილოგრამი, თავისი სუბსტანციით თვითონაც წარმოადგენს გარკვეულ წონას, რომელიც პირობითად არის მიჩნეული წონის საზომ ერთეულად. ხომ ცხადია, რომ წონის ერთეულია არა საწონი, რომელიც იდება სასწორზე. საწონი არის მხოლოდ გარეგანი, მატერიალური მატარებელი კილოგრამისა. და ეს

კილოგრამი შეიძლება გამოვხატოდ სხვა საგნებითაც. ანალოგიურად, ფული, როგორც საბაზრო ღირებულების საზომი ერთეული, თვითონ წარმოადგენს იგივე ღირებულებას, ღირებულების გარკვეულ სიდიდეს, რომელიც პირობითად არის მიჩნეული საზომ ერთეულად, მასშტაბად, ყველა სხვა დანერჩენი საბაზრო ღირებულებების გასაზომად. ამიტომ, ფული არის არა ოქრო და არც ბანკნოტები, არამედ ისევ ღირებულება. შესაბამისად, თუ ფული არის ღირებულების ერთეული, მაშინ ცხადია, რომ იგი ერთდროულად არის როგორც საზოგადოებრივი სარგებლიანობის, ისე საზოგადოებრივი ხარჯების საზომი ერთეული. რადგან თვით ღირებულება არის საზოგადოებრივი სარგებლიანობის და საზოგადოებრივი ხარჯების ერთობლიობა. შესაბამისად, ფასების, როგორც საბაზრო ღირებულების ფულადი გამოხატულება, ზუსტად გამოხატავს ერთდროულად როგორც საქონლის საზოგადოებრის ხარჯებს, ისე მათ საზოგადოებრივ სარგებლიანობას.

ერი შეიძლება წარმოვიდგინოდ როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი. ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ ეროვნულ დონეზე არ მოხდება იგივე, რაც ხდება ინდივიდუალური სუბიექტის დონეზე. კერძოდ, რაიმე ნაირად უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შეთანაზომება ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებთან, აგრეთვე ხარჯების და რეზულტატების შეთანაზომება. უნდა არსებობდეს ოპტიმიზაციის რაიმე მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს წარმოების სტრუქტურას მოხმარების სტრუქტურასთან.

ისევე, როგორც მაკროკოსმოსი იმეორებს მიკროკოსმოსის აღნაგობას, ასევე საზოგადოებრივი (საბაზრო) ეკონომიკის ყველა ძირითადი კანონზომიერებები ემბრიონალური ფორმით უკვე არსებობენ ინდივიდუალურ ეკონომიკაში. როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე მოქმედებენ როგორც კლებადი ზღვრული სარგებლიანობის, ისე მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონები, ოპტიმალურობის გლობალური და ლოკალური კრიტერიუმები და სხვ. მაგრამ საზოგადოებრივ დონეზე ყოველივე ეს ხდება გაცილებით უფრო რთული მექანიზმის მეშვეობით, ხდება არა ინდივიდუალური ფასეულობების, არამედ საბაზრო ღირებულებების მეშვეობით, ანუ ფასებისა და ფასწარმოქმნის რთული მექანიზმის მეშვეობით.[32]

საჭიროა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მიკროეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური წონასწორობის ჩამოყალიბება ნაჩვენებია ფასების დონეზე. ეკონომიკსის ნებისმიერ პოპულარულ სახელმძღვანელოში ღირებულების თეორია თითქმის საერთოდ არ არის გადმოცემული (სულ რამდენიმე აბზაცი ეთმობა ზღვრული სარგებლიანობის თეორიას). დეტალურად განიხილება მხოლოდ ფასის და ფასწარმოქმნის თეორია. მაგრამ სინამდვილეში, ფასებისა და ფასწარმოქმნის მეშვეობით მხოლოდ ვლინდება ის ეკონომიკური

[32] სტატიის მოცულობა არ იძლევა საზოგადოებრივ დონეზე ეკონომიკური დანახარჯებისა და ეკონომიკური სარგებლიანობის შეთანაზომების საფასო მექანიზმის გამოვლენის ფულადი ფორმის გაანალიზების საშუალებას.

მექანიზმი, რომელიც რეალურად მოქმედებს გაცილებით უფრო სიღრმისეულ დონეზე ეკონომიკური ფასეულობების მეშვეობით. ანუ ის, რასაც ეკონომიკსი აღწერს მოვლენების დონეზე, ფუნქციონალური კავშირების დონეზე, საჭიროებს მეცნიერულ შესწავლას არსის დონეზე, სიღრმისეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დონეზე. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. მეცნიერების ამოცანა ხომ სწორედ ის არის, რომ მოახდინოს ტრანსცენდირება არსის სფეროში და არა მხოლოდ აღწეროს მოვლენები.

თანამედროვე სახელმძღვანელოებში გადმოცემული მიკროეკონომიკური პარადიგმა მოქცეულია მოჯადოებულ წრეში. ფასწარმოქმნის მექანიზმის ახსნისას იგი იძულებულია აპელირება მოახდინოს ისევ ფასებზე. ასეთი ახსნა ტოვებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. რაიმე პრობლემის მეცნიერული ახსნა გულისხმობს უცნობის დაყვანას ნაცნობ ელემენტებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ გამოვავლენთ მიზეზს და შედეგს, ვერ გავიგებთ, არამედ მხოლოდ აღვწერთ სინამდვილეს. ასე შეიძლება გამოვავლინოთ მხოლოდ ფუნქციონალური კავშირები სხვა და სხვა ფასებს შორის, მაგრამ ჩვენ ვერ შევიცნობთ რა განაპირობებს საერთოდ ყველა ფასებს, რა არის ფასის არსი.

თავის დროზე ალბერტ აინშტაინმა გამოთქვა აზრი, რომ იდეის, თეორიის სილამაზე გარკვეულწილად არის მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმიც. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ფასის თანამედროვე თეორიას, მაშინ მას გააჩნია თავისებური "ესტეტიური წუნი" – მას არ გააჩნია შინაგანი სიმეტრია. ამტკიცებენ, რომ წონასწორული ფასების დასადგენად ბაზარზე უნდა იქნას მიღწეული ზღვრული ხარჯების და ზღვრული სარგებლიანობის ტოლობა. საერთოდ კლებადი ზღვრული სარგებლიანობის და მზარდი ზღვრული დანახარჯების იდეას ენიჭება არსებით მნიშვნელობას მიკროეკონომიკაში. ამასთანავე, კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონი არის წმინდა ეკონომიკური კანონი, რომელიც აღწერს სუბიექტის დამოკიდებულებას შეზღუდული დოვლათის მიმართ. მაგრამ მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონი ახსნილია წმინდა ტექნოლოგიური და არა ტელეოლოგიური კანონზომიერებებით. ახსნილია ფიქსირებული და ცვალებადი რესურსების (ხარჯებს) შორის პროპორციების დარღვევით. მაგრამ გამოდის, რომ ეს არ არის ეკონომიკური კანონი. მეტიც, სახელმძღვანელოში კეთდება განმარტება, რომ საერთოდ ზღვრულ დანახარჯებს ყოველთვის არ გააჩნიათ ზრდის ტენდენცია წარმოების ზრდასთან ერთად, რომ ისინი ჯერ მცირდება და მხოლოდ შემდეგ იზრდება. ანუ მისი გრაფიკი U-სებრი ფორმისაა, განსხვავებით კლებადი ზღვრული სარგებლიანობის მრუდისა. ამიტომ, პარადიგმის თანახმად, მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში განპირობებულია U–სებრი მრუდის მარჯვენა ნახევარით. მაგრამ ეს იქნებოდა ასე, თუ ყველა ფირმა ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმუშავებდა საწარმოო სიმძლავრეების გადატვირთვის პირობებში, ფიქსირებული რესუსების ცვალებად რესურსებთან შედარებით უკმარისობის პირობებში. მაგრამ სინამდვილეში ფირმებს, როგორც წესი, გააჩნიათ სარეზერვო

სიმძლავრეები, აქვთ ჭარბი მუდმივი ხარჯები ცვალებადთან შედარებით. ამიტომ ცვალებადი ხარჯების ზრდა წარმოების მოცულობის ზრდის დროს იწვევს მუდმივი და ცვალებადი რესურსების (ხარჯების) შორის ტექნოლოგიური პროპორციების გაუმჯობესებას. ამიტომ, წარმოების გაფართოვებასთან ერთად ფირმებში ხდება ზღვრული ხარჯების არა ზრდა, არამედ შემცირება. ასეთი ლოგოკით, მიწოდების მრუდის საფუძვლად უნდა იდოს ზღვრული დანახარჯების U–სებრი მრუდის არა მარჯვენა, არამედ მარცხენა ნახევარი. ანუ ეკონომიკური თეორიის თანახმად ვიღებთ აბსურდს.

ეკონომიკურ თეორიაში ამ გაუგებრობის მიზეზია "ეკონომიკური ხარჯების" და "ტექნოლოგიური ხარჯების" აღრევა. მიკროეკონომიკური პარადიგმა საჭიროებს საფუძვლიან გადასინჯვას. ამისათვის კი აუცილებელია მივმართოდ ეკონომიკური ფასეულობის ტელეოლოგიურ გაგებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Леиашвили П. (1990). Анализ экономической ценности. М.; Экономика.
2. Лопатников Л. (1987). Экономико-математический словарь. М.; Наука.

1.4. ეკონომიკური ფასეულობა და ეკონომიკის თვითრეგულირება

ორ საუკუნეზე მეტი გავიდა იმის შემდეგ, რაც ეკონომისტები ცდილობენ გაერკვან თუ როგორ მოქმედებს ა.სმიტის "უხილავი ხელი". ანუ როგორ ხდება საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება. თანამედროვე მიკროეკონომიკის თანახმად ეს ხდება ფასების მეშვეობით. მაგრამ მრავალი მეცნიერისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ დღეს გავრცელებული ფასების თეორია ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს დასმულ კითხვაზე.

წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად ფასების თეორიის დეტალურ კრიტიკას. მიუთითებთ მხოლოდ ამ თეორიის ისეთ აშკარა ნაკლოვანებებზე, როგორიც არის: 1) დუალიზმი; 2)"მანკიერი ლოგიკური წრე"; 3) თეორიის შეუსაბამობა რეალობასთან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები ფართოდ არის აღიარებული, ეს თეორია აღმოჩნდა საოცრად სიცოცხლისუნარიანი. როგორც მ. ბლაუგი აღნიშნავს, ეკონომისტები ვერ ეგუებიან თეორიულ ვაკუუმს და ამიტომ თეორიის უარყოფა ხდება არა მარტო ფაქტების ზეგავლენით, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს უკეთესი თეორია.[33] სამწუხაროდ "უკეთესი თეორია" ჯერ-ჯერობით არ ჩანს, თუმცა იყო არსებული თეორიის სრულყოფის არა ერთი მცდელობა. წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ 1) არ არის ჩამოყალიბებული სათანადო კოორდინაცია და სუბორდინაცია ისეთ ფუნდამენტურ კატეგორიებს შორის, როგორიც არის ეკონომიკური სარგებლიანობა, ხარჯები, ფასეულობა, მოთხოვნილებები, რესურსები, პროდუქტები და სხვა. ეს წარმოშობს მრავალ გაუგებრობას და მცდარ დასკვნებს; და 2) თანამედროვე მიკროეეკონომიკური კვლევების ცენტრში მოქცეულია ფასი და არა ეკონომიკური ფასეულობა (ღირებულება).

მოცემულ სტატიაში ჩვენ ვეყრდნობით დებულებას, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება ხდება არა უშვალოდ ფასების მეშვეობით, არამედ ეკონომიკური ფასეულობის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ფასების საფუძველს.

1.4.1. ეკონომიკური ფასეულობა ნატურალური მეურნეობის კონტექსტში

ჩვენ ვიზიარებთ იმ იდეას, რომ ეკონომიკურ ფასეულობას ქმნის ადამიანი ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში.[34] ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ფასეულობის

---

[33] იხ. Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. М. «Дело» .1994. С.652.

[34] წარმოდგენილი კონცეპცია შეიძლება განვიხილოდ როგორც შრომითი ღირებულების და სარგებლიანობის თეორიების სინთეზის მორიგი მცდელობა. თუმცა, როგორც შემდგომში დავინახავთ, ღირებულების შემოქმედ მოღვაწეობად მიჩნეულია არა დაქირავებული და გაუცხოვებული შრომა, ანუ არა მუშის შრომა, არამედ არაგაუცხოვებული, თავისუფალი

ანალიზი უნდა დაიწყოს მიზანშეწონილი მოღვაწეობის ანალიზით. ზოგადად მიზანშეწონილი მოღვაწეობის სტრუქტურული კომპონენტებია მიზანი, საშუალება და რეზულტატი. ვაანალიზებთ რა ეკონომიკურ მოღვაწეობას, ამ ცნებების ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკონომიკური თეორიისათვის უფრო ადექვატური ტერმინოლოგია – ეკონომიკური მიზნები, რესურსები და პროდუქტები. განვიხილოთ ეს ცნებები.

ეკონომიკური მიზნები არის ადმიანის მიერ გაცნობიერებული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებაც ხდება მიზანშეწონილი მოღვაწეობის შედეგად, რაც გულისხმობს სათანადო საშუალებების გამოყენებას, ანუ რესურსების ხარჯვას. სხვა სიტყვებით, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა იყოს "გადახდილი" შესაბამისი რესურსებით. ესე იგი ეკონომიკური მიზნები ყოველთვის არის გადახდისუნარიანი მიზნები.

რესურსები (საშუალებები) წარმოადგენენ სასარგებლო ობიექტებს, ანუ დოვლათს, რომელთაც გააჩნიათ უნარი დააკმაყოფილონ მოთხოვნილებები. ამასთანავე ეს არის შეზღუდული დოვლათი. მათი რაოდენობა არ არის საკმარისი ყველა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. და რადგან მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში რესურსები იხარჯება, "ცვდება", ამიტომ, თუ დავიკმაყოფილებთ რაიმე ერთ მოთხოვნილებას, მათ უკვე ვეღარ გამოვიყენებთ სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ისინი იხარჯებიან, აღარ არიან. ამიტომ ადამიანი იძულებულია რესურსები "შეწიროს" ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამის შედეგად ისინი გარდაიქმნებიან დანახარჯებად.

პროდუქტი (რეზულტატი) არის რეალიზებული მიზანი, ანუ დაკმაყოფილებული მოთხოვნილება. მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგად აღარ დარჩება არც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება და აღარც რესურსები. დარჩება მხოლოდ ხარჯები.

მოკლედ, წინამდებარე სტატიაში იგულისხმება, რომ მიზნების საფუძველს წარმოადგენს მოთხოვნილება, რესურსების საფუძველს – სარგებლიანობა, ხოლო პროდუქტების საფუძველს – ხარჯები.[35] მოთხოვნილებები, სარგაბლიანობა და ხარჯები ისეთივე ფარდობითი ცნებებია, როგორც ეკონომიკური მიზნები, რესურსები და პროდუქტები. ანუ ეს ცნებები გულისხმობენ ერთმანეთს და ერთი მეორეს გარეშე კარგავენ აზრს. ასე მაგალითად მოთხოვნილებები შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სარგებლიანობის მოხმარებისადმი სწრაფვა. სარგებლლიანობა – როგორც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი. ხარჯები – როგორც უკვე

მოღვაწეობა, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებასთან რისკებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერების პირობებში. ანუ, ამ კონცეპციის თანახმად ეკონომიკურ ფასეულობა იქმნება არა მუშის დაქირავებული შრომით, რომელიც ასრულებს სხვის ნებას, არამედ მეწარმის მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს.

[35] ხარჯები უკვე გულისხმობენ თავის თავში დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებებსაც. რადგან, თუ რესურსების ხარჯვა არ იწვევს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაშინ ადგილი ექნება არა ხარჯებს, არამედ დანაკარგებს.

გამოყენებული სარგებლიანობა, რომელიც შეეწირა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ანუ ყოფილი სარგებლიანობები.

თავის თავად ობიექტები არ არიან არც რესურსები და არც პროდუქტები. მხოლოდ სუბიექტი აღიქვამს მათ ასეთად იმის მიხედვით, თუ რასთან მიმართებაში განიხილავს იგი ამ ობიექტებს – დასახულ მიზნებთან, თუ უკვე რეალიზებულ მიზნებთან. ანალოგიურად, თავისთავად ობიექტები არ წარმოადგენენ არც სარგებლიანობას და არც ხარჯებს. მხოლოდ ადამიანი აღიქვამს მათ ასეთად. სარგებლიანობაც და ხარჯებიც არიან არა თვითონ ობიექტები, არამედ ადამიანის სპეციფიური ტელეოლოგიური დამოკიდებულება ობიექტებთან, დანახული მისი მიზნების, მისი მოთხოვნილებების პრიზმაში.[36]

სარგებლიანობას სუბიექტი აფარდებს დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებთან, ხოლო ხარჯებს – უკვე დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებებთან.

ადამიანი ვერ იარსებებს მოთხოვნილებების გარეშე. არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ჩნდება ახალი მოთხოვნილებები. მიზანშეწონილი მოღვაწეობა არის სულ ახალი და ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უწყვეტი პროცესი. დაიკმაყოფილებს რა არსებულ მოთხოვნილებას, და მიიღებს რა პროდუქტს, ადამიანს ებადება ახალი მოთხოვნილებები, ახალი მიზნები, რომელთა მიმართებაშიც თვით ეს პროდუქტი აღიქმება როგორც რესურსი. მეტიც, პროდუქტები იმთავითვე იქმნებიან როგორც რესურსები მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ეკონომიკური მოღვაწეობა ერთდროულად არის რესურსების მოხმარებაც და პროდუქტების წარმოებაც. ეთი შეუძლებელია მეორეს გარეშე. საბოლოო დანიშნულების სამომხმარებლო დოვლათის მოხმარებაც კი არის "ადამიანის წარმოება" (აღწარმოება). მეტიც, ადამიანი არის მისივე მოღვაწეობის მთავარი პროდუქტი. და არა მარტო პროდუქტი, არამედ მთავარი რესურსიც (შრომითი) და მოთხოვნილებების მატარებელი სუბიექტიც.

არააღწარმოებადი ბუნებრივი რესურსებიც კი, ტელეოლოგიური თვალსაზრისით, არიან ადამიანის მოღვაწეობის "პროდუქტები". როგორც უკვე აღინიშნა, ბუნებრივი ობიექტები თავისთავად არ არიან რესურსები. მხოლოდ ადმიანის მოთხოვნილებების წყალობით ობიექტები განიხილებიან როგორც სასარგებლო ობიექტები, ანუ რესურსები. თუ არ იქნება მოთხოვნილებები, მაშინ არ იქნება არც რესურსები. ესეიგი პირველადი (ბუნებრივი) რესურსების "აღწარმოება" ხორციელდება ამ რესურსებზე მოთხოვნილებების აღწარმოებით. მაგრამ მოთხოვნილებების აღწარმოება სხვა არაფერია თუ არა თვით ადამიანის აღწარმოება (საბოლოო დანიშნულების დოვლათის მოხმარების გზით). ამიტომ გამოდის, რომ საბოლოო დანიშნულების

[36] **ტელეოლოგიური** – ესეიგი მიზნით განპირობებული. ტელეოლოგია არის სწავლება მიზნის შესახებ. მიზანშეწონილი მოღვაწეობა არის ტელეოლოგიური პროცესი. თავისთავად მიზნები, ტერმინის ეთიმოლოგიის თანახმად, შეიძლება იყოს ღვთიურიც და ადამიანურიც. ამ სტატიაში ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ ადამიანურ მიზნებს.

სამომხმარებლო პროდუქტების მოხმარება წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის, არამედ აგრეთვე პირველადი რესურსების აღწარმოებასაც. მაგრამ, არა ტექნოლოგიური, არამედ ტელეოლოგიური გაგებით. იმ აზრით, რომ ბუნებრივი ობიექტები იძენენ სარგებლიანობას და სწორედ ამის შედეგად ხდებიან რესურსები, რომელთაც შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ ადამიანის საწარმოო მოთხოვნილებები. გარდა ამისა აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ტელეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეკონომიკური მოღვაწეობა არის წრიული პროცესი, რომლის დროსაც ხდება უწყვეტი ტრანსფორმაცია რესურსებისა პროდუქტებში და პირიქით. შესაბამისად ადამიანი ყველა დოვლათს განიხილავს ერთდროულად როგორც რესურსს და როგორც პროდუქტს. ესეიგი, როგორც სარგებლიანობას და დანახარჯებს ერთდროულად. რადგან ყოველი დოვლათი არის მოღვაწეობის წინა აქტის პროდუქტი და მომდევნო აქტის რესურსი.

სუბიექტის დამოკიდებულება შეზღუდულ დოვლათთან, დანახული მისი მიზნების, დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების პრიზმაში, არის სპეციფიურად ადამიანური, ტელეოლოგიური დამოკიდებულება ობიექტებთან ერთდროულად როგორც სარგებლიანობასთან და როგორც ხარჯებთან. სუბიექტის ტელეოლოგიური დამოკიდებულება ობიექტებთან არის **ფასეულობითი დამოკიდებულება**. ხოლო ყოველი შეზღუდული ობიექტი[37] აღიქმება როგორც სარგებლიანობის და ხარჯების ერთობლიობა. ანუ როგორც **ეკონომიკური ფასეულობა.** და თვით ადამიანი, როგორც მისივე მოღვაწეობის უმთავრესი პროდუქტიც და რესურსიც, არის უმაღლესი ფასეულობა.[38] რადგან მხოლოდ თავისი მოთხოვნილებების მიმართ აღიქვავს იგი ყველაფერს როგორც სარგებლიანობას და როგორც დანახარჯებს, და ესეიგი, როგორც ფასეულობას. როგორც უმაღლესი ფასეულობა და ყველა მოთხოვნილების ერთადერთი სუბიექტი, იგი არის ფასეულობათა ათვლის წერტილი და ყველა საგნისათვის ფასეულობის მიმნიჭებელი. "ადამიანი არის ყველაფრის საზომი" (პროთაგორე).

სარგებლიანობა და ხარჯები არის ერთიდაიგივე ფასეულობის ორი ურთიერთსაპირისპირო პოლუსი. როგორც მაგნიტი ვერ გაიყოფა დადებით და უარყოფით პოლუსებათ, ასევე შეუძლებელია ფასეულობაში განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან სარგებლიანობა და ხარჯები. თუმცა, თუ განვიხილავთ მოღვაწეობას არა მთლიანობაში, როგორც უწყვეტ პროცესს, არამედ მოღვაწეობის ცალკეულ აქტს, აქ დოვლათისადმი დამოკიდებულება რამდენადმე განსხვავებულია. მოღვაწეობის ყოველ ცალკეულ აქტში ადამიანი აღიქვავს დოვლათის ფასეულობას ან დანსხარჯების, ან სარგებლიანობის მხრიდან. ანუ ცხადია შემდეგი. რადგან რესურსებიც და პროდუქტებიც არიან ფასეულობის მქონე დოვლათი, ამიტომ ყოველ კონკრეტულ აქტში სუბიექტი აღიქვავს რესურსს არა მხოლოდ როგორც სარგებლიანობას, არამედ როგორც ფასეულობას. თუმცა, ამ ფასეულობას იგი აღიქვავს

---

37 შეზღუდული მასში მოთხოვნილებასთან მიმართებაში

38 საერთოდაც და წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც

სარგებლიოანობის მხრიდან, სარგებლიანობის ფორმით. ანალოგიურად, პროდუქტებს იგი აღიქვავს არა როგორც მხოლოდ დანახარჯებს, არამედ როგარც ფასეულობის მქონე დოვლათს. მაგრამ აღიქვავს დანახარჯების მხრიდან, დანახარჯების ფორმით. ფასეულობა, რომელიც აღიქმება სარგებლიანობის ფორმით წარმოადგენს **სახმარ ფასეულობას.** ხოლო ფასეულობა, რომელიც აღიქმება დანახარჯების მხრიდან – წარმოადგენს **საწარმოო ფასეულობას.** ანუ ყოველ კონკრეტულ შემთხვავეში სუბიექტი აღიქვავს დოვლათის ეკონომიკურ ფასეულობას ან როგორც სახმარ ფასეულობას, ან როგორც საწარმოო ფასეულობას. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ამპლუაში გვევლინება ადამიანი ამ დოვლათთან მიმართებაში – მომხმარებლის, თუ მწარმოებლის.

პროდუქტის სარგებლიანობა არ არის უშუალოდ დამოკიდებული მასზე დახარჯული რესურსების სარგებლიანობაზე. ეს არის ახლად შექმნილი სარგებლიანობა და მას შეუძლია დააკმაყოფილოს თვისობრივად ახალი მოთხოვნილებები, რომლებიც საერთოდ ვერ იქნებოდნენ დაკმაყოფილებული უშუალოდ დახარჯული რესურსების მეშვეობით. ამიტომაც ხდება პროდუქტის წარმოება. თუმცა ახალი სარგებლიანობის მიღება შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმის წყალობით, რომ ადამიანმა მსხვერპლად გაიღო რესურსების სარგებლიანობები, რომელნიც ამის შედეგად გარდაიქმნენ ხარჯებად. და ვინაიდან წარმოებული დოვლათი, როგორც პროდუქტი, თავის თავში შეიცავს ხარჯებს, მაშასადამე ეს დავლათი თავის თავში შეიცავს ბალანსს მსხვერპლად გაღებულ და ახლად შეძენილ სარგებლიანობებს შორის. მსხვერპლად გაღებული სარგებლიანობის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ შეძენილი სარგებლიანობის ბალანსზე, და ესეიგი დოვლათის სარგებლიანობის და მასზე გაწეული ხარჯების თანაფარდობაზე, დამოკიდებულია ამ დოვლათის წარმოების ეფექტიანობა. თუ დოვლათი ადამიანს აძლევს მეტ სარგებლიანობას, ვიდრე მის წარმოებაზე დახარჯული რესურსები, მაშინ ადგილი აქვს სარგებლიანობის მატებას[39]. ასეთი წარმოება ეფექტურია, თუ არა – მაშინ არაეფექტურია. სხვა სიტყვებით, წარმოება ეფექტურია, თუ პროდუქტის სახმარი ფასეულობა მეტია დახარჯული რესურსების სახმარ ფასეულობაზე (ანუ დოვლათის საწარმოო ფასეულობაზე, რადგან რესურსების სახმარი ფასეულობა წარმოების პროცესში გარდაიქმნება პროდუქტის საწარმოო ფასეულობაში, ისევე როგორც სარგებლიანობა გარდაიქმნება ხარჯებში). ანუ მარტივად, თუ დოვლათის ეკონომიკური ფასეულობა მეტია დახარჯული რესურსების ეკონომიკურ ფასეულობაზე. ე.ი. ეფექტური წარმოების შემთხვევაში ადგილი აქვს ფასეულობის მატებას, ანუ **ზედმეტი ფასეულობის** შექმნას.

მაგრამ იბადება კითხვა – რა არის ზედმეტი ფასეულობის შექმნის წყარო? რა რაის მისი სუბსტანცია, და ე.ი. საერთოდ ეკონომიკური ფასეულობის სუბსტანცია? ეკონომიკური ფასეულობა არის საერთოდ ფასეულობის

[39] გარკვეული აზრით ეს შეიძლება წარმოვიდგინოდ როგორც ზედმეტი ღირებულების ემბრიონალური ფორმა ინდივიდუალურ ეკონომიკის პირობებში, რომელიც ფულად-სასაქონლო ურთიერთობების პირობებში ღებულობს ფულად გამოხატულებას მგების სახით.

გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა. ამიტომ მის შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც საერთოდ ფასეულობის შესახებ. კერძოდ:

რეზულტატი არის გარკვეული მიზეზით გამოწვეული შედეგი. მაგრამ რეზულტატი განსხვავდება უბრალოდ შედეგისაგან იმით, რომ მისი გამომწვევი მიზეზია ადამიანი, მისი ნება და არა "შემთხვევითი" მიზეზი. ეს არის ადამიანისათვის სასარგებლო შედეგი. ადამიანის მიზანშეწონილი მოღვაწეობა მთლიანობაში, ცალკეული აქტების ერთობლიობაში, არის იგივე ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მაგრამ, როომელიც ხორციელდება და წარიმართება ადამიანის გონებით და ნებით.

შეიცნობს რა სინამდვილეს, ბუნებაში არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა გონებაში "შეაბრუნოს" კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის. ანუ გონებაში წინანსწარ მიიღოს რეზულტატი. რეალური მოღვაწეობის პროცესში ხდება ამ იდეალურ პროდუქტის ობიექტივირება და ადამიანი იღებს რეზულტატს, რომელიც თავდაპირველად მას ჰქონდა მხოლოდ იდეის ფორმით. ცხადია, ასეთი გზით რეზულტატის მისაღებად საჭიროა გონებაც და ნებაც. რეზულტატი არის განივთებული მოღვაწეობა, ანუ მისი (მოღვაწეობის) არსებობა "კრისტალიზებული" ფორმით. და რადგან მოღვაწეობაში ადამიანი ავლენს თავის გონებას, ნებას, თავის არსს, ამიტომ ფასეულობა არის ადამიანის განივთებული არსი.

ანუ, მოღვაწეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ობიექტური კანონების და კანონზომიერებების, კაუზალობის და ფუნქციონალური კავშირების შეცნობა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი გეგმების და პროექტების ფორმირება, მიზნების დასახვა. რადგან მას შეუძლია დასახოს მხოლოდ ისეთი მიზნები, რომელთა რეალიზებაც მას მიაჩნია შესაძლებლად, არ ეწინააღმდეგება ობიექტურ კანონებს და რომლის მიღების "ტექნოლოგიაც" მისთვის ცნობილია. მან უნდა შეიმეცნოს თავისი თავიც, თავისი მთხოვნილებები, რათა დარწმუნდეს, რომ პროდუქტი მისთვის წარმოადგენს მეტ სარგებლიანობას, ვიდრე დახარჯული რესურსების სარგებლიანობა.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური მოღვაწეობა არის დროში მიმდინარე პროცესი. ამ პროცესში რესურსების ხარჯვა წინ უსწრებს პროდუქტების მიღებას. მაგრამ პროდუქტების მიღება არ არის გარანტირებული. შესაძლებელია რესურსების სახით სარგებლიანობა დაიკარგოს, ხოლო მის ნაცვლად შესაძლოა არაფერი იყოს მიღებული. ამ შემთხვევაში რესურსების სარგებლიანობა გარდაიქმნება არა ხარჯებად, არამედ დანაკარგებად. ანუ, ეკონომიკური მიზნების რეალიზაცია დაკავშირებულია რესურსების დაკარგვის რისკთან. და საჭიროა ნების ძალისხმევა, მეწარმეობრივი სულისკვეთება, რათა სუბიექტმა გაუძლოს რისკის ”ზეწოლას”, დაწყებული რესურსების გარდაქმნის მომენტიდან რეზულტატების მიღებამდე.

“სუბიექტური ხარჯები”, მეწარმეობრივი ძალისხმევა, მისი გონება და ნება არის საბოლოო ჯამში ეკონომიკური ფასეულობის ზრდის პირველწყარო. სუბიექტი არ წავა რესურსების სარგებლუიანობის დაკარგვის რისკზე, თუ

მას არ აქვს სარგებლიანობის, ანუ სახმარი ფასეულობის ზრდის იმედი, ანუ ზედმეტი ფასეულობის მიღების იმედი. "სუბიექტური ხარჯები", ანუ "მეწარმეობრივი ძალისხმევა" აუცილებელი კომპონენტია წარმოების "ობიექტურ" ხარჯებთან ერთად.

რეზულტატში განივთებულია ადამიანის მოღვაწეობა და ესე იგი მასში რეალიზებულია ადამიანის თავისუფლება. მიზნების არჩევისას ადამიანი არის თავისუფალი. მაგრამ იქამდე, სანამ მისი მიზნები არ არის რეალიზებული, ობიექტივირებული, იქამდე მისი თავისუფლება არის მხოლოდ წარმოსახვითი. ანუ თავისუფლებამ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება აუცილებლობას და რომ მას გააჩნია არსებობის უფლება რეალიზებული ფორმით, როგორც რეზულტატი. ეკონომიკური ფასეულობა სწორედ იმიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ადამიანისთვის, რომ მასში რეალიზებულია მისი ეკონომიკური თავისუფლება და თვითონაც არის ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების წყარო. ხოლო ეკონომიკური თავისუფლება არ არის უბრალოდ ეკონომიკური სარგებლიანობა, რაღაც ისეთი, რაც მოცემულია "დანახარჯების" გარეშე. თავისუფლება მოიპოვება მხოლოდ ძალისხმევის, მოღვაწეობის და სინამდვილესთან "ბრძოლის" ფასად, ხარჯების გაღების შედეგად.

წარმოების ობიექტური ფაქტორები (შრომა, მიწა, კაპიტალი), ანუ პირველადი რესურსები,[40] არსებობენ ისეთი ფორმით, რომელიც გამოუყენებელია ადამიანის საბოლოო მოთხოვნილებების უშუალოდ დასაკმაყოფილებლად. რთული გარდაქმნების შემდეგ, ნაბიჯ ნაბიჯ, ისინი იღებენ სხვა ფორმას, რომელიც მისადაგებულია ადამიანის საბოლოო მოთხოვნილებების უშუალოდ დასაკმაყოფილებლად. საბოლოო პროდუქტებში არ არის, და არც შეიზლება იყოს რაიმე, რაც არ არის პირველად რესურსებში. მათ შორის სხვაობა მთლიანად დაიყვანება მათი არსებობის ფორმის სხვაობამდე, რომლის წყალობითაც საბოლოო პროდუქტის სარგებლიანობა (და ე.ი. ფასეულობა) მეტია, ვიდრე პირველადი რესურსების სარგებლიანობა. სწორედ ადამიანის ნებამ მოიყვანა პერველადი რესურსები ისეთ ურთიერთქმედებაში, რომლის შედეგადაც მათ მიიღეს მისთვის სასურველი, საბოლოო მოხმარებისათვის ვარგისი ფორმა. მისი ნების ძალისხმევის გარეშე (სუბიექტური დანახარჯების გარეშე), ანუ მეწარმეობრივი ფაქტორის გარეშე, ეს ვერ მოხდებოდა. და ეს აისახება პროდუქტის საწარმოო ფასეულობის სტრუქტურაში, რომელიც შედგება დახარჯული პირველადი რესურსების ფასეულობებისა და ზედმეტი ფასეულობისაგან.[41]

მოთხოვნილების დაკმაყოფილება ნიშნავს გარკვეული ტექნოლოგიის მიხედვით რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის პროცესს. (საბოლოო მოთხოვნილებების შემთხვევაში "პროდუქტად გვევლინება თვით ადამიანი,

---

[40] ტერმინები "პირველადი რესურსები" და "საბოლოო პროდუქტები" სტატიაში გამოყენებულია რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობით, ვიდრე საერთოდ ეკონომიკურ ლიტერატურაში.

[41] რომელიც შეესაბამება "სუბიექტური ხარჯებს", ანუ მეწარმეობრივ ძალისხმევას.

თავისი მოთხოვნილებებით და პირვალადი რესურსებით). ანუ ეს არის სასარგებლო რესურსების გარდაქმნა კიდევ უფრო მეტად სასარგებლო პროდუქტებად, რომლის დროსაც რესურსების სარგებლიანობა ტრანსფორმირდება ამ პროდუქტებში განივთებულ "ობიექტურ" ხარჯებში.

დაუშვათ გარკვეული დროის ინტერვალში რესურსების მარაგი, ტექნოლოგია და სუბიექტის მოთხოვნილებები ფიქსირებულია. მოცემული ტექნოლოგიის პირობებში ცალკეული პროდუქტის წარმოებაზე გაწეული ხარჯები დამოკიდებულია რესურსების სარგებლიანობაზე ანუ, გამოყენებული რესურსების დეფიციტურობაზე. მაგრამ ვინაიდან დროის მოცემულ ინტერვალში რესურსების დეფიციტურობა (სარგებლიანობა) უცვლელია და არ არის დამოკიდებული მწარმოებელზე, ამიტომ არც ხვედრითი ხარჯების სიდიდე არის დამოკიდებული მწარმოებელზე[42]. წარმოებული პროდუქტების როგორც პირველი, ისე ბოლო ერთეულები შეიცავენ ერთნაირ ხარჯებს. მაგრამ წარმოებული პროდუქტების სარგებლიანობა, ანუ დეფიციტურობა, დამოკიდებულია მათი წარმოების მოცულობაზე, ე.ი. დამოკიდებულია მწარმოებლის ნებასურვილზე. იგი თვითონ წყვეტს თუ რა მოცულობით, რა პროპორციით აწარმოოს პროდუქტები. კლებადი სარგებლიანობის კანონის თანახმად ყოველი დამატებითი ერთეული პროდუქტის სარგებლიანობა მცირდება. ე.ი. ადგილი აქვს წარმოებული პროდუქტის როგორც ზღვრული, ისე საშუალო სარგებლიანობის შემცირებას წარმოების ზრდასთან ერთად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმოების ზრდა იწვევს პროდუქციის სარგებლიანობის (როგორც ზღვრული, ისე საშუალი) შემცირებას ხარჯების ყოველ დამატებით ერთეულზე. ამავე პროცესის წარმოდგენა შეგვიძლია შებრუნებულად, როგორც სარგებლიანობის ყოველ დამატებით ერთეულზე ზღვრული და საშუალო ხარჯების ზრდა. ანუ ზღვრული და საშუალო ხარჯების ზრდა სარგებლიანობის ერთეულზე, და მეორეს მხრივ, ზღვრული და საშუალო სარგებლიანობის შემცირება დანახარჯების ერთეულზე, წარმოადგენენ ერთი და იგივე პროცესის სხვადასხვა მხარეს.

ოპტიმიზაციის მიზნით პროდუქტის თვითეული სახეობის წარმოება უნდა იზრდებოდეს იქამდე, სანამ წარმოების ყოველ დარგში რესურსების ხარჯების ყოველ ერთეულზე მოვა სარგებლიანობის ერთი და იგივე სიდიდე. ანუ იქამდე, სანამ წარმოების სხვა და სხვა სახეობებში გაწეული მთლიანი (ან საშუალო[43]) ხარჯები მოვლენ ისეთივე თანაფარდობაში ერთმანეთთან, როგორც ამ წარმოებაში შექმნილი მთლიანი (ან საშუალო) სარგებლიანობები.

---

[42] შინამდვილეში, რაც უფრო მეტი რესურსები დაიხარჯება ერთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო ნაკლები დარჩება სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ე.ი. იზრდება დარჩენილი რესურსების დეფიციტურობა და სარგებლიანობაც. შესაბამისად იზრდება ხარჯებიც ყოველი მომდევნო პროდუქტის წარმოებაზე. ანუ ადგილი აქვს ზღვრული დანახარჯების ზრდის ტენდენციას. ანალიზის გასამარტივებლად ჩვენ არ ვითვალისწინებთ ამ ტენდენციას, თუმცა საერთო დასკვნა ძალაში რჩება.

[43] საშუალოდ პროდუქციის ერთეულზე.

თუ ყველა დარგში ზედმეტი ფასეულობის ნორმა იქნება ერთნაირი, ასეთ შემთხვავაში პროდუქციის მთლიანი სარგებლიანობის მატება დახარჯული რესურსების მთლიან სარგებლიანობასთან შედარებით წარმოების ყველა დარგში იქნება პროპორციული. დანარჩენ შემთხვევებში ადგილი აქვს საერთო ეკონომიკური წონასწორობის დარღვევას. ერთი მხრივ, იბადება **დეფიციტი**, როდესაც ხარჯების ერთეულზე მოდის საშუალოზე უფრო მეტი სარგებლიანობა. მეორე მხრივ, იბადება **სიჭარბე**, როდესაც ხარჯების ერთეულზე მოდის საშუალოზე უფრო ნაკლები სარგებლიანობა. დეფიციტი და სიჭარბე განაპირობებენ ერთმანეთს და მიუთითებენ იმაზე, რომ რესურსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნა ნაკლებად სარგბლიანი პროდუქტების წარმოებაზე ნაცვლად იმისა, რომ ეწარმოებინათ უფრო დეფიციტური, უფრო სარგებლიანი პროდუქტები. ანუ რესურსების ნაწილი გამოყენებულია არაეფექტურად. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სამეწარმოო რისკის განსხვავებებს სხვადასხვა დარგებში, მაშინ წონასწორობის პირობებში ფასეულობის მატების ნორმა იქნება პროპორციული სამეწარმეო რისკისა.

ოპტიმალურობისაკენ სწრაფვისას სუბიექტი უბრალოდ აფარდებს პროდუქტების ფასეულობას დახარჯული რესურსების ფასეულობასთან და თუ წარმოების ყველა დარგში ფასეულობის ნამატი პროპორციულია სამეწარმეო რისკისა, მაშინ მთელი ეს ეკონომიკური საქმიანობა ოპტიმალურია და შეესაბამება სუბიექტის მოთხოვნილებების სტრუქტურას.

ნატურალური ეკონომიკის პირობებში ფასეულობათა სიდიდის განსაზღვრა ხდება უშუალოდ, მათი პირდაპირი შეთანაზომების გზით. საბაზრო ეკონომიკაში ფასეულობები (ღირებულებები) უფრო ზუსტად იზომება სპეციალური მასშტაბით, ღირებულების საზომი ერთეულით – ფულით.

1.4.2. საზოგადოებრივი ფასეულობა, ანუ ღირებულება

საზოგადოებრივი ფასეულობის (ღირებულების) ფორმირება ინდივიდუალური ფასეულობის საფუძველზე მჭიდროდ არის დაკავშირებული (ეკონომიკური მოღვაწეობის ახალი სუბიექტის – საზოგადოების ჩამოყალიბებასთან) შრომის დანაწილების გაღრმავების პროცესთან. ნატურალური მეურნეობის სუბიექტებს შეიძლება გააჩნდეთ შემთხვევითი დეფიციტები და ჭარბი პროდუქტები. ის, რაც ერთისთვის სიჭარბეა, შეიძლება მეორესთვის იყოს დეფიციტი. ჭარბი პროდუქტების გაცვლა ურთიერთ მომგებიანია. ეს ხელს უწყობს თანაბარსარგებლიანობის მიღწევას და ე.ი. გაცვლაში მონაწილე მხარეების საქმიანობის ოპტიმიზაციას.

დროთა განმავლობაში გაცვლა იღებს მუდმივ ხასიათს, რაც ხელს უწყობს შრომის დანაწილებას და სპეციალიზაციას. რაც უფრო ღრმაა შრომის

დანაწილება, მით უფრო მჭიდროა ცალკეული სუბიექტების ერთმანეთზე დამოკიდებულება. ცხადი ხდება, რომ შრომის დანაწილებაში და გაცვლაში მონაწილე სუბიექტებისაგან თანდათან ფორმირდება ახალი წარმონაქმნი – საზოგადოება, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის დამოუკიდებელი სუბიექტი.

საზოგადოება არ არის კერძო სუბიექტების უბრალო ჯამი, არამედ რთული, ერთიანი სისტემა, რომელიც შედგემა მრავალი ელემენტისაგან. საზოგადოება, როგორც სუბიექტი, საჭიროებს მისი მოღვაწეობის ოპტიმიზაციის ეკონომიკურ მექანიზმს და საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფასეულობებს, ანუ ღირებულებებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეს ოპტიმიზაცია.

როგორც საზოგადოებრივ, ისე ინდივიდუალურ ეკონომიკაში ზოგადად მოქმედებენ ერთი და იგივე ეკონომიკური კანონზომიერებები, თუმცა მათ გააჩნიათ გამოვლენის სხვადასხვა ფორმები. მაგალითად საზოგადოებრივი მოთხოვნილებები ძირითადად არსებობენ არა ერთიანი საზოგადოებრივი მიზნების და წინასწარ დასახული გეგმების სახით, არამედ ხდება მათი სპონტანური აგრეგირება ინდივიდუალური მოთხოვნილებების საფუძველზე. იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებრივ წარმოებაზე და მოხმარებაზე. კერძო სუბიექტები მოქმედებენ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა ამ განცალკევებული მოქმედებათა შედეგი არის საბაზრო ეკონომიკის მოწესრიგებული ფუნქციონირება. ადგილი აქვს "სპონტანურ წესრიგს" (ჰაიეკი). როგორ ხდება ეს?

იმ პირობებში, როდესაც დამოუკიდებელი კერძო მწარმოებლები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმის ფარგლებში მხოლოდ თავისი პროდუქტების გაცვლის მეშვეობით, თვით ეს გაცვლა უნდა შეიცავდეს თავის თავში საქონელში განივთებული საზოგადოებრივი ხარჯების და საზოგადოებრივი სარგებლიანობის ურთიერთ შეთანაზომების მექანიზმს. თუ ღირებულების საფუძველზე სასაქონლო გაცვლის პროცესში წარმოიქმნება საბაზრო ძალები, რომლებიც მოიყვანენ შესაბამისობაში საზოგადოებრივ ხარჯებს და საზოგადოებრივ სარგებლიანობებს, რომელნიც განივთებულნი არიან სხვადასხვა საქონელში. ანუ თუ იბადება სტიმულები, რომელნიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ხარჯების თანაბარსარგებლიანობას (ან ერთნაირი სარგებლიანობების "თანაბარხარჯიანობას") წარმოების და გაცვლის პროცესში, მაშინ ამით უკვე ხდება საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნილებების სტრუქტურასთან.

შრომის დანაწილების პირობებში სუბიექტი თავის რესურსებით აწარმოებს პროდუქტებს სხვებისთვის, ხოლო შემდაქ ცვლის მათ უშუალოდ მისთვის საჭირო საქონელზე. მის მიერ წარმოებული საქონელი ასრულებს შუალედური პროდუქტის როლს. თუ მოვახდენთ აბსტრაგირებას წარმოებისა და გაცვლის შუალედური ეტაპებისაგან, მაშინ საბოლოო ჯამში მივიღებთ, რომ სუბიექტი იკმაყოფილებს თავის საბოლოო მოთხოვნილებებს მის განკარგულებაში მყოფი პირველადი რესურსებით.

სუბიექტის მოთხოვნილება ამა თუ იმ საქონელში არის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. ეს არის მოთხოვნილება, რომელიც უზრუნველყოფილია მის განკარგულებაში მყოფი რესურსებით და სუბიექტი მზადაა გადაიხადოს საქონლის საფასური. შესაბამისად შესასყიდი საქონლის სარგებლიანობა არის სარგებლიანობა, რომლის შეძენაც ხდება სათანადო ანაზღაურების მეშვეობით, საგადამხდელო საშუალებების ხარჯვის მეშვეობით. ეს არის ანაზღაურებადი სარგებლიანობა. ანუ არის სარგებლიანობა, რომელიც საჭიროებს საფასურის გადახდას. ამიტომ მოთხოვნილებების ინტენსიობა ამა თუ იმ საქონელზე, და შესაბამისად, ამ საქონლის სარგებლიანობის სიდიდე, იზომება იმ დანახარჯებით, რომელიც სუბიექტი მზად არის გაიღოს ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ანუ ამ სარგებლიანობის მისაღებად.

ზემოთქმულის გათვალისწინებით განვიხილოთ სასაქონლო გაცვლის აქტი: x რაოდენობის A საქონელი იცვლება y რაოდენობის B საქონელზე, ანუ, სიმარტივისათვის A იცვლება B-ზე. A საქონლის მფლობელმა უნდა გაიღოს თავისი საქონელი, რათა შეიძინოს B საქონელი. მაგრამ ვინაიდან ამ სუბიექტისათვის A პროდუქტი ასრულებს მხოლოდ შუალედური პროდუქტის როლს მისი უშუალო მოხმარებისათვის საჭირო საქონლის შესაძენად, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ B საქონელის სარგებლიანობა იზომება იმ ხარჯების სიდიდით, რომელიც განივთებულია A პროდუქტში. გაცვლის ამ აქტში სუბიექტისათვის, როგორც **მომხმარებლისათვის,** არა აქვს მნიშვნელობა როგორია ხარჯები B საქონლის წარმოებაზე. მისთვის მთავარია, თუ როგორია B-ს სარგებლიანობა და როგორია ხარჯები A-ს წარმოებაზე და რეალიზაციაზე. (სწორედ ამ ხარჯების სიდიდით იზომება მისთვის B საქონლის სარგებლიანობა.) სწორედ ამ ხარჯებით (A-ს წარმოებაზე) იხდის იგი საბოლოო ჯამში B-ს სარგებლიანობის საფასურს. ანუ უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, გაყიდულ საქონელში განივთებული ხარჯებით იზომება ნაყიდი საქონლის სარგებლიანობა. გაცვლის ფაქტიური პროპორციები ფორმირდება გასაყიდი საქონლის ხარჯების შეთანაზომებით შესასყიდი საქონლის სარგებლიანობასთან. სწორედ ამ გზით თვითეული მხარე განსაზღვრავს მისთვის ყველაზე უფრო უარეს (მაგრამ დასაშვებ) გაცვლის პროპორცვიებს. და ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე უფრო ცუდია ერთი მხარისათვის, არის საუკეთესო მეორე მხარისათვის ამ გაცვლით აქტში არსებულ შესაძლებლობებს შორის. ხოლო ფაქტიური პროპორციები არის მხარეებს შორის კომპრომისის შედეგი.

მაგრამ როგორც **მწარმოებლებს,** მხარეებს აინტერესებთ არა მარტო შესასყიდი საქონლის სარგებლიანობა, არამედ მის წარმოებაზე გაწეული ხარჯებიც. მაგალითად A საქონლის მფლობელისათვის არ არის სულერთი როგორია ხარჯები B-ს წარმოებაზე. როგორც მწარმოებელი იგი ადარებს თავის ხარჯებს A-ს წარმოებაზე, B-ს წარმოების ხარჯებთან. თუ A-ზე გაწეული ხარჯები მეტია, ვიდრე B-ს წარმოებაზე გაწეული ხარჯები, მაშინ

შემდგომში მისთვის უფრო მომგებიანია თვითონ აწარმოოს B თავისი მოხმარებისათვის, ვიდრე აწარმოოს A, და შემდეგ გაცვალოს B-ზე. ე.ი. გაცვლის დროს ყოველი მხარე, როგორც მომხმარებელი, ათანაზომებს თავის ხარჯებს მოპირისპირე საქონლის სარგებლიანობასთან, ხოლო როგორც მწარმოებელი –იმავე საქონლის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებთან.

თუ განვაზოგადებთ ზემოთ მიღებულ დასკვნებს **საზოგადოებრივი** პროდუქტების გაცვლის შემთხვევაზე, და თუ გავითვალისწინებთ, რომ გაცვლაში მონაწილე ორივე მხარე არის წარმომადგენელი ერთი და იგივე ერთობლივი საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და საზოგადოებრივი წარმოებისა, მივიღებთ შემდეგს. A საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობა იზომება B-ს წარმოებზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯებით. ხოლო, B-ს საზოგადოებრივი სარგებლიანობა – A-ს წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯებით. ნებისმიერი საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობა იზომება საზოგადოებრივი რესურსების იმ ხარჯებით, რომელსაც საზოგადოება (ამა თუ იმ მყიდველის სახით) გამოყოფს ამ საქონლის მისაღებად. არა აქვს მნიშვნელობა რაში გამოიხატება საზოგადოების მიერ გამოყოფილი ეს რესურსები – კონკრეტულ საქონელში, თუ ფულში. (ფულის უკან დგას ისევ საქონელი). მთავარია ის, რომ საზოგადოება მიზანშეწონილად სთვლის გაიღოს ხარჯები მოცემული სარგებლიანობის, ანუ საქონლის, მისაღებად. და ყველა საქონელი, გატანილი ბაზარზე, აღმოჩნდება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სამსჯავროზე, რომლებიც (მოთხოვნილებები) თავის მხრივ ეფუძნებიან საზოგადოების შესაძლებლობებს. და მხოლოდ ორივე ამ ფაქტორის შეთანაზომების გათვალისწინებით – მოთხოვნილებების (შესაძენი საქონლის სარგებლიანობა) და შესაძლებლობების (გადახდისუნარიანობა) –საზოგადოება, როგორც სუბიექტი, "იღებს გადაწყვეტილებას" იმის შესახებ, თუ მის ხელთ არსებული რესურსების რა ნაწილი გაიღოს აღნიშნული საქონლის შესაძენად. იმის გათვალისწინებით, რომ გაცვლის პროცესში ხდება აგრეთვე სხვა და სხვა საქონელის წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯების შეთანაზომება, მივიღებთ, რომ გაცვლის ერთი და იგივე აქტში ხდება საქონლის წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯების შეთანაზომება ამავე საქონლის საზოგადოებრივ სარგებლიანობასთან. რადგან მოცემული საქონლის სარგებლიანობა იზომება მოპირდაპირე საქონელზე გაწეული ხარჯებით. ამიტომ ორივე საქონელი, ეთანაზომებიან რა ერთმანეთს ხარჯების მიხედვით, ისინი ათანაზომებენ აგრეთვე თავის ხარჯებს თავისივე სარგებლიანობასთან. და ეს ხდება ყოველი საქონლის მხრიდან. გარდა ამისა, აქედან გამომდინარეობს, რომ გაცვლის პროცესში ორივე საქონელი ერთმანეთს ეთანაზომება როგორც სარგებლიანობაც. და ისევ, თუ სარგებლიანობა იზომება იმ საფასურით, რომელსაც გაიმეტებს მის შესაძენად (ხოლო ამ შემთხვევაში საფასური არის მოპირდაპირე საქონელში განივთებული ხარჯები), მაშინ ეთანაზომებიან რა მათში განივთებული ხარჯების მიხედვით,

ორივე საქონელი ერთმანეთს ეთანაზომება აგრეთვე სარგებლიანობის მიხედვითაც.

ნებისმიერი სუბიექტი (როგორც კერძო, ისე მთლიანად საზოგადოება) ერთდროულად არის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. და ყოველ სუბიექტს ბაზარზე გამოაქვს როგორც საზოგადოებრივი წარმოების პროდუქციის ნაწილი, (რომლის სანაცვლოდაც მოითხოვს საზოგადოებრივი პროდუქტის სხვა ექვივალენტურ ნაწილს), ასევე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ნაწილი, ანუ სურს იყიდოს საზოგადოებრივად სასარგებლო საქონელი (რომლის საფასურსაც იხდის თავისი საქონელით). გაცვლაში მონაწილე მხარეები, როგორც **მომხმარებლები**, ადარებენ თავის ხარჯებს შესასყიდი საქონლის სარგებლიანობასთან, ხოლო როგორც მწარმოებლები – შესასყიდი საქონლის ხარჯებთან.

გაცვლაში მონაწილე მხარეები, როგორც **მომხმარებლები**, მოითხოვენ თავისი ხარჯების სანაცვლოდ საზოგადოებრივ სარგებლიანობას, რომელიც შეესაბამება მის ხარჯებს გაცვლის ნორმალურ პირობებში. აღნიშნული მხარეების ურთიერთ საპირისპირო ინტერესებისა და მისწრაფებების ტოლქმედს მივყავართ იქამდე, რომ საშუალოდ ეკონომიკაში შესასყიდი საქონლის სარგებლიანობა მოდის შესაბამისობაში გასაყიდი საქონლის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებთან. და რადგან ყოველი საქონელი ერთდროულად არის როგორც ყიდვის, ისე გაყიდვის ობიექტი, ამიტომ იბადება ხარჯების თანაბარსარგებლიანობის ტენდენცია (მიუხედავად იმისა, თუ კონკრეტულად რომელ საქონელშია განივთებული ეს ხარჯები). ამასთანავე სუბიექტის, როგორც **მწარმოებლის,** მისწრაფებებს გრძელვადიან პერსპექტივაში მივყავართ იქამდე, რომ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული ცვლილებების წყალობით ყალიბდება ყველა გასაცვლელ საქონელში განივთებული ხარჯების გათანაბრების ტენდენცია.

მაგრამ თუ გასაცვლელ საქონელში ერთმანეთს უტოლდება მათ წარმოებაზე გაწეული ხარჯები, ხოლო ამ ხარჯებს შეესაბამება მათთვის ადექვატური სარგებლიანობა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ ეკონომიკაში (გრძელვადიან პერიოდში) გაცვლაში მონაცილე საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობებს და მათ წარმოებაზე გაწეულ საზოგადოებრივ ხარჯებს აქვთ გამოთანაბრების ტენდენცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბზრო ეკონომიკაში ყოველი საქონელი პოტენციურად იცვლება ნებისმიერ სხვა საქონელზე, მაშინ საბაზრო პროცესის ყველა მონაწილის საპირისპირო ინტერესების ურთიერთგადაკვეთა ბადებს მთლიანად ეკონომიკაში გაწეული ხარჯების თანაბარსარგებლიანობისაკენ სწრაფვის ტენდენციას. ანუ ტენდენციას, რომლის თანახმადაც ხარჯების ყოველ ერთეულზე მოდის ერთნაირი სარგებლიანობა. ამის მეშვეობით მიიღწევა საერთო ეკონომიკური წონასწორობა.

ცხადია, რომ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და წარმოებას შორის დისბალანსის შემთხვევაში იბადება შეუსაბამობა ერთი და იგივე საქონელში განივთებულ სარგებლიანობასა და საზოგადოებრივ ხარჯებს შორის. აგრეთვე იბადება დისბალანსი სხვადასხვა გასაცვლელ პროდუქტებში

განივთებულ საზოგადოებრივ ხარჯებს შორის. თუ წარმოებულია ჭარბი საქონელი, მაშინ საქონელში განივთებული ხარჯების ყოველ ერთეულზე მოდის უფრო მცირე საზოგადოებრივი სარგებლიანობა, ვიდრე საშუალოდ ეკონომიკაში (ანუ სარგებლიანობის ყოველ ერთეულზე მოდის მეტი ხარჯები, ვიდრე საშუალოდ). ამიტომ გაცვლის დროს ამ საქონლის მყიდველი იძლევა ნაკლებ საქონელს, ვიდრე თხოულობს გამყიდველი თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად. რადგან მყიდველი გამომდინარეობს ამ საქონლის სარგებლიანობიდან, ხოლო გამყიდველი ორიენტაციას იღებს თავის ხარჯებზე. ადგილი აქვს წინააღმდეგობას ამ საქონლის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. მაგრამ ცხადია, რომ ამ საქონლის წარმოება წამგებიანია მწარმოებლისთვის, ხოლო მოხმარება მომგებიანია მომხმარებლისთვის. დროთა განმავლობაში ეს გამოიწვევს ამ საქონლის წარმოების შემცირებას და ამავდროულად, მისი მოხმარების ზრდას. წონასწორობა აღსდგება.

ზუსტად საპირისპირო რამ ხდება დეფიციტური წარმოების დროს. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი სარგებლიანობა, რომელიც მოდის ხარჯების ერთეულზე, მეტია, ვიდრე საშუალოდ ეკონომიკაში. ხოლო ხარჯები, რომელიც მოდის სარგებლიანობის ერთეულზე – ნაკლები. მათი საქონლის სანაცვლოდ მწარმოებლებს სთავაზობენ უფრო მაღალ საფასურს, ვიდრე ეს შეესაბამება მათ ფაქტიურ ხარჯებს საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში. ეს გარემოება მომგებიანს ხდის წარმოებას მწარმოებლებისათვის, და წამგებიანს ხდის მოხმარებას მომხმარებლებისათვის. იბადემა ამ საქონლის წარმოების გაფართოების, და მოხმარების შემცირების სტიმულები. წონასწორობა ისევ აღსდგება. როგორც ვხედავთ ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა ამძაფრებს ეკონომიკური ფასეულობის შინაგან წინააღმდეგობებს საზოგადოებრივ სარგებლიანობასა და საზოგადოებრივ ხარჯებს შორის. თავის მხრივ ეს ბადებს ეკონომიკურ ძალებს, რომლებიც მიმართულია წონასწორობის აღდგენაზე. ანუ ეკონომიკური სისტემა მდგრადია და თვითრეგულირებადი.

ფაქტიური ხარჯების შეთანაზომება ფაქტიურ სარგებლიანობასთან ნიშნავს ფაქტიური ხარჯების შეთანაზომებას საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებთან. ანუ იმ ხარჯებთან, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული ფაქტიური სარგებლიანობის მისაღებად მოღვაწეობის ნორმალურ პირობებში. (ხოლო იდეალურ, თეორიულ შემთხვევაში, შეთანაზომება ხდება არა საშუალო, არამედ ოპტიმალურ პირობებში გაწეულ ხარჯებთან). ანუ ყველაფერი დაიყვანება ფაქტიური და საზოგადოებრივად აუცილებელი ხარჯების შეთანაზომებაზე. შეიძლება აგრეთვე ყველაფერი დავიყვანოდ ფაქტიური სარგებლიანობის შეთანაზომებამდე საზოგადოებრივად აუცილებელ სარგებლიანობასთან. ანუ იმ სარგებლიანობასთან, რომელიც შეესაბამება ამ ფაქტიურ ხარჯებს მოღვაწეობის ნორმალურ (ოფტიმალურ) რეჟიმში.

განვიხილოდ შემთხვევა, როდესაც ხარჯების ერთეულზე მოდის საშუალოზე მეტი სარგებლიანობა. ეს იგივეა, როდესაც სარგებლიანობის

ერთეულზე მოდის საშუალოზე ნაკლები ხარჯები. ეს შეიძლება იყოს ან დეფიციტური წარმოების, ან წარმოების უფრო პროგრესული მეთოდების გამოყენების შედეგი. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ასეთი საქონელი ანაზღაურდება მისი ფაქტიური სარგებლიანობის შესაბამისად ისეთი საზოგადოებრივად აუცილებელი ხარჯებით, რომელიც მეტია ამ საქონელში განივთებულ ფაქტიურ ხარჯებზე. ამიტომ მწარმოებლისათვის მომგებიანია როგორც დეფიციტური საქონელის წარმოება, ასევე წარმოების პროგრესული მეთოდების გამოყენება. დაფიციტური საქონელის წარმოების გაფართოება ხელს უწყობს დეფიციტის ლიკვიდირებას. ხოლო წარმოების პროგრესული მეთოდების გავრცელების შედეგად ეს მეთოდები გახდება ნორმალური (აღარ იქნება პროგრესული). როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში აღდგება ნორმალური, საშუალო თანაფარდობა საქონელში განივთებულ სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის. წონასწორობა აღდგება.

განვიხილოდ საპირისპირო შემთხვევა, როდესაც ხარჯების ერთეულზე მოდის საშუალოზე ნაკლები სარგებლიანობა. ანუ სარგებლიანობის ერთეულზე მოდის საშუალოზე მეტი ხარჯები. ეს შეიძლება იყოს ან ჭარბი წარმოების შედეგი, ან წარმოების მოძველებული მეთოდების გამოყენების შედეგი. ამ შემთხვევაში ასეთი საქონლის ანაზღაურება ხდება მისი ფაქტიური სარგებლიანობის მიხედვით საზოგადოებრივად აუცილებები ხარჯებით. ასეთი ანაზღაურება ვერ ფარავს მის წარმოებაზე გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს. ამიტომ მწარმოებლისათვის წამგებიანია როგორც ჭარბი საქონელის წარმოება, ასევე მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება. ეს იწვევს ჭარბი საქონელის წარმოების შემცირებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. ორივე პროცესი ხელს უწყობს ხარჯების თანაბარსარგებლიანობის აღდგენას.

ჭარბი წარმოებიდან რესურსების გადანაწილება დეფიციტურ დარგებში იწვევს სარგებლიანობის ზრდას ხარჯების ერთეულზე. ხოლო მოძველებული ტექნოლოგიების პროგრესულით შეცვლა იწვევს ხარჯების შემცირებას სარგებლიანობის ერთეულზე. ორივე პროცესის სტიმულირებას იწვევს გასაცვლელ საქონელში განივთებული საზოგადოებრივი ხარჯების შეუსაბამობები და ეფუძნება მწარმოებლის ლოგიკას, რომელიც ცდილობს აწარმოოს მაღალანაზღაურებადი საქონელი მინიმალური ხარჯებით. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს პროცესები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ხარჯების თანაბარსარგებლიანობის მიღწევას.

ხოლო უშუალოდ საქონლის გაცვლის პროცეში, უკვე წარმოებული სასაქონლო მასების რაციონალური განაწილება მომხმარებლებს შორის ხორციელდება გაცვლაში მონაწილე მხარეების სწრაფვით დაადგინონ გაცვლითი პროპორციები გასაყიდ საქონელზე გაწეული ხარჯების და შესასყიდი საქონლის სარგებლიანობის შეთანაზომების საფუძველზე. ეს ხელს უწყობს საზოგადოებრივი წარმოების შედეგების თანაბარსარგებლიან განაწილებას გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისად. და ყველა ეს შეთანაზომება ხდება საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობების (ღირებულებების) მეშვეობით.

როგორც დოვლათის მომხმარებელი, საზოგადოება (ამა თუ იმ კერძო მომხმარებლის, მყიდველის სახით) აღიქვავს დოვლათის ღირებულებას, როგორც საზოგადოებრივ **სახმარ ღირებულებას**. სახმარი ღირებულება ასახავს საქონლის საზოგადოებრივად აუცილებელ სარგებლიანობას. ეს ისეთი სარგებლიანობაა, რომელიც შეიძლება იქნას მიღებული მოცემული ფაქტიური ხარჯებით წარმოების და გაცვლის ნორმალურ (საშუალო) პირობებში. ანუ სახმარი ღირებულება არის ნორმატიული სიდიდე. ფაქტიური სარგებლიანობა, რომელიც მიღებულია მოცემული ხარჯებით, ტოლია სახმარი ღირებულებისა მხოლოდ წარმოების და გაცვლის ნორმალურ პირობებში.

ამასთანავე საზოგადოება, როგორც მწარმოებელი (ამა თუ იმ კერძო მწარმოებლის, გამყიდველის სახით), აღიქვავს პროდუქტის ღირებულებას როგორც **საწარმოო ღირებულებას**. ანუ თუ გამოვიყენებთ უფრო ნაცნობ ტერმინოლოგიას, როგარც **საცვლელ ღირებულებას**[44]. საცვლელი ღირებულება ასახავს საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს. ეს არის ხარჯები, რომელიც აუცილებელია მოცემული საქონლის ფაქტიური სარგებლიანობის მისაღებად წარმოების და გაცვლის ნორმალურ პირობებში. და ამ შემთხვევაშიც, საცვლელი ღირებულება ნორმატიული სიდიდეა. მხოლოდ წარმოების და გაცვლის ნორმალურ პირობებში უდრის იგი ფაქტიურ ხარჯებს, რომლითაც მიიღება მოცემული სარგებლიანობა საშუალოდ ეკონომიკაში.

ბუნებრივია, მოღვაწეობის ნორმალურ რეჟიმში საქონლის სახმარი და საცვლელი ღირებულება შეესაბამებიან ერთმანეთს. ხოლო დეფიციტის ან ჭარბი წარმოების შემთხვევაში მათ შორის იბადება დისბალანსი.

რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებას შეუძლია გამოყოს რესურსების გარკვეული რაოდენობა, რომელიც, საბოლოო ჯამში უნდა იქნას გადახდილი სხვა, ტოლფასი ღირებულების რესურსებით, რომლებიც განივთებულია სხვა საქონელში. ეს არის შრომის დანაწილების გარდუვალი შედეგი. მაგრამ, თუ ფაქტიურად წარმოებულია მეტი ან ნაკლები საქონელი, ვიდრე ეს საჭიროა საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაშინ იბადება შეუსაბამობა იმ ხარჯების სიდიდეს შორის, რომელიც განივთებულია თვით ამ საქონელში, და იმ ხარჯების სიდიდეს შორის, რომლითაც იქნება ანაზღაურებული ეს საქონელი. (და რომელიც განივთებულია მასზე გასაცვლელ საქონელში). ბუნებრივია, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, ცალკეული მწარმოებლები და მომხმარებლები მოახდენენ თავისი საქმიანობის კორექტირებას: ან გაზრდიან, ან შეამცირებენ თავისი წარმოების და მოხმარების მოცულობას, რათა არ დარჩნენ წაგებაში. საბოლოო ჯამში, საქონლის წარმოება, გაცვლა და მოხმარება საბაზრო ღირებულების მიხედვით ორიენტირებულია წონასწორობის დამყარებაზე მთლიანად ეკონომიკურ სისტემაში, როდესაც სახმარი და საცვლელი ღირებულებები

[44] რადგან წარმოებული პროდუქცია ისევ გასაცვლელად არის გამიზნული.

გასაცვლელ საქონელში ტოლია. და მაშასადამე ერთნაირი სიდიდის საზოგადოებრივ ხარჯებზე მოდის ერთნაირი სიდიდის საზოგადოებრივი სარგებლიანობები. სწორად ეს ხარჯების თანაბარსარგებლიანობა არის საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი წარმოების პროპორციულობის პირობა. ხოლო ღირებულების კანონს მხოლოდ იმიტომ შეუძლია შეასრულოს საბაზრო ეკონომიკის რეგულატორის ფუნქცია, რომ უზრუნველყოფს ხარჯების თანაბარსარგებლიანობას.

შესაძლოა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები ეკონომიკური ფასეულობის (ღირებულების) როლის შესახებ ეკონომიკის თვითრეგულირებაში რამდენადმე სქემატურია, მაგრამ ასეთი ფართო პრობლემის უფრო დეტალური განხილვა ერთი სტატიის ფარგლებში ძალზე რთულია. მაგრამ ამ სტატიის მიზანიც უფრო მოკრძალებულია. ჩვენ შევეცადეთ არა "საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტების გამხელას", არამედ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო სქემის მოძიებას მისი ტელეოლოგიური და დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე.

II. ეკონომიკური რეფორმები

2.1. ნეოკლასიკა, ნეოლიბერალიზმი და პოსტაბჭოთა რეალობა

1. კრიზისი შეიძლება იყოს ენდოგენურიც და ეგზოგენურიც. ენდოგენური კრიზისი არის ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის შემადგენელი ნაწილი. ეგზოგენური კრიზისი გამოწვეულია გარე ფაქტორებით, მათ შორის, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით. ენდოგენური კრიზისების დროს ხდება სტიქიური საბაზრო პროცესებით წარმოშობილი დისპრპორციების ლიკვი-დირება და წონასწორობის აღდგენა. თუ აღმავლობა და კრიზისი განიხილებიან როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და სხვადასხვა მიზეზებით განპირობებული პროცესები, მაშინ სახელმწიფო ცდილობს, ერთი მხრივ, ეკონომიკური აღმავლობის სტიმულირებას, მეორე მხრივ, კრიზისის ჩახშობას. ეს იწვევს ეკონომიკური ციკლის დარღვევას და წარმოშობს ეგზოგენურ კრიზისებს. ასეთი პოლიტიკის შედეგად ექსპანსია გრძელდება დიდხანს, მაგრამ კრიზისიც ხდება ღრმა და ხანგრძლივი. აღმავ-ლობის პროცესში ხდება ეკონომიკურ ნაკადებს შორის წონასწორული პროპორციებიდან გადახრა. კრიზისის ხელოვნურად დროში გადავადება იწვევს ამ შიდასისტემური დისპროპორციების აკუმულირებას. ხოლო ადრე თუ გვიან ეს დისპროპორციები აღწევენ კულმინაციას. ხდება მათი ერთბაშად გამოვლენა. ეს ბადებს ჩვეულებრივზე უფრო ღრმა და ხანგრძლივ ეგზოგენურ კრიზისებს. ასეთი კრიზისები იყო „დიდი დეპრესია“, 70-ანი წლების კრიზისი და 2008 წლის „დიდი რეცესია“.

„დიდ დეპრესიამდე“ ეკონომიკურ მეცნიერებაში დომინი-რებდა ნეოკლსიკური თეორია, რომელიც, განვითარების იმ ეტაპზე არსებითად წარმოადგენდა მიკროეკონომიკურ თეორიას. ამ თეორიის თანახმად, ბაზარს აქვს თვითრეგულირების უნარი და, ამიტომ, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში ხელს უშლის მის ფუნქციონირებას. სწორედ ნეოკლსიციზმის დებულებებს

ეფუძნებოდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. გარკვეული პერიოდი ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა. მაგრამ, ევოლუციის პროცესში საბაზრო ეკონომიკა განიცდის ცვლილებებს. გაჩნდა ახალი პრობლემები: მონოპოლიზაცია, გლობალიზაცია, უთანაბ-რობა, გარემოს დაბინძურება. ეკონომიკაში ჩარევა და პროცესების რეგულირება გახდა აუცილებელი. ამან წარმოშვა სახელმწიფო სექტორის ზრდის ტენდენცია.

30-იანი წლების კრიზისის შედეგად ეკონომიკური მეცნიერება დადგა სერიოზული გამოწვევების წინაშე. მაშინ ამ გამოწვევებზე მეცნიერების პასუხი იყო კეინზის მაკროეკონომიკური თეორია. ამ თეორიაზე დაფუძნებული პოლიტიკა გულისხმობდა ერთობლივი მოთხოვნის მიზანმიმართულ რეგულირებას. ეს პოლიტიკა თითქოს ეფექტური აღმოჩნდა „დიდი დეპრესის“ დასაძლევად. მართალია, დღესაც კამათობენ - ხელი შეუწყო, თუ ხელი შეუშალა მან კრიზისის დაძლევას, მაგრამ ფაქტია, რომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 25 წელი, რომელიც აღბეჭდილი იყო განვითრებულ ქვეყნებში კეინზიანური პოლიტიკის დომინირებით, მიჩნეულია კაპიტალიზმის „ოქროს ხანად“.

მაგრამ 70-ან წლებში ეკონომიკაში თავი იჩინა ისეთმა მოვლენამ, როგორიც არის „სტაგფლაცია“. „დიდი დეპრესიის“ დროს მთავარი პრობლემა იყო უმუშევრობა, ახლა კი არის ერთდროულად უმუშევრობაც და ინფლაციაც. წლების განმავ-ლობაში ფისკალური მეთოდებით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებამ, რასაც გულისხმობდა კეინზიანური პოლიტიკა, ეკონომიკაში თანდათან გამოიწვია შიდასისტემური დეფორ-მაციები, რაც გამოვლინდა სტაგფლაციაში. ანუ, კეინზის პოლი-ტიკამ გამოიწვია ეკონომიკის ხანგრძლივი აღმასვლა, მაგრამ, შემდეგ, თვითონვე წარმოშვა კრიზისი ისეთი ფორმით, რომლის წინაშეც აღმოჩნდა უძლური.

ეკონომიკური მეცნიერება ისევ დადგა გამოწვევების წინაშე. კეინზიანური პარადიგმა ისევ ჩაანაცვლა ნეოკლასიკურმა პარა-დიგმამ. მაგრამ ეს უკვე იყო განახლებური ნეოკლასიკური თეორია. ამჯერად მიკროეკონომიკურ თეორიასთან ერთად, ნეოკლასიკა მოიცავდა მაკროეკონომიკურ თეორიასაც. ამასთან, იგი გულის-ხმობდა, რომ საჭიროა ეკონომიკის ისევ დერეგულირება. მაკრო-ეკონომიკურ თეორიაში კეინზიანიზმი ჩაანაცვლეს მონეტარიზმმა, და მასთან მონათესავე სეპლაისაიდის და რაციონალური მოლოდინების თეორიებმა, რომლებსაც აერთიანებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის, საბაზრო ძალების გათავისუფლების, ეკონომიკური გახსნილობის იდეები. სწორედ ამ იდეებს უკავშირდება ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომე-ლიც წარმოადგენს ლიბერალური პოლიტიკის განახლებულ ვერსიას და

ბატონობს დაწყებული 1980-ანი წლებიდან.[45] მაგრამ 2008 წელს დაიწყო მსოფლიო კრიზისი და ისევ დაიბადა უამრავი კითხვის ნიშნები;

2. ნეოლიბერალიზმი შედარებით ამორფული ცნებაა და არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული დეფინიცია. ხშირად მასთან ასოცირდება რ. რეიგანის და მ. ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრეთვე „ვაშინგტონის კონსენსუსი", IMF-ის, მსოფლიო ბანკის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პოლიტიკა. რაც შეეხება მის თეორიულ საფუძვლებს, ასეთად მიიჩნევენ ძირითადად ნეოკლასიკურ თეორიას, კერძოდ მილტონ ფრიდმენის თეორიას, ასევე, სეპლაისაიდერების და რაციონალური მოლოდინების თეორიების დებულებებს და ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენლის ფ. ჰაიეკის თეორიას.

ნეოლიბერალური პოლიტიკა გულისხმობს საბაზრო ძალების განთავისუფლებას ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის, დაბალ გადასახადებს, ნაკლებ რეგულაციებს და მცირე სახელმწიფო ხარჯებს. ნეოლიბერალები ხშირად უგულვებელყოფენ ანტიმონო-პოლიურ პოლიტიკას და ექსტერნალიების პრობლემას. მცირდება სახელმწიფოს მაკროეკონომიკური რეგულირების მასშტაბები, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ ხდება რეგულირება (თანამედროვე ეკონომიკაში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია). კრიზისის დროს ხდება უფრო აქტიური ჩარევა მაკროეკონომიკურ დონეზე, ხოლო აღმავლობის ფაზაში საბაზრო ძალებს ეძლევათ მეტი თავისუფლება;

3. ლიბერალური პოლიტიკა გულისხმობდა კონკურენციაზე, ანუ, მიკროეკონომიკურ პროცესებზე დაყრდნობით ზოგადად *მეწარმეობის განვითარებას* (განურჩევლად მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესისა). კეინსიანელობა ორიენტირებული იყო მაკროეკონომიკურ მეთოდებზე დაყრდნობით *უმუშევრობის და სიღარიბის შემცირებაზე.*[46] მაგრამ, ნეოლიბერალური პოლიტიკა დაუბრუნდა ლიბერალური პოლიტიკის ძირითად იდეებს, მაგრამ მისგან განსხვავებით, გულისხმობს არა იმდენად სართოდ

---

[45] „კეინზიანელობა ... იყო დომინანტური თეორიული კონსტრუქტი ეკონომიკურ თეორიაში და პოლიტიკაში 1945 - 1970 წლებში, მაგრამ შემდეგ იყო ჩანაცვლებული უფრო „მონეტარისტული" მიდგომებით, რომლებიც იყვნენ ინსპირირებული მილტონ ფრიდმენის თეორიებით და კვლევებით... . იმის შემდეგ, ჩვენ გვაჯერებენ, რომ „ნეოლიბერალიზმი", ანუ მონეტარიზმი და მასთან დაკავშირებული თეორიები, დომინირებენ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, რაზეც ეკონომიკაში მოწმობს ნაკლებად მკაცრი სახელმწიფო რეგულაციების შემოღება და მეტი აქცენტის გადატანა ეკონომიკური პოილიტიკის სტაბილურობაზე, ნაცვლად ისეთი „კეინზიანური" მიზნებისა, როგორიც არის სრული დასაქმება და უკიდურესი სიღარიბის შემცირება" (Thorsen, 2013, 8). „ ... ტერმინი „ნეოლიბერალიზმი" მისაღებია კაპიტალიზმის იმ სტადიასთან მიმართებაში, რომელიც დაიბადა 1980-იან წლებში. ... ნეოლიბერალური იდეოლოგია ადიდებს ინდივიდუალურ არჩევანს, ბაზრებს და კერძო საკუთრებას, საზოგადოებას აღიქვავს როგორც უბრალოდ ინდივიდების სიმრავლეს და სახელმწიფოს აღიქვავს როგორც არსებითად მტაცებელ ორგანიზაციას, რომელიც არის თავისუფლების და ეფექტურობის მტერი. დომინანტური ეკონომიკური თეორია არის ნეოკლასიკური თეორიის საბაზრო თავისუფლების ვერსია" (Kotz, 2011, 1).

[46] ამიტომ, ხშირად ჯ. კეინსს მოიხსენიებდნენ როგორც „ბურჟუაზიულ მარქსს".

მეწარმეობის, რამდენადაც *მსხვილი ბიზნესის* ინტერესების დაცვას. ამისთვის კი, მონოპოლიზირებული ეკონომიკის პირო-ბებში, საჭიროა სწორედ ლიბერალური პოლიტიკის სტრატეგია. ამასთან, მართალია იგი ემხრობა თავისუფალი ბაზრის იდეებს, მაგრამ ბოლომდე უარს არ ამბობს მაკროეკონომიკურ მეთოდებზე და შედარებით შეზღუდული მასშტაბით იყენებს მათ.

ისევე, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის დისკურსში, ნეოლიბერალურ რიტორიკაშიც დეკლარირებულია ზოგადად მეწარმეობის ინტერესების მხარდაჭერა, როგორც მთავარი ბერ-კეტი, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკის გააქტიურებას და შემო-სავლების ზრდას, ცხოვრების დონის ამაღლებასა და ა.შ. შესაბამისად, ამ დისკურსის ფარგლებში აქტიურად განიხილება სტრატეგია, რომელიც გულისხმობს კონკურენციას, სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვას, გადანაწილების მაშტაბების შემცირებას. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ დისკურსის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტებს, დავინახავთ მის უკან ფარულად არსებულ ინტერესებს, რომელსაც დისკურსში ჩართული სუბიექტები და მთლიანად საზოგადოება რიგ შემთხვევაში ვერ აცნობიუერებენ. მაშინ, როდესაც ტარდებოდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკა არ იყო მონოპოლიზირებული იმ დონეზე, როგორც მაშინ, როდესაც დაიწყო ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარება. ანუ ერთი და იგივე პოლიტიკა განსხვავებულ შედეგებს იძლევა განსხვავებულ ეკონომიკურ გარემოში. ცხადია, რომ მონოპოლიზირებული ეკონომიკის პირობებში თავისუფალი კონკურენციის მხარდაჭერა ნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესის დაუცველობას მსხვილი ბიზნესის წინაშე. ანუ, მსხვილ ბიზნესის ხელშეწყობა ხდება მცირე და საშუალო ბიზნესს ინტერესების ხარჯზე. ეს კი განაპიროვბებს ეკონომიკური უთანაბრობის ზრდას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. გარდა ამისა, ასეთი პოლიტიკით გამოწვეული ე. წ. ,,ფინანსიალიზაცია'' იწვევს ფინანსურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას და კრიზისს. ხოლო კრიზისის პირობებში, როდესაც მსხვილ ბიზნესს (განსაკუთრებით მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს) ემუქრება გაკოტრება, სახელმწიფო იძულებული ხდება დახმარება აღმოუჩინოს მათ, რათა თავიდან აიცილოს მათი გაკოტრების დამანგრეველი შედეგები მთლიანად ეკონომიკისთვის.[47] ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად

[47] ,, ... როდესაც დაიწყო ნეოლიბერალური კაპიტალიზმის სტრუქტურული კრიზისი 2008 წლის შემოდგომაზე, გაბატონებული თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია, რომელიც მიიჩნევდა, რომ ყველა უნდა ფუნქციონირებდეს ან კოტრდებოდეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, უცებ დავიწყებულ იქნა - ყოველ შემთხვევაში მდიდართა და ძლევამოსილთა მიმართებაში. კონგრესმა განახორციელა ზეწოლა $700 მილიაარდის გამოყოფისთვის ,,პრობლემური აქტივების დახმარების პროგრამისათვის'' მსხვილი ბანკების და სხვა საფინანსო ორგანიზაციების გადასარჩენათ. მაშინ როდესაც, მიუხედავად ამისა, მილიონობით მუშამ დაკარგეს თავიანთი სამუშაო და მილიონობით სახლის მფლობელს დაემუქრა გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევის საფრთხე, სახელმწიფომ ცოტა რამ გააკეთა მათ დასახმარებლად, ... ამან დაიწყო ადრე დომინირებული თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიის ლეგიტიმურობისათვის ძირის გამოთხრა. ამან წარმოშვა აღშფოთების ტალღა

აღმავლობის დროს მოგებას ძირითადად ნახულობს მდიდარი უმცირესობა, ხოლო კრიზესების დროს ძირითადად ზარალობს ღარიბი უმრავლესობა (იხ. Stiglitz, 2012);

4. ნეოლიბერალიზმმა არსებითი გავლენა იქონია მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. თითქმის ყველგან, სადაც ტარდება ასეთი პოლიტიკა, თავი იჩინა ერთი და იგივე ეკონომიკურმა პრობლემებმა: უთანაბრობის ზრდა, ბანკების საკრედიტო ინტერ-ვენცია, „საფინანსო ბუშტების" წარმოქმნა, რასაც მოზდევს ფინან-სური არასტაბილურობა და კრიზისი.[48] მაგრამ, გარდა წმინდა ეკონომიკური სირთულეებისა, სერიოზული საფრთხე ექმნება დემოკრატიზაციის პროცესებს, საზოგადორებრივ ფასეულობებს და სხვ. ეს საფრთხე განსაკუთრებით მატულობს როდესაც ნეოლიბერალური პოლიტიკა ტარდება ღარიბ ქვეყნებში. ბევრმა მსგავსმა ტენდენციამ თავი იჩინა იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც გაბატონდა ნეოლიბერალური შეხედულებები და ტარდება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა. ქვემოთ განხილულია ზოგი-ერთი მათგანი;

ნეოლიბერალური პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები

1. მაგალითისთვის განვიხილოდ საქართველოში მიმდინარე ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგები. სქართველოში მოქმედ საგადასახადო სისტემაში ადგილი აქვს შემოსავლების პროპორ-ციულ დაბეგვრას (თანაბრად იბეგრება განსხვავებული სიდიდის შემოსავლები). ამასთან, საშემოსავლო გადასახადი და ხელფასზე გადასახადი არის 20%, ხოლო დივიდენდებზე და პროცენტებზე - 5%. მაგრამ, საზოგადოების მდიდარი უმცირესობა შემოსავლების დიდ ნაწილს იღებს დივიდენდების და პროცენტების სახით, ხოლო ღარიბი უმრავლესობა - ხელფასის სახით. გამოდის, რომ საერთო ჯამში ღარიბები იხდიან უფრო დიდ გადასახადს, ვიდრე მდიდრები.[49] ანუ, ფარულად ადგილი აქვს რეგრესიულ დაბეგვრას, რაც მიუღებელია საყოველთაო სიღარიბის და უთანაბრობის პირობებში.

მიჩნეულია, რომ საშემოსავლო გადასახადები უნდა იყოს დაბალი, რადგან ეკონომიკისთვის უკეთესია, თუ სახელმწიფო ნაკლებად ჩაერევა ეკონომიკაში. მაგრამ ფაქტები არ ადასტურებენ ამას. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში

ბანკირების მიმართ, რომელშიც ხედავდნენ ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ მიზესს" (Kotz, 2014, 2).

[48] „ამ პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები იყო ერთნაირი თითქმის ყაველგან და ის, რასაც შეიძლება მისგან მოველოდოთ, არის: სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობის მნიშვნელოვანი ზრდა, ბაზრის ზრდა უღარიბესი ერების და მსოფლიო მოსახლეობის დეპრივაციის პირობებში, გლობალური გარემოს დაბინძურება, გლობალური ეკონომიკის არასტაბილურობა და მდიდრების უპრეცედენტო აყვავება" (McChesney, 1999, 8).

[49] „მდიდარი ინტერეს-ჯგუფები იყენებენ თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებს რათა გავლენა იქონიონ კანონმდებლებზე და ფართო საზოგადოებაზე მოგების და კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების ზედა განაკვეთების შემცირების და კორპორატიული საგადასახადო შეღავათებს უზრუნველყოფის მიზნით" (OXFAM, 2014,12)

გადასახადებიც გაცი-ლებით მაღალია და დაბეგვრაც პროგრესულია. მაგალითად, 2014 წლის მონაცემებით მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადი შეადგენდა: შვედეთში – 56,9% -ს, დანიაში – 55,6, ბელგიაში – 53,7, ნიდერლანდებში – 52,0, საფრანგეთში – 50,3, ავსტრიაში – 50,0, გერმანიაში – 47,5, დიდ ბრიტანეთში – 45%-ს და ა.შ.[50] ანუ, საქართველოსგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში ხდება შემოსავლების საკმაოდ მასშტაბური გადანაწილება, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არის ამდენი ღარიბი და უპოვარი. აშკარაა, რომ ევროპასთან შედარებით საქართველოში დაბალია სოციალური სოლიდარობის გრძნობა;

2. მოგების გადასახადი საქართველოში შეადგენს 15%-ს, ხოლო 2017 წლიდან მოგების რეინვესტირებული ნაწილი მთლიანად განთავისუფლდა გადასახადისგან. ცხადია, მოგების დაბალი გადასახადი და მისი ნაწილის სრული გათავისუფლებაც, პირველ რიგში, აწყობს მსხვილ ბიზნესს, რადგან აბსოლუტურ მაჩვენებ-ლებში სახელმწიფო უტოვებს მას განკარგვაში გაცილებით მეტ სახსრებს, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესს. მართალია ასეთი საგადასახადო პოლიტიკა ტარდება საერთოდ მეწარმეობის ხელშეწყობის მოტივით, მაგრამ რეალურად ამის უკან დგას მსხვილი ბიზნესის ინტერესები. ამ პოლიტიკის შედეგად ეკო-ნომიკაში უფრო გაიზრდება მსხვილი ბიზნესის წილი და შემცირდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილი. ეს გააუარესებს კონკურენტულ გარემოს, ხელს შეუშლის საშუალო ფენის ფორმი-რებას, გაზრდის პოლარიზაციას და ეკონომიკის არასტაბი-ლურობას;

3. მეწარმეებისთვის საგადასახადო შეღავათები არგუმენტირე-ბულია იმით, რომ ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს. ეს არის ეკონომიკური პროცესების ზედაპირული ხედვა. სამუშაო ადგილებს და თვითონ მეწარმეებსაც ქმნის მოთხოვნა.[51] ხოლო მოთხოვნას ქმნის სწორედ საზოგადოების უმრავლესობის მსყიდველობითი უნარი. შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს კი შეადგენენ ბიუჯეტიდან დაფინანსებული მასწავლებლების და ექიმების ხელფასები, პენსიები, შემწეობები. (მითუმეტეს, თუ სუსტია მცირე და საშუალო ბიზნესი). თუ

[50] არასწორეა ქართველი ნეოლიბერალების მოწოდებები კიდევ უფრო შევამციროთ სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში, რომელიც ისედაც მცირეა და შეადგენს 30%-ს, მაშინ, როდესაც ევროპის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 47,4%-ს, ხოლო საფრანგეთის - 56,8%-ს; გერმანიაში - 43,9%-ს; იტალიაში - 50,5%-ს; ესპანეთში - 43,3%-ს; უნგრეთში - 50,7%-ს; პოლონეთში - 41,5%-ს. შემცირებას საჭიროებს გაბერილი სახელმწიფო აპარატი, მაგრამ არა ბიუჯეტი, შემოსავლების გადანაწილების მასშტაბები და საერთოდ, სახელმწიფო სექტორი.

[51] ისევე, როგორც ისინი ქმნიან მოთხოვნას. „ერთ-ერთი გავრცელებული შეცდომა გულისხმიბს, რომ მდიდრები ქმნიან სამუშაო ადგილებს; და თუ მეტ ფულს მივცემთ მათ, შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი - და ეს არის სამუშაო ადგილების შექმნის ერთადერთი გზა. ჩემი აზრით ეს შეხედულება საფუძველშივე მცდარია: ამერიკაში და სხვა ქვეყნებში ბევრია შემოქმედი მეწარმეობის უნარის მქონე ადამიანები ... . სამუშაო ადგილებს ქმნის *მოთხოვნა*: როდესაც არის მოთხოვნა, ფირმები შექმნიან სამუშაო ადგილებს ამ მოთხოვნის დასაკმაყო-ფილებლად (განსაკუთრებით მაშინ, თუ საფინანსო სისტემა იმუშავებს ისე როგორც საჭიროა და უზრუნველყოფს კრედიტით მცირე და საშუალო ბიზნესს)“ (Stiglitz, 2012, 9).

პოლიტიკა არ ითვალისწინებს წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებულ შიდასისტემურ კავშირებს, მაშინ დაირღვევა ჰარმონია ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის და ადრე თუ გვიან დაიწყება რეცესია;

4. 2014 წლის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში მოგების გადასახადი იყო: საფრანგეთში - 38%, ბელგიაში - 34%, გერმანიაში - 30,2%, ნორვეგიაში - 27%, ნიდერლანდებში - 25%, ავსტრიაში - 25% და ა.შ.. ამ მონაცემების ფონზე საქრთველოში დაწესებული მოგების გადასახადის 15% და 0% - იანი განაკვეთები არის ულტრა-ლიბერალიზმის შედეგი. ა. ლაფერის თეორიაზე აპელირებით ამ პოლიტიკის მომხრეები მიიჩნევენ, რომ გადასახადების შემცირე-ბის შედეგად მოხდება ეკონომიკის გააქტიურება და, შესაბამისად, ბიუჯეტის სგადასახდო შემოსავლების ზრდა.

მაგრამ, თვით ლაფერის თეორიის თანახმად, განაკვეთების შემცირება მხოლოდ მაშინ ბადებს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, როდესაც შემცირება იწყება მაქსიმალური განაკვეთე-ბიდან (ლაფერის მრუდის მარჯვენა მონაკვეთი). ხოლო თუ განაკვეთები ისედაც დაბალია, მათი შემცირებით, ამავე თეორიის თანახმად, საგადასახადო შემოსავლები მცირდება. ანუ, საქართველოში არსებული განაკვეთების შემცირება კონტრპროდუქტიულია და მოიტანს საპირისპირო შედეგებს;[52]

5. უდავოა, რომ საბაზრო ძალების შეუზღუდავი მოქმედება ბადებს უთანაბრობას შემოსავლების და სიმდიდრის განაწილებაში. ამიტომ ქვეყნებში, სადაც შეზღუდულია შემოსავლების გადანაწილება, ვერ ყალიბდება საშუალო ფენა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ნეოკლასიკური თეორია ამტკიცებს, რომ შემოსავლების გადანაწილება უთანაბრობის შემცირების მიზნით ახშობს ეკონომიკურ სტიმულებს და აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ეს არ შეესაბამება რეალობას. ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერული

[52] გარდა ამისა, საგადასახადო განაკვთების შემცირება ჯერ ერთბაშდ იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, და მხოლოდ დროთა განმავლობაში არის მოსალოდნელი ეკონომიკური აქტივობის და საგადასახადო შემოსავლების ზრდა. გამოდის, რომ ბიზნესი (განსაკუთრებით, მსხვილ ბიზნესი) გადასახადების შემცირებისთანავე იტოვებს ფულად სახსრებს, რომლითაც შეიძლებოდა პენსიების, შემწეობების და ხელფასების დაფინანსება, ხოლო პენსიონერებს და მასწავლებლებს სთავაზობენ დალოდებას, სანამ მომავალში მოხდება ეკონომიკის გააქტიურება. არსებული სიღარიბის პირობებში ასეთი ბუნდოვანი დაპირებები მიუღებელია. გარდა ამისა, მშპ-ის ზრდას განაპირობებენ მრავალი ფაქტორები. პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა მშპ-ის, ბიუჯეტის და პენსიების ფაქტიურ ზრდაში, რა წვლილს შეიტანს გადასახადების შემცირება (როგორც წესი, ასეთი გათვლები არ იმსახურებენ ნდობას). შესაბამისად, ვერც ის გაირკვევა გადასახების შემცირებამ საერთოდ ხელი შეუწყო მათ ზრდას, თუ ხელი შეუშალა. რომ არ შემცირებულიყო გადასახადები იქნებ საბიუჯეტო შემოსავლებიც მეტად გაიზრდებოდა. არც ის არის გარანტირებული, რომ მათი ზრდა იქნება მათ თავდაპირველ ვარდნაზე მეტი.

გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ უთანაბრობის ზრდა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო უთანაბრობის შემცირება - ხელს უწყობს მას.[53]

IMF-ის კვლევითი დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე. ბერგმა და ჯ. ოსტრიმ გამოიკვლიეს სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. მათ აღმოაჩინეს, რომ როდესაც ქვეყანა შედიოდა ზრდის ფაზაში, შემოსავლების განაწილება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ეკონომიკური ზრდის ხანგრძლიობას. რაც უფრო თანაბარია ქვეყანაში განაწილება, მით უფრო დიდ ხანს გრძელდება ზრდა (იხ. Berg, 2011, 18). „...ქვეყნებს, სადაც შემოსაცლები უფრო თანაბრად არის განაწილებული, აქვთ ზრდის გაცილებით უფრო ხანგრძლივი პერიოდები. ... ძნელია ერთმანეთისგან განაცალკევო ზრდის და განაწილების პრობლემები გრძელვადიან პერიოდში. ზრდის და უთანაბრობის შემცირების პოლიტიკები, როგორც ჩანს, აძლიე-რებენ ერთმანეთს და გვეხმარებიან მდგრადი ზრდისათვის საფუძვლების შექმნაში“ (Berg, 2011, 16).

საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური უთანაბრობის პირობებში, საზოგადოების ღარიბ უმრავლესობას არა აქვს საკმარისი შემოსავ-ლები, რაც იწვევს მოთხოვნის დასუსტებას და, შესაბამისად, მშპ-ის ზრდის ტემპების ვარდნას. თავისთავად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება არ გულისხმობს უთანაბრობას. იგი საჭიროებს მხოლოდ ფულად სასაქონლო ნაკადებს შორის სათანადო მაკრო-ეკონომიკური პროპორციების არსებობას. („სიმეტრიული მოდელი“ გვიჩვენებს ამ პროპორციების კონკრეტულ პარამეტრებს). საქართველოს ეკონომიკის დამუხრუჭების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ფული არა აქვს ღარიბ უმრავლესობას, და არა მეწარ-მეებს.[54] ამიტომ, საჭროა პროგრესული საგადასახადო სისტემა და შემოსავლების მნიშვნელოვანი გადანაწილება.[55]

---

[53] „შემოსავლების განაწილება გავლენას ახდენს ზრდაზე. IMF-ის წინა გამოკვლევებიდან აღმოჩნდა, რომ შემოსავლების უთანაბრობა (რომელიც იზომება ჯინის კოეფიციენტით ...) უარყოფითად მოქმედებს ზრდაზე და მის მდგრადობაზე .... ჩვენ აღმოვაჩინეთ უკუკავშირი მდიდრების (ზედა 20%) შემისავლების წილსა და ეკონომიკურ ზრდას შოროს. თუ ზედა 20%-ის შემოსავლების წილი იზრდება 1 საპროცენტო პუნქტით, მშპ-ის ზრდა ფაქტიურად 0.08 პროცენტული პუნქტით *დაბალია* შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში ... . და პირიქით, ქვედა 20%-ის (ღარიბების) შემოსავლების წილის ასეთივე ზრდა ასოცირდება 0,38 პროცენტული პუნქტით უფრო *მაღალ* ეკონომიკურ ზრდასთან. ეს პოზიტიური კავშირი განკარგვადი შემოსავლების წილსა და მაღალ ეკონომიკურ ზრდას შორის შენარჩუნებულია მეორე და მესამე კვინტილებში (საშუალო ფენაში). ეს შედეგები დადასტურდა მრავალი შემოწმების შედეგად .... .” (IMF, 2015, 7.)

[54] თუ იქნება ეფექტიანი საინვესტიციო პროექტები, ბანკები და უცხოელი ინვესტორები დააფინანსებენ მათ. ხოლო ასეთ პროექტებს ბადებს მოთხოვნა.

[55] ბიუჯეტიდან დაფინანსებული შემოსავლები (პენსიები, შემწეობები, ხელფასები) თითქმის მთლიანად გავა სამომხმრებლო ბაზარზე და მოთხოვნას გაზრდის იმ სასაქონლო ჯგუფებზე, რომლის წარმოებას, ხშირ შმთხვევაში შეძლებს მცირე და საშუალო ბიზნესი (სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, მომსახურების სფერო და სხვ.). ეს ხელს შეუწყობს იმპორტის

უთანაბრობა არის იმის მიზეზი, რომ მაშინაც კი, როდესაც საშუალო ეკონომიკური მაჩვენებლები უმჯობესდება, საზოგადო-ების უმრავლესობის რეალური შემოსავლები არ იზრდება. იზრდება მხოლოდ საზოგადოების ვიწრო ჯგუფის შემოსავლები. შესაბამისად, სტანდარტული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ვერ ასახავენ საქართველოში ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას. ეკონომიკა მუშაობს მდიდრების სასარგებლოდ, მაგრამ იგი არ ზრდის საზოგადოების უმრავლესობის კეთილდღეობას. იგივე ტენდენციები შეინიშნება ყველგან, სადაც ტარდება ნეოლი-ბერალური პოლიტიკა;

6. ნეოლიბერალური პოლიტიკა ხელს უწყობს ბანკების მხრიდან საკრედიტო ექსპანსიას. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში კომერციული ბანკების მიერ კერძო სექტორში გაცემული კრედიტების თანაფარდობა ნომინალურ მშპ-თან გაიზარდა 9%-დან 2001 წელს 50%-მდე 2015 წელს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კრედიტების მოცულობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინა-ლური მშპ. კრედიტების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 28,1%-ს, ხოლო მშპ-ის ზრდა - 12,0%-ს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში მოთხოვნა დიდწილად იზრდებოდა სამომხმარებლო კრედიტების ხარჯზე და, რომ საქართველოში კრედიტების გაცემა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ის ზრდის ტემპების შესანარ-ჩუნებლად. თუ კრედიტების ზრდის ტემპები არ იქნება მშპ-ის ზრდის ტემპებზე მაღალი, მშპ დაიწყებს ვარდნას. ეს არის ძალზე არასასურველი ტენდენცია და მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკაში ყალიბდება საფინანსო ბუშტი, რომელსაც, როგორც წესი, მოყვება მწვავე კრიზისი;

7. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო არ უნდა განსაზღვრავდეს დაფინანსების პრიორიტეტულ სფეროებს, რადგან კერძო პირები (მსესხებლები და გამსესხებლები) თითონ უკეთ გადაწყვეტენ რომელ პროექტებში ჩადონ ფული. დაბალი ეკონომიკური აქტივო-ბის პირობებში (როდესაც დაბალია კრედიტებზე მოთხოვნა ბიზნეს-პროექტებისათვის), ამ პროცესების თვითდინებაზე მიშვე-ბამ გნაპირობა კრედიტების მკვეთრი ზრდა სამომხმარებლო მიზ-ნებზე, (იპოთეკური, სამომხმარებლო, ავტო-კრედიტები და სხვ.). ამით ხდება დასუსტებული მოთხოვნის ხელოვნურად სტიმუ-ლირება. ანუ, უფრო და უფრო მეტი კრედიტები ხმარდება არა საწარმოო პოტენციალის ზრდას, არამედ, იმას, რომ მოსახლეობამ მოიხმაროს მეტი, ვიდრე აქვს შემოსავალი. ცხადია, კრედიტების ტოტალური ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. ადრე თუ გვიან ვალები უნდა დაიფაროს მომავალი შემოსავლებიდან. ეს ნიშნავს, რომ მომავალში მოთხოვნა შემცირდება და გამოიწვევს მშპ-ის ვარდნას. კრიზისი ხდება გარდუვალი. რაც უფრო ბევრი

ჩანაცვლებას, მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, შეუწყობს ხელს უთანაბრობის შემცირებას და საშუალო ფენის ზრდას.

ვალები დაგროვდება, მით უფრო ღრმა იქნება მომავალი კრიზისი.[56] ამ სცენარით განვითარდა პროცესები დასავლეთში („დიდი დეპრესია“ და 2008 წლის მსოფლიო კრიზისი).

საბანკო კრედიტების მეშვეობით მოთხოვნის ხელოვნური ზრდა მოკლევადიან პერიოდში მართლაც იწვევს ეკონომიკური ზრდის აჩქარებას. მაგრამ, როგორც წესი, მას მოსდევს კრიზისი. რატომ? იმიტომ, რომ თანამედროვე საბანკო სისტემა არის ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა, რომელიც საკრე-დიტო რესურსებს ქმნის „ჰაერიდან“. ასეთი კრედიტები არ არის უზრუნველყოფილი რეალური რესურსებით. მათი ჭარბი მიწო-დება განაპირობებს დაბალ საპროცენტო განაკვეთებს. ეს საკრედიტო ექსპანსია ბადებს ცრუ სიგნალებს. მომხმარებლები იღებენ ისეთი მოცულობით იპოთეკურ და სამომხმარებლო კრედიტებს, რომ შესაძლოა ვერ დაფარონ მომავალი შემოსავ-ლებიდან. ან შესაძლოა მოუწიოთ მომავალი შემოსავლებიდან დიდი წილის დაზოგვა. ამის შედეგად მოთხოვნა იმდენად შემცირდება, რომ გამოიწვევს ეკონომიკურ ვარდნას.

ასევე, დაბალი საპროცენტო განაკვეთები ახდენენ ისეთი საინვესტიციო პროექტების პროვოცირებას, რომლისთვისაც საზო-გადოებას არ გააჩნია საკმარისი რეალური რესურსები. მაგრამ, რესურსების ეს უკმარისობა გამოვლინდება მხოლოდ უშვალოდ კრიზისის დაწყების წინ, როდესაც უკვე გვიანი იქნება პრევენ-ციული ზომების გატარება. ანუ, ასეთი საბანკო სისტემა ბადებს საფინანსო „ბუშტს“, რომელიც, ადრე თუ გვიან, სკდება და იწვევს კრიზისს. (გამორიცხული არაა, რომ საქართველოში ასეთი „ბუშტი“ იქმნება მშენებლობის დარგში).[57]

გარდა ამისა გამოდის, რომ საქართველოში შიდა მოთხოვნის სტიმულირება ხდება საბანკო კრედიტების მეშვეობით, ხოლო მეწარმეთა სტიმულირება ხდება საგადასახადო შეღავათებით, და ესე იგი, საბოლოო ჯამში, საზოგადოების ხარჯზე. მაშინ როდესაც ეს უნდა ხდებოდეს პირიქით. გადასახადები უნდა ხმარდებოდეს შემოსავლების გადანაწილებას, ხოლო საბანკო კრედიტები - მეწარმეების ბიზნეს-პროექტების დაფინანსებას. მაგრამ მეწარ-მეებისთვისაც ნაკლებ სარისკოა და მეტად მომგებიანია საქონლის იმპორტირება და არა წარმოება, და ბანკებისთვისაც ნაკლებ სარისკოა იმპორტის მოკლევადიანი

---

[56] „იქამდე, სანამ ჩვენ ვიყენებთ საბანკო კრედიტს როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალებას, ჩვენ უნდა ვეგუებოდეთ სავაჭრო ციკლების შედეგებს. გარკვეული აზრით, ისინი წარმოადგენენ ფასს, რომელსაც ჩვენ ვიხდით განვითარების სიჩქარისთვის, რომელიც აღემატება იმას, რომელსაც ადამიანები ნებაყოფლობით ხდიან შესაძლებელს თავისი დანაზოგების მეშვეობით, და რომელიც, ამიტომ, იძულებით უნდა იყოს მათგან ამოღებული“ (Hayek, 1933, 189-190).

[57] ამან განაპირობა თანამედროვე ეკონომისტების არაერთი წინადადება საბანკო სისტემის რადიკალური რეფორმირების თაობაზე, სადაც ძირითადი მოთხოვნაა 100%-იანი სარეზერვო ნორმის დაკანონება.

სავაჭრო ოპერაციების, ვიდრე გრძელვადიანი საწრმოო ინვესტიციების დაკრედიტება;

8. საქართველოში იმპორტი მშპ-ის 60%-მდეა. შიდა მოთხოვნა დიდწილად კმაყოფილდება იმპორტირებული საქონლით. გავხ-დით დამოკიდებული სხვა ქვეყნების ეკონომიკებზე.[58] სერიოზული პრობლემაა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. ამის გამო ქვეყნიდან უწყვეტად გაედინება მსყიდველობითი უნარი, რაც ასუსტებს ეკონომიკას. მიუხედავად ამისა, ნეოლიბერალური პოლიტიკის წყალობით, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ქვეყანაში იზრდება წლიდან წლამდე;

9. ყოველივე ეს ხელს უშლის ეკონომიკაში ფუნქციონალურად ჩაკეტილი სტრუქტურების ფორმირებას, რაც საჭიროა მულტი-პლიკაციის ეფექტის გასაძლიერებლად და ეკონომიკური ზრდის ასაჩქარებლად. მულტიპლიკაციის ეფექტი არის ეკონომიკური სისტემის ემერჯენტული თვისება. იგი ვერ დაიბადება, თუ ადგილობრივი ფირმები არ იქნებიან ერთმანეთის მიმწოდებლები და მომხმარებლები, თუ არ შეიქმნება ფულად-სასაქონლო ნაკა-დების წრიული კონტური, თუ ორიენტირებული იქნებიან მხოლოდ იმპორტზე ან ექსპორტზე, თუ არ გატარდება იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა.

ავად თუ კარგად, მაგრამ ნეოკლასიკური თეორიაც და მასზე დაფუძნებული ნეოლიბერალური პოლიტიკაც გულისხმობენ ეკონომიკას, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სისტემას. ხოლო, ჩვენს ეკონომიკაში ვერ განვითარდა სათანადოთ შიდასისტემური კავშირები. სანამ ეკონომიკა არ შეიძენს სისტემუ-რობას და მთლიანობას, იგი საერთოდ ნაკლებად დაემორჩილება მაკროეკონომიკურ ზემოქმედებას, მათ შორის, ნეოკლასიკური რეცეპტებით ზემოქმედებას. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ჩვენი ეკონომიკა ძნელად ემორჩილება რეგულირებას;

10. რა მივიღეთ ლიბერალური პოლიტიკის შედეგად? ბანკები აფინანსებენ ერთი მხრივ საქონლის იმპორტს, მეორე მხრივ, მის რეალიზებას; იმპორტი იზრდება; ქვეყნიდან გაედინება მსყიდველობითი უნარი; ითრგუნება მცირე და საშუალო ბიზნესი; არ იქმნება სამუშაო ადგილები; სამუშაო ძალა გადის ქვეყნიდან; არ იზრდება შემოსავლები; ქვეყანა გადაიქცა ვაჭრობის პოლიგონად;

---

[58] „მოსაზრება, რომ ეკონომიკის გახსნილობა აიოლებს ღარიბი ქვეყნების ბედს, ეწინააღმდეგება საღ აზრს და ისტორიულ გამოცდილებას. ჩამორჩენილი ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა გახსნილობამ მრავალჯერ გაანადგურა ისედაც სუსტი საწარმოო საქმიანობა, რომელიც იქ არსებობდა, და ამით გაამძაფრა სიტუაცია. წარსული დროის ბრძენი თეორეტიკოსები ჯეიმს სტიუარტი და ფრიდრიხ ლისტი აღნიშნავდნენ, რომ ვაჭრობა უნდა გაიხსნას თანდათან, რათა ღარიბი სავაჭრო პარტნიორის საწარმოო სექტორს მიეცეს მასთან ადაპტირების დრო. სწორედ ასე წარმართა ევროკავშირმა ესპანეთის ევროკავშირში ინტეგრაცია 1980-იან წლებში; ინტეგრაცია წარმატებით განხორციელდა. მაგრამ ტრიუმფალური განწყობების შედეგედ, რომელიც დაიწყო 1989 წელს, ინტეგრაციის წინა გამოცდილება იქნა დავიწყებული და შეიცვალა შოკური თერაპიით“ (Рейнерт, 2011, 157). .... „ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობა იწვევს ნაკლებად ეფექტურ ქვეყნებში ყველაზე ეფექტური სამრეწველო სექტორების განადგურებას“ (იქვე).

მოგებას ნახულობენ იმპორტიორები და ბანკირები, ხოლო მოსახლეობა ეფლობა ვალებში; საფინანსო „ბუშტი“ და კრიზისი ხდება გარდუვალი. ეს პროცესები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და ეკონომიკა მოექცა „ხაფანგში“, საიდანაც ვეღარ გამოდის ულტრალიბერალური ცრურწმენების გამო.

ნეოლიბერალური პოლიტიკის არაეკონომიკური შედეგები

1. პრობლემას წრმოადგენს არა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, არამედ ის, თუ ვის ინტერესებში მოქმდებს იგი. ეკონომიკის ეფექტურობისათვის აუცილებელია დემოკრატიული მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ხალხის, და არა კლანების ინტერესებს. მაგრამ ნეოლიბერალური პოლიტიკა ხელს უშლის დემოკრატიულ პროცესებს, რადგან ზრდის ეკონომიკურ უთანაბ-რობას, რომელიც ტრანსფორმირდება პოლიტიკურ უთანაბრობაში. როდესაც მდიდრებს აქვთ დიდი გავლენა, ისინი აწესებენ პოლიტიკური თამაშის ისეთ წესებს, რომლებიც ანიჭებთ მათ უფრო მეტ გავლენას. ეკონომიკური უთანაბრობა ტრანსფორ-მირდება უფრო მეტ პოლიტიკურ უთანაბრობაში, ხოლო პოლიტიკური უთანაბრობა - მეტ ეკონომიკურ უთანაბრობაში (იხ. Stiglitz, 2012). იქმნება “მანკიერი წრე”, რომელიც ზრდის უფსკ-რულს საზოგადოებასა და ოლიგარქიულ ხელისუფლებას შორის, რაც ბადებს პოლიტიკურ არასტაბილურობას და მთავრდება პოლიტიკური კრიზისით. იქმნება ძალაუფლების უზურპაციის რეალური საფრთხე. „ერთია გაიმარჯვო პატიოსან და სამართლიან თამაშში. მეორეა გქონდეს შესაძლებლობა თვითონ დაადგინო თამაშის წესები, ამასთან, დაადგინო ისე, რომ იმთავითვე გაზარდო გარკვეული მოთამაშეების გამარჯვების შანსები. და კიდევ უფრო უარესი - თვითონვე აირჩიო თამაშის მსაჯებიც“ (Stiglitz, 2012, 38.);[59]

2. ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა განსაკუთ-რებით მახინჯ ფორმას ღებულობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. კერ-ძოდ, ოლიგარქიული ხელისუფლება ხელს უწყობს საზოგადოების ბიუროკრატიზაციას და კრიმინალიზაციას. ბიუროკრატები და კრიმინალები მათ არ უქმნიან პრობლემებს. ისინი პრობლემებს უქმნიან საზოგადოებას. ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობა იწვევს შიდა სოციალურ კონფლიქტებს. სწორედ მათზე ხდება ოლიგარქების მიმართ დაგროვილი აგრესიის გადამისამართება. ეს აძლევს მათ საშუალებას ღარიბი და აგრესიული გარემოსგან იზოლირებით მშვიდად იცხოვრონ სასახლეებში სრულიად განსხ-ვავებული ცხოვრებით.

[59] მაგალითად, არჩევნების შედეგები დიდად არის დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას საერთო საარჩევნო ფონდი, საიდანაც თანაბრად დაფინანსდებიან პოლიტიკური პარტიები, კანონი აძლევს კერძო სუბიექტებს სასურველი პარტიების დაფინანსების უფლებას. ამის შედეგად გამარჯვების მეტი შანსები ეძლევათ ოლიგარქების და არა ხალხის ინტერესების დამცველ პარტიებს. ასეთი კანონით „დემოკრატიული“ გზით ხელისუფლებაში მოდის არადემოკრატიული მთავრობა.

მიზანმიმართულად ინერგება ურთიერთ-სიძულვილი პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე. ამის შედეგად საზოგადოება კარგავს მთლიანობას, იყოფა ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად პრინციპით „ჩვენ და ისინი“. ხოლო ხელისუფლება ახდენს მტყუანმართალის გარჩევას, აწესრიგებს ურთიერთობებს მათ შორის და „წარმატებით“ აკეთებს კიდეც ამას შერჩევითი სამართალის საფუძველზე. ამის თვალსაჩინო მაგა-ლითია რუსეთი, სადაც ა. გაიდარის ნეოლიბერალური პოლიტიკა ლოგიკურად დასრულდა დემოკრატიულად არჩეული ვ. პუტინის დიქტატურით;

3. როგორც აღინიშნა, ნეოლიბერალური პოლიტიკა ზრდის უთანაბრობას. მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე *Oxfam*-მმა დასახელა ხუთი მიზეზი, თუ რატომ გვაყენებს ზიანს უკიდურესი ეკონომიკური უთანაბრობა.[60] ძნელი არ არის პარალელების გატარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან.

1) უთანაბრობა ეკონომიკურად არაეფექტიანია, რადგან იგი ასუსტებს მოთხოვნას: მდიდრები არ ყიდულობენ საქონელს და მომსახურებას იმ რაოდენობით, რამდენსაც იგივე ფულის რაოდენობით იყიდიდა უმრავლესობა. „დიდი სიმდიდრის და კაპი-ტალის კონსოლიდაცია ასე ცოტა ადამიანების ხელში არის არაეფექტური იმიტომ, რომ ეს ასუსტებს მოთხოვნას, ... მრავალ ქვეყანაში მრავალი წლის მანძილზე რეალური ხელფასები თითქმის არ გაზრდილა, მაგრამ უდიდეს მოგებას იღებს კაპი-ტალი. ამის მაგივრად ეს ფული უფრო თანაბრად რომ გადა-ნაწილებულიყო მოსახლეობაში, მაშინ იგი მეტ ადამიანს მისცემდა მსყიდველობით უნარს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ზრდას და შეამცირებდა უთანაბრობას“ (OXFAM, 2013, 2).

2) **უთანაბრობა იწვევს პოლიტიკურ კოროზიას.** ფულის კონცენტრაცია შესაძლებელს ხდის პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას მდიდრების სასარგებლოდ როგორც ლეგალური ლობირების, ისე კორუფციის გზით. „... „ფული არის ძალა-უფლება“, ამიტომ უთანაბრობა საზოგადოებებში წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიისთვის. ეს ძალაუფლება შეიძლება იყოს გამოყენებული ლეგალურად, ... მილიონების ხარჯვით პოლი-ტიკოსების ლობირებაზე, ან არალეგალურად, ფულის გამოყენე-ბით პოლიტიკური პროცესის დასამახინჯებლად და დემოკრატიული გადაწყვეტილების საყიდლად. ... ეს ბადებს პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელია მდიდარი უმცირესობისთ-ვის და არა ღარიბი უმრავლესობისთვის“ (იქვე).

3) **უთანაბრობა იწვევს სოციალურ განხეთქილებას.** „უკიდურესი სიმდიდრე და უთანაბრობა ... აძნელებს სოციალურ მობილურობას. თუ თქვენ დაიბადეთ ღარიბად ძალიან უთანაბრო საზოგადოებაში, დიდი ალბათობით თქვენ ასევე

---

[60] **Oxfam International** — 13 ორგანიზაციის კონფედერაციაა, რომლებიც 3000 პარტნიორთან ერთად 100-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ, რათა სათანადო გადაწყვეტა მოუძებნონ სიღარიბესა და უსამართლობას.

დარჩებით ღარიბი სიცოცხლის ბოლომდე. სოციალური მობილურობა სწრაფად დაეცა მრავალ ქვეყანაში, სადაც გაიზარდა უთანაბრობა. მდიდარი ელიტა იყენებს თავის ფულს მომსახურების საყიდლად, იქნება ეს კერძო სკოლები თუ კერძო სამედიცინო მომსახურება. ამიტომ ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული საზოგადოებრივი მომსახურებით ან გადასახადების გადახდით ... . ელიტის წარმომადგენლებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ აღმოჩნდნენ პოლიტიკურ სტრუქტურებში ან სხვა სახელისუფლებო პოსტებზე და გააღრმავონ უთანაბრობა. მოსალოდნელია, რომ მათი შვილე-ბიც იქნებიან ასეთივე მდიდრები, თუ უფრო მდიდრები არა, ვიდრე მათი მშობლები, და უთანაბრობა გაიზრდება თაობებს შორის. უთანაბრობა დაკავშირებულია მრავალ სხვადასხვა სოცია-ლურ პრობლემასთან, მათ შორის ძალადობასთან, ფსიქიურ აშლილობებთან, კრიმინალთან ... . უკიდურესი უთანაბრობა ცუდია ... მდიდრებისთვისაც. მდიდარი ადამიანები უფრო ბედნიერები და ჯანმრთელები არიან, როდესაც ცხოვრობენ უფრო თანასწორ საზოგადოებაში" (იქვე).

4) **უთანაბრობა ეკოლოგიურად დესტრუქციულია.** მდიდრები უფრო მეტად ფლანგავენ შეზღუდულ რესურსებს. რადგან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებები მათ აკარგინებენ მოგებას, და ისინი იყენებენ თავიანთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ასეთი მოქმედებების წინააღმდეგ (იხ. Stiglitz, 2012).

5) **უთანაბრობა არაეთიკურია.** უკიდურეს სიღარიბეს ისევე შეუძლია მორალურად გახრწნას ადამიანი და უბიძგოს უღირს საქციელზე, როგორც უკიდურეს სიმდიდრეს, რომელიც ასუსტებს თვითნებობის მოთოკვის უნარს. გადაჭარბებული ეკონომიკური უთანაბრობა არის მრავალი მანკიერებისა და სოციალური ბორო-ტების წყარო;[61]

---

[61] ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი წერს ამერიკის შესახებ, სადაც ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად მკვეთრად გაიზარდა უთანაბრობა: „ახალგაზრდა ამერიკელების ცხოვრებისეული წარმატება უფრო მეტად არის დამოკიდებული მათი მშობლების შემოსავლებზე და განათლებაზე, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ... ჩვენ ვკარგავთ ყველაზე უფრო ძვირფას რესურსს, ჩვენს ადამიანურ რესურსებს: მილიონობით მათგანს, ვინც იმყოფება ფსკერზე, არ ეძლევა შესაძლებლობა იცხოვროს თავისი პოტენციალის შესაბამისად. მრავალი გამოკვლევა მიუთითებს ურთიერთკავშირზე შედეგების უთანაბრობასა და შესაძლებლობების უთანაბრობას შორის. როდესაც ადგილი აქვს შემოსავლების დიდ უთანაბრობას, მათ, ვინც მაღლაა, შეუძლიათ თავიანთი შვილებისთვის იყიდონ პრივილეგიები, რომელზეც ხელი არ მიუწვდებათ სხვებს ... . რა თქმა უნდა, თანაბარი შესაძლებლობების გარეშე, ისინი, ვინც დაიბადა სიღარიბეში, დიდი ალბათობით ასევე დაასრულებენ ცხოვრებას ... . რაც უფრო მეტი ქვეყანა გაიმეორებს ამერიკულ მოდელს, მით მეტად მიიღებენ ისეთივე შედეგებს, როგორმაც თავი იჩინა ამერიკაში" (Stiglitz, 2012, 71). კორუფცია დამანგრეველ გავლენას ახდენს მორალზე, სოციალურ სოლიდარობაზე და ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. ქვეყნებში, სადაც დიდია უთანაბრობა ხშირად დიდია კორუფცია, რომელიც დამანგრეველ გავლენას ახდენს მორალზე, სოციალურ სოლიდარობაზე და ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. ამ ქვეყნებში ნაკლებად იდება ინვესტიციები

5. ფული, შიში და იმედი არის ის ინსტრუმენტები, რომლი-თაც გაცილებით ადვილია ღარიბი უმრავლესობის მართვა, ვიდრე საშუალო ფენის. ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნება უფრო ადვილია პოლარიზებულ საზოგადოებაში, სადაც უმრავლესობას წარმოადგენს ღარიბი ფენა. როდესაც უმრავლესობაშია საშუალო ფენა, მაშინ ის თვითონ ირჩევს ხელისუფლებას დემოკრატიული გზით. თუ დიდია ღარიბი ფენა, მაშინ ხელისუფლებას ფაქტიურად *„ირჩევს“* მდიდარი უმცირესობა. ხოლო, ხელისუფლება იცავს იმის ინტერესებს, ვინც ფაქტიურად ირჩევს მას.

ერთ შემთთხვევაში მთავრობა ხელს უწყობს შემოსავლების გადანაწილებას და საშუალო ფენის ზრდას, მცირე ბიზნესის განვითარებას და რეგიონების ეკონომიკურ გამოთანაბრებას. ასეთი ეკონომიკა ჰარმონიულად ფუნქციონირებს, რადგან ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის ყალიბდება ოპტიმალური პროპორ-ციები. ეს განაპირობებს მდგრად განვითარებას.

მეორე შემთხვევაში მთავრობა ხელს უწყობს უთანაბრობის, ღარიბი ფენის ზრდას და საშუალო ფენის განადგურებას. კლანები და ხელისუფლება იცავენ ერთმანეთის ინტერესებს. პოლიტიკო-სები ღებულობენ ფინანსურ მხადაჭერას და იმარჯვებენ არჩევ-ნებში, კლანები ღებულობენ სასურველ კანონებს და ეკონომიკურ პოლიტიკას. ხდება ეკონომიკის დერეგულირება, ძლიერდება შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია, იზრდება რეგიო-ნული განვითარების უთანაბრობა, ძლიერდება მონოპოლიები, იკვეცება სოციალური პროგრამები, ხდება გარემოს დაბინძურება და ა.შ.. ასეთი ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებს ჰარმონიულად, რადგან მახინჯდება ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის ოპტიმალური პროპორციები. ასეთ პირობებში გარდუვალია ეკონომიკური ზრდის შენელება, ფინანსური არასტაბილურობა და კრიზისი.

ნეოლიბერალური დისკურსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

1. თანამედროვე პირობებში ხელისუფლების შესანარჩუ-ნებლად არ არის საკმარისი ძალოვანი სტრუქტურები. ხელისუფ-ლება ცდილობს მიმართოს არა „იძულებას“, არამედ „დარწმუნებას“, იყენებს ე.წ. „რბილ ძალაუფლებას“.[62] კომპიუტერიზაციის და ინტერნეტის ეპოქაში ხელისუფლებისათვის ძნელია ინფორ-მაციის მიწოდებაზე კონტროლი, ამიტომ იგი ცდილობს გავლენის

საზოგადოებრივ დოვლათში, კერძოდ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტექნოლოგიებში, განათლებაში და სხვ. (იხ. Stiglitz, 2012).

[62] „რბილი ძალაუფლება - არის ძალაუფლება, რომელიც რეალიზდება კომუნიკაციური ზემოქმედების ფორმით, რომლის დროსაც ძალაუფლებით ნაკარნახები ქცევა რეციპიენტის მიერ აღიქმება როგორც თავისუფალი და ნებაყოფლობითი არჩევანი“ (Русакова, 2012, 202). „ .... მაშინ როდესაც, კლასიკური თვალსაზრისით ძალაუფლება განისაზღვრება კლასის და წარმოების მატერიალურ საშუალებებზე კონტროლის ტერმინებში, დღეს ძალაუფლება ფართოდ განიმარტება როგორც კონტროლი მასების ცნობიერებაზე, რომელიც გულისხმობს კონტროლს საჯარო დისკურსზე ყველა მის სემიოტიკურ განზომილებაში“ (ван Дейк, 2013, 32).

მოხდენას ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე; პრიორიტეტებზე, შეფასებებზე და, როგორც შედეგი, მოქმედებებზე.[63] ამისთვის ხელისუფლება წარმართავს დისკურსებს, რომელშიც კოდირებუ-ლია მისთვის სასურველი ფარული საზრისების მატრიცა. ვინც წარმართავს დისკურსს, ის ფლობს ძალაუფლებას.

> *„საჯარო დისკურსზე კონტროლი - არის აუდიტორიის ცნობიე-რებაზე კონტროლი, და ესე იგი, არაპირდაპირ, იმაზე, თუ რა სურს და რას აკეთებს აუდიტორია. მას, ვისაც შეუძლია ადამიანების დარწმუნება, ცდუნება, შთაგონება ან მანიპულირება, არ სჭირდება ძალის გამოყენება. ამ თვალსაზრისით თანამედროვე სიმბოლური ელიტები - პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, ადვოკატები, ჩინოვნიკები და ყველა, ვისაც გააჩნია განსაკუთ-რებული წვდომა საჯარო დისკურსზე, ან ბიზნეს-მენეჯერები, რომლებიც ირიბად აკონტროლებენ ამ წვდომას (მაგალითად, მასმედიის იმპერიების მფლობელები) ... მათ ყველას შეიძლება უწოდოთ ძალაუფლების მქონე ჯგუფები, ...“ (ван Дейк, 2013, 32).*

დისკურსის ძალაუფლება არ არის ლოკალიზებული, იგი თითქოს ყველგან არის და კონკრეტულად არსად არის. იგი გაბნეულია სოციუმში და პერსონიფიცირებულია ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ინტელექტუალებში, რომლებიც დომინირებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, განათლების დისკურსებში. მათ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, ფლობენ პროფესიულ „სლენგს“, რათა აკადემიურ ენაზე ილაპარაკონ მეცნიერების სახელით, განაცხადონ პრეტენზია „ჭეშმარიტების“ ცოდნაზე. მეცნიერული „ჭეშმარიტების“ ფლობა მეცნიერების ეპოქაში ხდება ძალაუფლების წყარო.[64] ამიტომ, თანამედროვე დისკურსებში გავლენის მოსაპოვებლად აპელირება პირველ რიგში ხდება ცოდნაზე და მეცნიერების ავტორიტეტზე. ცოდნასა და ძალაუფლებას შორის კავშირი სიღრმისეულად გამოიკვლია ფრანგმა პოსტსტრუქტურალისტმა მიშელ ფუკომ.

> *„ფუკოსთან „ძალაუფლების“ გაგების სპეციფიკა პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვლინდება როგორც „მეცნიერული დისკურსების“ ძალაუფლება*

---

[63] „... ძალაუფლების დისკურსიულ ტექნოლოგიას შეუძლია არა მარტო ზემოქმედება იქონიოს ინფორმაციის მიმღები ადრესატის ცნობიერებაზე, არამედ მართოს კიდეც მისი ქცევა სპეციალური შეფასებების, პრიორიტეტების, ემოციების დანერგვით. ... მასმედიური დისკურსის მაგალითები, რომლებიც კონსტრუი-რებულია ... ფოკუსირების, დეფოკუსირების, ფსევდოსოციალური შეფასებების, შეცდომაში შეყვანის და სხვ. ლინგვოკოგნიტური მექანიზმებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან საზრისით მანიპულირებას, მის დამახინჯებას ან დამალვას, ცნებების ჩანაცვლებას, ამტკიცებენ, რომ სემანტიკური ვარირება ხელს უწყობს შეფასებების და ემოციების შეცვლას, „თავს ახვევს“ სიტუაციისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას, ცვლის აღქმის მოდალურობის ფოკუსს. კრიტიკულად მოაზროვნე ინდივიდები, აცნობიერებენ რა დისკურსის მეშვეობით ცნობიერებაზე ზემოქმედების მქონე ასეთ ტექნოლოგიებს, რწმუნდებიან მათი საჯაროდ მეცნიერული დეკონსტრუქციის აუცილებლობაზე“ (Якоба, 2015, 186).

[64] მსგავსად იმისა, როგორც შუა საუკუნეებში რელიგიური „ჭეშმარიტების“ ცოდნა ანიჭებდა მას საკრალურ ძალაუფლებას.

ადამიანის ცნობიერებაზე. სხვა სიტყვებით, მეცნიერების მიერ მოპოვებულ „ცოდნას“, რომელიც თავის თავად ფარდობითია და ამიტომ თითქოსდა საეჭვოა „საყოველთაო ჭეშმარიტების“ თვალსაზრისით, თავს ახვევენ ადამიანის ცნობიერებას როგორც „უდაო ავტორიტეტს“, რომელიც აიძულებს და უბიძგებს მას იაზროვნოს უკვე წინასწარ გამზადებული ცნებებით და წარმოდგენებით“ (Ильин, 1996, 69).

დისკურსიული პრაქტიკებით ერთობლივად იქმნება სემან-ტიკური ველი, რომელიც გამეორების და ტირაჟირების მეშვეობით ქმნის ფართოდ აღიარებული საზრისების სივრცეს. საზოგა-დოებრივი ცნობიერება უნებლიედ ეხვევა ხელისუფლების ნებით შექმნილ „საზრისების ბადეში“. დისკურსის უშუალო მონაწილეები ყოველთვის ვერც აცნობიერებენ, რომ დისკურსების კონტექსტში ჩადებულია ფარული საზრისების სისტემა, რომელიც ანონიმურად ზემოქმედებს ადამიანების ქვეცნობიერებაზე და თავს ახვევს მათ სოციალური პროცესების გარკვეულ ინტერპრეტაციას, შეფასებებს და მოვლენებისადმი ემოციურ-ნებელობით დამოკი-დებულებას. შესაბამისად, ვერ აცნობიერებენ, რომ დისკურსის ნამდვილი სუბიექტი არის ხელისუფლება, რომელიც ლაპარაკობს მათი პირით.

დისკურსის ბანალური კლიშეებიდან მისი კონტექსტუალური საზრისების სფეროში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი *დეკონსტრუქციის* გზით. როგორც კი ვახდენთ მეცნიერული და ენობრივი კონსტრუქტების დეკონსტრუქციას, აუდიტორია მაშინ-ვე გამოდის ფსევდოლოგიკის გავლენიდან, რომელსაც დისკურსი თავს ახვევს მას. ამიტომ პოსტსაბჭოთა ქვყნებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭება პროგრესულად მოაზროვნე ინტელი-გენციას, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია დეკონსტ-რუქციის განსახორციელებლად და შეუძლია კონტრდისკურსების ინიცირება.[65] ასაბუთებს რა დეკონსტრუქციის აუცილებლობას, ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდა წერს:

---

[65] „როგორც ამბობდა მიშელ ფუკო, დისკურსის ფლობა ნიშნავს ძალაუფლების ფლობას. თანამედროვე ელიტები არ ახორციელებენ ჰეგემონიის პოლიტიკას პირდაპირი იძულების მეშვეობით. ... თვით ცნება „ელიტა“ დღეს უკვე ნიშნავს არა მარტო, და არა იმდენად, პოლიტიკურ ჯგუფებს, ... ელიტური გაერთიანებები - ეს არის სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებრივი ექსპერტიზის და კონტროლის ფუნქციას: ექიმები, მასწავ-ლებლები, იურისტები, ჩინოვნიკები, ჟურნალისტები, ბიზნეს-ექსპერტები. თუ ცალკეული პოლიტიკოსის ან პოლიტიკური ლიდერის კრიტიკა არ წარმოადგენს სირთულეს არც იდეური, არც პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ ჯგუფების „ობიექტური, სამართლიანი და რაციონალური“ პოზიციების კრიტიკა ... მოითხოვს განსაკუთრებულ გამბედაობას, თავდადებას და „მკვლევარის ინტუიციას“. ელიტის ძალაუფლების კრიტიკა ნიშნავს, რომ საკუთარი ცოდნა უნდა გახადო ანალიზის საგანი. ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია სპეციალური მეცნიერული მეთოდოლოგიის ფლობა, რომელიც საშუალებას იძლევა ელიტური ჯგუფებით დეტერმინირებული ენის და დისკურსის ფარგლებს გარეთ გასვლას თუ არა, მათი იდეოლოგიური, ძალაუფლებრივი პოტენციალის მთლიანობაში შეფასების საშუალებას მაინც“ (ван Дейк, 2013, 8).

„თავისი ლოგოკის კანონების შესაბამისად იგი აკრიტიკებს ფილოსოფემების არა მხოლოდ შინაგან სტრუქტურას, ერთდრო-ულად სემანტიკურს და ფორმალურს, არამედ იმასაც, რასაც მათ შეცდომით მიაწერენ როგორც მათ გარეგან არსებობას, მათი რეალიზების გარეგან პირობებს: პედაგოგიკის ისტორიულ ფორ-მებს, ამ ინსტიტუტის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სტრუქტურებს. სწორედ იმიტომ, რომ იგი ეხება ფუძემდებლურ სტრუქტურებს, 'მატერიალურ' ინსტიტუტებს, და არა მხოლოდ დისკურსებს ან აღმნიშვნელ რეპრეზენტაციებს, დეკონსტრუქცია ყოველთვის განსხვავდება უბრალო ანალიზისაგან ან 'კრიტიკისაგან' " (Derrida, 1967, 23-24).

2. პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში დომინირებს ნეოლიბერალური დისკურსი, რომელშიც არტიკულირებული მიზნები და დაპირებული რეზულტატები დიამეტრალურად განსხვავდებიან იმისაგან, რაც რეალურად დევს დისკურსის საზრისშემოქმედ მატრიცაში. მართვადი მასმედიის მიერ პროფესიონალურად წარმართული ნეოლიბერალური დისკურსის პირობებში, საზოგადოება ვერ გარკვეულა თუ რა ხდება. დეკლარირებული პოლიტიკის არგუმენტები საზოგადოებისთვის მისაღებია, მაგრამ ფაქტიური შედეგები - მიუღებელია. ქვემოდ მოყვანილია ამ დისკურსის რამდენიმე სტერეოტიპული დებულება, რომლებიც ცხადყოფენ ნეოლიბერალური პოლიტიკის ფსევდოლოგიკას. მაგალითად:

1) ხელისუფლებაში მისასვლელად პოლიტიკოსებს ბიზნსმე-ნებისგან სჭირდებათ ფული და ამომრჩევლებისგან - საარჩევნო ხმები. ამიტომ ბიზნესმენებს ისინი პირდებიან გადასახადების შემცირებას, ხოლო ამომრჩევლებს - მაღალ ხელფასებს და პენსიებს. მაგრამ არაფერს ამბობენ, რომ ერთდროულად ორივე დაპირების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საბიუჯეტო დეფიციტის, სახელმწიფო ვალის და, ესე იგი, ინფლაციის ზრდის ხარჯზე. ანუ, არაფერს ეუბნებიან ხალხს იმის შესახებ, რომ რასაც საჯაროდ მისცემენ ერთი ხელით, ფარულად ისევ წაართმევენ მეორე ხელით.

2) ოლიგარქების ხელშეწყობით ხელისუფლებაში მოდის მთავრობა, რომელიც აცხადებს კონკურენციის ხელშეწყობას. მაგრამ მსხვილი ბიზნესის მიერ მონოპოლიზირე-ბულ ეკონომი-კაში ეს იძენს საპირისპირო, ანუ, კონკურენციის შეზღუდვის, მნიშვნელობას. რადგან ასეთ გარემოში მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ქმნის კონკურენტულ გარემოს, რჩება დაუც-ველი მსხვილი ბიზნესის წინაშე, რომელიც სწორედ რომ ახშობს კონკურენციას და ამკვიდრებს მონოპოლიურ და ოლიგოპოლიურ საბაზრო სტრუქტურებს.

3) ხელისუფლება აცხადებს მეწარმეობის ხელშეწყობას, მაგრამ რეალურად ახშობს მას. რადგან მეწარმეობა პირველ რიგში რეალიზდება მცირე და საშუალო ბიზნესში, რომელიც იზღუდება ამ პოლიტიკის პირობებში. ხოლო მსხვილ ბიზნესში მკვეთრად შემცირებულია და დივერსიფიცირებულია სამეწარმეო რისკები, გაცილებით გაზრდილია დაგეგმვის კომპონენტი, რომელიც ეფუძ-ნება

გრძელვადიან კონტრაქტებს და, შესაბამისად, მეწარმეობას, თავისი პირვანდელი გაგებით, აქ ნაკლებად აქვს ადგილი.[66]

4) მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ხელისუფლება ამართ-ლებს მოგების გადასახადის შემცირებას. მაგრამ აბსოლუტურ მაჩვენებლებში მსხვილი ბიზნესის მოგება გაცილებით აღემატება მცირე და საშუალო ბიზნესის მოგებას. ამიტომ გადასახადის შემცირების მთავარი ბენეფიციარი არის მსხვილი ბიზნესი. და მისი ინტერესების რეალიზება ხდება საბიუჯეტო შემოსავლების და, ესე იგი, პენსიონერების, მასწავლებლების და ზოგადად საზოგადოების ინტერესების ხარჯზე.

5) ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათები არგუმენტირე-ბულია იმით, რომ იგი იწვევს მეწარმეების გააქტიურებას, სამუშაო ადგილების შექმნას და, როგორც შედეგი, შემოსავლების ზრდას. მგრამ რეალური შედეგი არის საპირისპირო. რადგან სამუშაო ადგილებს ქმნის მოთხოვნა, და არა მეწარმე. ხოლო მოთხოვნა ვერ გაიზრდება, თუ არ გაიზარდა უმრავლესობის მსყიდველობითი უნარი. ეს კი ვერ მოხდება, თუ არ განვითარდა მცირე და საშუალო ბიზნესი და დასაქმება; თუ არც საბიუჯეტო შემოსავლები იზრდება (რაც აფერხებს პენსიების, შემწეობების, ხელფასების ზრდას).

6) ცხადდება, რომ საბანკო სისტემის დერეგულირების პირო-ბებში იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტების ზრდა ხელს შეუწყობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას და, როგროც შედეგი, ეკონომიკურ ზრდას. ანუ, დადებითად იმოქმედებს ცხოვრების დონის ამაღლებაზე. მაგრამ საკრედიტო ექსპანსიის რეალური შედეგია ის, რომ: 1) რიგითი მომხმარებლები მოიხმარენ მეტს, ვიდრე აქვთ შემოსავლები და ეფლობიან ვალებში; 2) მშპ-თან შედარებით კრედიტების წინმსწრები ტემპით ზრდა ხდება აუცი-ლებელი პირობა მშპ-ის ნორმალური ზრდის შესანარჩუნებლად, რის გამოც ეკონომიკა ხდება ფინანსურად არასტაბილური, იქმნება საფინანსო ბუშტები, რაც ადრე თუ გვიან, მთავრდება კრიზი-სებით; 3) ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემაში გაცე-მული კრედიტები იქმნება „ჰაერიდან“, არ არის გამყარებული რეალური რესურსებით. ეს იწვევს ფულის პერმანენტულ გაუფასურებას და, ესე იგი, საზოგადოების მსყიდველობითი უნარის შემცირებას. ანუ, საზოგადოებას ერთდროულად აძლევენ სესხებს და თან ართმევენ მსყიდველობით უნარს. ამ პოლიტიკის შედეგად ბანკირები მდიდრდებიან, საზოგადოება ღარიბდება, ეფლობა ვალებში, ხოლო კრიზისი ხდება გარდუვალი.

---

[66] საინტერესოა, რომ ცნობილი ეკონომისტი ჯ. გელბრეიტი თავის წიგნში ***Economics and the Public Purpose*** („ეკონომიკური თეორია და საზოგადოებრივი მიზანი“, 1973), აღნიშნავს, რომ ტექნოსტრუქტურებით მართული კორპორაციები წარმოადგენენ ეკონომიკის დაგეგმვად ქვესისტემას, ხოლო მცირე ფირმები - საბაზრო ქვესისტემას.

7) ინერგება სოციალური სამართლიანობის ინტერპრეტაცია, რომლის თანახმად, შემოსავლები უნდა იყოს დამსახურების ადეკვატური. ინერგება აზრი, რომ მდიდრებმა თავისი შრომით მოიპოვეს სიმდიდრე და ამიტომ მათი შემოსავლების გადანაწი-ლება არის უსამართლობა. მაგრამ, *პოსტსაბჭოთა ოლიგარქია* წარმოიშვა ხალხის ქონების მითვისებით. ასეთ კონტექსტში, გადასახადებისგან თავის არიდება, რაც შეაფერხებს პენსიების და შემწეობების ზრდას მის მიერვე გაძარცულ საზოგადოებაში, ნამდვილად ვერ ჩაითვლება სამართლიანობად. ამასთან, ეკონომიკური უთანაბრობა ბადებს შესაძლებლობების უთანაბრობას. ასეთ კონტექსტში სამართლიანობის თავსმოხვეული ინტერპრეტაცია არარელევანტურია.

8) სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებას ამართლე-ბენ იმით, თითქოს იგი თავისი ბუნებით არის კორუფციის და ნეპოტიზმის წყარო და ამას პროგნოზირებენ ნებისმიერი მთავრობისთვის. ხოლო, რეალურად ასეთია ოლიგარქების მიერ ,,არჩეული" მთავრობა. ოლიგარქები თვითონ უწყობენ ხელს კორუფციის და ნეპოტიზმის გავრცელებას სამთავრობო სტრუქ-ტურებში და ამით თვითონვე უწყობენ ხელს თავიანთი პროგნო-ზების აღსრულებას. თანამედროვე პირობებში არაკორუმპირებული მთავრობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური და, საერთოდ, სოციალური პროგრესი.

9) ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა ცხადდება როგორც უნივერსალური და ეკონომიკურად ეფექტიანი. მაგრამ, ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სპეცი-ფიკით. ნეოლიბერალური პოლიტიკა კონცეპტუალურად არ ითვალისწინებს ქვეყნების სპეციფიკას (ეკონომიკურ პოტენციალს, დარგობრივ სტრუქტურას, სოციალურ კაპიტალს, გეოპოლიტიკურ გარემოს, ბუნებრივ რესურსებს და სხვ.). ამიტომ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც იგი გატარდა, მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.[67]

10) აპელირება ხდება ნეოკლასიკურ თეორიაზე, როგორც მეცნიერებაზე, ანუ იშველიებენ მეცნიერების ავტორიტეტს. მაგრამ ნეოკლასიკური თეორია არ ასახავს რეალობას და დღეისათვის წარმოადგენს ფსევდომეცნიერებას, რომელმაც შეიძინა იდეოლო-გიის ფუნქციები. ანუ, ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა რეალურად ეფუძნება არა მეცნიერებას, არამედ ოლიგარქიული ხელისუფლების იდეოლოგიას;

---

[67] „ახალმა ეკონომიკურმა ლოგიკამ გამოიწვია რეალური ხელფასის დონის დაცემა აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში" (Рейнерт, 2011, 9). ,,თანამედროვე მეინსტრიმული ეკონომიკური მეცნიერების თეთრმა ლაქებმა ხელი შეუშალეს მრავალი ღარიბი ქვეყნის განვითარებას. ჩინეთი და ინდოეთი (დღეისათვის ყველაზე წარმატებულნი განვითარებად ქვეყნებს შორის) განვითარდნენ მათ საწინააღმდეგოდ, რადგან 50 წლის განმავლობაში მისდევდნენ მარშალის გეგმის, და არა ვაშინგტონის კონსენსუსის რეკომენდაციებს" (Рейнерт, 2011, 162).

3. დისკურსებს შორის დომინირებისათვის ბრძოლა არის მთავარი ბრძოლის ველი ოლიგარქიულ ხელისუფლებებსა და რეფორმატორებს შორის. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ დისკურსებს. მათი გავლენით თანდათან ხდება ფასეულობების გადაფასება. უსამართლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ეკოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის და სხვ. პრობლემების ნაცვლად ყურადღების ცენტრში ხვდება ყოველ-დღიური საზრუნავი, საარსებო სახსრების მოპოვება, საკუთრების და ღირსების დაცვა, უმუშევრობა და პენსიები.[68] საზოგადოებაში ისადგურებს შიში, ნიჰილიზმი და აპათია.

გარდუვალია, რომ ადრე თუ გვიან ასეთი რეჟიმი „აფეთქდება", ანუ ნეოლიბერალიზმი არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ პროცესებშიც წარმოშობს არასტაბილურობას და კრიზისს. სანამ საზოგადოება არ გააცნობიერებს, რომ ოლიგარქიული ხელისუფლება შეგნებულად უწყობს ხელს სიღა-რიბეს, კორუფციულ, ბიუროკრატიულ და კრიმინალურ გარემოს და პარალელურად ქმნის მასთან ბრძოლის ილუზიას, იქამდე იგი დარჩება თავისივე გულებრყვილობის მძევალი. მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ არსებული დემოკრატიული უფლებების ფარგლებში საზოგადოების პოლიტიკური და მოქალაქეობრივი გააქტიურებით. თუ საზოგადოება არ გამოი-ყენებს დღეს არსებულ დემოკრატიულ უფლებებს, ხვალ შესაძლოა აღარ ჰქონდეს ისინი. „ვინც არ იყენებს თავის უფლებებს, იგი კარგავს მათ" (ჰეგელი).

როგორც ხალხზეა დამოკიდებული თუ როგორ ხელისუფ-ლებას ირჩევს იგი დღეს, ისე ხელისუფლებაზეა დამოკიდებული თუ როგორი არჩევნები იქნება ხვალ, ... ან საერთოდ, იქნება თუ არა. საზოგადოება და ხელისუფლება აყალიბებენ ერთმანეთს და ერთად ქმნიან ერის ისტორიას.

დასკვნა

1. 30-ანი წლების „დიდი დეპრესიის" შედეგად ცხადი გახდა, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება ვეღარ ხდება და ეკონომიკა საჭიროებს რეგულირებას; 70-ანი წლების კრიზისმა ცხადი გახადა, რომ ეკონომიკის რეგულირება არ შეიძლება კეინზიანური მეთოდებით; ხოლო, 2008 წლის „დიდმა რეცესიამ" ცხადი გახადა, რომ არც ეკონომიკის დერეგულირება შიძლება ნეოლიბერალური პოლიტიკის მეშვეობით. ხოლო, როგორ მოხდეს რეგულირების და თვითრეგულირების თანაარსებობა ერთიანი სისტემის ფარგლებში, ანუ, როგორ მოხდეს სტიქიური საბაზრო ძალების კანალიზება მიზანმიმართული

[68] „საჯარო დისკურსის წარმოების პროცესის ნაწილზე კონტროლი ნიშნავს კონტროლს მისი შინაარსის ნაწილზე, და ესე იგი, აგრეთვე საზოგადოებრივ ცნობიერებაზე არაპირდაპირ კონტროლს - შესაძლოა, არა უშუალოდ იმაზე, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, იმაზე, თუ *რაზე* ფიქრობენ ისინი" (ван Дейк, 2013,15).

რეგულირების საფუძ-ველზე, ამის თაობაზე განსხვავებული პოზიციების შეჯერება დღემდე ვერ ხერხდება;

2. კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკაში ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის ოპტიმალური პროპორციების უზრუნველყოფა ხდება თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ენდოგენური ეკონომიკური ციკლი. შესაბამისად, კრიზისი არის თვითრეგულირებისათვის აუცილებელი პროცესი, რომლის დროსაც ხდება ეკონომიკურ ნაკადებს შორის დარღვეული პროპორციების აღდგენა. ხოლო საბაზრო ეკონომიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მონოპოლიზაციის პირობებში, თვითრეგულირების მექანიზმი მოშლილია და შიდასისტემური პროპორციების უზრუნველყოფა დამატებით საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში.[69] ანუ, საბაზრო თვითრეგულირების და სახელმწიფო რეგულირების თანაარსებობა და ამ პროცესების სინქრონიზაცია ხდება აუცილე-ბელი. მაგრამ ამის განსახორციელებლად საჭიროა მეცნიერული ცოდნა, თუ როგორ ხდება თვითრეგულირება თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამ პრობლემის თეორიულ კვლევას გააჩნია დიდი მნიშვნელობა და მისი გადაჭრის ნებისმიერი არგუმენტირებული კონცეფცია საჭიროებს ყურადღებას. რაც უფრო გაიწელება დროში პრობლემის გადაჭრა, მით უფრო დიდხანს გაგრძელდება არაჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკა თავისი დამანგრეველი შედეგებით.

ნიშანდობლივია, რომ ნეოლიბერალების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს მათი პოლიტიკის ალტერნატივის არარ-სებობა. ამასთან დაკავშირებით რ. მაკჩესნეი წერს:

> *„ ... ნეოლიბერალიზმის მომხრეების საბოლოო კოზირს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს არავითარი ალტერნატივა. კომუნისტური საზოგადოებები, სოციალური დემოკრატიები, და ზომიერად სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოები, როგორიც არის შეერთებული შტატები, ყველამ განიცადა მარცხი - აცხადებენ ნეოლიბერალები, და მათმა მოქალაქეებმა მიიღეს ნეოლიბერალიზმი როგორც ერთადერთი რეალური კურსი. შესაძლოა ეს არ არის სრულყოფილი, მაგრამ, ეს არის ერთადერთი შესაძლებელი ეკონომიკური სისტემა“ (McChesney, 1999, 5).*

რატომ არ არის ალტერნატივა? ცხადია, ალტერნატიულ ეკონომიკურ პოლიტიკას სჭირდება შესაბამისი ეკონომიკური თეორია. სანამ მეცნიერებს არ ეცოდინებათ როგორ ხდება თვითრეგულირება კონკურენციის პირობებში, იქამდე ვერ შეიქმნება ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა და ვერ მოხდება „თვითრეგულირების რეგულირება“ მონოპოლიზებულ ეკონომი-კაში.

---

[69] მსგავსი პრობლემა დაიბადა პოსტსაბჭოთა ეკონომიკებში, სადაც გატარდა „შოკური თერაპია“. ასეთი ეკონომიკა აღმოჩნდა ისეთ პირობებში, როდესაც ცენტრალიზებული მართვა აღარ ხდებოდა, ხოლო კონკურენცია ჯერ არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობების არარსებობის გამო.

ნეოკლასიკური თეორია არ იძლევა ამის საშუალებას. მეტიც, ეს თეორია დიდი ხანია საერთოდ ვეღარ პასუხობს თანამედროვე მეცნიერების კრიტერიუმებს და შეიძინა იდეოლოგიის ფუნქცია. მსგავსად მარქსისტული პოლიტეკონომიისა კომუნისტურ საზოგა-დოებაში, ნეოკლასიკური თეორია გამოხატავს საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ინტერესებს. სწორედ ამით არის განპირო-ბებული მისი დოგმატიზება და ეკონომიკური თეორიის განვითა-რების ხელოვნური ბლოკირება.

> *„ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებაში უსაზღვროდ გაბატონდა ვარიაციები ნეოკლასიკური თეორიის თემაზე. მაგრამ ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია იყო შეუმოწმებელი თეორია. მართალია ცივი ომის დროს ნეოკლასიკური თეორია გამოყენებული იქნა როგორც ეფექტური იდეოლოგიური ფარი, მაგრამ მისი პოსტულატებით არც ერთი ქვეყანა არ აშენებულა“ (Рейнерт, 2011, 161).*

მსგავსი შეხედულებები აქვთ მრავალ მეცნიერს. ამერიკელი ეკონომისტის რობერტ ნელსონის წიგნის *„ეკონომიკსი როგორც რელიგია: სამუელსონიდან ჩიკაგომდე და შემდეგ“* მთავარი იდეა სწორედ ეს არის, რომ ეკონომიკსი რელიგიას უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერებას. მას მიაჩნია, რომ ეკონომიკსმა ჩაანაცვლა რელიგია მატერიალური პროგრესის რწმენით.

> *„ეკონომისტები თავს მიიჩნევენ მეცნიერებად, მაგრამ ... ისინი უფრო გვანან თეოლოგებს. ეკონომიკური პროფესიის თანამედ-როვე წარმომადგენლებისათვის უახლოესი წინამორბედნი არ არიან ისეთი მეცნიერები, როგორც ალბერტ ეინშტეინი და ისაკ ნიუტონი; ჩვენ, ეკონომისტები, უფრო მეტად ვართ თომა აქვინელის და მარტინ ლიუთერის შთამომავალნი“ (Nelson, 2001, xv). „ ისინი [ნეოლიბერალები - პ.ლ.] გვთავაზობენ ... რელიგიურ რწმენას თავისუფალი ბაზრის შეუმცდარობაში და საზრდოობენ მეცხრამეტე საუკუნის თეორიებით, რომელთაც არა აქვთ კავშირი რეალობასთან “ (McChesney, 1999, 6).*

3. ეკონომიკური პროცესები დამოკიდებულია ეკონომიკურ ცოდნაზე, იდეებზე, წარმოდგენებზე, რომლებიც დომინირებენ მეცნიერულ დისკურსებში, პოლიტიკურ წრეებში, ეკონომისტებში და მთლიანად საზოგადოებაში. ამიტომ, პოლარიზებულ საზო-გადოებაში ოლიგარქიული ხელისუფლება ცდილობს ხელი შეუწყოს ულტრალიბერალური იდეების დანერგვას საზოგადოე-ბაში, სასწავლო პროცესში, ლიბერალური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიის რანგში აყვანას, რათა მოიპოვოს საზოგადოების მხარდაჭერა თავისი პოლიტიკის გასატარებლად. მდიდარი კლანები ცდილობენ უალტერნატივო გახადონ ლიბერალიზმის იდეები და საზოგადოებისთვის მიუღებელი გახადონ განსხვავებული აზრი. ხოლო ნეოლიბერალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს ნეოკლასიკური თეორია თავისი დოგმებით. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ უმაღლეს ეკონომიკურ განათლებაშიც უალტერნატივოდ

ისწავლება ნეოკლასიკური თეორია („ეკონომიკსი“), და ხდება მომავალი პოლიტიკოსების, ექსპერტების, ლექტორების, მეცნიერების, სახელმწიფო მოხელეების მენტალური პროგრამირება. ხდება საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირება.[70] მეცნიერების სახელით საზოგადოებაში ინერგება ფსევდომეცნიერული იდეეები, რომლებიც განაპირობებენ სახელმწიფოს არაადეკვატურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ეკონომიკური სუბიექტების არასწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რასაც მოსდევს საზოგადოებისთვის კონტრ-პროდუქტიული მოქმედებები.

> *„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დროა საჯაროდ ვაღიაროთ არსებული საბაზრო თეორიების ნაკლოვანებები და, მართლაც, გავაცნობიეროთ რომ ისინი ვერ პასუხობენ მეცნიერულ კრიტერიუმებს. თავის მხრივ, ეს არის ძლიერი სიგნალი ნეოლიბერალური იდეოლოგიისათვის, რომ მისი რეცეპტები პოლიტიკისათვის არ ემყარება ჯასაღ ინტელექტუალურ საფუძველს. 2007-2008 წლების კრიზისმა მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა გადავაფასოთ ჩვენი ძირითადი იდეები და წარმოდგენები, და წამოვიწყოთ ახალი კვლევითი პროგრამა ... . რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ პირველები, ვინც მოუწოდებს ეკონომიკური თეორიის პარადიგმის შეცვლისაკენ. მრავალი ავტორი, როგორც კრიზისამდე, ისე მის შემდეგ, მიუთითებდა ნეოკლასიკური თეორიის ფუნდამენტურ პრობლემებზე და მის უუნარობაზე ასახოს რეალობა. ... არსებული პარადიგმის შეცვლა მნიშვნელოვანი ამოცანაა, და მისი მიღწევა შესაძლებელია მათი მუდმივი კოლექტიური ძალისხმევით, ვინც არ იზიარებს ნეოკლასიკური თეორიის წინაპირობებს და დასკვნებს“ (Slattery, 2013,325).*

ხშირად ეკონომისტები უფრო ცდილობენ ეკონომიკურ რეალობაზე ზემოქმედებას, ვიდრე მის შესწავლას. ამიტომაც ზემოქმედების რეზულტატები განსხვავდებიან დეკლარირებული მიზნებისაგან. ასეთ ვითარებაში

---

[70] ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მე-20 საუკუნის ცნობილი მოაზროვნეების მიშელ ფუკოს და ნოამ ჩომსკის დიალოგი: მ. ფუკო: „... ითვლება, ... რომ ძალაუფლება ლოკალიზებულია მთავრობის ხელში, და რომ მისი რეალიზება ხდება გარკვეული რაოდენობის სპეციალური ინსტიტუტებით, ისეთი, როგორიც არის პოლიცია, არმია, უწყებრივი და სახელმწიფო აპარატი. ... მაგრამ, მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკური ძალაუფლება რეალიზდება აგრეთვე გარკვეული რაოდენობის იმ ინსტიტუტებით, რომლებსაც, ერთი შეხედვით არაფერი აქვთ საერთო პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ... ადამიანებმა ეს იციან ოჯახთან, უნივერსიტეტთან და საერთოდ განათლების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც, ერთი შეხედვით, იქმნება იმისთვის, რომ გაავრცელოს ცოდნა, ხოლო სინამდვილეში შექმნილია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს გარკვეული საზოგა-დოებრივი კლასის ძალაუფლება და გამორიცხოს ყველა სხვა საზოგადოებრივი კლასის ძალაუფლების იარაღი. ... მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში, ... ნამდვილი პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განიხილოს და გააკრიტიკოს ძალაუფლების ერთი შეხედვით ნეიტრალური და დამოუკიდებელი ინსტიტუტები, ამასთან, გააკრიტიკოს და განიხილოს ისე, რომ ის პოლიტიკური ძალადობა, რომელიც ფარულად ხდება მათში, იქნეს მხილებული, იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ მათ წინააღმდეგ ბრძოლა. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ძალაუფლების ამ საყრდენი წერტილების ამოცნობას, ჩვენ აღმოვჩნდებით იმ საფრთხის ქვეშ, რომ დაუშვებთ მათ არსებობას შემდგომშიც. შეიძლება აღმოვჩნდეთ იმის მოწმენი, თუ როგორ აღდგება იგივე კლასობრივი ძალაუფლება აშკარა რევოლუციური პროცესის შემდეგაც.“ ნ. ჩომსკი: „დიახ, მე სავსებით გეთანხმებით, და არა მარტო თეორიაში, არამედ ფაქტობრივადაც“ (იხ. ფუკო, 1971).

ეკონომისტებს მოეთხოვებათ განსაკუთრებული პროფესიული პასუხისმგებლობა და თეორიული კვლევების გააქტიურება. გააქტიურება აშკარად შეინიშნება მსოფლიოში 2008 წლის კრიზისის შემდეგ. მეცნიერები, პრაქტი-კოსები, ექსპერტები და სტუდენტებიც კი, სულ უფრო აქტიურად გამოდიან ნეოკლასიკური თეორიის და ნეოლიბერალური პოლი-ტიკის კრიტიკით, რადიკალური რეფორმების პროგრამებით. გამო-იცემა უამრავი მეცნიერული შრომები, ეწყობა კონფერენციები, წამყვან უნივერსიტეტებში შექმნილია სტუდენტური ასოციაციები სასწავლო პროგრამებში პლურალიზმის მოთხოვნით, დაარსდა კვლევითი ცენტრები ნეოკლასიკური პარადიგმის ალტერნატივის შესაქმნელად და ა.შ.[71]

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ван Дейк Т.** 2013. Дискурс и власть: Репрезентация доминирования в языке и коммуникации. **М.:** Книжный дом «ЛИБРОКОМ».
2. **Ильин И.** 1996. Постструктурализм. Деконструктивизм. Постмодернизм. Москва: Интрада.
3. **Леиашвили П.** 1990. Анализ экономической ценности. - М.:"Экономика".
4. **Леиашвили П.** 1990. Ценность как категория аксиологии. Тбилиси, Изд-во ТГУ.
5. **Леиашвили П.** 2011. Экономическая деятельность: Телеологический анализ. Тбилиси. СИАХЛЕ.
6. **Леиашвили П.** 2013. Экономикс в тисках эмпиризма и догматизма. Тби-лиси, СИАХЛЕ.
7. **Райнерт Э.** 2011. Как богатые страны стали богатыми, и почему бедные страны остаются бедными. М.: Изд. дом Гос. ун-та — Высшей школы экономики.
8. **Русакова О.** 2012. Современная политическая философия. Екатеринбург: ИД «Дискурс-Пи».
9. **Якоба В.** Деконструкция дискурсивной технологии властию.// Вестн. Волгогр. гос. ун-та. Сер. 2, Языкозн. 2015. № 5 (29).
10. **Berg A., Ostry J.** 2011. Inequality and Unsustainable Grouth: Two Sides of the Same Coin? IMF Staff Discussion Note.
11. Debate Noam Chomsky & Michel Foucault - On human nature [Subtitled]. **13, March, 2013. (**https://www.youtube.com/watch?v=3wfNl2L0Gf8&t=7s)

[71] სტუდენტური ასოციაციები შქმნილია კემბრიჯის, ოქსფორდის, ჰარვარდის, სორბონას და მსოფლიოს სხვა წამყვან უნივერსიტეტებში; 2015 წელს შეიქმნა სტუდენტური მოძრაობა "International Student Initiative for Pluralism in Economics" („საერთაშორისო სტუდენტური ინიციატივა პლურალიზმისათვის ეკონომიკურ თეორიაში". იხ. http://www.isipe.net), იგი დღეისათვის აერთიანებს 82 სტუდენტურ ჯგუფს 30 ქვეყნიდან; ჯ. სოროსმა დააფუძნა „ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტი", რომლის საწესდებო მიზანს წარმოადგენს ახალი ეკონომიკური პარადიგმის შემუშავება (იხ. https://www.ineteconomics.org); ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯ. სტიგლიცმა დააფუძნა ინსტიტუტი „Initiative for Policy Dialogue (IPD)", რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ნეოლიბერალიზმს და ეხმარება ქვეყნებს ალტერნატიული გზებით ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში; საყოველთაოდ ცნობილია საპროტესტო მოძრაობა „Occupy Wall Street" (http://occupywallst.org/about), ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მწვავე კრიტიკით, რომელიც 2011 წლის სექტემბერში დაიწყო მანჰეტენში და გავრცელდა აშშ-ის 100-ზე მეტ ქალაქში და გლობალურად გავრცელდა 1500-ზე მეტ ქალაქში.

12. **Derrida J.** 1967. L' ecriture et difference. (Цитю по: Ильин И. ПОСТМОДЕРНИЗМ. СЛОВАРЬ ТЕРМИНОВ. Москва: INTRADA. 2001).
13. **Hayek F.** 1933. Monetary Theory and the Trade Cycle. Sentry Press, New York, N.Y.
14. **Human Development Report**, 2015
15. **IMF.** Causes and Consequences of Income Inequality: A Global Perspective. Prepared by Era Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Frantisek Ricka, Nujin Suphaphiphat, and Evridiki Tsounta. June 2015.
16. **Kotz D.** The Financial Crisis and the Real Economy, October, 2013. In: Real World Banking and Finance, by Orr D., Reuss A., Sturr C., Wolfson M. 7th Edition, Dollars & Sense, 2014.
17. **Kotz D.** Neoliberalism : The Rebound? Responses by David Kotz. // Actuel Marx – Anglais. August, 2011.
18. **Leiashvily P.** Towards the teleological understanding of economic value. // *"International Journal of Social Economics"*. Volume 23, Number 9, 1996. (p. 4 - 14).
19. **Leiashvily P.** 2012. Economic Activity: Teleological Analysis. *New York. Nova Science Publishers Inc.*
20. **Leiashvily P.** The Dialectics of Economic Activity. In Searching of Symmetry in Economy. // *Georgian International Journal of Science and Technology*, V. 3. Issue 3, 2011
21. **McChesney W.** 1999. Introduction. In: Chomsky N. Profit over people: neoliberalism and global order. New York. Seven Stories Press. 1999.
22. **Nelson R.** 2001. Economics as Religion: From Samuelson to Chicago and Beyond. University Park: Pennsylvania State University Press.
23. **OXFAM**. OXFAM BRIEFING PAPER. Working for the few. Political captire and economic inequality. 20 JANUARY, 2014.
24. **OXFAM**. OXFAM MEDIA BRIEFING. The cost of inequality: how wealth and income extremes hurt us all. 18 January 2013.
25. **Stiglitz J.** 2012. The Price of Inequality. W. W. Norton & Company, Inc. New York, N.Y.
26. **Thorsen D., Lie A.** 2013. What is Neoliberalism? Oslo. University of Oslo.

2.2. ინსტიტუტების "ხაფანგში" მომწყვდეული ეკონომიკა

სავალუტო ფონდის პოლიტიკა გარდამავალ ქვეყნებში, რომელიც ეფუძნებოდა ე.წ. "ვაშინგტონის კონსენსინსს" აღმოჩნდა მცდარი. ეს ცხადი ხდება მსოფლიოს სულ უფრო და უფრო მეტი მეცნიერისათვის. განსაკუთრებით მწვავე კრიტიკით ამის თაობაზე გამოდიან "ინსტიტუციონალისტები". ინსტიტუციონალიზმი მკვეთრად უპირისპირდება ნეოკლასილურ პარადიგმას, ანუ იმ თეორიის საფუძვლებს, რომელზეც ეფუძნება IMF-ის პოზიცია, და მისი მონეტარული პოლიტიკა. IMF-ის მონეტარული რეცეპტების წარუმატებლობა გარდამავალ ქვეყნებში უნებლიედ გვიბიძგებს, რომ მეტად დავინტერესდეთ მათი ოპონენტების, ინსტიტუციონალისტების არგუმენტებით. ხოლო ეს არგუმენტები არც თუ უსაფუძვლოა. რას გულისხმობს "ინსტიტუციონალიზმი" როგორც თეორია? რა არის "ინსტიტუტი"? როგორ შეიძლება გავაანალიზოთ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები ამ თეორიის კონტექსტში?

ინსტიტუტი ამ თეორიის ძირითადი ცნებაა და გულისხმობს როგორც ფორმალურ წესებს, ისე არაფორმალურ ნორმებს. რეალურ ცხოვრებაში ინსტიტუტები იღებენ სამართლებრივი ნორმების, ტრადიციების, არაფორმალური დაუწერელი წესების, კულტურული სტერეოტიპების ფორმას. ინსტიტუტები ქმნიან საზღვრებს დაშვებულსა და დაუშვებელს შორის, ქმნიან წესრიგს. მათი მეშვეობით ადამიანის ქცევა ხდება პროგნოზირებადი.

მართალია დროთა განმავლობაში ინსტიტუტები იცვლება (უქმდება ძველი, იბადება ახალი), მაგარამ მთლიანობაში, სოციალურად მიზანშეწონილი ინსტიტუტები ძალიან სტაბილურია. მათ გააჩნიათ თვითშენარჩუნების თვისება. ისინი გადაეცემა დროში წამბაძველობისა და სწავლების მეშვეობით, საერთოდ ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში. ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ და კულტურულ გარემოს. ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ ინდივიდი არის იმ საზოგადოების პროდუქტი, რომელშიც იგი აღიზარდა და მოღვაწეობს.

მოკლედ, ინსტიტუტები არის ერთგვარი ‘’თამაშის წესები’’, ხოლო ორგანიზაციები და ინდივიდები – არიან მოთამაშეები. ინდივიდებს და ორგანიციებს გააჩნიათ კონკრეტული მიზნები (შემოსავლების მიღება, არჩევნებში გამარჯვება, ინფორმაციის გავრცელება და სხვ.) ინდივიდები და ორგანიზაციები აგროვებენ იმ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც ეხმარება მათ გადაირჩინონ კონკურენციის პირობებში. თუ შემოსავლების დამალვა იძლევა წარმატების მეტ შანსს, მაშინ ფირმა დაიწყებს იმ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას, რათა “დაიხვეწოს” როგორც არგადამხდელი. მაგრამ თუ მისთვის ყველაზე მომგებიანი არის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, იგი დაიწ-

ყებს ცოდნის და გამოცდილების დაგროვებას, რათა "დაიხვეწოს" ამ მიმართულებით.

ინსტიტუტების (კანონების, ნორმების, წესების) გარეშე საზოგადოება ვერ იქნება თავისუფალი. თავისუფლება არის კანონის დიქტატურის პირმშო, მისი შედეგი. კანონებს, ანუ უფლებების და მოვალეობების საზღვრებს, უნდა იცავდეს სახელმწიფო სპეციალური ორგანოების, პოლიციის, სასამართლოს მეშვეობით და არა თვითონ სუბიექტები.

თუ სახელმწიფო ვერ იცავს ამ საზღვრებს (კანონებს), მაშინ სუბიექტები იძულებულნი ხდებიან თვითონ დაიცვან თავისი უფლებები. სწორედ აქ იწყება ანარქია და ძალმომრეობა. ძლიერი დაიცავს თავის უფლებებს, სუსტი ვერ დაიცავს. ყალიბდება "ჯუნგლების კანონი". მართალია ის, ვინც ძლიერია. ეს უკვე სხვა კანონია. ანუ დაწერილი კანონები აღარ მოქმედებენ და იბადება ახალი, დაუწერელი კანონი.

ასეთ პირობებში საზოგადოების განვითარება ფერხდება, რადგან სუბიექტების ძალისხმევა მიმართულია არა აღმშენებლობით მიზნებზე, არა მატერიალური თუ სულიერი ფასეულობების შექმნაზე, არამედ ურთიერთდაპირისპირებაზე, უკვე შექმნილი სიმდიდრის გადანაწილებაზე. ეროვნული ენერგია იხარჯება დესტრუქციაზე. ქვეყანაში ისადგურებს უნდობლობა, შიში, ძალადობა, თაღლითობა, ქურდობა. ყოველივე ეს აუცილებებლი ხდება ელემენტარული თვითგადარჩენისათვის. ანუ ხდება ის რაც ხდება დღეს საქართველოში.

საზოგადოების ნორმატიული სისტემის ნგრევას სოციოლოგები უწოდებენ "ანომიას". "ანომიის" მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას ამერიკელი სოციოლოგი რობერტ მერტონი ადარებს ისეთ სპორტულ შეჯიბრებას, როდესაც სპორტსმენის წინაშე დგას ამოცანა "გამარჯვება შეჯიბრებაში" და არა "გამარჯვება შეჯიბრებაში წესების დაცვით". გამარჯვების მოპოვება შესაძლებელია აკრძალული მეთოდებითაც (აკრძალული ილეთების, დოპინგის, მსაჯების მოსყიდვის გზით და ა.შ.).

მსოფლიო ბანკის გამოკვლევების თანახმად საშუალოდ საზოგადოების 10-12% არის კანონმორჩილი და წესიერი ნებისმიერ სოციალურ გარემოში. ასევე 10-12% არის ანტისაზოგადოებრივი და აგრესიული მუხტის მატარებელი. ძირითადი მასა, 75-80% ატარებს შუალედურ თვისებებს და ახდენს ადაპტაციას სოციალური გარემოს მიხედვით. ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ მოვლენ ხელისუფლებაში – "დადებითი", თუ "უარყოფითი" 10%-ის წარმომადგენლები. რადგან ისინი ქმნიან სოციალურ გარემოს, რომელიც განსაზღვრავს თუ საით გადაიხრება "ნეიტრალური" უმრავლესობა (80%), და შესაბამისად, თუ როგორ საზოგადოებას მოვიღებთ.

ერთ შემთხვევაში დაფასებული იქნება წესიერება, ნიჭი და პასუხისმგებლობა. ხოლო უღირსი საქციელი დაისჯება. შესაბამისად "ნეიტრალური" 80%-იც გადაიხრება აქეთკენ და იცხოვრებს ამ პრინციპებით, რადგან ეს არის რაციონალური საქციელი წარმატების მისაღწევად. საზოგადოებაში დაისადგურებს წესრიგი, კანონის და პიროვნების პატივისცემა, ქვეყანაში დაიწყება აღმშენებლობითი პროცესები.

თუ ქვეყნის ხელისუფლებაში აღმოჩნდებიან "უღირსი" 10%-ის წარმომადგენლები, მაშინ დაფასებული იქნება უღირსი ადამიანები, ხოლო დაისჯებიან ღირსეულნი. წარმატების საწინდარი ხდება ქრთამი, ქურდობა, ძალადაობა. შესაბამისად "ნეიტრალური 80%-იც გადაიხრება ამ მიმართულებით. ქვეყანაში დაისადგურებს კორუფცია, აგრესია, პიროვნების და კანონის უპატივცემულობა. მილიონობით ინდივიდების ძალისხმევა მიმართული იქნება არა ახალი ფასეულობების შექმნაზე, არამედ უკვე შექმნილის გადანაწილებაზე, კონფლიქტებზე. შეფერხდება ქვეყნის განვითარება.

როგორც ეგოიზმი და ანგარება საბაზრო ეკონომიკაში აიძულებს ინდივიდებს აწარმოონ საზოგადოებრივად სასარგებლო საქონელი, ასევე კარიერიზმი და ამბიციები დემოკრატიულ ქვეყანაში აიძულებს სახელმწიფო მოხელეებს და პოლიტიკოსებს აკეთონ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე. საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის პირობებში კარიერისაკენ სწრაფვაც და ანგარებაც ჩაყენებულია საზოგადოებრივად სასარგებლო სამსახურში. ისინი წარმოშობენ ინდივიდუალურ სტიმულებს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის. ინდივიდუალური და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის თანხვედრა და კოორდინაცია ხდება ინსტიტუტების მეშვეობით, იმ წესების, კანონების, ნორმების და სტერეოტიპების მეშვეობით, რომელიც დამკვიდრებულია ქვეყანაში.

ანუ დაწერილი და დაუწერელი კანონები და ნორმები და მათი აღსრულების მექანიზმები ქმნის ქვეყნის ერთიან ინსტიტუციონალურ გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს ეკონომიკა. სწორედ იგი აიძულებს ადამიანებს თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ რაციონალურად. მაგრამ რამდენად რაციონალური იქნება საზოგადოებისათვის ეს მილიონობით ინდივიდის დამოუკიდებელი ქმედებები, რამდენად მოხდება ინდივიდებისა და საზოგადოების ინტერესების თანხვედრა, პატიოსანი შრომა იქნება რაციონალური, თუ ქურდობა და კორუფცია, ეს დამოკიდებულია ამ ინსტიტუტებზე.

პროგრესის თუ რეგრესის გზით ივლის ქვეყანა დიდწილად განპირობებულია იმით, არსებობს თუ არა ქვეყანაში კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრა. ჯერ-ჯერობით კი საქართველოში სრული უთანხმოებაა მათ შორის და ქვეყანა იმყოფება სიტუაციაში, რომელიც "თამაშების თეორიაში" ცნობილია როგორც "პატიმარის დილემა" – სიტუაცია, როდესაც კოლექტიურად (ან საზოგადოებრივად) ირაციონალური შედეგები გამომდინარეობენ ინდივიდუალურად რაციონალური მოქმედებებიდან.

საბაზრო ეკონომიკისათვის ეს არის ნონსენსი. საბაზრო ეკონომიკის სასწაულმოქმედი ძალა სწორედ იმაშია, რომ იგი ახდენს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაახლოვებას. სწორედ ამას გულისხმობს ადამ სმიტის "უხილავი ხელის" კონცეპცია. ამიტომ რაიმე მოლოდინი, რომ უკანონობის პირობებში შესაძლებელია ეკონომიკური წინსვლა – მოკლებულია საფუძვლს. საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დემოკრატიული კანონების დიქტატურა, სამართლებრივი წესრიგი, ჯანსაღი სოციალური ნორმები და ის სოციალური მექანიზმებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ნორმების დაცვას. რადგან ცხადია, რომ თუ არავინ გვაიძულა გადასხადების გა-

დახდა, კანონის დაცვა, სხვისი ქონების და უფლებების პატივისცემა, ეკოლოგიური ნორმების დაცვა, ძალზე ცოტა ვინმე თუ გააკეთებს ამას, თუნდაც ყველამ ვიცოდეთ, რომ ყველასთვის უკეთესი იქნება ყოველივე ამის გაკეთება.

ნორმალურ ქვეყანაში ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სწორედ ამ ჰარმონიას ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, "მე"-სა და "ჩვენ"-ს შორის. მაგრამ "ანომიურ" საზოგადოებაში, რომელშიც მოშლილია ინსტიტუციონალური ბაზა, ხდება პირიქით. იბადება კონფლიქტი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, მათ შორის ირღვევა ჰარმონია. ინდივიდუალურად რაციონალურია უკვე ისეთი ქმედებები, რომლებიც ბადებენ საზოგადოებრივად ირაციონალურ შედეგებს. ინდივიდუალური ძალისხმევა, იგივე ეგოიზმით და კარიერიზმით ნაკარნახევი, კერძო ინტერესების რეალიზაცია – ისეთივე სასწაულებრივი ძალით ანგრევს ქვეყანას და მის ეკონომიკას, როგორც ადრე აშენებდა მას. რამდენადაც დიდია დემოკრატიული ქვეყნის ინსტიტუტების აღმშენებლობითი პოტენციალი, იმდენდვე დამანგრეველია ანომიური საზოგადოების ინსტიტუტების ძალა. ინსტიტუტები წარმოადგენენ იმ ყოვლისშემძლე "ანონიმურ ძალას", რომელსაც შეუძლია ააყვავოს ქვეყანა ან დააქციოს იგი.

სამართლებრივად და ზნეობრივად არაჯანსაღ გარემოში შეიძლება არსებობდესმხოლოდ არაჯანსაღი ეკონომიკა. ასეც არის. ჩვენი ეკონომიკა ისეთივე კრიზისშია, როგორც ზნეობა, სამართალი.

დაუსჯელობის სინდრომი ადამიანში ბადებს პოზიციას: "მოტყუება, გადასახადების არგადახდა და სხვა მომგებიანია. პეტრეს შერჩა ტყუილიც, ქრთამიც. პავლესაც. ივანესაც. ალბათ მეც შემრჩება". გამოდის, რომ ტყუილი ეკონომიკურად ეფექტურია, მაგრამ, როდესაც ყველამ დაიწყო ასე ფიქრი და შემდეგ ქმედებაც, მივიღეთ ასეთი საქართველო და ასეთი ეკონომიკა, როგორიც გვაქვს. ანუ ტყუილი, როგორც ცალკეული მოქმედება – ეს ერთია, ხოლო ტყუილი, როგორც საზოგადოებრივი ნორმა, როგორც ცხოვრების წესი – ეს მეორეა. პირველ შემთხვევაში ინდივიდის გადასაწყვეტია, უღირს თუ არა დანაშაულით მოპოვებული სარგებელი შესაძლო სასჯელს. დაუსჯელობის სინდრომის პირობებში დანაშაულის მხილების რისკი დაბალია. ამიტომ დანაშაული ეკონომიკურად მომგებიანია. სულ უფრო მეტი ადამიანი ჩადის დანაშაულს. შედეგი? შედეგად ეს დანაშაული ხდება ქცევის ნორმა, ანუ ჩვეულებრივი რამ. ეს კი უკვე აღარ არის მომგებიანი. რადგან ვიღებთ ახალ საზოგადოებას ახალი "თამაშის წესებით", სადაც დანაშაული ცხოვრების ნორმაა, რომლის გარეშეც შეუძლებელი ხდება ცხოვრება. ეს არის საზოგადოება, სადაც წარმატება დამოკიდებულია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის "ტექნიკურ ეფექტიანობაზე", იმაზე, თუ რამდენად "პროფესიონალურად" ხდება დანაშაულის ჩადენა. ეს არის დამნაშავეთა საზოგადოება.

როდესაც საკუთრების უფლებების ხელყოფა გახდება ნორმად, ასეთ საზოგადოებაში ეკონომიკური რისკი იმდენად იზრდება, რომ ხდება ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის ბლოკირება. (განსაკუთრებით ცუდ გავლენას ახდენს ეს მცირე და საშუალო ბიზნესზე. მათ არ გააჩნიათ თავის დაცვის საშუალებები). როდესაც ბაზარს გადაინაწილებენ კრიმინალური კლანები და გააკონტროლებენ დარგში შესვლას და გამოსვლას, მაშინ ლაპარაკიც ზედმე-

ტია კონკურენციაზე. როდესაც წესად იქცევა შემოსავლების დამალვა, და გადასახადების ნაცვლად წესად იქცევა ქრთამის მიცემა, ასეთ ქვეყანაში ბიუჯეტი ვერ შეივსება.

უზნეობის ფაქტები, რათქმა უნდა ყველა ქვეყანაშია, ყოველთვის იყო და დიდხანს იქნება. მაგრამ როდესაც ეს უზნეობა ნორმად იქცევა, მაშინ ეს ხდება ეკონომიკის და მთლიანად სახელმწიფოს ნგრევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ვერანაირი ეკონომიკური პოლიტიკა, საგარეო სესხები თუ ეკონომიკური სანქციები ვერ უშველის ასეთი ქვეყნის ეკონომიკას.

ნორმების ეს სისტემა შექმნეს ყველამ ერთად, მთლიანად საზოგადოებამ, სპონტანურად, ანუ კონკრეტულად არავინ. იგი ანონიმურია და წარმოადგენს "ანონიმურ ძალას", რომელიც იმორჩილებს ინდივიდებს. ცალკეულ ინდივიდს შეუძლია მხოლოდ დაემორჩილოს, ან არ დაემორჩილოს მათ. მაგრამ მარტო იგი ვერ შეცვლის მათ.

მაგრამ გარდამავალ პერიოდებში (რევოლუციები, რეფორმები და სხვ.), საზოგადოება იმყოფება "ანომიურ" მდგომარეობაში, როდესაც მოშლილია საზოგადოების ნორმატიული სისტემა. ანომიურ საზოგადოებაში მიზნების მისაღწევად ხერხების შერჩევა განპირობებულია მხოლოდ ტექნიკური მიზანშეწონილობით. სულ უფრო მეტი ადამიანი ხელმძღვანელობს პრინციპით – "მიზანი ამართლებს საშუალებებს". ფეხს იკიდებს ანტისოციალური ქმედებები. ასეთი საზოგადოება ნერგავს წარმატების ყველასათვის საერთო სიმბოლოებს, როგორიც არის ფული, თანამდებობა, პრესტიჟი. ამასთანავე, მოსახლეობის უმრავლესობას არ აძლევს საშუალებას მიაღწიოს ამ მიზნებს ინსტიტუციონალურად დაშვებული საშუალებებით. ამის შედეგია ნევროზები, ანტისოციალური საქციელი ან რევოლუციური მოღვაწეობა. საქართველოში სახეზეა ერთიც, მეორეც და მესამეც.

ჩვენ ყველა ვემორჩილებით იმ ნორმებს, რომელიც არავის არ მოგვწონს. ეს ნორმები გვიმორჩილებენ ჩვენ ჩვენი ნების საწიანააღმდეგოდ. რატომ? ნორმა იქმნება და არსებობს იმის წყალობით, რომ ყველა იქცევა ამ ნორმების მიხედვით. თუ ვინმე არ დაემორჩილება მას, იგი დაისჯება იმ დანარჩენების მიერ, ვინც იცავს ნორმებს (გინდაც არ მოსწონდეთ). ნორმიდან გადახვევა რომ უნდა დაისაჯოს – თვითონ ესეც ერთ-ერთი ნორმაა მოცემული ნორმების სისტემაში. ცალკეულ პიროვნებას უჭირს დაუპირისპირდეს ნორმებს და ემორჩილება მათ. ხოლო როდესაც ჩვენ ყველა ცალცალკე ვემორჩილებით ამ წესებს და ფასეულობებს, ამით ისინი (ფასეულობები და ნორმები) განაგრძობენ არსებობას და უფრო მეტად იმორჩილებენ საზოგადოებას, რადგან ეს ნორმები არსებობენ მანამ, სანამ ჩვენ მათით ვსარგებლობთ. ანუ ადამიანები ქმნიან ნორმებსა და ცხოვრების წესებს, რომელნიც იძენენ ანონიმური ძალას და რომელსაც შემდეგ ადამიანები თვითონვე ემორჩილებიან.

ანემიურ საზოგადოებაში ადამიანები იძულებული არიან მოიქცნენ ისე, რაც და როგორც მათთვის მიუღებელია. ეს არის გაუცხოება. საზოგადოებაზე ბატონობს არა დიქტატორი, არამედ ანონიმური ძალა – ნორმები, რომელიც საბოლოო ჯამში თვით ამავე საზოგადოების მიერ არის შექმნილი, მათი კოლექტიური ქმედების პროდუქტია.

საქართველოში დაბალია სამართლებრივი კულტურა. ამიტომ არაფორმალურ ურთიერთობებს და დაუწერელ კანონებს გააჩნიათ გადამწყვეტი როლი ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულირებაში. ეს განაპირობებს პირადი ურთიერთობების განსაკუთრებული როლს, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღემატება სამართლებრივ ნორმებს, დაწერილ კანონებს. აქედან მომდინარეობს "ჩაწყობის" ინსტიტუტი, პროტექციონიზმი და ა.შ.

შესაბამისად, ეს ინსტიტუტები და არა დემოკრატიული ან საბაზრო კანონები განაპირობებენ დღევანდელ საქართველოში ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესირსების განაწილებას და გადანაწილებას. სწორედ ეს დამახინჯებული ინსტიტუტები ახდენს ჯანსაღი კონკურენციის ბლოკირებას და საერთოდ ეკონომიკური რეფორმების ბლოკირებას.

რაღაც დონეზე ეს ინსტიტუტები მოქმედებენ ყველა ქვეყანაში, მაგრამ იქ, სადაც კანონი კანონობს, ამ ინსტიტუტების გავლენა უფრო მოკრძალებულია, და არ აქვს ასეთი ტოტალური გზვლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროებზე და მათ შორის ეკონომიკაზე. საბაზრო ეკონომიკის და საერთოდ დემოკრატიული საზოგადოების სასწაულმოქმედი აღმშენებლობითი ძალა განპირობებულია სწორედ ჯანსაღი კონკურენციით და შრომის დანაწილებით.

კონკურენციის შედეგად, წარმატებას ნახულობს ის კომპანია, პოლიტიკოსი, საინვესტიციო თუ სახელმწიფო პროექტი, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურად შეძლებს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ანუ დემოკრატიული საზოგადოების თუ საბაზრო ეკონომიკური კანონები უზრუნველყოფენ იმას, რომ პოლიტიკის, ეკონომიკის, მაცნიერების თუ ნებისმიერ სხვა სფეროში წარმატებას ნახავენ ის ადამიანები, ვისაც აქვთ ნიჭი და უნარი სხვაზე უკეთ გააკეთონ საქმე, რომელიც მათ აბარიათ. ვინც ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს კარგად, მას გამოდევნის კონკურენცია.

ასეთივე ჯანსაღი კონკურენციის პრინციპით ნაწილდება მატერიალური და ფინანსური რესურსები. თუ ვინმე დააპირებს ძვირადღირებული რესირსით საზოგადოებისათვის უსარგებლო პროდუქციის გამოშვებას, იგი გაკოტრდება. თუ პოლიტიკოსები საბიუჯეტო რესურსებს არარაციონალურად გამოიყენებენ, ისინიც პოლიტიკურად გაკოტრდებიან.

როდესაც "პირადი ურთიერთობების" გიპერტროფირებული მნიშვნელობის გამო მოშლილია ჯანსაღი კონკურენცია, მაშინ ქვეყანას აღარ მართავენ ერის საუკეთესო შვილები, ბიზნესს არ წარმართავენ ყველაზე ნიჭიერი ბიზნესმენები. შესაბამისად, ისინი იღებენ არაეფექტურ გადაწყვეტილებებს. ანუ ტარდება არაეფექტური საკადრო პოლიტიკა და არაეფექტურად ნაწილდება მატერიალური და ფინანსური რესირსები ქვეყანაში. ამიტომაც არის - თითქმის ყველა რესურსი გვაქვს, მაგრამ ვერ ვახერხებთ ეკონომიკის ამოქმედებას.

შრომის დანაწილება და კონკურენცია უზრუნველყოფენ პრინციპს, რომ ყველა აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც უკეთ შეუძლია. მაგრამ თუ დამახინჯებული ინსტიტუტების გამო, "ჩაწყობის", კორუფციის გამო კონკურენცია ბლოკირებულია, მაშინ ეს პრინციპი აღარ მოქმედებს. როდესაც

შრომის დანაწილების პირობებში ერთი ვერ აკეთებს კარგად თავის საქმეს, მაშინ სხვებიც ვეღარ აკეთებან თავის საქმეს. თუ ცუდად მუშაობს კომუნალურუ მომსახურება, პოლიცია, ჯანდაცვის სისტემა და ა.შ. მაშინ მე იძულებული ვარ თვითონ ვიყო ჩემმთვის ექიმიც, პოლიციელიც და სანტექნიკიც. მაგრამ, თუ მე თვითონ მომიწევს ყოველივე ამის კეთება, მაშინ მეც ვეღარ ვიქნები ჩემი საქმის კარგი პროფესიონალი. ანუ იშლება შრომის დანაწილება, ფერხდება საზოგადოების განვითარება, ეცემა შრომის ნაყოფიერება და ცხოვრების დონე.

არა და საბაზრო ეკონომიკის სასწაულმოქმედ ძალას ბადებს სწორედ შრომის დანაწილება და სპეციალიზაცია. იგი უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანის პირადი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სასარგებლოა მისი საქმიანობა საზოგადოებისათვის. მოკლედ, თუ სიკეთე გინდა შენთვის, მაშინ სიკეთე უნდა გაუკეთო სხვას. ანუ, გარკვეული უტრირებით, მაგრამ მაინც, აქაც შეიძლება ითქვას - "რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია". მართალიუა რუსთაველი გულისხმობდა სიკეთეს, უანგარო დახმარებას, სულიერ ფასეულობებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ძალაშია პრინციპი - "ჩემთვის კარგია ის, რაც კარგია შენთვის".

ხოლო თუ მოიშალა შრომის დანაწილება, მაშინ ადამიანმა თვითონ უნდა აკეთოს თავისთვის ყველაფერი. მაშინ დომინირებული იქნება ურთიერთობების სხვა პრინციპი. მაშინ საზოგადოებაში არსებული შეზღუდული რესურსები, დრო, ენერგია, მატერიალური ფასეულობები უნდა მოვიხმარო ან მე, ან სხვამ. ერთის კეთილდღეობის ზრდა ხდება სხვისი კეთილდღეობის გაუარესების ხარჯზე. იბადება ინტერსთა კონფლიქტი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. საზოგადოებაში მატულობს ძალადობა, მოტყუება, კონფლიქტები. მსგავსი მოვლენები ხდება საქართველოში.

როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, როგორ შევქმნათ ის კარგი ნორმები, რომელსაც შემდეგ ყველა დავემორჩილებით? ამისთვის საჭიროა პრეცენდენტები. და რაც უფრო მეტი ადამიანი მოიწონებს მათ და გაიხდის ორიენტირად თავის მომავალ მოქმედებებში, მით უფრო სწრაფად დამკვიდრდება ახალი ნორმები. საჭიროა რომ საზოგადოებამ დაადასტუროს თავისი ერთგულება ამ ახალი ნორმების მიმართ.

საქართველოში სულ უფრო მატულობს ახალი პლეადა ადამიანებისა, რომლებიც ამკვიდრებენ ახალ ნორმებს, ქმნიან ზნეობის, მოქალაქეობრივი შეგნების, პირადი გამბედაობის ახალ პრეცენდენტებს. და ახალგაზრდობაც სულ უფრო მეტად ირჩევს მათ თავისი ქცევის ორიენტირად, და არა ქურდულ მენტალიტეტს, “ძველბიჭობის” თუ “კაცური კაცობის” დრომოჭმულ ნორმებს. ანუ იბადება ახალი საქართველო, 21-ე საუკუნის განახლებული ქართული საზოგადოება, რომელიც აღარ შეეგუება იმას, რასაც წინა თაობები ეგუებოდა. ამის აშკარა დასტურია “ვარდების რევოლუცია” და ბათუმის მოვლენები.

ამ მოვლენების შედეგად სახალმწიფოს სათავეში მოვიდა ახალი მთავრობა. ახალი ნორმების დამკვიდრების თვალსაზრისით სახელმწიფოს ეკისრება უდიდესი როლი. სწორედ კორუფციასთან ბრძოლა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია, დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის

უფლებების, მათ შორის საკუთრების უფლების დაცვა - ამას გულისხმობს ცივილიზებული "ინსტიტუციონალური გარემოს" შექმნა. ამ სფეროში დევს ეკონომიკის გააქტიურების დიდი შესაძლებლობები. ამაზე მეტყველებს თუნდაც საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი ზრდა, რომელიც მოხდა 2004 წლის პირველ 5 თვეში გასული წლების ანოლოგიურ პერიოდებთან შედარებით. ეს ფისკალური ეფექტი გამოწვეულია წმინდა "ინსტიტუციონალური" ფაქტორით. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ამ სფეროში უნდა ვეძიოთ საქართველოს ეკონომიკის და საერთოდ საზოგადოების გაჯანსაღების ძირითადი რეზერვები.

III. პოლიტიკური რეალიები

3.1. დემოკრატიზაციის ალგორითმი (წერილი პირველი)

საქართველოში ბევრს მიაჩნია, რომ დემოკრატიის მშენებლობაში არსებული პრობლემები მთლიანად ხელისუფლების ბრალია. საკმარისია გამოვცვალოთ ხელისუფლება და ყველაფერი გამოსწორდება. ეს რეალობის მეტისმეტად გამარტივებაა. პრობლემათა მიზეზები ობიექტური პროცესების ლოგიკაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს ჩვენ ვერ ვითვალისწინებთ რაღაც ობიექტუერ კანონზომიერებებს რადგან ვერა და ვერ ვახერხებთ საქართველოში ხელისუფლების ექსცესების გარეშე დემოკრატიული გზით შეცვლას. ხალხი თავდაპირველად მთელ იმედებს ამყარებს ახალ პრეზიდენტზე და დიდი უმრავლესობით მხარს უჭერს მას, შემდეგ კი აღმოაჩენს, რომ პრეზიდენტმა ვერ გაამართლა მისი ნდობა და ასევე დიდი უმრავლესობით უპირისპირდება მას. დღესაც იგივე მეორდება.

არადა სამივე პრეზიდენტმა შეასრულა თავისი მისია: 1) <u>გამსახურდიამ</u> გამოაღვიძა ეროვნული სული. მოხდა ერის თვითიდენტიფიკაცია. მისი წინამძღოლობით ერმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და ისევ გავხდა მსოფლიო ისტორიის სუბიექტი; 2) <u>შევარდნაძის</u> მართველობის დროს გავწევრიანდით საერთაშორისო სტრუქტურებში. ქვეყანამ შეიძინა საერთაშორისო ფუნქცია. ჩაეყარა საფუძველი სახელმწიფო სტრუქტურებს, საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის ინსტიტუტებს; 3) <u>სააკაშვილის</u> მართველობის დროს მოხდა სისტემური ძვრები ქვეყანაში, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის შემდგომი განვითარება.

ანუ სამივე პრეზიდენტმა შეასრულა გარკვეული მისია, შემდეგ გახდა ხელისშემშლელი ფაქტორი ქვეყნის განვითარებისთვის. ეს ხელს უწყობს ოპოზიციის კონსოლიდაციას. დაპირისპირება მწვავდება და მთავრდება ხელისუფლების ვადამდელი შეცვლით.

ერთი შეხედვით ყველა პოლიტიკურ სუბიექტს უნდა დემოკრატიის მშენებლობა სწრაფად, თანმიმდევრულად, პოლიტიკური რყევების გარეშე. მაგრამ მათი აქტიობის შედეგად ვიღებთ იმას, რომ დემოკრატიული რეფორმები მიმდინარეობს სპონტანურად, პერიოდული პოლიტიკური კრიზისებით და ხელისუფლების

ძალადობრივი შეცვლით. თითქოს ანონიმური ძალა გვაკეთებინებს იმას, რაც არავის არ გვსურს. რატომ ხდება ასე?

შევეცადოთ გავაანალიზოთ დემოკრატიზაციის პროცესის "ალგორითმი". დავიწყოთ ელემენტარულიდან. დავიწყოთ იმით, რომ კანონი არის საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორი. მაგრამ იგი მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას, როდესაც ყველა იცავს მას, როდესაც ის საყოველთაოა. ხოლო თუ ზოგი დაიცავს კანონს და ზოგი – არა, მაშინ ის მხოლოდ ფორმალურად არის კანონი და არსებითად აღარ არის კანონი. ასეთი "კანონი" ხდება საშუალება იმათ ხელში, ვინც ფაქტიურად წყვეტს როდის აამოქმედოს კანონი და ვის წინააღმდეგ, და როდის არა. ასეთი ფორმალური, მხოლოდ ქაღალდზე არსებული კანონის დაცვა წამგებიან მდგომარეობაში აყენებს კანონმორჩილ ადამიანს კანონდამრღვევთან შედარებით. კანონი ზღუდავს ერთს, მეორეს კი – არა. კანონმორჩილი ადამიანი ვეღარ ახდენს მიზნების რეალიზაციას და მასაც უჩნდება მოტივაცია დაარღვიოს კანონი. რაც უფრო ბევრი ადამიანი არღვევს კანონს, მით უფრო შეუძლებელი ხდება ცხოვრება კანონდარღვევების გარეშე. კანონის ნაცვლად უკანონობა ხდება საყოველთაო. შექმნილი განუკითხაობის გამო იზრდება საზოგადოების უკმაყოფილება.

თავის ტენდენციაში ასეთ ვითარებას მივყავართ იქამდე, რომ შესაძლოა ცალ-ცალკე არავის უნდოდეს კანონის დარღვევა, მაგრამ იძულებული იყოს დაარღვიოს კანონი, რადგან ყველა დანარჩენი არღვევს კანონს (თუმცა არც მათ არ უნდათ ამის გაკეთება). ანუ ყველა ერთმანეთს აიძულებს იმის კეთებას, რისი გაკეთებაც არავის უნდა. თითქოს რაღაც "უხილავი ხელი" ახდენს საზოგადოებით მანიპულირებას.

მაგრამ თანდათან ცხადი ხდება, თუ ვისია ეს "უხილავი ხელი". ცხადი ხდება, რომ მართალია კანონს <u>ფაქტიურად არღვევს</u> ყველა, მაგრამ ამის <u>უფლება</u> არა აქვს ყველას. კანონის დარღვევის "უფლება" აქვს მხოლოდ იმას, ვისაც აქვს ფული, თანამდებობა, გავლენიანი მფარველები. ხოლო ამ ფულის, თანამდებობის და მფარველების მოსაპოვებლად კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია დაუწერელი (და არა დაწერილი) კანონების ცოდნა და დაცვა. ეს დაუწერელი კანონები არც სამართლიანია და არც ზნეობრივი, მაგრამ ეფექტურია. ამიტომ ყველა ცდილობს ისწავლოს და დაიცვას არა იმდენად იურიდიული კანონები, რამდენადაც ეს დაუწერელი კანონები. ამას უწოდებენ "ცხოვრებისეულ გამოცდილებას". და საბოლოოდ გამოდის, რომ ასეთ საზოგადოებაში, სადაც არ იცავენ დაწერილ კანონებს და დაბალია სამართლებრივი კულტურა, ურთიერთობების რეალური რეგულატორები არიან უსამართლო, უზნეო და ხშირად სასტიკი დაუწერელი კანონები. ასეთ საზოგადოებაში ერთისთვის შეიძლება ის, რაც არ შეიძლება მეორესთვის. ეს იწვევს საზოგადოების პოლარიზაციას მდიდრებად და ღარიბებად. უსამართლობა ბადებს სოციალურ დაძაბულობას, კონფლიქტებს და არასტაბილურობას.

ძალაუფლებას ხელში იგდებს ის ვიწრო სოციალური ფენა, ის ადამიანები, რომელნიც თავს ახვევენ საზოგადოებას თავის ინტერესებზე მორგებულ დაუწერელ ნორმებს და რომელთაც აქვთ ფული, თანამდებობა, გავლენიანი კავშირები. ეს სოციალური ფენა თანდათან ამყარებს თავის დიქტატურას: ხელში იგდებს ტელემაუწყებლობას, ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და მიზანმიმართულად

აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს; აკომპლექტებს სასამართლო ხელისუფლებას და ესეიგი, იმასაც, თუ როდის და ვის წინააღმდეგ ამოქმედდეს კანონი; აკონტროლებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, და ესეიგი იმასაც, თუ როგორი კანონები იქნას მიღებული და რაც მთავარია, სრულად აკონტროლებს საარჩევნო ადმინისტრაციას და იგებს ყველა არჩევნებს (რადგან "არჩევნებს იგებს ის, ვინც ითვლის ხმებს").

არჩევნების გაყალბების პირობებში ხალხი აღარ არის ძალაუფლების პირველწყარო (როგორც ამას გულისხმობს დაწერილი კანონი – კონსტიტუცია). ძალაუფლების რეალური წყაროა ის, ვინც აყალბებს არჩევნებს, ანუ თვითონ ხელისუფლება. იქმნება ჩაკეტილი წრე – ხელისუფლება თვითონ ანიჭებს საკუთარ თავს ძალაუფლებას არჩევნების გაყალბების გზით, ხოლო გაყალბებისათვის იყენებს ამავე ძალაუფლებას. ასეთი ხელისუფლება, რათქმა უნდა აღარ არის დამოკიდებული ხალხზე. აღარ არის მისი ინტერესების წარმომადგენელი. ხელისუფლებას უკვე თავისი ინტერესები აქვს – ძალაუფლების და მასთან დაკავშირებული პრივილეგიების შენარჩუნება.

იბადება ინტერესთა კონფლიქტი, რომლის შედეგადაც, ან ხალხი შეცვლის ხელისუფლებას, ან ხელისუფლება "შეცვლის" ხალხს. ერთ შემთხვევაში მოხდება ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. მეორე შემთხვევაში ხელისუფლება დაამონებს ხალხს, გამოიყენებს სახელმწიფოს რეპრესიულ აპარატს, რათა დააშინოს იგი, აღზარდოს მასში მორჩილება და "ძლიერი ხელის" მოთხოვნილება. ანუ ყველაფერი დადის იქამდე რამდენად თავისუფლების მოყვარეა საზოგადოება და როგორ ხელისუფლებას შეეგუება, და როგორს – არა. საბოლოო ჯამში ამას გულისხმობდა ჰეგელი, როდესაც წერდა, რომ ყველა ერი ღიღსია იმ ხელისუფლების, როგორიც ჰყავს.

ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ყველა არღვევს "კანონს", და შესაბამისად კველა "დამნაშავეა". მაგრამ დაისჯება მხოლოდ ის "დამნაშავე", ვინც აუჯანყდება რეჟიმს, არ დაიცავს დაუწერელ კანონებს, ვინც ხმამაღლა იტყვის იმას, რაც ყველამ ისედაც იცის; გააკეთებს იმას, რაც ყველას უნდა, მაგრამ არ უნდა რეჟიმს. ვიღებთ შიშზე დამყარებულ, დამონებულ საზოგადოებას. და ეს არის შიში არა იმდენად კანონის, რამდენადაც ხელისუფლების, ფულიანი და გავლენიანი ადამიანების წინაშე, რომელნიც დგანან კანონზე მაღლა, რომელთაც ეპატიებად ის, რაც არ ეპატიება სხვას. ვიღებთ საზოგადოებას, სადაც თანაარსებობენ მონობა და თვითნებობა, მაგრამ არ არის თავისუფლება.

ვიღებთ ანემიურ საზოგადოებას. ეს საზოგადოება სადაც გამოიცემა "მკვდრადშობილი" კანონები, რომელსაც არავინ იცავს. დაწერილი კანონის იგნორირება თვითონ ხდება დაუწერელი კანონი. ასეთი საყოველთაო უკანონობა საზოგადოებაში ბადებს პროტესტის გრძნობას და კანონიერების დამყარების სურვილს.

საზოგადოება გაიცნობიერებს, რომ თავისუფლება და სამართლიანობა შესაძლებელია მხოლოდ კანონის დიქტატურის პირობებში, რომ ურთიერთობეის რეგულატორი უნდა იყოს ხალხის ინტერესების გამომხატველი დაწერილი კანონები და არა ავტორიტარული რეჟიმის მიერ თავსმოხვეული დაუწერელი ნორმები. ხოლო იმისათვის რომ ხელისუფლებამ დაწეროს ასეთი კანონები და უზრუნველყოს მათი საყოველთაო დაცვა, ამისათვის საჭირო, რომ ხალხმა თვითონ აირჩიოს

ხელისუფლება. ანუ საზოგადოება თანდათან აცნობიერებს იმას, რომ საჭიროა დემოკრატია. მაგრამ ამის გაცნობიერება არ ხდება ერთდროულად ყველა სოციალური ჯგუფის მიერ.

ავტორიტარულიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის პერიოდში საზოგადოების სხვადასხვა ფენებში სხვადასხვა სისწრაფით ითავისებენ დემოკრატიულ ფასეულობებს. ამიტომ ცნობიერების დემოკრატიზაციის თვალსაზრისით საკმაოდ დიდი განსხვავებებია სოციალურ ჯგუფებს შორის. საზოგადოებრივი აზრი არის მკვეთრად დიფერენცირებული. საქართველოში საზოგადოების ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ქალაქის ინტელიგენცია) იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს. მეორე ნაწილისათვის (ავტორიტარებისთვის) წესრიგი, სოციალური დაცულობა და სამართლიანობა ჯერ კიდევ ასოცირდება ავტორიტარულ რეჟიმთან, ხოლო სტალინი დღემდე მიაჩნიათ ყველაზე დიდი ქართველად. არის ასევე პოლიტიკურად ინდეფერენტული ფენაც (ძალზე დიდი), რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა ეკონომიკურ სიდუხჭირე და არა ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაცია. ტრანზიტულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ეს სპეციფიკა არ იყო სათანადოთ გათვალისწინებული რეფორმირების მოდელში.

საქართველოში დემოკრატიული რეფორმები წარიმართა მსგავსი ლოგიკით, რაც ეკონომიკური რეფორმები. ანუ ადგილი აქვს დასავლური კანონების და ინსტიტუტების მექანიკურ კოპირებას იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად მზად არის საზოგადოება მოცემოლ ეტაპზე იცხოვროს ამ კანონების მიხედვით. ეს არის დემოკრატიული რეფრმები "შოკური თერაპიის" მეთოდით და არა თანდათანობითი გარდაქმნები, ("გრადუალიზმი"). ქვეყნის სპეციფიკის იგნორირება ბადებს სერიოზულ პრობლემებს.

დემოკრატიულ ქვეყნებში მაღალია სამართლებლივი კულტურა, კანონმორჩილება ეფუძნება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობას, აღზრდით შეთვისებული ქცევის სტერეოტიპებს. აქ კანონმდებლობა და ინსტიტუტები ყალიბდებოდა ევოლუციური გზით, დემოკრატიული მსოფლმხედველობის ფორმირების კვალდაკვალ და მის საფუძველზე.

ტრანზიტულ ქვეყნებში დაბალია სამართლებრივი კულტურა. ასეთ საზოგადოებაში ურთიერთობების რეგულირება შეუძლებელია იგივე კანონებით და ინსტიტუტებით, რაც დასავლურ საზოგადოებაში. როდესაც კანონმორჩილების მნიშვნელოვანი ფაქტორია შიში, იძულება და არა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ხელისუფლებას სჭირდება მეტი უფლებები, ადმინისტრირება და უფრო დიდი რეპრესიული აპარატი დასახული ამოცანების გადასაჭრელად. ამიტომ, დასავლური კანონების პირდაპირ გადმონერგვა საქართველოში ბადებს უამრავ პრობლემას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში დემოკრატიული რეფორმები მიმდინარეობს უმძიმეს პირობებში – რუსეთთან ომი, სეპარატიზმი, ლტოლვილები, რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა, უკიდურესი სიღატაკე, სოციალური ფენების და რეგიონების უკიდურესი ეკონომიკური პოლარიზაცია, მასიური უმუშევრობა და ინფლაცია, მძიმე კრიმინოგენური ფონი. ექსტრემალურ პირობებში უფრო ძლიერდება მოტივაცია, რომელიც ადამიანებს უბიძგებს კანონდარღვევებზე. შესაბამისად კანონდარღვევების მასშტაბებიც მნიშვნელოვნად გასხვავდება

დემოკრატიულ და ტრანზიტულ ქვეყნებში. ყველამ ვიცით, რომ საქართველოში კანონდარღვევებმა შეიძინა მასიური ხასიათი. ხდებოდა (დღესაც ხდება, თუმცა მცირე მასშტაბებით) გადასახადებისაგან თავის არიდება, მოხმარებული დენის და გაზის საფასურის არ გადახდა, სახელმწიფო სახსრების და მიწების მიტაცება, თაღლითობა, ქურდობა და სხვა. მეტიც, თვით სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ ამავე საზოგადოების წევრები და მათ გააჩნიათ იგივე მენტალობა და ქცევის სტერეოტიპები, რაც დანარჩენ საზოგადოებას. ამიტომ კანონდარღვევები ხდება თვით სახელმწიფო ატრუქტურებშიც.

ცხადია, ძალაუფლების ცენტრალიზაცია, ქვეყნის მართვის მეთოდები, სამართალდამცავი სტრუქტურების უფლებამოსილება, ვერ იქნება ერთნაირი ქვეყანაში, სადაც კანონს არღვევს (პირობითად) 5-10% და ქვეყანაში, სადაც კანონს არღვევს 80-90%. ანუ ერთი და იგივე კანონები და ინსტიტუტები სხვადასხვა ნაირად მუშაობენ იმის მიხედვით, თუ რამდენად განვითარებულია მოქალაქეობრივი ცნობიერება მათი მოქმედების სივრცეში, როგორია იქ ქცევის სტერეოტიპები, ზნეობრივი ნორმები, ტრადიციები.

ხელისუფლებას შეუძლია გამოსცეს კანონები, მიანიჭოს ხალხს მეტი დემოკრატიული უფლებები. მაგრამ მას არ შეუძლია "მიანიჭოს" მას მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებაზე. რომელიც, როგორც აღინიშნა ძალზე მოუმწიფებელია და არათანაბრად არის განვითარებული საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

სწორედ აქ იბადება კოლიზია უფლებებსა და პასუხისმგებლობას შორის. ამ უფლებების მინიჭება თუ წართმევა შეიძლება შედარებით ადვილად და სწრაფად. ხოლო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და კანონისადმი პატივისცემის ფორმირება საზოგადოებაში გაცილებით ძნელია. ამას სჭირდება დრო და შესაბამისი პირობებიც. და რაც მთავარია, ამ პასუხისმგებლობის (და საერთოდ დემოკრატიული ცნობიერების) ფორმირების ერთ-ერთი მთავარი პირობაა თავად ამ დემოკრატიული უფლებების არსებობა, რომლის რეგულირებაც ხელისუფლების კომპეტენციაშია. ანუ დემოკრატიული ცნობიერების ფორმირებას სჭირდება დემოკრატიული გარემო (დემოკრატიული კანონები, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები და სხვა).

თუ საზოგადოებას საერთოდ არ ექნება დემოკრატიული უფლებები, მაშინ იგი ვერ ისწავლის დემოკრატიას, ვერ განუვითარდება დემოკრატიული ცნობიერება, სათანადო ჩვევები. თუ მას მიანიჭებენ მეტისმეტ უფლებებს, რომელიც არ შეესაბამება მისი პასუხისმგებლობის განვითარების დონეს, მაშინ მივიღებთ სახიფათო დისბალანსს – ბევრი უფლებები და მცირე პასუხისმგებლობა. ამას კი ცნობილია საით მივყავაერთ – იწყება ანარქიით და მთავრდება დიქტატურით. ანუ იბადება აუცილებლობა, რომ ხელისუფლებამ ეს უფლებები საზოგადოებას მანიჭოს "დოზირებულად" დემოკრატიული ცნობიერების და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ფორმირების კვალდაკვალ.

ეს რეალობა და ეს საფრთხეები ნათელი ხდება ხელისუფლებისათვის, როდესაც აღმოაჩენს, რომ "მეტისმეტი" დემოკრატია რეფორმების მოცემულ ეტაპზე საზიანოა. როდესაც დემოკრატიული უფლებები წინ უსწრებენ დემოკრატიული ცნობიერების

განვითარებას, ხელისუფლება აღმოაჩენს, რომ კარგავს კონტროლს პროცესებზე, ხელიდან ეცლება ძალაუფლება.

ასეთ პირობებში ჩნდება დემოკრატიის გარკვეულწილად შეზღუდვის აუცილებლობა: ძალაუფლების კონცენტრაციის, პირად ერთგულებაზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკის და სხვა ავტორიტარული მართვისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების გამოყენების აუცილებლობა. ტრანზიტულ ქვეყანაში ნებისმიერი ხელისუფლება იძულებულია დემოკრატიულ მეთოდებთან ერთად გამოიყენოს ეს ავტორიტარული მეთოდებიც. პრობლემა მხოლოდ იმაშია, თუ ვის ხელშია ხელისუფლება – დემოკრატების თუ ავტორიტარების.

თავისი მიზნების მისაღწევად დემოკრატებს დროებით ისევე სჭირდებათ ავტორიტარიზმი, როგორც ავტორიტარებს – დემოკრატია. თუ ხელისუფლებას აკონტროლებენ ავტორიტარები, მაშინ დემოკრატიის შეზღუდვა ემსახურება ავტორიტარული რეჟინის შენარჩუნებას, თუ აკონტროლებენ დემოკრატები – მაშინ დემოკრატიული რეჟიმის შენარჩუნებას.

ავტორიტარებისთვის დემოკრატია არის საშუალება ხელისუფლებაში მოსასვლელად, მიზანი კი არის ავტორიტარული რეჟიმის დამყარება და ხელისუფლების შენარჩუნება. ხელისუფლებისაგან ისინი მოითხოვენ მეტ უფლებებს (სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები, დამოუკიდებელი სასამართლო), რათა შეცვალონ არსებული ხელისუფლება, შემდეგ კი შეზღუდავენ იგივე უფლებებს, რათა დარჩნენ ხელისუფლებაში, რადგან ისინი ხელს შეუშლიან ხელისუფლების შენარჩუნებაში პოლიტიკური კონკურენციის პირობებში. ასეთია მათი ბრძოლის ლოგიკა.

ამით აიხსნება ერთი შეხედვით პარადოქსალური მოვლენა – დემოკრატიული გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში ავტორიტარული რეჟიმები, რომლებიც შემდეგ სპობენ დემოკრატიას (რუსეთში, ბელორუსიაში, თურქმენეთში. ამის მაგალითებია აგრეთვე სტალინის, გიტლერის, ხუსეინის, მილოშევიჩის და სხვა რეჟიმები). ასეთ საფრთხეს ქმნის დემოკრატიული კანონები არადემოკრატიული ცნობიერების მქონე საზოგადოებაში.

დემოკრატების შემთხვევაში პირიქით. ავტორიტარული მეთოდები მათთვის არის საშუალება, ხოლო დემოკრატიული რეჟიმი – მიზანი. ისინი იძულებულნი არიან არ ითაკილონ ავტორიტარული მეთოდებით იქამდე, სანამ ქვეყანაში შეუქცევადი გახდება დემოკრატიული პროცესები. ამიტომაც ჩამოყალიბდა საქართველოში (აგრეთვე უკრაინაში) "პროდასავლური ავტორიტარიზმი". ერთი შეხედვით ეს პარადოქსია. "პროდასავლური" და "ავტორიტარული" ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. მაგრამ ხელისუფლება პროდასავლურია, რადგან მიზნად ისახავს დემოკრატიის მშენებლობას. ხოლო ავტორიტარულია, რადგან ამისათვის იძულებულია გარკვეულ ფარგლებში გამოიყენოს ავტორიტარულ მეთოდებიც, თუნდაც იმიტომ (სხვა ამოცანებთან ერთად), რომ არ დაუშვას ისეთი ძალების მოსვლა ხელისუფლებაში, რომლებიც ეჭვის ქვეშ დააყენებენ ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციას და დემოკრატიულ ფასეულობებს. ქვეყნის დემოკრატიზაციის გარკვეულ ეტაპებზე ასეთი საშიშროება მართლაც არსებობს.

თანამედროვე მასმედიის თუ პოლიტთექნოლოგიების პირობებში შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი აზრის და მოთხოვნილებების ფორმირება. შესაბამისად,

მასმედიაზე კონტროლის პირობებში ხელისუფლებას ეძლევა შესაძლებლობა მისთვის სასურველი მიმართულებით ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და მოთხოვნილებები, შემდეგ კი დააკმაყოფილოს ისინი. ანუ ისე მოახდინოს საზოგადოების მანიპულირება და ისე წარმართოს საზოგადოება, რომ საზოგადოებას დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს მოქმედებს თავისი ნებით და არის თავისუფალი. ამიტომ მნიშვნელოვანია ვინ აკონტროლებს ხელისუფლებას. უზურპატორი ხელისუფლება ხალხს ექცევა როგორც სახედარს, რომელიც მისდევს მის წინ ჩამოკიდებულ თივის კონას და ვერ ხვდება, რომ ვიღაც სხვა მართავს თივის კონას და გასაზღვრავს მისი მოძრაობის ტრაექტორიას.

მაგრამ მასმედიის კონტროლის სურვილი ტრანზიტულ ქვეყანაში შესაძლოა გაუჩნდეს დემოკრატიულ ხელისუფლებასაც, რათა შეზღუდოს დემაგოგების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. საქმე იმაშია, რომ მოქალაქეობრივი ცნობიერების დაბალი განვითარების პირობებში, პრობლემაა არა მხოლოდ ის, რომ დემაგოგები იწყებენ დემაგოგიას, რომ კრიტიკა ხშირად ღებულობს ლანძღვა–გინების ფორმას, რომ ცილისწამება და აგრესია სცილდება ყოველგვარ ზღვარს. უფრო სერიოზული პრობლემაა ის, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მოსწონს ეს. და ეს აისახება დემოკრატიული არჩევნების შედეგებზე. დემაგოგები ხშირად ღებულობენ ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერას. ანუ ვინც არ უნდა იყოს ტრანზიტული ქვეყნის ხელისუფლებაში, იგი მიმართავს საზოგადოების მანიპულირებას ან თავისი, ან საზოგადოების ინტერესებში.

მაგრამ ასეთი მანიპულირების შესაძლებლობებსაც აქვს ზღვარი. მართალია, საზოგადოების უმეტეს ნაწილს გააჩნია სოციალური ადაპტაციის დიდი უნარი. მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც ხალხი ვერ შეეგუება ავტორიტარიზმის გაძლიერებას და აუჯანყდება ხელისუფლებას. ასევე არსებობს დემოკრატიული უფლებების ის ზღვარი, რომლის იქითაც წესრიგი შეიძლება გადაიზარდოს ანარქიაში, რასაც ვერ შეეგუება დემოკრატიული ხელისუფლება და ნაწილობრივ შეზღუდავს დემოკრატიას. პოლიტიკური პროცესების ამპლიტუდა მერყეობს ამ ორ უკიდურესობას შორის. საბოლოო ჯამში, ორივე ზღვარი განპირობებულია საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების დონით და პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობის დონით.

საქართველოში საზოგადოებრივი ცნობიერება ყკვე იმდენად არის განვითარებული, რომ ხელისუფლებაში ვეღარ მოვლენ დიქტატორები, ექსტრემისტები, კომუნისტები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული დემოკრატიული გზით ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდეს რუსეთის მარიონეტული მთავრობა. (და ჩამოყალიბდეს "პრორუსული დემოკრატიის" რეჟიმი – ფორმით დემოკრატიული, არსებითად – ავტორიტარული"). რადგან თვით ეს დემოკრატიული კანონები და ინსტიტუტები, რომელსაც ნერგავს ახალი მთავრობა, თანაბარ პირობებში აყენებს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში როგორც დემოკრატებს, ისე დემაგოგებს (პოტენციურ ავტორიტარებს და პრორუსულ ძალებს). და ამ კანონების თანახმად ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებამ, რომელიც: 1) იმყოფება ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ (სიღატაკე, ომი, სოციალური დაუცველობა); და 2) არის ძალზე არაერთგვაროვანი –

საზოგადოების ნაწილი დემოკრატიულია, ნაწილი ავტორიტარია, დიდი ნაწილი კი საერთოდ ინდეფერენტულია.

იმის მიხედვით თუ ვინ მოვა სათავეში ქვეყანა შეიძლება განვითარდეს ან დემოკრატიული გზით, ან ავტორიტარული გზით. (საქართველოს შემთხვევაში ეს ნიშნავს აირჩიოს ან პროდასავლური, ან პრორუსული ორიენტაცია, დამოუკიდებლობა ან რუსეთის დიქტატი). ასეთ პირობებში რათქმა უნდა დიდია ტრანზიტული ქვეყნის ხელისუფლებისათვის არჩევნების გაყალბების ცდუნებაც და, შესაძლოა, პოლიტიკური მიზანშეწონილობაც.

ასეთი მძიმე ალტერნატივების წინაშე არ დგას თანამედროვე დასავლეთი, რომლის კანონების კოპირებასაც ჩვენ ვახდენთ. დღეს იქ არ არსებობს საშიშროება, რომ დემოკრატიული გზით მოვა ავტორიტარული ხელისუფლება და მოხდება დემოკრატიის "თვითმკვლელობა". საზოგადოება არ არის ასე ძლიერად დიფერენცირებული დემოკრატიული ცნობიერების განვითარების ნიშნით. საზოგადოებაში მეტნაკლებად არსებობს კონსენსუნსი ძირითად დემოკრატიულ ფასეულობებთან დაკავშირებით. ზოგადად თუ ვიტყვით, იქ არჩევანი კეთდება არა კარგსა და ცუდს შორის, არამედ კარგსა და უკეთესს შორის. იქ არ დგას საკითხი დემოკრატიის, დამოუკიდებლობის, სიტყვის თავისუფლების ყოფნა–არყოფნის თაობაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით კონსენსუნსი დიდიხანია მიღწეულია. არჩევნებზე დემოკრატები გაიმარჯვებენ თუ რესპუბლიკელები ამერიკისთვის არ არის იმდენად მნიშვნელვანი, რამდენადაც საქართველოსთვის იყო მნიშვნელოვანი მოქალაქეთა კავშირი გაიმარჯვებდა თუ კომუნისტები, ან მომავალში – რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ თუ ლეიბორისტები.

ექსტრემალურ პირობებში მკვეთრად იზრდება ქვეყნის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის როლი. რადგან ხალხი აპრიორი არ არის თავისუფალი თავის არჩევანში გაუყალბებელი არჩევნების პირობებშიც კი. იგი იმყოფება წნეხის ქვეშ – ომი, სიღატაკე, სოციალური დაუცველობა. არსებობს რისკი, რომ მიმდინარე პრობლემების დაძლევის სურვილი უფრო დიდ გავლენას მოახდენს მის გადაწყვეტილებებზე, ვიდრე ქვეყნის მომავლის ინტერესები. მიმდინარე პრობლემები შედარებით სწრაფად მოგვარდება, განვითარების ვექტორი კი დიდ ხანს დარჩება. ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა მხოლოდ საზოგადოებას მიანდოს ქვეყნის ორიენტაციის საკითხები, უჩნდება მასმედიით და არჩევნების შედეგებით მანიპულირების მოტივაცია.

დღევანდელ საქართველოში პრობლემაა არა მარტო ის, რომ საზოგადოების ცნობიერებაში თანაარსებობენ ავტორიტარული და დემოკრატიული შეხედულებები. შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოების ინდეფერენტული ნაწილი, რომელიც ცხოვრობს სიღარიბეში, ნაკლებად განათლებულია და ადვილად ტყუვდება დემაგოგიური დაპირებებით მაღალი პენსიების, დაბალი გადასახადების და უფასო ჯანდაცვის თაობაზე. დემოკრატიული ფასეულობები მათთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური ფასეულობები და შესაბამისად ადვილად შეელევიან პროდასავლურ ორიენტაციასაც კეთილდღეობის დაპირებების სანაცვლოდ. ეს ნიშნავს, რომ დემაგოგებს დიდი შანსები აქვთ ხელისუფლებაში მოსასვლელად.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტრანზიტული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტარები ხშირად გვევლინებიან სწორედ დემაგოგების სახით. დემაგოგების

მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა და იქ დარჩენა, და არა დემოკრატიის მშენებლობა. რასაც რათქმაუნდა არასოდეს აღიარებენ და ამიტომაც ისინი ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ. ხოლო ყველა, ვისთვისაც მიზანია ხელისუფლებაში ყოფნა, და არა დემოკრატიის შენება, პოტენციური ავტორიტარია. რადგან ხელისუფლების შენარჩუნების გარანტიას იძლევა მხოლოდ ავტორიტარიზმი. დემოკრატიის პირობებში პირიქით, პოლიტიკური კონკურენცია ყოველთვის უზრუნველყოფს ხელისუფლების მონაცვლეობას. ამიტომ შემდგომში ჩვენ პირობითად ავტორიტარებს და დემაგოგებს მოვიხსენიებთ ერთიდაიგივე კონტექსტში, თუმცა ეს განსხვავებული ცნებებია.

<u>დასკვნა.</u> შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის განკუთვნილი კანონებით ურთიერთობების რეგულირება და დემოკრატიის შენება საზოგადოებაში: 1) რომელიც მკვეთრად დიფერენცირებულია და მის ერთ ნაწილს სურს დემოკრატია, მეორეს – ავტორიტარული რეჟიმი, ხოლო მესამესთვის კი სულერთია ერთიც და მეორეც, ოღონდ არ იყოს სიღატაკე; 2) რომელშიც მოქალაქეობრივ ცნობიერებაზე მეტად გავრცელებულია წვრილთაღლითური პსიქოლოგია; 3) რომლის დიდი ნაწილი კანონს დაიცავს მხოლოდ შიშის გამო და არა ნებაყოფლობით მოქალაქებრივი პასუხისმგებლობის გამო.

3.2. დემოკრატიზაციის ალგორითმი (წერილი მეორე)

საქართველოში სულ უფრო მძაფრდება ხელისუფლების კრიტიკა დემოკრატიის შეზღუდვის თაობაზე. მაგრამ ცხადია, რომ ხმამაღალი პროტესტი იმის თაობაზე რომ არ არის დემოკრატია შესაძლებელია იქ, სადაც დემოკრატია არის. სადაც არ არის დემოკრატია, იქ არც პროტესტი არ არის. ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ თავად პროტესტის გამოსახატავად საჭიროა რაღაც დონეზე დემოკრატიის არსებობა. კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ თვით მოთხოვნილება დემოკრატიის არსებობაში მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტია ქვეყანაში დემოკრატია. ხოლო ავტორიტარულ რეჟიმებში, სადაც არ არის დემოკრატია, იქ საზოგადოებას შესაძლოა არც განუვითარდეს მისი მოთხოვნილება. მაშინ პროტესტიც ნაკლები იქნება მის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ფაქტები ადასტურებს ამას. რუსეთში, ბელორუსიაში, თურქმენეთში, სადაც არ არის დემოკრატია, საზოგადოება არ გამოთქვამს აქტიურ პროტესტს, არ აწყობს მიტინგებს დემოკრატიის მოთხოვნით. ხოლო საქართველოში, სადაც უფრო განვითარებულია დემოკრატია, საზოგადოება გამოთქვამს აქტიურ პროტესტს დემოკრატიის შეზღუდვის თაობაზე.

რათქმა უნდა საქართველოში ხელისუფლების კრიტიკა არ არის უსაფუძვლო. დემოკრატიის ხელყოფის ფაქტებიც ბევრია და ცუდიც ბევრი რამ ხდება. მაგრამ, ყველა დროში ხდება კარგიც და ცუდიც. რათქმაუნდა ცუდია, რომ დღეს ლაპარაკი

გვიწევს ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბება, ნოემბრის მიტინგის დარბევა, ჟვანიას, გვირგვლიანის, რობაქიზის რეზონანსული საქმეები, კორუფციის ფაქტები და სხვა. მაგრამ კარგია, რომ ლაპარაკი გვიხდება ცალკეულ ფაქტებზე, და არა წინა რეჟიმისთვის დამახასიათებელ ტიპიურ, ნორმად ქცეულ მოვლენებზე (არჩევნების ტოტალური ფალსიფიკაციაზე, ტერორისტული აქტების და პოლიტიკური მკვლელობების სერიულ ხასიათზე, კრიმინალური სამყაროს მასშტაბებზე, კორუფციის სისტემურ ხასიათზე). კარგია, თავად ფაქტი, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ დაამარცხა წინა რეჟიმი, რომლის პირობებშიც ბლოკირებული იყო ნებისმიერი პროგრესი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დემოკრატიული რეფორმები წარმატებით მიმდინარეობს.

ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები განსხვავდება დასავლური საზოგადოების ამოცანებისაგან. დასავლეთში ხელისუფლების მთავარი პრობლემაა დემოკრატიული სისტემის ნორმალური **ფუნქციონირება**. ჩვენი პრობლემაა – დემოკრატიული სისტემის **შექმნა**. ამას ჩვენ დასავლური კანონების კოპირებით ვერ გავაკეთებთ, რადგან ჩვენი საზოგადოება ჯერ არ არის ისეთი, როგორიც დასავლეთშია და არც ამოცანები გვაქვს იგივე, რაც დასავლეთს. დემოკრატიული სისტემის შექმნა და ამ სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა – განსხვავებული ამოცანებია. შესაბამისად ამ ამოცანების გადაჭრას სჭირდება განსხვავებული კანონები, ხელისუფლებაში ძალაუფლების კონცენტრაციის სხვა ხარისხი; ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებსა და ინსტანციებს შორის უფლებება–მოვალეობების გადანაწილების განსხვავებული ფორმატი.

როდესაც ხელისუფლება არ ითვალისწინებს ამ განსხვავებებს და ცდილობს მექანიკურად გადმონერგოს დასავლური კანონები და ინსტიტუტები საქართველოში, ამით იგი "ზედმეტად" ზღუდავს თავის თავს და "ზედმეტ" უფლებებს აძლევს საზოგადოებას. რდგან ამ ეტაპზე არც საზოგადოება, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ჯერ არ არიან მზად იმისათვის, რომ იხელმძღვანელონ ასეთ დემოკრატიული კანონებით.

ასეთ კანონებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელისუფლება ვერ ახერხებს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას. იძულებული ხდება დაარღვიოს თავისივე მიღებული კანონები, გამოიყენოს მართვის ავტორიტარული მეთოდები. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ოპოზიციის და საზოგადოების სამართლიან პროტესტს. მათ არ უნდათ შეეგუონ ისეთ ავტორიტარულ ხელისუფლებას რომელიც არღვევს თავისივე კანონებს. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება იზრდება, იძენს საკუთარ ინერციას. თანდათან დემოკრატიისათვის ბრძოლა გადაიზრდება ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ასეთი ბრძოლის პირობებში ხელისუფლება პარალიზებულია, ხდება არაეფექტური. სახეზეა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც სრულდება ხელისუფლების ვადამდელი შეცვლით.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში, ვიდრე შევარდნაძის რეჟიმის დროს. შევარდნაძის და აბაშიძის რეჟიმების დამარცხება; სისტემური კორუფციის მოსპობა (ცალკეული ფაქტები ეხლაც არის, მაგრამ აღარ არის სისტემა); კრიმინალური სამყაროს დამარცხება; ეკონომიკური საზღვრების გამაგრება, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციების მოზიდვა, ბიუჯეტის,

ხელფასების, პენსიების, ცხოვრების დონის ზრდა და ა.შ. – ამ სისტემური ცვლილებების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა დემოკრატიული კანონმდებლობის ჩარჩოებში. მითუმეტეს შეუძლებელი იქნებოდა ეს რუსეთთან ომის პირობებში, რომლის ფონზეც მიმდინარეობს საქართველოში დემოკრატიის მშენებლობა.

რუსეთის აგრესია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც დაღს ასვავს დემოკრატიულ რეფორმებს საქართველოში. არსებითად რუსეთი არის იძულებაზე დაფუძნებული იმპერია. მას ალერგია აქვს დემოკრატიაზე, რადგან დემოკრატიის პირობებში ის დაიშლება ნაწილებად. (განმეორდება ის, რაც მოხდა საბჭოთა იმპერიის მასშტაბებით: დემოკრატიზაციის მცდელობა დასრულდა იმპერიის დაშლით.) ამით არის განპირობებული რუსეთის მიერ დემოკრატიული ფასეულობების მიუღებლობა. ეს მისი თვიდგადარჩენის ინსტიქტია. ამიტომ თავის სიახლოვეშიც ვერ ეგუება დემოკრატიის არსებობას. ამ ალერგიის შედეგია რუსული აგრესია. იგი ეომება არა ქართველ ხალხს, არამედ დემოკრატიას მეზობელ ქვეყანაში. არ უნდა რომ ეს "გადამდები სენი" მასაც შეეყაროს. ანუ, ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე რუსეთი გამუდმებულად ცდილობს დაგვინგრიოს ის, რასაც ჩვენ ვაშენებთ. ასეთ ექსტრემალურ პირობებში, რუსული წნეხის ქვეშ (სეპარატიზმი, ენერგობლოკადა, ეკონომიკური კავშირების წყვეტა, ბოლოს პირდაპირი ინტერვენცია) დემოკრატიის მშენებლობა შეუძლებელია ხელისუფლების ვერტიკალის გაძლიერების, და ესეიგი დემოკრატიული უფლებების გარკვეული შეზღუდვის გარეშე. გავიხსენოთ, რომ თვით განვითარებულ ქვეყნებშიც დემოკრატიული უფლებები მკვეთრად იზღუდებოდა ომების და კრიზისების პირობებში, ხდებოდა ძალაუფლების კონცენტრაცია და ა.შ.

მხოლოდ დემოკრატიული კანონების ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა რეჟიმის დამარცხება აჭარაში. როგორ უნდა გაკეთებულიყო ეს, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა ა. აბაშიძეს (შიშის თუ მატერიალური ინტერესების გამო). როგორ უნდა დამარცხდება სისტემური კორუფცია დემოკრატიული კანონების ფარგლებში ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც დიდი უმრავლესობა თვითონ იყო პოტენციურად კორუმპირებული (თუ ექნებოდა შესაძლებლობა თვითონაც აიღებდა ქრთამს, რადგან ასეთი იყო "თამაშის წესები"), როდესაც თვითონ სამართალდამცავი ორგანოები იყო კორუმპირებული? და კანონს არღვევდა ის, ვინც უნდა იცავდეს მას? როდესაც სასამართლოში ჩვენების მიცემა ითვლება "ჩაშვებად" და არა მოქალაქეობრივ მოვალეობად? როდესაც თანამდებობებზე ინიშნებიან პირადი ერთგულების და არა პროფესიონალიზმის ნიშნით? როდესაც ეს ყველაფერი იქცა ნორმად და საზოგადოებაში დამკვიდრდა ქცევის ასეთი სტერეოტიპები? როდესაც საზოგადოება შეგუებულია ამას და ცდილობს ადაპტაციას თვითგადარჩენის მიზნით და ახალი თაობებიც ასეთ სოციალურ გარემოში "სწავლობენ ცხოვრებას"? ასეთ სამართლებრივ გარემოში, ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, (მათ შორის თვითონ სახელმწიფოც, ოპოზიციური პარტიებიც, არასამთავრობო ორგანიზაციებიც, ეკნომიკური სუბიექტებიც და სხვ.) რომც არ უნდოდეს, იძულებულია დაარღვიოს კანონი თვით იმ ფაქტის გამო, რომ ყველა დანარჩენი არღვევს კანონს. განა ასეთი საზოგადოების

გარდაქმნა შესაძლებელია დასავლური კანონების გადმოთარგმნით და მათი უპირობო შესრულების მოთხოვნით? განა საკმარისია მოწოდებები კანონმორჩილების თაობაზე?

მოკლედ, მთელი რიგი ამოცანების გადაჭრა, მათ შორის დემოკრატიის მშენებლობაში გარკვეული პროგრესი, შესაძლებელი გახდა რაღაც ფარგლებში ძალაუფლების კონცენტრაციის, ავტორიტარული მეთოდების გამოყენების, პირად ნდობაზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკის, ძალოვანი სტრუქტურებისათვის გაზრდილი უფლებების მინიჭების, მასმედიის და საარჩევნო უფლებების ნაწილობრივი შეზღუდვის მეშვეობით. ყოველივე ეს იყო საშუალება მიზნების მისაღწევად.

ოპოზიცია იტყვის – კეთილი მიზნები არ მიიღწევა ბოროტი საშუალებებითო. ეს მართალია. და სწორედ ამიტომ, რადგან მიზნები კეთილია, ამიტომ ეს საშუალებებიც აღარ არის ბოროტება. პირიქით, მიზნების რეალიზაციას სჭირდება ადექვატური საშუალებები. მართლაც, ავტორიტარული მეთოდები თავისთავად არ არის არც სიკეთე და არც ბოროტება. გააჩნია ვინ და რისთვის იყენებს მას. იგი ბოროტებაა მაშინ, როდესაც ემსახურება ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას, როდესაც ავტორიტარიზმი თვითონ იქცევა მიზნად. მაგრამ, ის სიკეთეა თუ ემსახურება დემოკრატიის დამყარებას ან სხვა კეთილ მიზნებს. ამიტომაც დროებით, როგორც საშუალება, იგი ყოველთვის გამოიყენებოდა თვით დემოკრატიული რეჟიმების მიერ ექსტრემალურ პირობებში (ომები, კრიზისები).

იყო თუ არა ყოველივე ის, რასაც ბრალად სდებენ ხელისუფლებას, ადეკვატური პოლიტიკური ფასი იმისათვის, რასაც მიაწერენ მის დამსახურებას – დრო შეაფასებს. მაგრამ ფაქტია ის, რომ ქვეყანაში მოხდა რადიკალური გარდაქმნები, რომლის გარეშეც დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში იქნებოდა ბლოკირებული. დღევანდელმა ხელისუფლებამ პრინციპულად შეცვალა გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ. მაგრამ ამ გარდაქმნების პროცესში მას დაუგროვდა ავტორიტარული მართვის გამოცდილება, რომელიც არ გამოდგება ახალ გარემოში. მან შექმნა უფრო დემოკრატიულ გარემო, რომელისთვისაც თვითონვე გახდა არაადექვატური, რადგან არ გააჩნია ასეთ გარემოში მართვის გამოცდილება. ამასთანავე, თავისი ამოცანების გადაჭრის პროცესში ხელისუფლებას მოუწია ისეთი ნაბიჯების გადადგმა და შეცდომებიც იმდენი იქნა დაშვებული (რომლის გარეშეც არ კეთდება არც ერთი კეთილი საქმე), რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეს ხელისუფლება გახდა მიუღებელი. ოპოზიციასთან მძაფრი დაპირისპირების პირობებში ხელისუფლება იძულებულია თვისი ძალისხმევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმოს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლას, ვეღარ ხდება ძირითად ამოცანებზე მობილიზება. ხელისუფლება კარგავს საზოგადოების მხარდაჭერას. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ხელისუფლება გახდა უუნარო.

ოპოზიციის კრიტიკა ყოველთვის არ არის კონსტრუქციული. ხელისუფლებას იგი აკრიტიკებს იმისათვის, რომ 1) ქვეყანაში ადგილი აქვს დემოკრატიის შეზღუდვის ფაქტებს, და რომ 2) ხელისუფლება გახდა არაეფექტური. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა 1) დემოკრატიული შეზღუდვების გარეშე ხელისუფლება ვერ გადაჭრიდა ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს. 2) ხოლო ხელისუფლების პარალიზების მიზეზი დიდწილად ოპოზიცია თვითონ არის და ხელისუფლების მრავალი შეცდომაც, ნებით თუ უნებლიედ მის მიერ იქნა პროვოცირებული.

ოპოზიციას არ სურს გაიგოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების რეალური, რაციონალური მოტივები და ყველა ნაბიჯის უკან ხედავს მხოლოდ პირად ინტერესებს და უპასუხისმგებლობას. არა და საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ჯერ-ერთი, თავისთავად ძნელია ზუსტი ბალანსის დაცვა, და დემოკრატიული უფლებების "დოზების" ზუსტი განსაზღვრა რეფორმების ამა თუ იმ ეტაპზე. მეორეც, მდგომარეობას ამძიმებს შემდეგი გარემოება. გარდა დემოკრატი რეფორმატორების გუნდისა, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავს ხელისუფლების სტრატეგიას, არიან უამრავი ფუნქციონერები. მრავალი მათგანი საკუთარ მიზნებში იყენებს იმ გაზრდილ ძალაუფლებას და პრივილეგიებს, რომელიც მათ მიენიჭათ ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. ცხადია, ამ ჩინოვნიკების უმრავლესობა ერთგულად ემსახურება არსებულ რეჟიმს არა დემოკრატიული იდეალების, არამედ პრაგმატული ინტერესების და პრივილეგიების გამო. რიგ შემთხვევაში ეს პრივილეგიები იმდენად თვალშისაცემია საყოველთაო სიღარიბის ფონზე, რომ საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სწორედ ამ ჩინოვნიკების პრივილეგიები არის მთავარი მიზეზი, რის გამოც რეფორმატორებს სურთ ხელისუფლების შენარჩუნება და დემოკრატიის შეზღუდვა.

მეორეს მხრივ, ვინაიდან ხელისუფლება იძულებულია მიმართოს მართვის ავტორიტარულ მეთოდებს და შეზღუდოს დემოკრატია (ამას კი შედეგად მოჰყვება უამრავი შეცდომებიც და კანონდარღვევებიც) სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, სწორედ ამის გამო მას უყალიბდება დანაშაულის გრძნობა, ერთგვარი "დამნაშავის კომპლექსი". მაგრამ ხმამაღლა იგი ვერ აღიარებს, რომ ხელისუფლება არის "დამნაშავე", რომ არღვევს თავისივე მიღებულ კანონებს. იგი ცდილობს დამალოს ფაქტები, რომელიც არავისთვის აღარ არის დამალული, თავი იმართლოს ყალბი არგუმენტებით. იზრდება დისტანცია მის სიტყვასა და საქმეს შორის. ანუ თვითონაც იწყებს დემაგოგიას. ხელისუფლებას კანონით რომ ჰქონოდა მინიჭებული მეტი უფლებები (გადასაჭრელი ამოცანების ადექვატური), მაშინ ხელისუფლებას შედარებით ნაკლებად მოუწევდა კანონით მინიჭებული უფლებების გადამეტებაც და შემდეგ თავის მართლებაც.

ხელისუფლება მართლაც მძიმე არჩევანის წინაშეა. თუ იგი საერთოდ არ შეზღუდავს დემოკრატიულ უფლებებს, მაშინ დემაგოგები აქტიურდებიან და თავისი ლანძღვა-გინებით, უსაფუძვლო ბრალდებებით და პროვოკაციებით ელექტორატს განაწყობენ ხელისუფლების წინააღმდეგ. დემაგოგები მიზანმიმართულად მუშაობენ ხელისუფლების დასასუსტებლად, მიუხედავად იმისა თუ რამდენად სწორ ნაბიჯებს დგავს ხელისუფლება, რადგან მათი მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა და არა დემოკრატია. საზოგადოებაში მართლაც იზრდება ხელისუფლებისადმი პროტესტი. ხელისუფლება გრძნობს რომ კარგავს კონტროლს პროცესებზე. ამიტომ, იგი იძულებულია ნაწილობრივ შეზღუდოს დემოკრატიული უფლებები. ეს კი იწვევს დემოკრატების სამართლიან პროტესტს. და დემაგოგების ლანძღვა-გინებას ემატება დემოკრატების არგუმენტირებული კრიტიკა. ანუ თავისი მოქმედებით ხელისუფლება ხელს უწყობს ოპოზიციის მთელი სპექტრის გაერთიანებას საერთო მოთხოვნით გადადგომის და ვადამდელი არჩევნების თაობაზე. ეს არის ბოიკოტი ოპოზიციის მხრიდან. ოპოზიციის უკან კი დგას ხალხი, ამომრჩევლები.

ასეთი მწვავე დაპირისპირების პირობებში საჭირო ხდება რადიკალური ზომები. ხელისუფლებას რჩება ორი ალტერნატივა: 1) ან უფრო მეტად, უკიდურესობამდე შეზღუდოს დემოკრატიული უფლებები, და რეპრესიებით შეეცადოს დაამყაროს ბოლომდე (და არა სანახევროდ) ავტორიტარული რეჟიმი, ან 2) მკვეთრად გაზარდოს დემოკრატიული უფლებები (სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები და სხვა), რაც არსებული რეიტინგის პირობებში დიდი რისკის ქვეშ აყენებს მის ხელისუფლებაში დარჩენას.

რომელ გზას აირჩევს ხელისუფლება? აქ გამოვლინდება მისი ჭეშმარიტი სახე: დემოკრატიის მშენებლობაა მისი მიზანი, თუ ხელისუფლებაში დარჩენა და ესე იგი ავტორიტარული რეჟიმის დამყარება. თვით პროცესების განვითარების ლოგიკას მიჰყავს ხელისუფლება იქამდე, რომ იგი ან უნდა დარჩეს ხელისუფლებაში როგორც ავტორიტარი, ან წავიდეს როგორც დემოკრატი.

დღეისათვის საქართველოში ხელისუფლებასა და დემოკრატიულ ოპოზიციას შორის ჩამოყალიბდა უკიდურესი უნდობლობა. ორივეს ეჭვი შეაქვს ერთმანეთის მიზნებში. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ მათი ოპონენტები იბრძვიან ხელისუფლებისთვის და არა დემოკრატიისთვის (და მასთან დაკავშირებულ სხვა უმნიშვნელოვანესი მიზნებისათვის: გეოპოლიტიკური ორიენტაცია, ქვეყნის დამოუკიდებლობა და სხვ.). მაგრამ ვინაიდან დემოკრატიის მშენებლობა შეუძლებელია ხელისუფლებაში მოსვლის გარეშე, ამიტომ დემოკრატიისათვის ბრძოლა გადაიზარდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ბრძოლამ მიიღო უკომპრომისო ხასიათი და მიმდინარეობს პრინციპით – "მიზანი ამართლებს საშუალებებს".

ასეთ პოლიტიკურ ბრძოლაში არავინ აღარ იცავს "თამაშის წესებს". ეს არის "ბრძოლა წესების გარეშე". ორივე მხარე არღვევს კანონს, მიმართავენ პროვოკაციებს, ცილისწამებას, ლანძღვას, ერთმანეთს აბეზღებენ ზოგო რუსეთის, ზოგი ამერიკის ადმინისტრაციაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში. აქ უკვე ზედმეტია ლაპარაკი პოლიტიკური სუბიექტების კოორდინაციაზე საერთო მოზნების მისაღწევად. ასეთ ბრძოლაში ორივე მხარის ქმედება არის რეაქცია ოპონენტის ქმედებაზე. და გამოდის, რომ ყველა სუბიექტი იქცევა რაციონალურად, მაგრამ ვიღებთ ირაციონალურ შედეგებს: იმის მაგივრად, რომ ქვეყნის ისტორიის გარდამტეხ ეტაპზე მოხდეს ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, პირიქით, ეს ძალები ებრძვიან ერთმანეთს და ასუსტებენ ქვეყანას.

თუმცა გამოიკვეთა იმის ნიშნები, რომ დაპირისპირების კულმინაციამ გადაიარა. კერძოდ, ოპოზიციამ 200 ათასიანი მიტინგები არ გადაზარდა ძალადობაში. ხელისუფლებაც თითქოს ცდილობს გადადგას შემხვედრი ნაბიჯები. ალბათ გულუბრყვილობა იქნებოდა ყოველივე ამის გამო ველოდოთ, რომ ოპოზიცია ხვალვე აღიარებს ხელისუფლების დამსახურებებს, ზეგ კი ხელისუფლება დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს. მაგრამ ვიმედოვნოთ, რომ ზოგადად ეს დადებითი ტენდენცია შენარჩუნდება.

ამ ეტაპზე დაპირისპირებამ მიაღწია ისეთ სტადიას, როდესაც უმჯობესია ხელისუფლებამ აღიაროს, რომ დაუშვა სერიოზული შეცდომები და გადააბიჯა იმ ზღვარს, რომლის იქითაც მას არ აქვს მორალური უფლება დარჩეს ხელისუფლებაში. ამასთანავე, ამ ეტაპზე მისი გადადგომა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა არის

რაციონალური ნაბიჯი ქვეყნისთვისაც და თვითონ მისთვისაც. ქვეყნისთვის იმიტომ, რომ: 1) მან დაკარგა ნდობა ქვეყნის შიგნით და ოპოზიციის ბოიკოტის პირობებში იგი გახდა არაეფექტური; 2) ხელისუფლებიდან გადადგომის პრეცენდენტის შექმნით ისინი გაცილებით მეტს გააკეთებენ დემოკრატიის მშენებლობის საქნეში, ვიდრე ამათუ იმ კანონის მიღებით. ასეთი გადადგომა იქნება უზარმაზარი ნაბიჯი საქართველოში დემოკრატიული ცნობიერების, პოლიტიკური კულტურის და ზნეობრივი ნორმების დაფუძნების საქმეში; 3) აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო პროცესები ისე წარიმართა, რომ ქვეყნისათვის უმჯობესია, რომ მოვიდეს ახალი ხელისუფლება.

ხელისუფლების გადადგომა და ვადამდელი არჩევნები რაციონალური ნაბიჯია მისთვისაც იმიტომ, რომ: 1) მისი რეიტინგი დღითიდღე დაბლა ეცემა. თუ გავითვალისწინებთ მისი პოპულარობის ვარდნის დინამიკას, ბოლოს მას შესაძლოა მოუწიოს წასვლა ძალზე უღირსად. ხელისუფლებიდან ღირსეულად წასვლიდან უღირსად წასვლამდე ერთი ნაბიჯია; 2) გამოჩნდება მისი ჭეშმარიტი ფასეულობები: მისთვის მთავარია პრივილეგიები თუ ქვეყნის ინტერესები. ასეთი ნაბიჯი ხალხის მიერ შეფასებული იქნება როგორც არანაკლები პატრიოტობა, ვიდრე შევარდნაძის რეჟიმის დამხობა; 3) მისი საკუთარი ნებით გადადგომა თავისთავად იქნება დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულების და პასუხისმგებლობის დემონსტრირება. ეს უდაოდ მის სასარგებლოდ შემოაბრუნებს საზოგადოების სიმპათიებს და მიეცემა შანსი კვლავ მოვიდს ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით.

<u>**დასკვნა.**</u> პოსტსაბჭოთა ავტორიტარიზმის დემოკრატიულ რეჟიმში ტრანსფორმაციის პროცესში ხელისუფლებამ დემოკრატიული უფლებები საზოგადოებას უნდა მიანიჭოს "დოზირებულად", დემოკრატიული ცნობიერების ფორმირების კვალდაკვალ. შესაბამისად, მართვის დემოკრატიული მეთოდები უნდა ჩაენაცვლოს ავტორიტარულ მეთოდებს თანდათან და არა ერთბაშად. ამ გარემოებას სათანადოთ არ ითვალისწინებს არც ოპოზიცია, და არც საზოგადოება. ეს ცხადი ხდება მხოლოდ ხელისუფლებისათვის, როდესაც შეეჯახება რეალობას. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგი გრძნობს პასუხისმგებლობას რომ მან უნდა გადაჭრას ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები, მაგრამ ხედავს, რომ ეს შეუძლებელია მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით. პოლიტიკური პრაგმატიზმი მას კარნახობს გადადგას ადექვატური ნაბიჯები მიზნების მისაღწევად.

ამიტომაც არის, რომ დემოკრატიული რეფორმების პროცესში მართვის დემოკრატიული და ავტორიტარული მეთოდების თანაარსებობა გარდუვალია. თავდაპირველად დომინირებენ ავტორიტარული მეთოდები, შემდეგ, დემოკრატიული ცნობიერების ზრდასთან ერთად, მათი როლი მცირდება და ისინი ადგილს უთმობენ დემოკრატიულ მეთოდებს..

საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის პროცესში ხელისუფლებისათვის კანონით მინიჭებული უფლებები უნდა იყოს განსხვავებული ვიდრე განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშია, რადგან საქართველოში: 1. მკვეთრად განსხვავებულია სამართლებრივი კულტურა; 2. განსხვავდება საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები; 3. განსხვავებულია გეოპოლიტიკური გარემო და შიდაეკონომიკური მდგომარეობა. ამ უმნიშვნელოვანესი განსხვავებების გაუთავლისწინებლობა კანონშემოქმედებით პროცესში იწვევს იმას, რომ ხელისუფლება იღებს კანონებს,

რომელიც შემდგომში იძულებულია თვითონვე დააღვიოს. კანონდარღვევები ხელისუფლების მხრიდან იწვევს მწვავე რეაქციას საზოგადოების მხრიდან. ხელისუფლება კარგავს ხალხის მხარდაჭერას და ხდება არაეფექტური.
არსებულმა ხელისუფლებამ გადაჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლის გარეშეც საქართველოს არ ექნებოდა შემდგომი განვითარების შანსი. მან შექმნა უფრო დემოკრატიული გარემო, მაგრამ თვითონ ვერ შეცვლილა ამ გარემოსთან ერთად. ამ ეტაპზე მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ამ ეტაპზე პოლიტიკურად მიზანშეწონილია, რომ იგი გადადგეს და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები.

დღეს, ხელისუფლების გადადგომა საკუთარი ნებით საჭიროებს არანაკლებ პასუხისმგებლობას, ღირსებას და ქვეყნის სიყვარულს, ვიდრე ხელისუფლებაში მოსვლა შევარდნაძის რეჟიმის პირობებში.

3.3. ადამისდროინდელი პოლიტიკით ვერ ავაშენებთ XXI საუკუნის ეკონომიკას [72]

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის დაკნინება ბადებს მრავალ პრობლემას. სტატიაში განხილულია თუ როგორ აისახა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების დაკნინება ჩვენს ეკონომიკურ რეალობაზე და რატომ არის აუცილებელი მისი როლის მკვეთრად გაზრდა.

ჩვენთან ეკონომიკური პოლიტიკა მორგებულია მეწარმის თვალით დანახულ ეკონომიკურ პროცესებზე. ეს არის ცალმხრივი, მიკერძოებული და ზედაპირული ხედვა. მაგრამ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოებრივ ხედვას, ანუ დაბალანსებულ, სისტემურ ხედვას. რაშია განსხვავება ამ ორ ხედვას შორის და რას გულისხმობს სისტემური ხედვა?

პოლიტიკოსები მთავარ პრობლემად მიიჩნევენ ***წარმოებას,*** და სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ***განაწილების*** მნიშვნელობას. მაგრამ, ეროვნული პროდუქტის წარმოება და ეროვნული შემოსავალის განაწილება ორგანულად დაკავშირებული პროცესებია. ეკონომიკურ პოლიტიკაში ამის გაუთვალისწინებლობამ ეკონომიკაში წარმოშვა შიდასისტემური პრობლემები და ეკონომიკა აღმოჩნდა ჩიხში. ეკონომიკაში გაჩნდა დისბალანსი პროდუქციის წამოებასა და შემოსავლების განაწილებას შორის. ეს ბადებს არაჯანსაღ პროცესებს ეკონომიკაში. საქმე იმაშია, რომ თვით ეროვნული პროდუქტის წარმოების პროცესში იქმნება ექვივალენტური ღირებულების ის ეროვნული შემოსავალი, რომლითაც ეს პროდუქტი უნდა იქნას შესყიდული. მაგრამ, თუ ეს შემოსავლები ნაწილდება უკიდურესად უთანაბროდ,

[72] "საქართველოს რესპუბლიკა", 22 ნოემბერი 2017 წ. №238 (8375)

მაშინ ერთობლივი საბაზრო მოთხოვნა მცირდება. ეს კი, როგორც ცნობილია, არის ეკონომიკური ვარდნის მთავარი მიზეზი.

მაგრამ, რატომ იწვევს შემოსავლების უთანაბრობა საბაზრო მოთხოვნის დასუსტებას? იმიტომ, რომ მაღალი შემოსავლების მქონე პირები თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს არ ხარჯავენ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შესაძენად. ამის ნაცვლად ისინი ყიდულობენ უძრავ ქონებას, ფასიან ქაღალდებს, იმპორტულ საქონელს, გააქვთ ოფშორებში. მათი შემოსავლების დიდი ნაწილი არ ბრუნდება წარმოების სფეროში. ხოლო ღარიბი უმრავლესობის შემოსავლები არ ყოფნის ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მთლიანად შესყიდვას. საქონელი რჩება გაუყიდავი. თუ სახელმწიფო არ დაიწყებს შემოსავლების გადანაწილებას საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით, წარმოება დაიბლოკება. ანუ, რეფორმატორები არ ითვალისწინებენ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, იმას, რომ პროდუქცია იწარმოება საზოგადოებისთვის, და თუ საზოგადოების უმრავლესობას არ ექნება ფული, პროდუქცია ვერ გაიყიდება და ეკონომიკა ვერ განვითარდება.

მოვიყვან კონკრეტულ მაგალითებს თუ რაში ვლინდება პროცესების არასისტემური ხედვა ეკონომიკურ პოლიტიკაში. სახელმწიფომ მეწარმეებს დაუწესა დაბალი გადასახადები, რათა მათ დარჩეთ მეტი შემოსავლები, იმ მოტივით, რომ ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს. ეს არის ცალმხრივი ხედვა. სამუშაო ადგილებსაც და თვითონ მეწარმეებსაც ქმნის საბაზრო მოთხოვნა. ისევე როგორც მოთხოვნას ქმნიან სამუშაო ადგილები. ანუ, წარმოება და შემოსავლები (შესაბამისად, საბაზრო მოთხოვნაც) დამოკიდებული არიან ერთმანეთზე. თუ დაირღვევა მათ შორის ბალანსი, ეკონომიკა შეფერხდება.

ამ ბალანსის ძიება იყო და რჩება განვითარებული ქვეყნების მთავარი პრობლემა დაწყებული 30-ანი წლების „დიდი დეპრესიიდან“ მთელი მე-20 საუკუნე ვიდრე დღემდე. წარმოების და მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა (სხვადასხვა გზებით) იყო მთავარი მიზანი, როგორც კეინსიანური, ისე მონეტარისტური პოლიტიკის. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობამ წარმოშვა განვითარებულ ქვეყნებში „კეთილდღეობის ეკონომიკა“, სოციალერად ორიენტირებული ეკონომიკური მოდელი და, შესაბამისად, სახემწიფო სექტორის მკვეთრი ზრდა. სწორედ ამის შედეგად გაიზარდა მკვეთრად სახელმწიფო სექტორი განითრებულ ქვეყნებში და დღეისათვის მიაღწია ეკონომიკის 40-50% და მეტს.[73]

დღეს ეს ბალანსი წარმოებასა და საბაზრო მოთხოვნას შორის დარღვეულია საქართველოში. მაგრამ ევროპელებისაგან განსხვავებით ქართველი

[73] სულ ახლო წარსულში სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში იყო უფრო დიდი. მაგალითად, 1997 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა იტალიაში - 51%, საფრანგეთში და ფინეთში - 52%, შვედეთში - 62%-ს. შედარებისთვის, საქართველოში სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში 2016 წელს შეადგენდა 27%-ს.

რეფორმატორები ამ პრობლემაზე რატომღაც რეაგირებენ საპირისპირო პოლიტიკით, ანუ სრულიად ირაციონალურად. რეაგირებენ საელმწიფოს ეკონომიკური როლის დაკნინებით, და არა გაძლირებით. ამიტომაც ვერ გამოვდივართ სტაგნაციის მდგომარეებიდან.

საქართველოს ეკონომიკაში მთავარი პრობლემა არის მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი. ეკონომიკურ ზრდას აფერხებს არა ის, რომ მეწარმეებს არა აქვთ ფული, არამედ ის რომ ფული არა აქვს საზოგადოებას. დაბალია საბაზრო მოთხოვნა. თუ მოთხოვნა გაიზრდება, მაშინ გაჩნდება მომგებიზნი საინვესტიციო პროექტები. მეწარმეები შეძლებენ ამ პროექტების დაფინანსებას საბანკო კრედიტებით. ასე ხდება მთელ მსოფლიოში. ხოლო თუ მოთხოვნა არ გაიზარდა, მეწარმეებს ვერ შექმნიან სამუშაო ადგილებს. ამას ვერ უშველის დაბალი გადასახადები.

საქართველოში საჭიროა შემოსავლების გადანაწილება და საშუალო ფენის შექმნა. ეს არის მოთხოვნის ზრდის მთავარი გარანტია. მაგალითისთვის, როდესაც „დიდი დეპრესიის“ შედეგეად ამერიკის ეკონომიკაში წარმოეიშვა ანოლოგიური პრობლემა და მკვეთრად დაეცა საბაზრო მოთხოვნა, რუზველტის ადმინისტრაციამ, პროგრესული დაბეგვრის პირობებში, შემოსავლებზე მაქსიმალური გადასახადი გაზარდა 24-დან ჯერ 63%-მდე, შემდეგ 79%-მდე, ხოლო 1950-იან წლებში მიაღწია 91%-ს. კორპორაციების მოგებაზე გადასახადი გაიზარდა 14-დან 45%-მდე. ამის შედეგად საშუალო ფენა აშშ-ში შეიქმნა სულ რამდენიმე წელიწადში და ეკონომიკამ დაიწყო სწრაფი განვითარება.

სრულიად მიუღებელია ის, რაც ხდება საქართველოში. შემოსავლების უკიდურესი პოლარიზაციის პირობებში, არა თუ არ გვაქვს პროგრესული დაბეგვრა (კოდექსი ითვალისწინებს პროპორციულ გადასახადებს), ფაქტიურად ადგილი აქვს რეგრესულ დაბეგვრას. რადგან ხელფასზე გადასახადი არის 20%, ხოლო პროცენტებზე და დივიდენდებზე (ანუ, მდიდარი უმცირესობის ძირითად შემოსავლებზე, თანაც არაშრომით შემოსავლებზე) - 5%. ანუ, ფარულად საგადასახადო ტვირთი „აკიდებულია“ დაბალშემოსავლიან უმრავლესობაზე და არა მდიდარ უმცირესობაზე. ეს სრული აბსურდია წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ უსამართლობაზე. ამიტომ რთულდება საბიუჯეტო სახსრერბის მობილიზება.

მცირე ბიუჯეტის პირობებში სახელმწიფო ვერ ახდენს შემოსავლების გადანაწილებას, ვერ ზრდის პენსიებს, შემწეობებს, მასწავლებლების და ექიმების ხელფასებს. იგი მიიჩნევს, რომ პენსიების და შემწეობების თუნდაც 10-ლარიანი ზრდა საჭიროებს დიდ თანხებს 100 მლნ. ლარზე მეტს. მაგრამ 10 ლარი პრაქტიკულად ვერ გააუმჯობესებს პენსიონერის მდგომარეობას. ანუ, 100 მლნ. ლარი დაიხარჯება არაეფექტურად. ამიტომ ამ თანხას იყენებენ სხვა მიზნებისთვის.

ეს მოსაზრებაც გამომდინარეობს არასისტემური ხედვიდან. 100 მლნ ლარის მთავარი ეფექტი არ არის პენსიის 10 ლარიანი ზრდა. 10 ლარი მართლაც ვერ შეამსუბუქებს პენსიონერების სიდუხჭირეს. მთავარია მაკროეკონომიკური ეფექტი. 100 მლნ. ლარი აღმოჩნდება იმ ადამიანების ხელში, რომლებიც ამ ფულს მთლიანად გაიტანენ ბაზარზე. გაიზრდება ერთობლივი მოთხოვნა. ეს გამოიწვევს წარმოების ზრდას და აამოქმედებს ე.წ. „წარმოების და შემოსავლების სპირალს“. ამასთან, მულტიპლიკაციის ეფექტის გამო, მშპ გაიზრდება უფრო მეტად. (მართალია, მულტიპლიკაციის კოეფიციენტი საქართველოში არც ისე მაღალია, მაგრამ, წარმოების განვითარებასთან ერთად ისიც გაიზრდება.) ამიტომ საჭიროა არა 10 ლარით, არამედ გაცილებით მეტად გაიზარდოს პენსიები, შემწეობები, მასწავლებლების და ექიმების ხელფასები და ამისათვის საბიუჯეტო სახსრების მობილიზება მოხდეს შემოსავლების მკვეთრად პროგრესული გადასახადებით. ამის შედეგი იქნება ის, რომ მდიდარი ფენის შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც დღეს არ ბრუნდება წარმოებაში, აღმოჩნდევა იმ ადამიანების ხელში, რომლებიც ამ ფულს მთლიანად დააბრუნებენ ეროვნულ წარმოებაში. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს. ეს არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ ეკონომიკამ დაიწყოს სწრაფი განვითარება. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. აგრეთვე აუცილებელია სავაჭრო დეფიციტისგან განთავისუფლება.

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს შორის იშლება ეკონომიკური საზღვრები. ქვეყნის შიდა ბაზარი ხდება მსოფლიო ბაზრის ნაწილი. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია ეროვნულ ბაზარზე შემოსვლა. ამის შედეგად საქართველოში იმპორტი სრაფად გაიზარდა (იგი შეადგენს მშპ-ს 50%-ს) და წარმოშვა დიდი სავაჭრო დეფიციტი (36%). ეროვნული ეკონომიკისთის ეს არის „ღია ჭრილობა“, საიდანაც ქვეყნიდან უწყვეტად გაედინება ქვეყანაში შექმილი მსყიდველობითი უნარი და ასუსტებს ეკონომიკას. აქაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფომ. მან უნდა გაატაროს „იმპორტის ჩანაცვლების“ და ექსპორტის წახალისების პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა აუცილებელია ეკონომიკის სწრაფი განვითრებისთვის. მაგრამ, არც ეს არის საკმარისი.

ღია საზღვრების გამო გამძაფრდა კონკურენცია ადგილობრივ და უცხოელ კომპანიებს შორის. ასეთ კონკურენციაში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მსხვილ ბიზნესს. ამიტომ, ეროვნული ბაზარი მთლიანდ განაწილებულია მსხვილ ბიზნესსა და იმპორტიორებს შორის. მცირე და საშუალო ბიზნესს თითქმის არა აქვს შანსი დაიკავოს ბაზარზე ადგილი. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სახელმწიფო ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, გაატაროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, დაიცვას მცირე და საშუალო ბიზნესი.

მაგრამ რატომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვა? არა იმიტომ, რომ ისინი აწარმოებენ ეროვნული პროდუქტის დიდ ნაწილს. მათი წილი წარმოებაში საკმაოდ მოგრძალებულია. მთავარი სხვაა.

განვითარებულ ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის ქვეყნის სამუშაო ადგილების თითქმის 70%. ერთი და იგივე თანხის ინვესტირება მცირე და საშუალო ბიზნესში ქმნის მეტ სამუშაო ადგილებს, ვიდრე იგივე თანხის ინვესტირება მსხვილ ბიზნესში. ეს კი ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესზე დიდად არის დამოკიდებული საშუალო ფენის შექმნა, მათი შემოსავლების და მსყიდველობითი უნარის ზრდა. ამიტომ, მცირე ბიზნესზე დიდად არის დამოკიდებული ერთობლივი მოთხოვნის ზრდა. ეს კი, თავის მხრივ, არის ეკონომიკუკრი ზრდის მთავარი ფაქტორი.

კონკურენცია თვითონ ბადებს მონოპოლიებს და ეკონომიკურ უთანაბრობას. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად ეს უთანაბრობა სულ უფრო იზრდება როგორც ქვეყნების შიგნით, ისე ქვეყნებს შორის. სტატისტიკა შოკის მომღვრელია. საერთაშორისო ორგანიზაცია OXFAM-ის მონაცემებით, კაცობრიობის 1% ფლობს იმდენ სიმდიდრეს, რასაც კაცობრიობის დანარჩენი 99%. მსოფლიოს 85 უმდიდრესი ადამიანი ფლობს იმდენ სიმდიდრეს, რასაც მსოფლიბს 3,5 მილიარდი ღარიბი ადამიანი. ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ აგრეთვე გამოიწვია უთანაბრობის მკვეთრი ზრდა ქვეყნების შიგნით. ეს გახდა თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. (რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ უსამართლობაზე და პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, რაც, თავის მხრივ, ბუმერანგივით უბრუნდება ისევ ეკონომიკას დამატებითი სირთულეებით.)

შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაციის პრობლემა მთელ მსოფლიოში მოექცა მეცნიერების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით 2008 წლის კრიზისის შემდეგ. ამაზე ბევრს წერენ დასავლეთის ცნობილი ეკონომისტები, მათ შორის ნობელის ლაურეატები ჯ. სტიგლიცი, პ. კრუგმანი და სხვ., სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ექსპერტები. ამის შესახებ განაცხადა სავალურო ფონდის ხელმძღვანელმა ქალბატონმა კრისტინა ლაგარდმა დავოსის ფორუმზე და სხვ.

სტიქიურად მოქმედი საბაზრო ძალები ზრდიან უთანაბრობას მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. თუ მზარდი გლობალური პოლარიზაციის პირობებში სახელმწიფო ყველაფერს მიანდობს საბაზრო ძალებს და არ ჩაერევა ეკონომიკურ პროცესებში, მაშინ საქართველო დარჩება ღარიბი ქვეყნების რიგებში. ქვეყნის შიგნითაც უფრო მეტად გაიზრდება ეკონომიკის მონოპოლიზება და უთანაბრობა. ეს უფრო მეტად შეაფერხებს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას.

ქართველი რეფორმატორები არ ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფოს ჩაურევლობა საბაზრო ეკონომიკაში ხელს უწყობს კონკურენციას მხოლოდ მაშინ, თუ თვითონ ბაზარი არის კონკურენტული. ასე იყო ადამ სმიტის ეპოქაში და მაშინ ჩაურევლობის პოლიტიკა აღმოჩნდა წრმატებული. მაგრამ მონოპოლიზებულ ეკონომიკაში ადამის დროინდელი პოლიტიკა ბადებს საპირისპირო შედეგს. სახელმწიფოს ჩაურევლობა ახშობს კონკურენციას რადგან, ანტიმონოპოლიური

პოლიტიკის გარეშე, თვითონ მონპოლიები ახშობენ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელთანაც ასოცირდება კონკურენცია. სწორედ ეს ხდება საქართველოში.

მართალია, სუსტი მოთხოვნის პირობებში კომერციული ბანკები იწყებენ მოთხოვნის ხელოვნურ სტიმულირებას სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საკრედიტო ბარათებით და ა.შ., მაგრამ ასეთი საკრედიტო ექსპანსია მხოლოდ დროებით უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას. ადრე თუ გვიან ეს მთავრდება ღრმა კრიზისით. რადგან კრედიტების მასიური ზრდა წარმოშობს საფინანსო ბუშტს, რომელიც არდე თუ გვიან სკდება და ბადებს კრიზისს. ასე წარმოიშვა „დიდი დეპრესიაც“ გასულ საუკუნეში, 2008 წლის მსოფლიო კრიზისიც, 90-იანი წლების კრიზისი იაპონიაში და მრავალი სხვა კრიზისი. რაც უფრო დიდხანს გრძელდება მოთხოვნის დაკრედიტება და კრიზისის ხელოვნური გადავადება, მით უფრო მეტად იზრდება საფინანსო ბუშტიც და უფრო ღრმა იქნება მომავალი კრიზისიც. ანუ, საბაზრო მოთხოვნის სტიმულირება საბანკო კრედიტებით არ შველის შემოსავლების პოლარიზაციით გამოწვეულ ეკონომიკურ დისფუნქციას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნა ასეთია: ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იქნება წარმატებული, თუ არ გაითვალისწინებს ელემენტარულ ჭეშმარიტებას. ეკონომიკაში პროდუქცია იქმნება საზოგადოებისთვის. და თუ საზოგადოების უმრავლესობას არ ექნება საკმარისი შემოსავალი, პროდუქცია ვერ გაიყიდება და დაიწყება სტაგნაცია.

მონოპოლიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკა ბადებს უკიდურეს შეუსაბამობას პროდუქციის წარმოებსა და შემოსავლების განაწილებას შორის. სახელმწიფოს ფუნქცია არის აღადგინოს დარღვეული ბალანსი.[74] და ეროვნული შემოსავალის ის ნაწილი, რომელიც დღეს ხმარდება ოლიგარქების გამდიდრებას და ფუფუნებას, გადაანაწილოს იმ სოციალურ ფენებზე, ვისთვისაც ეს სახსრები გახდება ელემენტარული საარსებო წყარო. ამას გვკარნახობს ეკონომიკური ლოგიკაც და ადამიანური მორალიც. საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: 1. შემოსავლების გადანაწილება: პენსიების, შემწეობების, მასწავლებლების და ექიმების ხელფასების მკვეთრი ზრდა, განათლების, ჯანდაცვის სისტემების და სხვა სოციალური პროგრამების პრიორიტეტული დაფინანსება; 2. მკვეთრად პროგრესული საგადასახადო სისტემა; 3. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა; 4. იმპორტის ჩანაცვლების და ექსპორტის წახალისების პოლიტიკა; 5. რეგულაციები საბანკო კრედიტების მიზნობრიობაზე მათი ბიზნეს-ინვესტიციებზე და არა

[74] შემთხვევითი არ არის, რომ ისტორიულად განვითარებულ ქვეყნებში მონოპოლიზაციის ზრდას პარალელურად თან სდევდა საელმწიფო სექტორის ზრდა. ანუ, მონოპოლიზაციით გამოწვეული შემოსავლების უთანაბრობის ზრდა თვითონ ბადებდა საბიუჯეტო არხებით შემოსავლების გამოთანაბრების აუცილებლობას.

სამომხმარებლო მიზნებზე წარმართვის მიზნით და ა.შ. ეკონომიკური პოლიტიკების ეს არასრული ჩამონათვალიც კი, ასეთ კომბინაციაში, საკმაოდ სწრაფად გამოიყვანდა ეკონომიკას სტაგნაციიდან. მაგრამ, ასეთი პოლიტიკა ფაქტიურად არის იმის საპირისპირო, რაც ტარდება დღეს.

ეკონომიკა იმდენად დიდი ხანია იმყოფება ჩიხში, რომ სიღარიბემ უკვე წარმოშვა სერიოზული საფრთხის შემცველი დემოგრაფიული პროცესები. ეს უკვე არის ქართველი ერისთვის ეგზისტენციალური პრობლემა. მაგრამ იქამდე, სანამ ეკონომიკური ძალაუფლება და, ფაქტიურად, პოლიტიკური ძალაუფლებაც, არის ოლიგარქების ხელში, გულუბრყვილობა იქნებოდა რაიმე რადიკალური ცვლილებების მოლოდინი, რადგან სწორედ არსებული პოლიტიკა არის მათი გამდიდრების წყარო. რასაც ისინი თავისი ნებით არასოდეს დასთმობენ თუ საზოგადოებამ არ აიძულა ისინი. და სანამ ეს მოხდება, რეფორმები დარჩება კოსმეტიკური ხასიათის და მათი მიზანი იქნება არა რეფორმა, არამედ მისი ილუზიის შექმნა (საკადრო ცვლილებები, საკონსტიტუციო განხილვები, სატელევიზიო თოქ-შოუები, ხმაურიანი პროცესები, და ა.შ.) მაგრამ მთავარს, შემოსავლების გადანაწილებას, ისინი არასიდეს დასთმობენ. ამიტომ ეკონომიკური გარდაქმნების დაწყება შესაძლებელი გახდება მხოლოდ პოლიტიკური გარდაქმნების შემდეგ.

პროფ. პაატა ლეიაშვილი

P.S. სლოგანი „ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას“ არ გამოხატავს ადეკვატურად ჩვენი რეფორმების მიზანს. დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში, მცირე გამონაკლისის გარდა, არის საბაზრო ეკონომიკა. მაგრამ ცხადია, ჩვენ გვინდა სოციალურად ორიენყირებული ეკონომიკა, ანუ საბაზრო ეკონომიკა, როგორიც არის ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, და არა ისეთი, როგორიც არის აფრიკის რომელიმე ჩამორჩენილ ქვეყნებში. მაგრამ განვითარებულ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი შეადგენს 40-50%. ხოლო კერძო სექტორის უდიდესი ნაწილი მონოპოლიზირებულია. ეს არის ე.წ. „შერეული ეკონომიკა“, სადაც უფრო დიდია (სახელმწიფო და კერძო მონოპოლიური სტრუქტურებით) რეგულირებადი სექტორი, ვიდრე კონკურენტული სექტორი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ამის შსახებ წერდა ცნობილი ეკონომისტი ჯონ გელბრეიტი. და მის შემდეგ ეს ტენდენციები უფრო გაძლიერდა.

ხოლო ტერმინი „საბაზრო ეკონომიკა“ ასოცირდება შეუზღუდავ კონკურენციასთან და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობასთან. სწორედ ასეთი სტერეოტიპი უდევს საფუძვლად საქართველოში ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას. მაგრამ ფაქტიურად, ასეთი პოლიტიკის შედეგად, კონკურენტული ეკონომიკის ნაცვლად მივიღეთ უკიდურესად მონოპოლიზირებული ეკონომიკა. ანუ, გვინდა თანამედროვე, სოციალურად ორიენტირებული, შერეული საბაზრო ეკონომიკის აშენება, დეკლარირებული

გვაქვს კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, ხოლო ფაქტიურად ავაშენეთ უკიდურესად მონოპოლიზირებული ეკონომიკა. ერთს ვფიქრობთ, მეორეს ვამბობთ და მესამეს ვაკეთებთ. ეს არის სრული ვაკხანალია. და ასეთი რეფორმებით ვერ გამოვალთ მძიმე მდგომარეობიდან. საჭიროა ნათლად დაფიქსირდეს, რომ ვაშენებთ „სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკას“, და არა „საბაზრო ეკონომიკას“, რომელიც იწვევს დეზორიენტაციას როგორც საზოგადოებაში, ისე რეფორმატორებში.

3.4. ბანკირების “ფოკუს-პოკუსი” [75]

საქართველოში ეკონომიკის საბანკო სექტორი ორგანიზებულია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. მაგრამ საქმე ისაა, რომ დასავლეთის საბანკო სისტემას და მონეტარულ პოლიტიკას თვითონ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები და გახდნენ მწვავე კრიტიკის ობიექტი თვითონ დასავლეთში. ამის შესახებ წერენ ცნობილი მეცნიერები (რ. ვერნერი, ა. ტერნერი, ბ. დაისონი, ჯ. რაიან-კოლინსი, ჯ. ბენესი, მ.კამპოფი, ს.კინი, ჯ.სტიგლიცი და სხვ., და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თვით ცნობილი ბანკირებიც). საზოგადოების უმრავლესობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენად აბსურდული, სოციალურად უსამართლო და რისკების შემცველია კომერციული ბანკების საქმიანობა.

თანამედროვე საბანკო სისტემა, მათ შორის საქართველოშიც, არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ამას აღწერენ სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების თანახმად: 1) ბანკები არიან უბრალო შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის; და 2) ბანკები კრედიტებს აძლევენ მეწარმეებს ბიზნეს-ინვესტიციების დასაფინანსებლად. არც პირველი, არც მეორე დებულება არ შეესაბამება სინამდვილეს. ბანკები არიან არა შუამავლები, არამედ, თვით ქმნიან და ანაწილებენ ფულს დაკრედიტების პროცესში. ხოლო საწარმოო ინვესტიციების მიზნებზე გაიცემა კრედიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. კრედიტების ძირითადი მასა გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად, სპეკულაციურ და სამომხმარებლო მიზნებზე. ბანკების ასეთი საქმიანობა მომგებიანია მათთვის და არა საზოგადოებისთვის.

გერმანელი ეკონომისტის პროფ. რ. ვერნერის თანახმად, იურიდიული თვალსაზრისით, ის, რასაც ბანკი უწოდებს კრედიტის გაცემას, სინამდვილეში არ არის კრედიტის გაცემა. რადგან, იურიდიული თვალსაზრისით, კრედიტის გაცემა გულისხმობს, რომ კრედიტის სახით გაცემული საგანი, ფიზიკურად ამოღებული იქნება ერთი სუბიექტის

[75] “საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი 2017 წ.

სარგებლობის სფეროდან და დროებით სარგებლობაში გადაეცემა მეორე სუბიექტს. მაგრამ, თანამედროვე ბანკის მიერ კრედიტების გაცემის დროს არ ხდება ფულით სარგებლობის უფლების გადაცემა ერთი სუბიექტიდან მეორესათვის. აქ საერთოდ არ ხდება ფულის, როგორც მსყიდველობითი უნარის, საიდანმე ამოღება. ამიტომ ეს პროცესი არ არის კრედიტის გაცემა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბანკები არ ***გასცემენ*** ფულს კრედიტების სახით, არამედ ***ქმნიან*** მას. იგი წერს: "განსხვავებით იმისაგან, რაც წერია სახელმძღვანელოებში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ინდივიდუალურ ბანკს შეუძლია ასე შექმნას ფული, როდესაც იგი გასცემს სესხს. ამ ჭეშმარიტების ჩვენება სახელმძღვანელოებში ... ასწავლის სტუდენტებს თუ სინამდვილეში რას აკეთებენ ბანკები: ისინი ქმნიან ფულს არაფრიდან. ბანკი მხოლოდ ახდენს იმის სიმულირებას, თითქოს მას აქვს სესხის თანხა, რომლითაც დაკრედიტებულია მავანის ანგარიში, და არავინ იცის ამ განსხვავების შესახებ." (Werner R., New Paradigm in Macroeconomics. New York, N.Y. 2005, p.178)

ბანკების ასეთ ქმედებას რ. ვერნერი განიხილავს არა როგორც კრედიტის გაცემას, არამედ როგორც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. როდესც კლიენტი ხელს აწერს საკრედიტო შეთანხმებას, კანონის თანახმად იქმნება ფასიანი ქაღალდი. ეს არის კლიენტის სავალო ვალდებულება ბანკის წინაშე. ბანკი ყიდულობს კლიენტისაგან ამ სავალო ვალდებულებას. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სწორედ ეს ხდება კომერციულ ბანკებში. მაგრამ რით იხდის ბანკი ამ ფასიანი ქაღალდის საფასურს? საფასურს იგი იხდის შემხვედრი ვალდებულებით. კერძოდ, ბანკი ხსნის კლიენტის სახელზე მოთხოვნამდე დეპოზიტს. ეს ახლად შექმნილი დეპოზიტი სწორედაც არის ახალი ფული, რომელიც ბანკმა შექმნა "არაფრიდან". ის, რასაც წერენ სახელმძღვანელოებში რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც ხდება სინამდვილეში.

მსყიდველობითი უნარის ან ფასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით დეპოზიტი, როგორც კრედიტი, არ განსხვავდება ნაღდი ფულისაგან. მაგრამ თუ იგი არსებობს მხოლოდ როგორც ჩანაწერი საბანკო კომპიუტერების მეხსიერებაში, როგორ იყენებენ მას რეალურ ეკონომიკურ პროცესებში? საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში კლიენტებს არ სჭირდებათ ნაღდი ფულის გამოტანა ბანკებიდან, რადგან 95%-ზე მეტი გადახდები თანამედროვე ეკონომიკაში ხორციელდება უნაღდო ფორმით, ანუ ტრანსაქციების დიდი უმრავლესობა ხდება "ანგარიშიდან ანგარიშზე", და არა "ხელიდან ხელში". ხოლო ნაღდ ფულზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ბანკებს სჭირდებათ ძალზე უმნიშვნელო რეზერვები. რადგან რეალურ ეკონომიკაში ნაღდი ფულით ტრანსაქციები არ აღემატება 5%-ს.

მართალია, საზოგადოებამ არ იცის, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის 95%-ს შეადგენს საბანკო დეპოზიტები და რომ ამ საბანკო ფულს ბანკები ქმნიან "არაფრიდან", მაგრამ თვითონ ბანკირებმა იციან ამის შესახებ: "ევროსისტემაში, ფული იქმნება, პირველ რიგში, საბანკო კრედიტის გაფართოვების ზრდის მეშვეობით. ... კომერციულ ბანკებს თვითონ შეუძლიათ

ფულის შექმნა... .” (Bundesbank, 2009); “რადგან დეპოზიტები და საბანკო დაკრედიტება თითქმნის იდენტურია, ფული და კრედიტი ხშირად გამოიყენება თითქმის თანაბრად, როგორც ურთიერთ ჩანაცვლებადიც კი.“ (Bank of England, 2008); “თანამედროვე საბანკო სისტემა ფულს ქმნის არაფრიდან. ეს პროცესი არის, შესაძლოა, ყველაზე უფრო დაუჯერებელი ფოკუსი ოდესმე მოფიქრებული. მევახშეობა ჩაფიქრებულია უკანონობით და შობილია მანკიერებით. ბანკირებს ეკუთვნის მთელი მსოფლიო. წაართვით მათ იგი, მაგრამ დაუტოვეთ ფულის შექმნის ძალაუფლება და ისინი კალმის ერთი გაკვრით შექმნიან საკმარის ფულს, რათა უკანვე გამოისყიდონ იგი.” (სერ ჯოზაია სტემპი, ინგლისის ბანკის მმართველი 1928-1941 წლებში.)

თუ კრედიტების გაცემის დროს იქმნება საბანკო ფული, იგი ასევე ნადგურდება ვალის დაბრუნებისას. ეკონომიკაში კრედიტების გაცემის და ვალების დაბრუნების პროცესში ბანკები ყოველდღიურად მასიურად ქმნიან და ანადგურებენ ფულს. ბანკები პერმანენტულად უნდა ქმნიდნენ ახალ კრედიტებს, რათა შეეძლოთ დაბრურნებული ვალების კომპენსირება. იმაზე, თუ როგორია რისკისადმი მიდრეკილება, და რამდენად აქტიურად ხდება ახალი კრედიტების გაცემა, და რამდენი მოვალე აბრუნებს ვალს, დამოკიდებულია გაიზრდება თუ შემცირდება ეკონომიკაში ფულის მასა, ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკური ზრდის ტემპები.

მთელი ეს პერიოდი - კრედიტების გაცემიდან ვალების დაბრუნებამდე - ბანკები იღებენ პროცენტს. ეს არის მათი შემოსავალი. ამასთან, მართალია კრედიტების გაცემისას ფული იქმნრბა “ჰაერიდან”, მაგრამ მსესხებელმა გირაოში უნდა ჩადოს რეალური აქტივები (სახლი, მიწის ნაკვეთი, ბინა, მანქანა და სხვ.) ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკი სრულიად კანონიერ საფუძველზე ითვისებს ამ ქონებას, რომელსაც აქვს რეალური ღირებულება. ანუ, ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ფიქტიური ფულის სანაცვლოდ ბანკი ღებულობს კომპენსაციას რეალური აქტივებით.

გარდა იმისა, რომ ბანკები ***ქმნიან*** ეკონომიკაში მსყიდველობით უნარს, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი თვითონვე ***ანაწილებენ*** მას მსესხებლებს შორის, რადგან ბანკები იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას თუ ვის და რა მიზნებისათვის მისცენ კრედიტი, და ვის უთხრან უარი. ცხადია ბანკები, როგორც კერძო ორგანიზაციები, ამ გადაწყვეტილებებს ღებულობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ნეოლიბერალური პოლიტიკა მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბანკებს. ასეთ პირობებში, კერძო ბანკები ცდილობენ დააკრედიტონ მოკლევადიანი და ნაკლებ სარისკო პროექტები. კრედიტების უმეტსობა გაიცემა იმპორტის, ვაჭრობის, უკვე არსებული უძრავი ქონების შეძენის, სამომხმარებლო მოთხოვნის, სპეკულაციური გარიგებების დასაფინანსებლად. ნაკლებად ხდება გრძელვადიანი საწარმოო ინვესტიციების დაფინანსება. ეს ფული ხელს არ უწყობს უშუალოდ სამუშაო ადგილების შექმნას. ისინი მხოლოდ ზრდიან ცხოვრების ღირებულებას, ეკონომიკურ უთანაბრობას და ფინანსურ არასტაბილურობას.

ასეთი პოლიტიკის შედეგად უფრო და უფრო მეტი კრედიტები ხმარდება არა საწარმოო პოტენციალის ზრდას, არამედ იმას, რომ მოსახლეობამ მოიხმაროს მეტი, ვიდრე აქვს შემოსავალი. ცხადია, კრედიტების ტოტალური ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. ადრე თუ გვიან ვალები უნდა დაიფაროს მომავალი შემოსავლებიდან. ეს ნიშნავს, რომ მომავალში მოთხოვნა შემცირდება და გამოიწვევს მშპ-ს ვარნას. კრიზისი ხდება გარდუვალი. რაც უფრო ბევრი ვალები დაგროვდება, მით იფრო ღრმა იქნება მომავალი კრიზისი. ამ სცენარით განვითარდა პროცესები, რომლებაც წარმოშვეს "დიდი დეპრესია", 2008 წლის მსოფლიო კრიზისი და მრავალი სხვა კრიზისი.

კრედიტზე ირიცხება პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, მთლიანად საბანკო სისტემას უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე გაცემული იქნა კრედიტების სახით. და რადგან ფული იქმნება კრედიტების სახით, და კრედიტებს ქმნიან ბანკები, ამიტომ კრედიტების დასაფარი ფულისათვის ასევე საჭიროა კრედიტები, რომელსაც ასევე ერიცხება პროცენტები და რომლის დასაფარავად ისევ საჭიროა პროცენტიანი კრედიტები და ა.შ. ამის შედეგად პროცენტების და კრედიტების რაოდენობა გამუდმებულად იზრდება. შესაბამისად იზრდება ფულის მასაც და ინფლაციაც, მცირდება ფულის მსყიდველობითი უნარი და აქედან მთელ სარგებელს ღებულობენ ბანკები. ცნობილი ესპანელი ეკონომისტი დე სოტო წერს: "ორივე საქმიანობა - დეპოზიტების შექმნა და ბანკნოტების ემისია - ახდენს მნიშვნელოვანი აქტივების გენერირებას ბანკებისათვის, რომლებიც თანდათან ართმევენ ამ სიმდიდრეს ბაზრის ყველა სხვა მონაწილეს ისეთი პროცესის მეშვეობით, რომლის ვერც გაგება, და ვერც იდენტიფიცირება საბაზრო აგენტებს არ შეუძლიათ, - პროცესისა, რომელიც იწვევს ამ ქვეყანაში გამოყენებული ფულის ერთეულის მსყიდველობითი უნარის შეუმჩნეველ დაქვეითებას. .... ამ გზით ბანკები ითვისებენ უზარმაზარ სიმდიდრეს... ." (de Soto J., Money, Bank Credit, and Economic Cycles. Mises Institute, Auburn, Alabama, 2006, p. 248.)

თუ მიკრო დონეზე ყოველი კერძო ბანკი თვითონ ქმნის, და თვითონვე ანაწილებს ფულს და მსყიდველობით უნარს, ეს ნიშნავს იმას, რომ მაკრო დონეზეც მსყიდველობითი უნარის და ფულის განაწილება ქვეყანაში დამოკიდებულია კერძო ბანკების გადაწყვეტილებებზე და მათ ინტერესებზე. ამიტომ, კომერციული ბანკების კოლექტიურ გადაწყვეტილებებზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის რომელ სექტორში განხორციელდება ინვესტიციები, რომელი დარგები განვითარდება, როგორი იქნება ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობა, დასაქმება, ინფლაცია, ზრდის ტემპები და ა.შ. ფაქტიურად კომერციული ბანკების მფლობელები, კერძო პირთა მცირე ჯგუფი, თავიანთი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, არაფორმალურად წყვეტენ თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს უფლება არავის მიუნიჭებია.

ზემოთქმული ახასიათებს საერთოდ თანამედროვე საბანკო სისტემას. მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების უფრო სრული სურათის შესაქმნელად, საჭიროა გავითვალისწინოთ, ჯერ-ერთი, ეკონომიკის ძალზე დიდი გახსნილობა (იმპორტის წილი შეადგენს მშპ-ის 50%-ზე მეტს) და,

მეორეც, დოლარიზაციის მაღალი დონე. მრავალი მსხვილი გარიგება რეალურად ხდება დოლარებში და კრედიტების დიდი რაოდენობა გაიცემა დოლარებში. ეს ნიშნავს იმას, რომ კომერციული ბანკები "არაფრიდან" ქმნიან უნაღდო დოლარებს ისევე, როგორც უნაღდო ლარებს. ამიტომ სავალუტო კურსი დიდად არის დამოკიდებული არა მარტო ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, უცხოურ ინვესტიციებზე ან გზავნილებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორია ლარებში და დოლარებში გაცემული კრედიტების თანაფარდობა. თუ დოლარიზაციის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკი შეეცდება გავლენა იქონიოს კომერციულ ბანკებზე, რათა შეზღუდონ კრედიტები დოლარებში, ამის შედეგი იქმნება ლარის კურსის ვარდნა, რადგან შეიცვლება მიმოქცევაში არსებული ლარის და დოლარის მასების თანაფარდობა. როგორც წესი, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებების მიზეზების ახსნისას, ეს ფაქტორი ნაკლებად არის გათვალისწინებული ეკონომიკური ექსპერტების მიერ. ამიტომ კურსის მკვეთრი რყევები ხშირად რჩება აუხსნელი, რაც ხელს უშლის ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის შემუშავებას.

ნეოლიბერალური პოლიტიკა ხელს უწყობს ბანკების მხრიდან საკრედიტო ექსპანსიას. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში კომერციული ბანკების მიერ კერძო სექტორში გაცემული კრედიტების თანაფარდობა ნომინალურ მშპ-სთან გაიზარდა 9%-დან 2001 წელს 50%-მდე 2015 წელს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კრედიტების მოცულობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. კრედიტების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 28,1%-ს, ხოლო ნომინალური მშპ-ს ზრდა – 12,0%-ს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში მოთხოვნა დიდწილად იზრდებოდა საკრედიტო ექსპანსიის ხარჯზე და, რომ საქართველოში კრედიტების გაცემა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ს ზრდის ტემპების შესანაჩუნებლად. ამის გარეშე მშპ დაიწყებს ვარდნას. ეს არის ძალზე არაჯანსაღი ტენდენცია და მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკაში ყალიბდება საფინანსო ბუშტი, რაც, როგორც წესი, მთავრდება კრიზისით.

საბანკო სისტემის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად არსებობს მრავალი პროექტი. მაგალითად სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს რეგულაციები არა მარტო კრედიტების მოცულობაზე, არამედ იმაზეც თუ როგორ განაწილდეს კრედიტი ეკონომიკის დარგებს შორის და რამდენად შეიზღუდოს არამწარმოებლური კრედიტები (სამომხმარებლო ან სპეკულაციური მიზნებისათვის). 2008 წლის კრიზისის შემდეგ ასეთ პრაქტიკას მიმართეს ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ინგლისის ბანკმა უპირატესობა მიანიჭა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას, ევროპის ბანკმა – იპოთეკურ კრედიტებს, ჩინეთის ბანკმა – აგრარულ კრედიტებს და მცირე ბიზნესს, კორეის ბანკმა – მცირე და საშუალო ბიზნესს.

საბანკო სისტემის მთავარ კანონზომიერებას წარმოადგენს ის, რომ მსვილი ბანკები ცდილობენ კრედიტების გაცემას მსხვილ მსესხებლებზე და ნაკლებად ინტერესდებიან მცირე ბიზნესით. ხოლო მცირე ზომის ბანკები ძირითადად აკრედიტებენ მცირე და საშუალო ბიზნესს, რასაც აქვს

გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის. რ. ვერნერი მიიჩნევს, რომ პრობლემის გადაჭრას წარმოადგენს მცირე ზომის ბანკების შექმნა. მას მაგალითად მოჰყავს გერმანიის საბანკო სისტემა. გერმანიაში ბანკების 70%, ანუ 1500 ბანკი, არის სახალხო ბანკი. ფაქტიურად გერმანიაში ბანკების უმრავლესობას წარმოადგენენ პატარა ბანკები. ისინი არიან გერმანიის ეკონომიკის წარმატების ერთ-ერთ მთავარი ფაქტორი. ისინი არიან მცირე და საშუალო ფირმების ძირითადი კრედიტორები, უზრუნველყოფენ სტაბილურ ზრდას, არ წარმოშობენ საბანკო კრიზისებს. გერმანიაში 200 წლის მანძილზე არც ერთ დეპოზიტორს არ დაუკარგავს ფული.

2008 წლის კრიზისის შემდეგ ჯ. ბენესმა და მ. კამპოფმა წარმოადგინეს საბნკო სისტემის რეფორმის უფრო ფუნდამენტური პროექტი, რომელიც გულისხმობს საბანკო სისტემაში დეპოზიტების ნაწილობრივი რეზერვების ჩანაცვლებას 100%-ტიანი რეზერვებით. არსებბობს უფრო რადიკალური პროექტებიც. ცხადია ერთი, რომ დასავლეთში აცნობიერებენ თანამედროვე საბანკო სისტემის უმწვავეს პრობლემებს და აქტიურად ეძებენ მისი რეფორმირების გზებს. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის მსოფლიო კრიზისის შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ საბოლოო ჯამში სწორედ საკრედიტო ექსპანსია იყო ამ კრიზისის მაპროვოცირებელი ფაქტორი. ინგლისის პარლამენტშიც კი იქნა განხილული საბანკო სისტემის ძირფესვიანი რეფორმირების საკითხი. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პრობლემა არა თუ არ არის გაცნობიერებული, არამედ საბანკო სისტემა მიჩნეულია ეკონომიკის ყველაზე წარმატებულ სექტორად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ინგლისელი ეკონომიკსტის ა.ტერნერის მოსაზრება, რომ "ხედავენ რა ამ ქაოსს, რომელიც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას დამართა თავისუფალი საფინანსო ბაზრების ღირსებებში უზომო რწმენამ, განვითარებადი ქვეუნების მთავრობებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სწრაფი და ყოვლისმომცველი ფინანსური ლიბერალიზაციის მოჩვენებით უპირატესობებთან დაკავშირებით. ... კრედიტების და ფულის შექმნის პროცესები შინაგანი ბუნებით იმდენად განსხვავდებიან სხვებისაგან და იმდენად სოციალურია, რომ მათთან მიმართებაში არ უნდა იყოს გამოყენებული თავისუფალი ბაზრის პრინციპები." (Turner A. Between Debt and Devil: Money, Credit, and Fixing Global Finance. Pronceton University Press, 2016, p.10.) და მართლაც, რა მივიღეთ ლიბერალური პოლიტიკის შედეგად? ბანკები აფინანსებენ, ერთი მხრივ, საქონლის იმპორტს, მეორე მხრივ, მის რეალიზებას (სამომხმარებლო კრედიტების მეშვეობით); ამიტომ იზრდება იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და ქვეყნიდან გაედინება მსყიდველობითი უნარი; ქვეყანა გადაიქცა ვაჭრობის პოლიგონად. საკრედიტო ექსპანსიის რეალური შედეგია ის, რომ: 1) რიგითი მომხმარებლები მოიხმარენ მეტს, ვიდრე აქვთ შემოსავლები და ეფლობიან ვალებში; 2) მშპ-სთან შედარებით კრედიტების წინმსრები ტემპით ზრდა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ს ზრდის შესანარჩუნებლად, რის გამოც იქმნება "საფინანსო ბუშტი", ეკონომიკა ხდება ფინანსურად არასტაბილური, რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კრიზისს; 3) გაცემული კრედიტები იქმნება "ჰაერიდან", რაც

იწვევს ფულის გაუფასურებას და საზოგადოების მსყიდველობითი უნარის შემცირებას. ანუ ხალხს ერთდროულად აძლევენ სესხებს და თან ართმევენ მსყიდველობით უნარს. ამ პოლიტიკის შედეგად მოგებას ნახულობენ ბანკები და იმპორტიორები, ხოლო მასახლეობა ეფლობა ვალებში; "საფინანასო ბუშტი" და კრიზისი ხდება გარდუვალი. ეს პროცესები ურთიერთ განაპირობებენ ერთმანეთს და ეკონომიკა მოექცა "ხაფანგში", საიდანაც ვეღარ გამოდის ლიბერალური ცრურწმენების გამო.

თუ გარდაქნმნების პირველ წლებში "შოკური პრივატიზაცია" იყო "ლეღვის ფოთოლი" აშკარად კრიმინალური მოქმედებებისთვის და ხალხის გაძარცვისთვის, თანამედროვე კომერციული ბანკები უკვე სრულიად ლეგალურად აგრძელებენ ხალხის ძარცვას ყველას თვალწინ. და ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ეს შესაძლებელი გახდა რთულად ორგანიზებული საფინანსო სისტემის წყალობით, რომელიც აგებულია ნეოკლასიკური თეორიის მონეტარისტულ დოგმებზე.

"აპრილის ყოველთვიურ ანგარიშში ბუნდესბანკი დაგვიანებით დაეთანხმა ინგლისის ბანკს და ნათლად განაცხადა, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობაში ბანკების და ფულის შექმნის პროცესის ინტერპრეტაცია მცდარია: ბანკები არ არიან შუამავლები; ისინი ქმნიან ფულს ex-nihilo (არაფრიდან)." (Haering N. Bundesbank rejects 100%-money based on sophistry and false claims. May 11, 2017. http://norberthaering.de/en/32-english/news/830-buba-100-percent-money.) ისღა დაგვრჩენია ვიმედოვნოდ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაიმეორებს ინგლისა და გერმანიის ცენტრალური ბანკების გამოცდილებას და გააკეთებს სათანადო განცხადებას. სახელმძღვანელოებში (ასევე თვით ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე) ამ საკითხების არასწორი ინტერპრეტაციის აღიარება, ჩაითვლება პირველ ნაბიჯად სწორი მიმართულებით. ადრე თუ გვიან, ამის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა საქართველოში აბსურდული, სოციალურად უსამართლო და ეკონომიკურად მადესტაბილიზირებელი საბანკო სისტემის რეფორმირების გზების ძიება.

საქართველო უნდა გახდეს დასავლური სამყაროს ნაწილი და სავსებით ცხადია, რიმ ჩვენთვის არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მაგრამ, ამასთან საჭიროა ვაცნობიერებდეთ, რომ გარდა იმისა, რაც მართლაც ღირებულია და მისაბაძია, დასავლეთში მრავლად არის ისიც, რაც სრულიად მიუღებელია საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა თუ ზნეობისათვის. ამიტომ, დაუშვებელია დასავლური კანონების, ინსტიტუტების და სხვა ატრიბუტების მექანიკური კოპირება. მით უფრო, რომ დასავლეთზე აპელირებით ხელისუფლება, რიგ შემთხვევაში, ახდენს იქიდან იმის კოპირებას, რაც ეხმიანება მცირე ელიტარული ჯგუფის, და არა საზოგადოების ინტერესებს. დასავლეთიდან საჭიროა გადმოვიღოთ მხოლოდ ის, რაც თავსებადია ჩვენს თვითმყოფადობასთან და აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის. დასავლეთი არ არის მხოლოდ ის, რასაც აცხადებს დასავლეთის ოფიციოზი, არამედ ისიც, რასაც ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ ისინი, ვინც აკრიტიკებს და უპირისპირდება მას; ისინი, ვინც არ

ეგუება უსამართლობას, სისასტიკეს და ძალადობას, რასაც არ არის მოკლებული დასავლური სამყარო ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო.

თუ გვინდა გავხდეთ დასავლური სამყაროს ღირსეული წევრი და არა მისი მახინჯი დანამატი, პირველ რიგში უნდა ვისწავლოთ ჩვენი ინტერესების დაცვა; ლეგიტიმური ფორმებით პროტესტის გამოხატვა ხელისუფლების უსამართლო ქმედებებზე. მართალია დასავლეთი გვეხმარება რუსეთის იმპერიული ზრახვებისაგან დაცვაში, მაგრამ იგი ვერ დაგვიცავს ჩვენ ჩვენივე თავისაგან. როგორ გავაკეთოდ ეს? ამის სწავლაც დასავლეთისგან გვმართებს.